მერაბ კალანდაძე

ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

ნიგნში განხილულია მსოფლიოს ერთ-ერთი ნამყვანი ქვეყნის – ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია.

განკუთვნილია სახელმძღვანელოდ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, სადაც ეს საგანი ისწავლება. აგრეთვე, ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი ჯ. ანთაძე

რეცენზენტები: ც. ჩიკვაიძე
ნ. ნამორაძე

© მ. კალანდაძე, 2005
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2005

ISBN 99940-11-22-7

ავტორისაგან

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში სახელმძღვანელოს შექმნის ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობას.

აღნიშნულ დისციპლინაში სახელმძღვანელოს შექმნის იდეა დაგვებადა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მუშაობა დავიწყეთ უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ მაშინ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ამის განხორციელება ვერ მოხერხდა, რასაც დღევანდელი გადასახედიდან არც ვნანობთ, ვინაიდან იმ დროს ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან, რაც დღეს საქართველოს ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია და ეს სახელმძღვანელო ფაქტობრივად თავიდან იქნებოდა დასაწერი. როგორც იტყვიან „ზოგი ჭირი მარგებელიაო".

წინამდებარე სახელმძღვანელო მეტად მოკრძალებულ მიზანს ისახავს: პოპულარული ენით გააცნოს ქართველ მკითხველს, პირველ რიგში სტუდენტებს, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია.

ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვენ გვინდოდა შეგვეხსენებინა სტუდენტებისათვის საშუალო სკოლის მასალა და ვცადეთ ის ცოტათი გაგვეფართოვებინა, ისე რომ ძალიან არ გადაგვეტვირთა ფაქტებითა და თარიღებით.

სასწავლო პროგრამით ქვეყანათმცოდნეობაში (ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია) გათვალისწინებულია 30 საათი. აქედან გამომდინარე, თითო თავს დაუთმეთ თითო ლექცია.

სახელმძღვანელოს სტრუქტურის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ დასავლეთ ევროპის

ფაკულტეტზე ცალკე კურსებად შეისწავლება „საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურის ისტორია" და „ინგლისური ლიტერატურის ისტორია". ამიტომ ამ თემატიკის განხილვისაგან სახელმძღვანელოში თავი შევიკავეთ.

კარი I

ინგლისის ძველი ისტორია

ინგლისის ფიზიკური გეოგრაფია. ინგლისის წინარე ისტორია

1. **ტერიტორია.** საკუთრივ ინგლისი მდებარეობს დიდი ბრიტანეთის კუნძულის სამხრეთ ნაწილში. დიდი ბრიტანეთის ოფიციალური სახელწოდებაა – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო.

დიდი ბრიტანეთი შედგება 4 ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქისაგან: ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია და მიმდებარე პატარა კუნძულები. დიდ ბრიტანეთს უკავია 244 ათასი კვადრატული კილომეტრი.

ინგლისის ტერიტორიას უჭირავს დიდი ბრიტანეთის კუნძულის შუა და ქვემო ნაწილი. ინგლისის ტერიტორია მოიცავს 130 ათას კვადრატულ კილომეტრს. კონტინენტისგან მას გამოყოფს ლა მანშისა და პა-დე-კალეს სრუტეები.

აღმოსავლეთით მდებარეობს ჩრდილოეთის ზღვა, დასავლეთით ინგლისს აკრავს ირლანდიის ზღვა და ატლანტის ოკეანე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება შოტლანდია.

დიდი ბრიტანეთის კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს შოტლანდია. მას უკავია 77 ათასი კვადრატული კილომეტრი.

დიდი ბრიტანეთის კუნძულის დასავლეთი ნაწილი უკავია მთაგორიან უელსს. მისი ტერიტორია მოიცავს 20 ათას კვადრატულ კილომეტრს.

და ბოლოს ირლანდიის კუნძულზე მდებარე ჩრდილოეთ ირლანდია, რომლის ტერიტორიაც 14 ათასი კვადრატული კილომეტრია.

2. ბუნებრივი პირობები. ინგლისის ტერიტორია ორ ნაწილადაა გაყოფილი. სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ რაიონებში უმთავრესად დაბლობია, ხოლო ჩრდილოეთ-დასავლეთი და დასავლეთის ტერიტორია კი უფრო მთაგორიანია.

ინგლისის არც ერთი პუნქტი ზღვისგან მოშორებული არაა 120 კილომეტრზე მეტით. ინგლისის სანაპირო ზოლში ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი ყურეები, უბეები, რომლებიც ნავსაყუდელისათვისაა გამოყენებული.

ინგლისის კლიმატს, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზღვების, განსაკუთრებით კი ატლანტიის ოკეანის, ზეგავლენა, გოლფსტრიმის თბილი დინება, რომელიც ატლანტიის ოკეანეში მიედინება და ბრიტანეთის კუნძულებიდან სულ რამდენიმე ასეული კილომეტრითაა დაშორებული.

ინგლისში ზამთარი ცივი არ იცის. ხოლო ზაფხული გრილია. ტემპერატურა არ აღემატება 30 გრადუსს.

რბილი, ზომიერი ჰავა, თბილი ტენიანი ჰაერი, დიდად უწყობს ხელს მინათმოქმედების განვითარებას. ინგლისისათვის უცხოა გვალვა. მაგრამ იცის უხვი ნალექები, მზის ნათების ხანმოკლე ვადა და ძლიერი ქარები.

ქარები, გოლფსტრიმის დინებასთან ერთად, იწვევენ მოღრუბლულ ამინდს, წვიმებს, ნისლს. საშუალოდ წელიწადში 209 დღე წვიმს.

მშრალი ამინდები უფრო აღმოსავლეთ ინგლისში იცის. ზაფხულში ცხელა.

ინგლისის ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს ტყეს. თუ ჩრდილოეთით ეწერი ჭარბობს სამხრეთით ნიადაგი უფრო განსხვავებულია და ხშირია ტყის ყომრალი.

ინგლისის ერთ-ერთი დიდი მდინარეა ტემზა. იგი მიედინება სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ტერიტორიაზე. მეორე დიდი მდინარეა სევერნი, რომელიც სათავეს იღებს შოტლანდიაში და ჩაედინება ირლანდიის ზღვაში.

3. ინგლისის წინარე ისტორია. პირველყოფილი საზოგადოების, ანუ ინგლისის წინარე ისტორიის შესახებ მეცნიერებას მეტად მწირი ინფორმაცია გააჩნია. კაცობრიობის შორეული წარსულის კვალი წყაროებში ძალზე მკრთალად შემორჩა. მასზე უმთავრესად წარმოდგენას გვიქმნის ის ნივთიერი მასალა, არქეოლოგიური ძეგლები, რომელსაც მეცნიერებმა მიაკვლიეს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე.

უძველესი ადამიანის ნაკვალევი, რომელიც ბრიტანეთის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს 250 ათასი წლისაა, მაგრამ ძნელი სათქმელია, რომ ამის შემდეგ ადამიანთა მოდგმა აქ უწყვეტად ცხოვრობდა. ადამიანების დასახლება აქ შეუქცევად ხასიათს, როგორც ჩანს, ბოლო გამყინვარების შემდეგ იღებს. პალეოლითის ხანაში ბრიტანეთის კუნძულები ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი კონტინენტისაგან. ეს მოხდა შემდგომში დაახლოებით 8 ათასი – 6 ათასი წლის წინათ. კონტინენტისგან გამოყოფამ გამოიწვია ინგლისის ფლორის და ფაუნის სახეცვლილება. ტუნდრისათვის დამახასიათებელი მცენარეები შეცვალა უსიერმა ტყეებმა.

ძველი ქვის ხანა (პალეოლითი) შეცვალა შუა ქვის ხანამ (მეზოლითმა), შუა ქვის ხანა კი ნეოლითმა (ახალი ქვის ხანამ). შუა ქვის ხანის დროს, ყალიბდება ის გეოგრაფიული გარემო და ლანდშაფტი, რომელიც დღესაც არსებობს. ახალი ქვის ხანას – მოჰყვა ენეოლითი, როდესაც ქვის იარაღების გვერდით ჩნდება სპილენძის იარაღები. ენეოლითი ჩაანაცვლა ბრინჯაოს ხანამ, ხოლო ქრ. შ-მდე დაახლოებით I ათასწლეულში იწყება რკინის ხანა.

ინგლისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ თუმცა ბუნდოვან, მაგრამ მაინც ერთგვარ წარმოდგენას წყაროები იძლევიან.

ქრ. შ-მდე III-II ათასწლეულში ინგლისის განვითარებაში შესამჩნევ ცვლილებებს აქვს ადგილი, რაც უპირატესად ორი გარემოებით იყო განპირობებული. ბრინჯაოს ხანაში სულ უფრო დიდი ყურადღება ექცევა წიაღისეული სიმდიდრეების დამუშავებას. ინგლისის ტერიტორიაზე გამოჩდნენ ახალი ტომები იბერები. ისინი „ხმელთაშუა ზღვის რასის“ ადამიანები იყვნენ. უმთავრეს-

ად ცხოვრობდნენ თანამედროვე ესპანეთის და საფრანგეთის ტერიტორიაზე. მათ გარკვეული კვალი დატოვეს ინგლისის ისტორიაში.

იბერები მისდევდნენ მიწათმოქმედებას და განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. თავდაპირველად მათ ფეხი მოიკიდეს ირლანდის ზღვის სანაპიროზე, ჩრდილოეთ შოტლანდიაში. ისინი უმთავრესად სახლდებოდნენ გორაკების ფერდობზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ მათ სახელს უკავშირდება ქვის დიდი ლოდებისაგან სამარხების აგების ტრადიცია – მეგალითური კულტურა. ადგილობრივ ნიადაგში, იბერების მიერ, წიაღისეული სიმდიდრის, განსაკუთრებით კი სპილენძისა და კალას აღმოჩენამ და დამუშავებამ პირდაპირ კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა ბრინჯაოს იარაღების შექმნა.

წიაღისეული სიმდიდრეების აღმოჩენამ გაზარდა ბრიტანეთის კუნძულებისადმი ინტერესი და დასაბამი მისცა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებას. იბერებს გაწყვეტილი არ ჰქონიათ ძირები ხმელთაშუა ზღვის სამყაროსთან და აქტიურად ჩაებნენ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან ვაჭრობაში. ყველაზე უფრო მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ ფინიკიელებთან.

ბრიტანეთის უძველესი კულტურის ყველაზე უფრო საუკეთესო ნიმუშია სტოუნჰენჯის კომპლექსი. ეს არის ენეოლითის და ბრინჯაოს ხანის ძეგლი, რომელსაც წმინდა რელიგიურ დანიშნულებასთან ერთად, მეცნიერული დატვირთვაც ენიჭებოდა და შესაძლოა, ობსერვატორიის ფუნქციასაც ითვისებდა. ვარაუდობენ, რომ ის ააგეს მზის თაყვანისცემის მიზნით.

II თავი

ინგლისის ეთნოგენეზისის სათავეებთან

1. ინგლისის კელტიზაცია. ქრ. შ-მდე I ათასწლეულში ინგლისის ტერიტორიაზე გამოჩდნენ ახალი ტომები კელტები. ისინი იყვნენ ინდოევროპული ჯგუფის ტომები, რომლებიც გაფანტული არიან მთელს ევროპაში. ძველი ბერძნები მათ კელტებს ეძახდნენ, ხოლო რომაელები გალებს.

კელტების მიერ ინგლისის კოლონიზაცია საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და რამდენიმე საუკუნეს გასტანა. ის დაიწყო ქრ. შ-მდე I ათასწლეულის დასაწყისში და თითქმის ამ ათასწლეულის ბოლომდე გაგრძელდა.

პირველი ტომები, რომლებიც ინგლისის ტერიტორიაზე გამოჩდნენ, იყვნენ გელები. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ასიმილაცია მხოლოდ მშვიდობიან ხასიათს არ ატარებდა, მაგრამ სამხედრო ოპერაციების წარმოების თაობაზე მონაცემები არ მოგვეპოვება. (ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ამ ეპოქის გამაგრებული პუნქტები, რომელსაც არქეოლოგები წააწყდნენ). შესაძლოა, ეს იმითაც აიხსნება, რომ კარგად შეიარაღებულმა გელებმა სწრაფად დაიმორჩილეს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელმაც უკან დაიხია და მთებს შეაფარა თავი.

უნდა აღინიშნოს, რომ კელტების გამოჩენამ დააჩქარა რკინის ხანაზე გადასვლა. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ კელტების სახელს უკავშირდება რკინის იარაღების გამოჩენა.

ქრ. შ-მდე VI საუკუნეში ინგლისის ტერიტორიაზე გამოჩნდა კელტების ახალი ტალღა. ესენი იყვნენ გელების მონათესავე ტომები, ბრიტები. რკინის მახვილებით აღჭურვილმა ბრიტებმა სძლიეს ადგილობრივ მოსახლეობას და დაიმორჩილეს ისინი.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ტომის სახელიდან იღებს სათავეს კუნძულის სახელწოდებაც – ბრიტანეთი.

კელტების ემიგრაციის მესამე ტალღა იწყება ქრ. შ-მდე II საუკუნეში, როდესაც სამხრეთ საფრანგეთში მცხოვრები ტომები ბელგები თავს დაესხნენ ინგლისს. ისინი უპირატესად იკავებენ მდინარე ტემზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროვებდნენ და თანდათან ითქვიფებიან მასში.

რკინის ხანაზე გადასვლამ თავისი ხელი დაატყო ინგლისის განვითარებას. თანდათან ხდება ბრინჯაოს იარაღების ჩანაცვლება რკინით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის ნაჯახის გამოგონებას. ეს ძალიან უადვილებდა ადგილობრივ მოსახლეობას ტყის მასივების გაჩეხვას. ამან კიდევ უფრო მეტად დააჩქარა სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ინგლისში ყამირი მიწების ათვისება და სულ ცოტა ხანში ეს რეგიონი ინგლისის ნამდვილ ბეღელად მოგვევლინა.

მთელი ამ მიგრაციული პროცესების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დაეპყროთ და აეთვისებინათ ახალი ტერიტორიები, რათა აქ ეცხოვრათ.

2. კელტების სოციალ-ეკონომიკური ყოფა. ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრილმა კელტებმა თან მოიტანეს ის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონე, ცხოვრების წესი, რომელიც იყო მეზობელ გალიაში.

აღნიშნული საკითხის შესახებ წყაროები ძალიან ძუნწ ინფორმაციას გვაწვდიან. ამ თვალსაზრისით ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს ცნობილი რომაელი სარდლის გაიუს იულიუს კეისარის თხზულება „გალებთან ომი". ეს ნაშრომი საინტერესო და სარწმუნო ისტორიული წყაროა. საქმე ისაა, რომ ბრიტანეთში ლაშქრობის დროს მას უშუალო შეხება ჰქონდა კელტების ტომებთან და თავის ნაშრომში საკუთარი თვალით ნანახს აღწერს.

ქრ. შ-მდე I საუკუნეში ბრიტანეთში მიმდინარეობდა პირველყოფილი საზოგადოების დაშლის პროცესი. თავი იჩინა სოციალურმა დიფერენციაციამ. იგი ყველგან ერთნაირად როდი ვი-

თარდებოდა. ზოგიერთი ტომი საკმაოდ შორს იყო წასული, ხოლო ზოგან ეს ახლა იწყებოდა. არსებობდნენ ტომები, რომელსაც ყავდათ ძლიერი და მდიდარი არისტოკრატია. მათ ხელში იყო მიწები და ჯოგები. ყავდათ მონები. ცალკეული ტომები აყალიბებდნენ სამხედრო კავშირებს. ისინი ძირითადად ერთმანეთს ებრძოდნენ. ამიტომ მათ შორის არ იყო თანხმობა და ერთიანობა. ეს შემდგომში ძალიან კარგად გამოიყენეს რომაელებმა.

გაიუს იულიუს კეისარის მიხედვით, ბრიტანეთის საზოგადოება, გალიის მსგავსად, სამ ფენად იყოფოდა: ქურუმები, მეომრები და მდაბიონი.

კელტები ძირითადად მისდევდნენ მონადირეობას და მეთევზეობას. მიწას ისინი ამუშავებდნენ რკინის ბუნიკიანი ხის სახნისით. მიწას ღრმად ვერ ხნავდა და იძულებული იყვნენ მიწა მეორედ დაემუშავებინათ. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს კელტური მინდვრის კვადრატული ფორმა. კელტური მოდგმის ტომებმა ბელგებმა თან მოიტანეს უფრო მძიმე გუთანი და ამიერიდან მინის დამუშავება ამ სახნისით დაიწყეს. ბრიტანეთის დაბლობის ათვისება ამის ლოგიკური შედეგი იყო.

კელტების მთავარი საცხოვრისია სოფელი. მათ გააჩნდათ გამაგრებული თავშესაფარი. აქ ისინი საიმედოდ გრძნობდნენ თავს მტრის შემოსევის შემთხვევაში. საგულისხმოა, რომ შემდგომში ეს გამაგრებული პუნქტები რომაელებმა გადააქციეს სავაჭრო-სახელოსნო და ადმინისტრაციულ ცენტრებად, რომლებიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ფუნქციონირებდნენ.

კელტებს სავაჭრო კონტაქტები ჰქონდათ რომთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეკონომიკური პუნქტი იყო ლონდინი ანუ შემდგომში ლონდონი. უმთავრესად ბრიტანეთიდან გაჰქონდათ პური, ძვირფასი ლითონი, საქონელი და მონები, რომლებსაც ურთიერთშორის ბრძოლის დროს ჩაიგდებდნენ ტყვედ. თავის მხრივ კონტინენტიდან ბრიტანეთში შემოჰქონდათ ფერადი შუშა, საიუველირო ნაწარმო. ბრიტანელებს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებდა მეზობელ გალებთან.

კელტები კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და დიდ პატივს მიაგებდნენ მრავალ ღვთაებას. კელტების საზოგადოებაში მნიშ-

ვნელოვანი ფუნქცია გააჩნდათ ქურუმებს, დრუიდებს. სწორედ ისინი გვევლინებიან სამართლის, მორალის და აღზრდის სფეროში უმაღლეს ავტორიტეტებად. დრუიდთა რელიგის ფესვები საუკუნეთა სიღრმეში უნდა ვეძიოთ და სათავეს იღებს ბრინჯაოს ხანის რწმენაში.

აღნიშნული ეპოქის კულტურულ ცხოვრებაში საინტერესოა კელტების, პიკტების და სხვა ტომების ხელოვნება. კერძოდ კი ქვაზე კვეთილობა და ლითონის ნაკეთობანი. მოგვიანებით კი თავს იჩენს რომის კულტურის გავლენა.

III თავი

რომაული ბრიტანეთი

1. პირველი ცნობები ბრიტანეთზე. ძველი ავტორების შრომებში ინგლისი ძირითადად ბრიტანეთის სახელით ფიგურირებს. ინგლისის ნაპირებს აღწევდნენ ფინიკიელები, რომლებიც შესანიშნავი ზღვაოსნები იყვნენ. ისინი აქ მიიყვანა ოქროს, კალას და სხვა ძვირფასი ლითონების მოპოვების სურვილმა. ძველ ჟამთააღმწერლებს ინგლისზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნდათ. ეს კარგად ჩანს იმ ძველი რუკებიდან, რომელიც გადაურჩა ჟამთა სიავეს და ჩვენამდე მოაღწია. ბრიტანეთი გამოსახულია როგორც უფორმო კუნძულები, რომლებიც მდებარეობდნენ სამყაროს დასასრულს და ამ კუნძულების სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ძალიან უახლოვდება პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთს.

პირველი წერილობითი წყარო, რომელიც მოიხსენიებს ინგლისს, არის ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს თხზულება, რომელიც მათ უწოდებს კალის კუნძულებს. უკვე ჰეროდოტეს გააჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აქ უხვად მოიპოვებოდა კალა. სახელწოდება ბრიტანეთის კუნძულები ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა დიდმა ბერძენმა მოაზროვნემ არისტოტელემ. იყო ხანი, როდესაც ბრიტანეთს ალბიონის სახელით მოიხსენიებდნენ. ამიტომ ინგლისს შემდგომში ხშირად უწოდებდნენ „ცბიერ ალბიონს“ ან კიდევ „ნისლიან ალბიონს“.

ბრიტანეთის პირველი სერიოზული აღწერა მოგვცა გაიუს იულიუს კეისარმა თავის ნაშრომში „გალებთან ომი“. ამიტომ ხშირად ისტორიკოსები ინგლისის ისტორიას იწყებენ რომაელების გამოჩენით ინგლისში.

2. გაიუს იულიუს კეისარის ლაშქრობა ბრიტანეთში. რომაელთა პირველმა გამოჩენამ ბრიტანეთში მკვეთრი ზღვარი გაავლო ინგლისის უძველეს და ძველ ისტორიას შორის.

გალიის საბოლოო დამორჩილება შეუძლებელი იქნებოდა ბრიტანეთში ლაშქრობის გარეშე. კეისარის მონინააღმდეგე გალები ხშირად პოლიტიკურ თავშესაფარს ბრიტანეთის კუნძულებზე ეძებდნენ. ბრიტანელი კელტებიც გამოიღებდნენ ხელს და მხარში ამოუდგებოდნენ თავიანთ თანამოძმე გალებს ძლევამოსილი რომის წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამისა, კეისარს გააჩნდა ინფორმაცია ინგლისის მდიდარი წიაღისეულის სიმდიდრეების შესახებ და, ბუნებრივია, მისი ხელში ჩაგდება ეწადა.

ბრიტანეთის ნეიტრალიზების მიზნით რომაელთა სარდალმა ორი ლაშქრობა მოაწყო: პირველი დაზვერვით ხასიათს ატარებდა, ხოლო მეორე კი მიზნად ისახავდა კელტების დაბეგვრას.

პირველი ლაშქრობა კეისარმა მოაწყო ქრ. შ-მდე 55 წელს და ის საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა, რაც უმთავრესად ორი გარემოებით იყო განპირობებული. რომაელთა ფლოტს სანაპირო კლდეებზე დაზიანება მოუვიდა და რაც მთავარია ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სახელგანთქმულ სარდალს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. რომაელებმა უკან დაიხიეს.

რომაელები საგულდაგულოდ მოემზადნენ და მომდევნო 54 წელს მეორედ შეიჭრნენ ბრიტანეთში. ამჯერად კეისარმა წარმატებას მიაღწია. გადამწყვეტ ბრძოლაში მან დაამარცხა კელტების მეთაური და ხარკი დაადო მათ. რომაელთა წარმატებას საფუძვლად ედო არა მხოლოდ წმინდა სამხედრო თვალსაზრისით უპირატესობა, არამედ ისინი შესანიშნავად იყენებდნენ კელტებს შორის არსებულ უთანხმოებას და ატარებდნენ „გათიშე და იბატონეს" პოლიტიკას. კეისარი ბრწყინვალე სარდალი და დიპლომატი იყო.

კეისარის ლაშქრობას ბრიტანეთში არ მოჰყოლია ამ ქვეყნის დაპყრობა, მაგრამ მან შემდგომში აღნიშნულ რეგიონში რომის ექსპანსიონისტური პოლიტიკის უვერტურად გაიჟღერა.

3. რომის მიერ ინგლისის დაპყრობა. გაიუს იულიუს კეისარის გარდაცვალების შემდეგ რომში დაიწყო სამოქალაქო ომი. რომი საკუთარი საქმეების მოგვარებით იყო დაკავებული და ბრიტანეთისათვის არ ეცალა.

რას აკეთებდნენ კეისარის მიერ ძლეული კელტები? გალებთან ომის დროს კეისარის მთავარი დასაყრდენი იყო გალების ერთ-ერთი ბელადი კომა, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ გალიაში, არამედ ბრიტანეთში, მაგრამ შემდგომში მან ზურგი აქცია რომაელებს და ბრიტანეთში გაიქცა. აქ მან შექმნა ბელგების ძლიერი სამეფო. უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა. ამ უშეღავათო ბრძოლაში დამარცხებულებმა რომს მიაშურეს. იმპერატორმა კლავდიოსმა ბრიტანეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ეს ხელსაყრელი შანსი, ცხადია, ხელიდან აღარ გაუშვა.

ქრ. შ-ის 43 წელს რომის არმია ინგლისის ტერიტორიაზე შეიჭრა. გადამწყვეტ ბრძოლაში მათ დაამარცხეს კელტები და შეუდგნენ ბრიტანეთის ოკუპაციას. რომის ექსპანსია სამი მიმართულებით წარიმართა: დასავლეთით, ჩრდილოეთით და ჩრდილოდასავლეთით. დაბლობში რომაელებმა კარგად მოიკიდეს ფეხი, მაგრამ მთაგორიანი შოტლანდიის და უელსის დაკავება საკმაოდ გაუჭირდათ. შოტლანდიაში მცხოვრები პიქტები პირდაპირ სისხლს უშრობდნენ დამპყრობლებს. რომაელები თავდაცვის მიზნით იძულებული შეიქნენ ჩრდილოეთ ინგლისში აღემართათ გრძელი კედელი. ეს მოხდა იმპერატორ ადრიანეს დროს და ის ისტორიაში „ადრიანეს კედელის" სახელით შევიდა.

კელტები მომხდურებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. განსაკუთრებით ფართო რეზონანსი ჰქონდა აჯანყებას ქრ. შ-ის 61 წელს, რომელსაც სათავეში ედგა დედოფალი ბოდისეა. რომმა სისხლში ჩაახშო აჯანყება. ბოდისეამ თავი მოიკლა. ინგლისი რომის უბრალო სამფლობელო გახდა.

4. რომაელთა ბატონობა ბრიტანეთში. დაიწყო ბრიტანეთში რომაელთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობა. დამპყრობელთა უღელი ბრიტებმა მაშინვე იგრძნეს. განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას იწვევდა რომაელების საგადასახადო პოლიტიკა. ისტორიკოსი

ტაციტუსი მიუთითებდა, რომ „რომაელები ერთნაირი სიხარბით დაეძგერებიან მდიდრებსაც და ღარიბებსაც. ისინი უმონყალოდ ძარცვავენ მოსახლეობას და ამას თავიანთ ენაზე მმართველობას ეძახიან. როდესაც ისინი მთელს მხარეს გაავერანებენ, ამას უწოდებენ მშვიდობას".

თავდაპირველად დაპყრობილ ქვეყანაში წესრიგს უზრუნველყოფდა ოთხი რომაული ლეგიონი. შემდგომში მათი რიცხვი შეამცირეს. დარჩა სამი ლეგიონი და მცირე დამხმარე რაზმები. ეს იყო სულ 35-40 ათასი მებრძოლი. ისინი ძირითადად ციხე-სიმაგრეებში იდგნენ.

ბრიტანეთის ტერიტორია ორი ნაწილისაგან შედგებოდა. დაბლობი, რომელიც რომანიზებული იყო და მთიანი რეგიონები, სადაც რომის გავლენამ ვერ შეაღწია. აქ ისევ პატრიარქალური ყოფა იყო. მშვიდობიანი, რომანიზებული, ბრიტანეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და ცენტრი, და ჩრდილოეთი, ნაკლებ რომანიზებული ბრიტანეთი.

რომის ოთხსაუკუნოვანი ბატონობა ბრიტანეთში ორ მონაკვეთად იყოფა: I-II საუკუნეები, როდესაც რომის მმართველობა უპირატესად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და III საუკუნის მიწურულიდან 407 წლამდე, როდესაც ბრიტანეთში რომის მმართველობას თანდათან წყალი შეუდგა.

III საუკუნის მიწურულს რომის იმპერიის შემადგენლობაში სერიოზული ძვრები ხდება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რომის ფლოტის ბედი, რომელიც I-III საუკუნეების მანძილზე საიმედოდ იცავდა ბრიტანეთის საზღვრებს მომხვდურებისაგან. III საუკუნის დასასრულს რომის ფლოტის შესახებ აღარაფერი ისმის. შესაძლოა, მათ გამოიყვანეს ფლოტი ბრიტანეთის სანაპიროებიდან, რათა თავიდან აეცილებინათ გართულებები, უთანხმოება ფლოტში. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. (III საუკუნის მიწურულს ადგილი ჰქონდა აჯანყებას ფლოტში, რომელიც რომმა ჩაახშო) ამიერიდან ინგლისის სანაპირო დაუცველი რჩებოდა. ეს კი მის საშინაო საქმეებში ჩარევის კარგ პრეცედენტს ქმნიდა.

V საუკუნის დასაწყისში რომს სულ უფრო უჭირს გერმანელი ტომების მოძალების შეკავება. 407 წელს იმპერატორი იძულებული გახდა ბრიტანეთიდან გაეყვანა უკანასკნელი რომაული რეგიონები, რომლის შემდეგაც ისინი აქ მეტი აღარ დაბრუნებულან. ბრიტანეთში რომის ბატონობა დასრულდა.

ინგლისის რომანიზაციის პროცესი ორი მიმართულებით წარიმართა. რომანიზაცია მმართველობის საშუალებით. რომაელი მოქალაქეების მიერ კოლონიის მოწყობა და ქალაქების რომანიზაცია რომაელი ვაჭრების დახმარებით.

როგორი იყო რომანიზაციის შედეგები ინგლისში? რა კვალი დატოვა რომანიზაციამ ინგლისის ყოფაში? რამდენად ხანგრძლივი იყო რომანიზაციის შედეგები? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რომანიზაციის პროცესი ყველა კუთხეს ერთნაირად არ შეხებია. იყო ძლიერ რომანიზებული მხარეები. პირველ რიგში ეს არის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური ინგლისის ტერიტორია, სადაც უპირატესად დაბლობია. ამავე დროს, ამის გვერდით არსებობდა შედარებით სუსტად რომანიზებული ტერიტორიები, განსაკუთრებით მთიან ნაწილში, სადაც მტკიცედ ფეხის მოკიდება რომს მეტად გაუჭირდა.

რომაელებმა შეძლეს ინგლისის შიდა რაიონების მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფა და გარეშე მტრის თავდასხმისაგან დაცვა.

რომაელთა დაპყრობების შედეგად კელტური ბრიტანეთი ანტიკურ ცივილიზაციასთან ეზიარა. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან მძლავრი სტიმული მისცა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.

დიდი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნდათ რომაელთა მიერ გაყვანილ გზებს. ისინი ხელს უწყობდა არა მხოლოდ შეიარაღებული ძალის სწრაფ მანევრირებას, არამედ განაპირობებდა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გამოცოცხლებას. ეს გზები საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩდნენ და საუკუნეების მანძილზე შემორჩნენ.

რომაელთა სამხედრო ბანაკების საფუძველზე აღმოცენდა ინგლისის ქალაქები: მანჩესტერი, კოლჩესტერი, როჩესტერი.

კელტურ ბრიტანეთში I-II საუკუნეებში მიმდინარეობს ყამირი მიწების ათვისება. ამან გამოიწვია მიწათმოქმედების ფართობის არეალის შემდგომი გაზრდა. წარმოიქმნა საშუალო და მსხვილი მამულები, რომელსაც უმთავრესად ფლობდნენ რომაელები და ადგილობრივი დიდკაცობა. რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი აღნიშნავდა, რომ „ბრიტებმა გადაიღეს რომაელების ჩვევები, ტანსაცმელი და ენა". ადგილობრივმა დიდგვაროვნებმა კარგად აითვისეს მეურნეობის წარმართვის ახალი, უფრო პროგრესული მეთოდები. მსხვილ ლატიფუნდიებსა და მამულებში უმთავრესად ამუშავებდნენ მონებს და კოლონებს.

და მაინც, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ რომის გავლენა ბრიტანეთში შედარებით უფრო სუსტი იყო, ვიდრე მეზობელ გალიაში. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები: ინგლისის გეოგრაფიული მდებარეობა. კოლონია საკმაოდ დაშორებული იყო მეტროპოლიისაგან. კელტური აღორძინება და V საუკუნის შუა ხანებში ანგლო-საქსების შეჭრა ბრიტანეთში. ყველაფერმა ამან შექმნა საფუძველი იმისათვის, რომ რომის გავლენა ხანმოკლე ყოფილიყო.

კარი II

ინგლისის
შუა საუკუნეების
ისტორია

I თავი

ანგლო-საქსების შეჭრა ინგლისში

1. ანგლო-საქსების გამოჩენა ინგლისის ტერიტორიაზე. რომაელთა წასვლის შემდეგ ინგლისის ისტორიის ერთ მონაკვეთს საიდუმლოების ნისლი აკრავს, რაც უპირველეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ წყაროები ამ ეპოქის შესახებ მეტად მწირ ინფორმაციას გვაწვდიან. სარწმუნო ცნობები იმის თაობაზე, თუ როგორ დაიწყო ანგლო-საქსების შეჭრა ინგლისში, არ მოგვეპოვება. ის ცნობები, რომელიც ჟამთა სიავეს გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია უმთავრესად ნახევრად ლეგენდარული ხასიათისაა. არც არქეოლოგიური მასალა მოიპოვება უხვად, რადგან ანგლო-საქსების კულტურის დაბალი დონე არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ მათი კვალი. და მაინც, მიუხედავად ამისა, წერილობითი წყაროების ძუნწ ინფორმაციაზე და არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება მიახლოებით აღვადგინოთ ანგლო-საქსების შეჭრის სურათი.

„კელტურ აღორძინებას", რომელსაც ადგილი ჰქონდა V საუკუნის პირველ ნახევარში არ მოჰყოლია ეროვნული ერთიანობა. ბრიტანეთის კუნძულები შინაომების ალში გაეხვია. მოქიშპე მხარეები ხშირად მიმართავდნენ დახმარებისათვის გარეშე ძალას. არსებობს ასეთი ვერსია, რომ ერთ-ერთმა ბელადმა, პიკტების (შოტლანდიელების წინაპრები) წინააღმდეგ საბრძოლველად მოიწვია იუტები, რომლებიც ცხოვრობდნენ იუტლანდიის ნახევარკუნძულზე. დაქირავებულთა როლში ხშირად გვევლინებოდნენ ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტორიაზე მობინადრე სხვა გერმანელი ტომებიც: კერძოდ კი საქსები და ანგლები. შეიქმნა პრეცედენტი ინგლისის საშინაო საქმეებში ჩარევის, რაც მომხვდურებმა მშვენივრად გამოიყენეს. ადგილობრივ ტომებსა და

მოსულებს შორის თაფლობის თვემ დიდხანს არ გასტანა. მას შემდეგ რაც იუტებმა სძლიეს პიკტებს უკან სამშობლოში აღარ დაბრუნებულან და ინგლისში დარჩნენ. ახლა მომძლავრებულმა იუტებმა თავიანთ ძველ მოკავშირეს კელტებს დაუწყეს შევიწროვება. უწინარესად მათ კენტი დაიკავეს, რომელსაც მათთვის გეოგრაფიულად მეტად ხელსაყრელი ადგილი ეკავა. კონტინენტიდან ყველაზე უფრო ახლოს მდებარეობდა და რაც მთავარია პრაქტიკულად დაუცველი იყო. იუტების წარმატებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ფაქტობრივად მწვანე გზა მისცა ინგლისის ტერიტორიაზე სხვა გერმანელი ტომების შეჭრას.

2. ანგლო-საქსების მიერ ბრიტანეთის დაპყრობა. V საუკუნის შუა ხანებიდან გერმანელი ტომების შეჭრა ბრიტანეთის კუნძულზე ინტენსიურ ხასიათს იღებს.

ბრიტანეთის კუნძულის დაპყრობას თან ახლდა სისასტიკე. „საქსების ცეცხლი თავისი წითელი ენით ეალერსებოდა დასავლეთის ოკეანეს, ირლანდიის ზღვას" – დასძენდა ჟამთააღმწერელი.

პირველი ეტაპის დასკვნითი აკორდი აღმოჩნდა საქსების მიერ უესექსის სამეფოს დაარსება 494 წელს.

V საუკუნის მიწურულს ადგილობრივ მოსახლეობასა და დამპყრობლებს შორის დაპირისპირება ახალ ფაზაში შედის. მისი მთავარი მახასიათებელი ნიშანია კელტების კონსოლიდაცია, რაც იმით გამოიხატა, რომ მომხდურებს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ. მტრის წინსვლა შეჩერებული იქნა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ლეგენდა მეფე არტურზე, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო სარაინდო ეპოსს „თქმულება მეფე არტურის მრგვალი მაგიდის რაინდებზე". მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მეფე არტურის პროტოტიპი შეიძლება იყო ვინმე არტორიუსი, რომელმაც თურმე ზედიზედ 12 გამარჯვება მოიპოვა ანგლო-საქსებზე.

VI საუკუნის მეორე ნახევარში ანგლო-საქსებმა ახალი ძალით განაახლეს შეტევა, რომელიც თავის აპოგეას ამ საუკუნის ბოლოს აღწევს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ დროს ჰქონდა ადგილი ბრიტების მასობრივ გადასახლებას კონტინენტზე

ჩრდილოეთ საფრანგეთში, სადაც მათ საძირკველი ჩაუყარეს ბრეტონის სამთავროს.

კელტების სასტიკი წინააღმდეგობა საბოლოოდ იქნა გატეხილი VII საუკუნის დასაწყისში. ამის შემდეგ ბრიტანეთის კუნძულის უდიდესი ნაწილი ანგლების, საქსების და იუტების გამგებლობაში გადადის. ადგილობრივმა მოსახლეობამ უკან დაიხია და თავი უელსის მთებს შეაფარა. მათი დამორჩილება უკვე დროის საქმე იყო.

ბრიტანეთის კუნძულის დაპყრობას საუკუნენახევარი დაჭირდა. დამპყრობლების წინსვლას ხელს უშლიდა კელტების თავგანწირული წინააღმდეგობა და უსიერი ტყეები.

3. ქრისტიანობის გავრცელება ინგლისში. რომაელების დროს ბრიტანეთში ქრისტიანობის შემოსვლის შესახებ წყაროებში ცნობები არ მოიპოვება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობა ბრიტანეთში ვრცელდება III საუკუნიდან, თუმცა ბევრი საკითხი ბრიტანეთის მოქცევისა ისტორიიდან დღემდე სქელი ნისლითაა გარემოცული.

VI საუკუნის დასაწყისში ქრისტიანული ეკლესია ბრიტანეთში ორ შტოდ იყო გაყოფილი. ერთი საკუთრივ ბრიტანული, რომელიც ემორჩილებოდა უშუალოდ რომის პაპს და მეორე ირლანდიური (კელტური), რომელიც არ ექვემდებარებოდა რომს და განსხვავდებოდა ოფიციალური კათოლიკური რელიგიისაგან. ამ ორ მისიას შორის მიმდინარეობდა დიდი მეტოქეობა. რომის პაპმა, გრიგოლი I რათა კიდევ უფრო განემტკიცებინა კათოლიკეების პოზიცია 597 წელს ქრისტიანობის ქადაგების მიზნით ბრიტანეთში მიავლინა წმინდა ავგუსტინე. ცხადია, შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ რომის ეკლესიის: კათოლიკობის გავრცელების ეპიცენტრად, სწორედ, კენტი მოგვევლინა. ის კონტინენტიდან ყველაზე უფრო ახლოს იყო. კენტიდან ქრისტიანობა ვრცელდება მთელი ინგლისის ტერიტორიაზე.

პაპმა წმ. ავგუსტინე გააფრთხილა არ აჩქარებულიყო და წინდახედულად ემოქმედა. არ გაეღიზიანებინა ადგილობრივი მოსახლეობა. „ეცადე რაც შეიძლება ნაკლებად ჩაერიო ადგილობრივ მცხოვრებთა საქმეებში. არ არის საჭირო, რომ ადამი-

ანი სირბილით ავიდეს მთის მწვერვალზე, ამის გაკეთება თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ შეიძლება. პირველ რიგში ნუ იჩქარებ დაანგრიო წარმართთა ტაძრები. იკმარე მათი კერპების დამსხვრევა. უფრო მეტიც. თუკი ესა თუ ის ტაძარი კარგად არის აგებული, ის შეიძლება დემონთა მსახურების ნაცვლად ჭეშმარიტი ღმერთის სამსახურში ჩავაყენოთ".

პაპმა ავგუსტინე დიდი უფლებამოსილებით აღჭურვა. არქიეპისკოპოსის წოდება უბოძა. მან, პაპის რჩევის მიხედვით, თავის რეზიდენციად კენტის ცენტრი კენტენბერი აირჩია. ასე ჩაეყარა საძირკველი კენტენბერის საეპისკოპოსოს, რომელიც შემდგომში ინგლისის რელიგიური ცენტრი შეიქმნა, ხოლო მისი თავკაცი კი ინგლისის ეკლესიის პრიმასი.

ქრისტიანობამ თავდაპირველად ფეხი მოიკიდა კენტში. აქედან ის გავრცელდა ინგლისის სხვა რეგიონებში. VII საუკუნეში ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელოვან ციტადელად იქცა ნორთუმბრია.

VII საუკუნის შუა ხანებში პირველობისათვის ბრძოლამ რომის ეკლესიასა და კელტურ (ირლანდიურ) ქრისტიანობას შორის თავის კულმინაციას მიაღწია. გამარჯვების სასწორი რომის ეკლესიის მხარეს გადაიხარა. ნორთუმბრიის მეფემ ბრძანა: „მე ვემორჩილები წმინდა პეტრეს ნაბრძანებს, რადგანაც მინდა, რომ როცა სამოთხის კარს მივადგები, იქ ვინმე დამხვდეს და სამოთხის კარი გამიღოს". რომის კათოლიკურმა ეკლესიამ საბოლოოდ გაიმარჯვა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან თავისი კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ანგლო-საქსების პოლიტიკურ და კულტურულ ყოფაზე. ქრისტიანობა კონტინენტური ევროპის კულტურასთან აახლოებდა ინგლისს. სწორედ ამაში მდგომარეობდა ქრისტიანობის ისტორიული მისია.

4. **ჰეპტარქია (შვიდმეფობა).** ანგლო-საქსების შეჭრა ბრიტანეთის ტერიტორიაზე წარმოადგენდა ხალხთა დიდი გადასახლების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომელმაც გამოიწვია ბრიტანეთის კუნძულებზე ბარბაროსული სახელმწიფოების წარმოშობა.

ანგლო-საქსების დაპყრობების შედეგად VII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა შვიდი ანგლო-საქსური სამეფო: იუტებმა დააარსეს თავისი სამეფო კენტი. საქსებმა შექმნეს სამი სამეფო: ესექსი, უესექსი, სესექსი. ანგლებმა ასევე ჩამოაყალიბეს სამი სამეფო: აღმოსავლეთ ინგლისი, ნორთუმბრია, მერსია. ამიტომ ისტორიკოსები ამ პერიოდს ჰეპტარქიას ანუ შვიდმეფობას უწოდებენ.

ანგლებმა უმთავრესად ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტერიტორიები დაიპყრეს, ხოლო საქსებმა და იუტებმა ქვეყნის სამხრეთი ნაწილი დაიკავეს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველას, როგორც ჩანს, მაინც ანგლები ჭარბობდნენ და ქვეყნის საერთო სახელიც აქედან წარმოდგა.

მთელი VII საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ სამეფოებს შორის უშეღავათო ბრძოლა პირველობისათვის. ისტორიული წყაროები ამ უკომპრომისო დაპირისპირების თაობაზე მეტად ძუნწ ინფორმაციას გვაწვდიან. ამ მწირ მონაცემებზე დაყრდნობით შემდეგი სურათი იკვეთება.

თავდაპირველად დაწინაურდა ნორთუმბრია, მაგრამ სულ მალე მერსიის სახით მას სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა. ამ მწვავე დაპირისპირებას კიდევ უფრო ამძაფრებდა წმინდა კონფესიონალური (რელიგიური) მომენტი. საქმე ისაა, რომ მერსია წარმოადგენდა წარმართობის მთავარ დასაყრდენს. ამიტომ ეს ბრძოლა ქრისტიანებსა და წარმართებს შორის დაპირისპირების ხასიათს იღებს. ამ უშეღავათო ბრძოლის შედეგად თანდათან იკვეთება მერსიის ჰეგემონია. ახლა ის ჩაუდგა სათავეში ანგლო-საქსური სამეფოების გაერთიანებას.

II თავი

ვიკინგთა შემოსევები

1. ანგლო-საქსების სოციალური ყოფა. ანგლო-საქსებში ყველაზე უფრო მთავარ ფიგურას, რა თქმა უნდა, მეფეები წარმოადგენდნენ, მაგრამ მეფის უფლებები განუსაზღვრელი არ იყო. დიდ ავტორიტეტს ფლობდა „ბრძენთა საბჭო". მის რიგებში გაერთიანებული იყვნენ წარჩინებულები, მეფის რაზმელები და სასულიერო მოღვაწეები. აღსანიშნავია, რომ ბრძენთა საბჭოს თანხმობის გარეშე მეფეს არ შეეძლო კანონების მიღება.

სასოფლო თემი გვევლინება პოლიტიკური და სამეურნეო საკითხების განხილვის მთავარ ინიციატორად. ყველაზე უფრო მწვავე საკითხები ირჩეოდა სასოფლო საბჭოზე. ახლო მდებარე თემების გაერთიანება, რომლის რიგებში იყო ასი მებრძოლი, ქმნიდა ასეულს. მათი გაერთიანების შედეგად წარმოიშვა საგრაფო. მას ხელმძღვანელობდა ძველი ტომის ბელადი. შემდგომში მასთან ერთად ფიგურირებს შერეფი, რომელიც მეფის ინტერესების დამცველია.

ამ ეპოქის ანგლო-საქსების საზოგადოება გარდამავალ საფეხურზე იმყოფებოდა. დაწყებულია ბარბაროსთა საზოგადოების ტრანსფორმაცია. საინტერესოა ანგლო-საქსების საზოგადოების სოციალური დაყოფა. იგი რამდენიმე ფენისაგან შედგებოდა: პირველ რიგში ეს იყო თავისუფალი მიწისმჭრელი გლეხი. მას ანგლო-საქსები კერლებს უწოდებდნენ. წარჩინებულთა ფენას შეადგენდნენ ერლები. ნახევრადთავისუფალნი ლეტების სახელით მოიხსენიებოდნენ. ანგლო-საქსების საზოგადოებაში იყვნენ მონებიც, მაგრამ ისინი ძალიან მცირერიცხოვანი არიან. შედარებით მოგვიანებით ჩნდება კიდევ ერთი ძლიერი სოციალ-

ური ჯგუფი – თენები. ესენი იყვნენ მეფის რაზმელები. მათი სტატუსი ტოლი იყო ერლის მდგომარეობის.

კერლებს გააჩნდათ მიწის პატარა ნაკვეთი. გაცილებით უფრო დიდი მიწის ფართობი იყო თავმოყრილი ერლების, ხოლო შემდგომში კი მეფის რაზმელი თენების ხელში.

კერლის მოკვლისათვის უნდა გადაგეხადა ვერგელდი 200 შილინგი. გაცილებით უფრო დიდი ფასი ჰქონდა ერლის სისხლს. ამ შემთხვევაში ორჯერ დიდი თანხა 400 შილინგი უნდა გადაგეხადა. მოგვიანებით მოხდა ერლების და თენების სისხლის ფასის, ვერგელდის, გათანაბრება. თუ მოკლავდი თენს, რომელიც მიწას ფლობდა 1200 შილინგი უნდა გადაგეხადა. თუ ის არ იყო მიწის მფლობელი, მაშინ იხდიდი ორჯერ ნაკლებს.

ანგლო-საქსების ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა სამხედრო რაზმი, რომელიც მეფის სამსახურში იყო. ანგლო-საქსებში სოციალურ დიფერენციაციას უკვე შორს აქვს გადგმული ფესვები. ანგლო-საქსები არიან ბინადარი, მიწათმოქმედები და მეცხოველეები. ცხოვრობდნენ ცალკე სოფლებში, ამუშავებდნენ მიწას. მათი კვალი მეცნიერებმა აღმოაჩინეს ბრიტანეთში, სკანდინავიაში, იუტლანდიის ნახევარკუნძულზე.

2. მერსიის დანინაურება. VIII საუკუნეში კვლავ გრძელდება ბრძოლა ინგლისის პოლიტიკური გაერთიანებისათვის. ცალკეული ანგლო-საქსური სამეფოები ერთმანეთს ეცილებიან პირველობას.

VIII საუკუნემ მერსიის ჰეგემონიის ნიშნით ჩაიარა. მერსიისათვის კონკურენციის გაწევა სცადეს უესექსმა და ნორთუმბრიამ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. მერსიის პოზიცია მტკიცედ გამოიყურებოდა.

მერსიის მბრძანებელი შეეცადა თავისი ძალაუფლებისათვის დაემორჩილებინა მთელი ქვეყანა. მან რამდენჯერმე დაამარცხა უელსი, რომლის შედეგად შეიქმნა სამხედრო საზღვარი, მერსიამ დაიქვემდებარა ესექსი, სესექსი და აღმოსავლეთ ინგლისი.

3. ნორმანები. VIII საუკუნის მიწურულს ბრიტანეთის ნახევარკუნძულს ახალი დამპყრობლები დანიელები (ნორმანები) მოევლინენ. ისინი უმთავრესად ცხოვრობდნენ სკანდინავიისა და იუტლანდის ნახევარკუნძულზე. ევროპაში მათ ნორმანებს ეძახდნენ. მათ ენაზე ნორმანი ჩრდილოეთის ადამიანს ნიშნავს. თვით სკანდინავიაში კი მათ ვინც ევროპაში ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას ვიკინგებს უწოდებდნენ, სლავურ წყაროებში მათ ვარიაგებად მოიხსენიებენ. რიურიკი და მისი მოლაშქრეები ნორმანები ანუ ვარიაგები იყვნენ.

სკანდინავები უებრო ზღვაოსნები არიან. თავიანთი მაღალხარისხოვანი ფოლადის ცულებით ისინი ამზადებდნენ სწრაფმავალ ხომალდებს. მათი საშუალებით მიაღწიეს ისლანდიას, შემდეგ გრელანდიას და ასე განსაჯეთ, ისინი ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროსაც კი მიადგნენ. ამაზე მინიშნება არის ცნობილ სკანდინავიურ თქმულებაში „საგა ერიკ წითურზე", მაგრამ ნორმანებმა იქ ფეხი ვერ მოიკიდეს და მათი მიგნებაც დავიწყებას მიეცა.

4. დანიელები (ნორმანები) ინგლისში. დანიელების (ნორმანების) შეჭრა ინგლისში ორ ეტაპად განხორციელდა: თავდაპირველად VIII საუკუნის მიწურულს და IX საუკუნის პირველ ნახევარში ინტენსიურად აწყობდნენ ექსპედიციებს ინგლისში, მაგრამ აქ არ რჩებოდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. არსებითად შეიცვალა ვითარება IX საუკუნის 60-იან წლებში. ისინი აყალიბებენ პირველ მუდმივ დასახლებებს და ისწრაფვიან დაკავებულ ტერიტორიაზე ფეხი მყარად მოიკიდონ.

ნორმანთა შემოსევების პირველი მსხვერპლი ირლანდია შეიქმნა. მათ კარგად გამოიყენეს ის ფაქტი, რომ აქ არ არსებობდა მტკიცე ხელისუფლება. VIII საუკუნის მიწურულიდან ნორმანთა ხშირმა თავდასხმებმა გააპარტახა ირლანდია. ბოლო მრუღო მის განვითარებულ მეურნეობას.

ამის შემდეგ ნორმანებმა თვალი მიაპყრეს ინგლისს, სადაც მათ დანიელებს ეძახდნენ. წყარობეში ინგლისში დანიელთა ერთ-ერთი პირველი ლაშქრობა დაფიქსირებული იქნა 793 წელს, როდესაც მათ იავარჰყვეს ინგლისის მიწა-წყალი. მომხდურთა სისასტიკემ მოსახლეობაზე დამთრგუნველად იმოქმედა.

ერთი თანამედროვე აღნიშნავდა, რომ „ეს გაცილებით უფრო მეტი საშინელება იყო, ვიდრე ყინვა ან ზღვის, დავაადებაო“. შეშფოთებული ჟამთააღმწერელი გულისტკივილით დასძენდა: „გამოგვიგზავნა ყოვლისშემძლე ღმერთმა, გამხეცებული კერპთაყვანისმცემლების ბრბო... ისინი ანადგურებენ ცოდვილ ინგლისის მიწას ერთი ნაპირიდან მეორემდე. მუსრს ავლებენ მოსახლეობას და საქონელს. არ ინდობენ არავის, არც ქალებს და ბავშვებს“.

ამასობაში სერიოზული ცვლილებები ხდება ინგლისის შიგნით. წყალი შეუდგა მერსიის ჰეგემონიას. მეფე ეკბერტის (825-839) დროს გაძლიერდა უესექსი. მან დაამარცხა მერსია და 829 წელს დაიმორჩილა ის. მანამდე კი მან დაიქვემდებარა კენტი. უესექსის დაწინაურება უკავშირდება სახალხო ლაშქრის რეორგანიზაციას. ერთიანობისაკენ მისწრაფებას ხელს უწყობდა საგარეო საფრთხე.

დანიელთა წინსვლის შეჩერება არანაირ ძალას არ შეეძლო. 842 წელს მათ დაიკავეს და მიწასთან გაასწორეს ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული ქალაქი ლონდონი. ერთი თანამედროვე აღნიშნავდა, რომ დანგრევას მხოლოდ ის სახლები გადაურჩა, რომლის მფლობელებმაც გამოსასყიდი გაიღეს.

შოტლანდიის გაერთიანებას (843) მძლავრი სტიმული მისცა საგარეო საფრთხემ. აუცილებელი იყო საერთო ძალისხმევა საშიში მტრის წინააღმდეგ.

IX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ანგლო-საქსების ტერიტორიის დიდ ნაწილს მომხვდური დანიელები აკონტროლებდნენ. დანიელთა წარმატებას საფუძვლად ედო მათი სამხედრო-ტექნიკური უპირატესობა და ანგლო-საქსურ სამეფოებს შორის არსებული ქიშპობა.

5. მეფე ალფრედი. ისტორიული წყაროები უესექსის მეფე ალფრედის (871-900) მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ უხვ მასალას შეიცავენ. დანიელთა შემოსვეების შედეგად საფრთხე შეექმნა თვით უესექსის სამეფოს არსებობას. მის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ყოფნა-არყოფნის საკითხი. აი ამ რთულ ვითარებაში მოუხდა სამეფო ტახტის დაკავება მეფე ალფრედს. იგი

იყო არა მხოლოდ კარგი მხედართუფროსი, არამედ ჩინებული დიპლომატი და რეფორმატორი.

მეფე ალფრედის მეფობის მთავარი ლაიტმოტივია დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა დანიელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ უმწვავესი დაპირისპირების დროს მეფე ალფრედი წარმატებით უხამებდა ერთმანეთს ძალისმიერ მეთოდებს, სამხედრო ოპერაციებს და დიპლომატიურ მანევრებს.

70-იანი წლების დასაწყისში ანგლო-საქსები მზად არ იყვნენ ბრძოლისათვის. ალფრედმა სწორად განსაჯა და ყოველგვარი გართულებების თავიდან აცილების მიზნით დანიელებთან დროებითი ზავი დადო.

მშვიდობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. დანიელებმა ახალი ძალები მიიღეს და 876 წელს განაახლეს სამხედრო ოპერაციები. მეფე ალფრედი დაიძრა მათ შესახვედრად და დანიელებს დიდი ხარკი შეაძლია. ეს უკანასკნელნიც დათანხმდნენ, მაგრამ დანიელებს ხარკი მალე შემოელიათ და კვლავ განაახლეს შეტევა. 878 წელს მათ სძლიეს მეფე ალფრედს და უესექსის სამეფოს დაეუფლნენ. მეფემ რამდენიმე ერთგულ მებრძოლთან ერთად სომერსეტის ჭაობს შეაფარა თავი. მან დაიწყო თავისი ერთგული ძალების თავმოყრა.

დანიელთა ლაშქარში ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მოხუცი საქსი, რომელიც კარგად უკრავდა ქნარზე. მისმა დაკვრამ დანიელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. როცა მუსიკოსი ცოტა ხნით დაიკარგებოდა, დანიელები ფიქრობდნენ, რომ მან ოჯახში დანიელი მეომრების ნასუფრალი წაიღო. ისინი იმდენად შეეჩვივნენ მოხუც მუსიკოსს, რომ ხშირად მისი ქნარის ჰანგებზე განიხილავდნენ მომავალი საბრძოლო ბატალიების გეგმებს. სულ მალე დანიელებმა შევსება მიიღეს და გადაწყვიტეს სამხედრო ოპერაციების განახლება. უესექსის მეფე ალფრედი მათ საკმაოდ მომზადებული დაუხვდათ. არც დანიელთა სამხედრო ფანდებმა გასჭრეს. თითქოსდა მეტოქემ ყველაფერი წინასწარ იცოდა. 879 წელს გადამწყვეტ ბრძოლაში ანგლო-საქსებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. დამარცხებულმა დანიელებმა დაზავება ითხოვეს. დახედეთ დანიელთა გაკვირვებას, როდესაც მათთან

მოსალაპარაკებლად მათთვის ესოდენ კარგად ნაცნობი მოხუცი მუსიკოსი გამოცხადდა. ის სხვა არავინ იყო თუ არა უესექსის მეფე ალფრედი.

879 წელს ხელმოწერილი იქნა ზავი დანიელებთან. ინგლისი ორ ნაწილად აღმოჩნდა გაყოფილი: ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილი დანიელებს ერგოთ. აქ შეიქმნა დანიური სამართლის მხარე „დეინლო". უესექსის სამეფომ შეინარჩუნა სუვერენობა.

მოპოვებულ თავისუფლებას განმტკიცება ესაჭიროებოდა. ამ მიზნით მეფე ალფრედმა გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები. ის ყოველნაირად ცდილობდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. პირველ რიგში აღსანიშნავია ინგლისის ფლოტის შექმნა, რომელმაც აამაღლა ინგლისის სანაპიროს თავდაცვისუნარიანობა. ალფრედმა საზღვარზე ააგო გამაგრებული ციხე-სიმაგრეები და მასში ჩააყენა გარნიზონები. მან განახორციელა სამხედრო რეფორმა. სახალხო ლაშქარი შეცვალა რაინდთა ჯარმა. ყოველივე ამან სათანადო ნაყოფი გამოიღო, როდესაც 90-იან წლებში დანიელებმა ხელმეორედ შეუტიეს ანგლო-საქსებს, მეფე ალფრედმა დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლო მათი მოგერიება.

ალფრედმა საძირკველი ჩაუყარა საერთო ინგლისური სამართლის შექმნას. ამ მიზნით მან თავი მოუყარა ერთად და გადაამუშავა ანგლო-საქსური სამეფოების ძველი კანონები.

ალფრედი ყურადღებას არ აკლებდა კულტურას. მან ევროპიდან არაერთი სწავლული მოიწვია. აარსებდა სკოლებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეფე ალფრედი დგას ანგლო-საქსური ლიტერატურის სათავეებთან.

ასეთი ნაყოფიერი და მრავალმხრივი მოღვაწეობის გამო იგი ინგლისის ისტორიაში დიდის ეპითეტით მოიხსენიება.

III თავი

ინგლისი X-XI საუკუნეებში

1. ინგლისის სოციალ-ეკონომიკური ყოფა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ წყაროები ამ თემაზე საინტერესო მასალებს გვაწვდიან. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მეფე ალფრედის „სამართალი" და უფრო ადრეული სამართლის ძეგლები შემუშავებული ანგლო-საქსების მიერ.

ფეოდალიზაციის პროცესი ინგლისში ნელი ტემპით წარიმართა. ეს უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ ის მიმდინარეობდა გვიანრომაული აგრარული წყობის რაიმე არსებითი გავლენის გარეშე. პრაქტიკულად ეს იყო წმინდა გერმანული ვარიანტი.

X საუკუნის დასაწყისისათვის ანგლო-საქსების საზოგადოება უფრო მეტად ფეოდალიზირებული იყო, ვიდრე წინა საუკუნეებში. ფეოდალიზმი თანდათან იკიდებს ფეხს, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ინგლისში იმის მსგავსი არაფერი ყოფილა, რაც იყო კონტინენტზე პრეკარიის (მიწის გადაცემის პრაქტიკა) და კომენდაციის (აქტი, რომელიც აწესრიგებს ვასალსა და სინიორს შორის ურთიერთობას) სახით. ინგლისში ეს პროცესი თავის გამოხატულებას პოვებს სამეფო ბოძებულობების ბოკლენდის სახით.

უკვე VIII საუკუნეში ტომის კუთვნილი ტერიტორიიდან (ფოლკლენდი), მეფე გამოუყოფს მიწას თავის რაზმელებს. ყველაფერი ეს იურიდიულად ფორმდება სიგელით და ბოძებულ მიწას ბოკლენდი ეწოდება. თანდათანობით ბოკლენდის მფლობელის იურიდიული უფლებები ფართოვდება. საბოლოო ჯამში მის ხელში ექცევა საკუთრივ მიწა.

ფოლკლენდის მცხოვრებთაგან და ბოკლენდის მფლობელისაგან მეფე ითხოვდა სამ რამეს. პირველ რიგში სამხედრო სამსახ-

ურს, გზებისა და ხიდების შეკეთებას და სამსახურს გამაგრებული პუნქტების დასაცავად.

ინგლისის სოციალური ყოფის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სენიორალური იერარქია და ლენური სისტემა აქ მეტად სუსტად იყო განვითარებული და მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა.

930 წელს გამოვიდა მეფის სპეციალური ბრძანებულება, რომლის მიხედვით ყველა გლეხს უნდა ყოლოდა თავისი ლორდი. ინგლისში არ შეინიშნება რაიმე მკვეთრი ზღვარი თავისუფალ გლეხობასა და წვრილ ფეოდალებს შორის. ფეოდალთა ფენა ჯერ კიდევ არ არიან სათანადოდ გამიჯნული თავისუფალი გლეხობის მაღალი წრეებისაგან. სწორედ ეს წვრილი და საშუალო ფეოდალები გვევლინებიან სამეფო ხელისუფლების მთავარ დასაყრდენად. ამიტომ ინგლისში მაგნატებს არ გააჩნიათ ისეთი განუსაზღვრელი უფლებამოსილებანი, როგორც ეს მეზობელ საფრანგეთში იყო.

წყაროებიდან არ ჩანს, რომ თავისუფალი გლეხის კერლის მიწის ნაკვეთი იქცევა თავისუფლად გასხვისებულ კერძო საკუთრებად და ეს პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული თავისუფალი გლეხის დაკაბელებასთან, მიწის ნაკვეთის საბოლოო დაკარგვასთან. ფეოდალური მამული ანუ როგორც მას ინგლისში უწოდებდნენ მანორი, „წარმოიშვა ზემოდან". თავისუფალ ადამიანებზე ძალაუფლების სამეფო ბოძებულობის შედეგად, დამოუკიდებლად იმისა სოციალურ-სამართლებრივი თუ ქონებრივი დიფერენციაციის რა საფეხურზე იმყოფებოდა ეს ადამიანი. სოციალური დიფერენციაცია, რა თქმა უნდა, მიმდინარეობდა ანგლო-საქსებში, მაგრამ ის კი არ განსაზღვრავდა ფეოდალიზაციის პროცესს, არამედ მისი აქტიური მატარებლები იყვნენ სამეფო ხელისუფლება და ეკლესია. მეფე დიდგვაროვნებს და ეკლესიას ურიგებდა იმ შემოსავალს, რომელსაც ის გლეხისგან იღებდა. ბოკლენდიდან აღმოცენდა მსხვილი ფეოდალური მამული, მანორი.

მიწათმფლობელები იყვნენ სენიორები და ეკლესია. გლეხი სარგებლობდა მათი მიწით და სენიორისთვის ვალდებული იყო

გადაეხადა ბეგარა და ღალა. მას სენიორისათვის კვირაში სამი დღე უნდა ემუშავა.

სენიორი დაინტერესებული იყო გლეხის მფარველობით. პირველ რიგში ეს უზრუნველყოფდა მის საკუთარ კეთილდღეობას. რაც უფრო ძლიერი იქნებოდა საგლეხო კომლი, მით უკეთესი იყო მებატონისათვის. სენიორის ფრთებქვეშ იყო ყველაზე უფრო ოპტიმალური პირობები გლეხის სამეურნეო საქმიანობისათვის. საზოგადოებრივი ფუნქციის განაწილების პარალელურად მიმდინარეობდა ახალი სოციალური კავშირების ჩამოყალიბების პროცესი. ხდება საზოგადოებრივი ფუნქციის გადანაწილება. ანგლო-საქსურ ბრიტანეთში სამხედრო სამსახური თავდაპირველად ვრცელდებოდა ყველა თავისუფალზე. არსებითად შეიცვალა საქმის ვითარება VII საუკუნის მიწურულიდან. სამხედრო საქმე უმთავრესად ეკისრებათ ტენებს და გეზიტებს, ისინი აყალიბებენ მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი ჯარის ბირთვს, ხოლო თავისუფალი გლეხების ლაშქარი სულ უფრო და უფრო უკანა პლანზე გადადის. დღის წესრიგში დადგა შრომის განაწილების საკითხი: პროფესიონალი მებრძოლები, სასულიერო პირები და გლეხები. ერთნი მწარმოებელნი არიან, მეორენი მეომრები, კანონმდებელნი. მესამენი იდეოლოგიურ ფუნქციას ითვისებენ.

ინგლისში ვაჭრობა სუსტად იყო განვითარებული. გაბატონებულია ნატურალური მეურნეობა, როდესაც ყველა საჭირო პროდუქტი ადგილზე მზადდებოდა.

2. ინგლისის გაერთიანება. დანიური სამართლის მხარის შემოერთება. ანგლო-საქსები, ბუნებრივია, ვერ ეგუებოდნენ ინგლისის ორად გახლეჩას და ქვეყნის ერთიანობის აღდგენა ეწადათ. დანიელები არ თმობდნენ პოზიციებს. მათ შორის დაპირისპირება კვლავ მწვავე ხასიათს ატარებდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეფე ალფრედის მემკვიდრეების პოლიტიკა.

ალფრედის ვაუმა ჯერ ქვეყნის შიგნით არსებულ სეპარატისტულ ძალებს გაუსწორა ანგარიში, ხოლო შემდეგ დაიწყო დანიური სამართლის ოლქების გამოხსნა.

ალფრედის მემკვიდრეების წინააღმდეგ ბრძოლაში დანიელებმა გამოძებნეს მოკავშირეები და შოტლანდიას და უელსს

დაუახლოვდნენ. ასე ჩამოყალიბდა ლიგა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას მთავარი ადგილი უკავია X საუკუნის 30-იანი წლების ინგლისის ისტორიაში. ინგლისელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ლიგა.

ანგლო-საქსური სახელმწიფოებრიობის აღდგენის პიკს წარმოადგენს 954 წელი. ეს მნიშვნელოვანი მიჯნა იყო ინგლისის გაერთიანების საქმეში. დანიური სამართლის მიწები დამორჩილებული იქნა. აქედან მოყოლებული თითქმის X საუკუნის მიწურულამდე დანიელებს ინგლისის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციები არ ჩაუტარებიათ, ხოლო მათი ერთი ნაწილი კი ადგილობრივ მოსახლეობას შეერია. სკანდინავები და იუტლანდები ძირითადად საკუთარი საქმეების მოგვარებით იყვნენ დაკავებულნი და ინგლისისთვის არ ეცალათ.

X საუკუნის მეორე ნახევარში ადგილი აქვს ადგილობრივი მოსახლეობის და მომხვდურების ასიმილაციას, შერევას. ამ შერევამ ძალიან შეუწყო ხელი ინგლისში ვაჭრობის აღმავლობას და სტიმული მისცა ქალაქების განვითარებას. დანიური სამართლის ტერიტორიაზე ფეოდალიზაციის პროცესი კიდევ უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე ანგლო-საქსებში. დანიელები გაქრისტიანდნენ. ხოლო თავისი ენით და კულტურით ისინი დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ანგლო-საქსური სახელმწიფოებრიობის აღორძინება X საუკუნის მიწურულამდე გაგრძელდა. 990 წელს დანიელებმა კვლავ შეუტიეს ინგლისს. ეს იმით აიხსნებოდა, რომ სკანდინავებმა ბოლოს და ბოლოს მოაგვარეს თავიანთ საქმე და ჩამოაყალიბეს სამი დიდი სახელმწიფო: შვედეთი და ნორვეგია სკანდინავის ნახევარკუნძულზე და დანია იუტლანდიის ნახევარკუნძულზე.

3. სამეფო ხელისუფლების დასუსტება. დანიელთა მიერ ინგლისის მეორედ დაპყრობა. XI საუკუნის დასაწყისში სამეფო ხელისუფლება ეყრდნობა არა ანგლო-საქს დიდებულებს, არამედ სამხედრო ფენას – ტენებს. მათი წონა ქვეყნის მმართველობის საქმეში სულ უფრო მკვეთრად იზრდება. ანგლო-საქსების ფლოტი ანადგურებდა სკანდინავებს, მაგრამ სტაბილურობა მოჩვენებითი იყო.

ინგლისის მეფე სკანდინავთა შემოტევების უფრო ეფექტური მოგერიების მიზნით დაუახლოვდა ნორმანებს, რომლებმაც X საუკუნის დასაწყისში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ჩრდილოეთ საფრანგეთში. ამ კავშირის განმტკიცების მიზნით ინგლისის მეფემ ჯვარი დაიწერა ნორმანდიის ჰერცოგის ქალიშვილზე.

1003 წლიდან დაწყებული რამდენიმე წლის განმავლობაში დანიელები წარმატებით ესხმოდნენ თავს ინგლისის სანაპიროს. მეფემ ამ სასტიკი აოხრების შეჩერების მიზნით დიდი ხარკი გადაიხადა. ამას „დეინგელდი" ანუ დანიური ფული ეწოდებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლისის ნაპირებს ნორვეგიელები მიადგნენ. მათ ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს აღმოსავლეთ ინგლისს და მერსიას, ხოლო 1012 წელს მათ დაიკავეს და სასტიკად გაძარცვეს კენტენბერი.

ინგლისის წინააღმდეგ დანიელების ლაშქრობის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა 1014 წელს, როდესაც დანიის ტახტზე ავიდა მეფე კანუტი. ინგლისელები თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს და თავგამოდებით იცავდნენ სამშობლოს, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს. 1017 წელს დანიელებმა მთლიანად ჩაიგდეს ხელში ინგლისი და მისი მეფე გახდა კანუტი (1017-1035).

კანუტმა შექმნა უზარმაზარი ჩრდილოეთის იმპერია. თვითონ კანუტი საკმაოდ შორსმჭვრეტელი და წინდახედული პოლიტიკოსი აღმოჩნდა. მნიშვნელოვანწილად სწორედ მისი ჭკვიანური, გონივრული, პოლიტიკით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ მისი მმართველობის ხანაში ინგლისში სტაბილურობამ, სიმშვიდემ, დაისადგურა. სახელმწიფოში წესრიგს ის ყველაზე მაღლა აყენებდა. დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა მის მთავარ პრინციპს. მას უყვარდა თქმა „მე არ მინდა უსამართლო გზით შემოსული ფული. ხალხის კეთილდღეობისათვის მე არაფერს არ დავიშურებ და საკუთარ თავსაც არ დავზოგავ".

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მისმა შვილებმა ყურად არ იღეს მამის პრინციპები და უსირცხვილოდ ძარცვავდნენ ქვეყანას, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ მათმა მმართველობამ ინგლისის ისტორიაში ვერანაირი კვალი ვერ დატოვა.

1042 წელს ინგლისის ტახტი დაიკავა ედუარდ აღმსარებელმა (1042-1066), რომელიც დანიელთა ბატონობის ხანაში ნორმანდიას აფარებდა თავს. დანიელთა ბატონობას ინგლისში წერტილი დაესვა.

ედვარდის მმართველობაში წინა პლანზე გამოვიდნენ ნორმანდიელები. მისმა მეფობამ შეამზადა ნიადაგი ინგლისში ნორმანდიელების შეჭრისათვის. მისი მეფობის დროს დაწინაურდა გოდვინი, რომელმაც მძიმე, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მეფის ნორმანდიელი გარემოცვის წინააღმდეგ, შეძლო მეფე თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა.

IV თავი

ნორმანდიელების მიერ ინგლისის დაპყრობა

1. ნორმანდიის საჰერცოგო. 911 წელს ნორმანები როლონის მეთაურობით ჩრდილოეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. მათ შეძლეს აქ ფეხის მტკიცედ მოკიდება და დააარსეს ნორმანდიის საჰერცოგო. ნორმანდიის ჰერცოგმა როლონმა ფიცი მისცა საფრანგეთის მეფეს და თავი მის ვასალად სცნო, ნორმანებმა მიიღეს ქრისტიანობა.

ნორმანდიის ჰერცოგის გავლენა და ავტორიტეტი დიდი იყო. მას ემორჩილებოდნენ, როგორც დიდგვაროვნები, ისე კათოლიკური ეკლესია. საჰერცოგოში სტაბილურობა სუფევდა.

ჰერცოგს ჰყავდა შესანიშნავი, კარგად გაწვრთნილი მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი რაზმი და საუცხოო მშვილდოსნები.

ნორმანდიის საჰერცოგო ეკონომიკურადაც საკმაოდ წელმაგარი იყო. ქალაქები აყვავებულია. ჰერცოგის ხაზინა ცარიელი არასოდეს არ ყოფილა და უზარმაზარი შემოსავალი შემოდიოდა ქალაქებიდან.

ფეოდალიზაციის პროცესი ნორმანდიის საჰერცოგოში საკმაოდ შორს იყო წასული და სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

რა გასაკვირი იყო, რომ ნორმანდიის ჰერცოგს სურდა თავისი სამფლობელოს ტერიტორიების გაფართოება და თვალი მეზობელ ინგლისზე ეჭირა. მის ამ ოცნებას ფრთებს ასხამდა ინგლისის დიდებულებს შორის არსებული ქიშპი, რაც ასუსტებდა ცენტრალურ ხელისუფლებას.

ანგლო-საქსების და ნორმანდიელების დაახლოება დაიწყო უკვე ედუარდის მეფობაში, რომელიც ყველანაირად უწყობდა ხელს ნორმანდიელების დაწინაურებას სახელმწიფო სამსახურში.

ისინი თანდათან მნიშვნელოვან პოსტებს იკავებენ სამეფო კარზე. თუ ყველაფერ ამას იმასაც დაუმატებთ, რომ ინგლისის მეფე და ნორმანდიის ჰერცოგი ახლო ნათესავები, მამიდაშვილ-ბიძაშვილები იყვნენ, მაშინ ნორმანდიის ჰერცოგის სურვილი დაპატრონებოდა ინგლისს, ადვილი გასაგები გახდება. ნორმანდიის ჰერცოგის უილიამის ინგლისში შეჭრისათვის ნიადაგი მომზადებული იყო.

2. უილიამ დამპყრობელი. 1066 წელს გარდაიცვალა ედუარდ აღმსარებელი. მას მემკვიდრე არ დარჩენია. ძველი ანგლო-საქსური ტრადიციის თანახმად ბრძენთა საბჭოს უნდა აერჩია ინგლისის მეფე. სავსებით მართლზომიერი იყო, რომ მათ დაასახელეს გოდვინის ვაჟი ჰაროლდი. იგი მეფედ აკურთხეს.

ნორმანდიის ჰერცოგმა გადაწყვიტა, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი, რათა სისრულეში მოეყვანა თავისი ოცნება და შეჭრილიყო ინგლისის ტერიტორიაზე.

უილიამმა დაუყოვნებლივ შეკრიბა დიდებულები და გააცნო თავისი გეგმები. მან დიდგვაროვანთა დასტური მიიღო. ჟამთააღმწერელი აჭარბებს, როდესაც ფიქრობს რომ უილიამის ლაშქარი ითვლიდა 60 ათას მებრძოლს და 700 ხომალდს. ეს იმ დროისათვის ფანტასტიკური რიცხვია. სინამდვილეში უილიამის ლაშქარი 5 ათას მებრძოლს არ აღემატებოდა. 2 ათასი მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი რაინდი და 3 ათასი ქვეითი. იქ ბევრი იყო საფრანგეთის სხვა ტერიტორიიდან მოსული რაინდები. ამ ორგანიზებულ ძალას ანგლო-საქსებმა, ჰაროლდის თავკაცობით, დაუპირისპირეს სახალხო ლაშქარი.

ანგლო-საქსებმა საიმედოდ ჩაკეტეს სანაპირო და ელოდნენ მოწინააღმდეგის გამოჩენას. ანგლო-საქსებისათვის სრულიად მოულოდნელად ინგლისის ჩრდილოეთ სანაპიროზე გამოჩდნენ ნორვეგიელები, რომლებიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ უილიამთან შეთანხმებით მოქმედებენ. ნორვეგიელებს მხარი დაუჭირა მეფის ძმამ ტოსტიგმა. ჰაროლდი იძულებული შეიქმნა მოეხსნა თავისი ჯარი სანაპირო ზოლიდან და ნორვეგიელების წინააღმდეგ დაძრულიყო. ჰაროლდმა სასტიკად დაამარცხა ნორვეგიელე-

ბი. შექმნილი სიტუაცია კარგად გამოიყენა უილიამმა და ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე გადასხა თავისი ლაშქარი. ჰაროლდი სასწრაფოდ დაიძრა მტრის შესახვედრად.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1066 წლის 14 ოქტომბერს ჰასტინგის მახლობლად. ცხენოსანი რაინდების და მოისართა შეთანხმებული მოქმედების შედეგად უილიამმა უპირატესობა მოიპოვა და სძლია ანგლო-საქსებს. ჰაროლდი ბრძოლაში დაიღუპა. „მეფე მამაცურად იბრძოდა იმ ხალხთან ერთად, რომელიც მას გაჰყვა. ბევრი დაიღუპა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. დაეცა მეფე ჰაროლდი... დაიღუპა კიდევ ბევრი კარგი ვაჟკაცი და ფრანგებმა ხელთ იგდეს ბრძოლის ველი" – დასძენდა ჟამთააღმწერელი.

გამარჯვებული უილიამი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა და ლონდონს მიადგა. ლონდონს წინააღმდეგობა არ გაუწევია და ამის კომპენსაციად მან შეინარჩუნა თავისი ძველი პრივილეგიები.

1066 წლის 25 დეკემბერს ვესტმინისტერში უილიამი მეფედ ეკუთრხა. ის გახდა ინგლისის მეფე უილიამ I (1066-1087). ამავე დროს ინგლისის მეფე როგორც ნორმანდიის ჰერცოგი საფრანგეთის ვასალი იყო.

რა თქმა უნდა, ნორმანდიელების წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა და ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ნორმანდიელების სამხედრო უპირატესობა. ამავე დროს უილიამ დამპყრობელი მოხერხებულად იყენებდა ანგლო-საქსებს შორის არსებულ უთანხმოებას, შუღლს. არ უნდა დაგვავიწყდეს კათოლიკური ეკლესიის თანადგომა. ნორმანდიის საჰერცოგო შინაგანად გაცილებით უფრო კარგად იყო ორგანიზებული, ვიდრე ანგლო-საქსები. უილიამის ძალაუფლება ვასალებზე მყარი იყო.

თუ სამხრეთის რაიონებში დამპყრობლებს სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, ჩრდილოეთის რაიონებზე ამას ვერ ვიტყვით. მომხვდურთა თავაშვებულმა საქციელმა აავსო ადგილობრივ მცხოვრებთა მოთმინების ფიალა. იფეთქა აჯანყებამ, რომელიც უილიამმა სასტიკად ჩაახოში. სწორედ აქედან იღებს სათავეს უილიამის მეტსახელი „დამპყრობელი".

3. უილიამ დამპყრობელის მმართველობა. ინგლისის ახალმა მბრძანებელმა კურსი აიღო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. ეს ადვილი გასაგებიცაა. თვითონ უილიამი ნორმანდიის ჰერცოგი და საფრანგეთის მეფის ვასალი იყო და ფეოდალური სეპარატიზმის საშიშროების ფასი კარგად იცოდა.

ანგლო-საქს დიდებულებს, რომლებიც იბრძოდნენ უილიამის წინააღმდეგ ჩამოერთვათ მიწები. ეს მამულები უილიამმა გადასცა თავის თანამებრძოლებს, ნათესავებს და სასულიერო პირებს, რომლებიც მას თან გაჰყვნენ ნორმანდიიდან. ასე დაიწყო მიწების გადანაწილება ინგლისში.

უილიამი ძალიან გონივრულად იქცეოდა, როდესაც ცდილობდა, რომ არ მომხდარიყო მსხვილი მაგნატების ხელში მიწების კონცენტრაცია, რაც გამოიწვევდა მათ უსაშველო გაძლიერებას და გააღვივებდა სეპარატისტულ სულისკვეთებას. ის თავის ქვეშევრდომებს მამულებს ურიგებდა არა ერთ ადგილზე, არამედ გაფანტულად, სხვადასხვა ტერიტორიებზე. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ინგლისში არ იყვნენ ისეთი მსხვილი მიწათმფლობელები, როგორც ეს იყო საფრანგეთში. ინგლისის ხელისუფლებისათვის მათი გაკონტროლება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

1087 წელს უილიამმა შეკრიბა თავისი ხელქვეითები და უბრძანა მათ ფიცი დაედოთ მეფისათვის. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად მან დაამყარა უშუალო კონტაქტი თავისი ვასალის ვასალებთან. ამით მან არსებითად დაარღვია კონტინენტზე, პირველ რიგში კი საფრანგეთში, გაბატონებული ტრადიცია „ჩემი ვასალის ვასალი, ჩემი ვასალი არ არის“: ამიერიდან ყოველგვარი სამხედრო სამსახური შეიძლება შეგესრულებინა მეფისათვის. ამით მან პრაქტიკულად გამოაცალა საფუძველი ცალკეულ ფეოდალთა თავაშვებულებას.

ამავე დროს მან მთლიანად არც ანგლო-საქსური სამხედრო სისტემა უგულვებელყო. საგანგებო სიტუაციაში ყველა თავისუფალი გლეხები უნდა გამოცხადებულიყვნენ თავისი იარაღით სახალხო ლაშქარში. ამიტომ მეფე მთლიანად არ იყო დამოკიდე-

ბული რაინდთა ჯარზე, რაც მისი ძლიერების კიდევ ერთ წყაროდ გვევლინება.

მიწების გადანაწილების შედეგად მეფის ხელში აღმოჩნდა მამულების დიდი ნაწილი, რომელიც ინგლისის მთელს ტერიტორიაზე იყო მიმოფანტული. ეს, ცხადია, მტკიცე მატერიალურ ბაზას უქმნიდა ცენტრალურ ხელისუფლებას. მას ეკონომიკურად დამოუკიდებლად შეიძლებოდა ეგრძნო თავი.

ანგლო-საქსების დროიდან მოყოლებული ქვეყანა საგრაფოებად იყო დაყოფილი და მას სათავეში მეფის მიერვე დანიშნული შერიფი ედგა. ის კრეფდა გადასახადებს, ანხორციელებდა სამართალს, სჯიდა დამნაშავეებს.

ნორმანდიელების დაპყრობის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა ინგლისში ფეოდალიზაციის პროცესის დასასრული. უილიამ დამპყრობელმა ინგლისში გადმოიტანა ფრანგული ფეოდალური სისტემა და მას უფრო სრულყოფილი, ჩამოყალიბებული სახე მისცა.

ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობა საგულისხმოა ეთნოგენეზისის თვალსაზრისით. ამის შემდეგ ეს პროცესი უკვე დასრულებულ სახეს იღებს. ინგლისელები ძირითადად ანგლო-საქსების, დანიელების და ფრანგ-ნორმანების (ე. ი. ნორმანდიელების) აღრევის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ. შოტლანდიელები, ძველი კელტების, პიქტების, სკოტების, ბრიტების, ანგლო-საქსების და იშვიათად დანიელების ნაზავს წარმოადგენენ.

დამპყრობელი ნორმანდიელები არისტოკრატიად გადაიქცნენ, ხოლო დაპყრობილ ანგლოსაქსთა დიდი ნაწილი – დამოუკიდებელ გლეხებად.

1087 წელს რუანში, ნორმანდიაში უილიამ დამპყრობელი გარდაიცვალა.

4. უილიამ ქერა და ჰენრი I. უილიამ დამპყრობელს დარჩა სამი ვაჟი: უფროსი რობერი, რომელმაც მიიღო ნორმანდიის საჰერცოგო, შუათანა უილიამი, რომელიც გახდა ინგლისის მეფე და უმცროსი ჰენრი.

ინგლისისათვის სრულიად უცხო იყო ფეოდალური დაქსაქსულობა, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი კონტინენტზე და პირველ რიგში კი მეზობელ საფრანგეთში. ბარონთა გამოსვლას ინგლისში სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და სამეფო ხელისუფლებამ ორივეჯერ სასტიკად გაუსწორა ანგარიში მეამბოხეებს. საზოგადოების ფართო ფენებმა ცენტრალურ ხელისუფლებას დაუჭირეს მხარი. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ინგლისში ფეოდალური დაქსაქსულობისათვის სოციალური ნიადაგი სუსტი იყო.

უილიამ ქერას მმართველობის ხანაში ყურადღებას იპყრობს კონფლიქტი რომის პაპთან. ეს დაპირისპირება შემთხვევითი არ ყოფილა და მას გააჩნდა თავისი ობიექტური საფუძველი. კონტინენტზე არსებულ უმწვავეს დაპირისპირებას პაპობასა და იმპერატორს შორის თავისი ექო ჰქონდა შორეულ ბრიტანეთის კუნძულზე. მეფე შეგნებულად აჭიანურებდა კენტენბერიის არქიეპისკოპოსის დანიშვნას და ვაკანტური თანამდებობის შემოსავალს ითვისებდა. ფაქტობრივად ეს იყო სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ხანგრძლივი კონფრონტაციის დასაწყისი.

1110 წელს უილიამ ქერა უეცრად გარდაიცვალა. ინგლისის ტახტს იკავებს მისი ძმა ჰენრი I (1110-1135).

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მან გამოსცა ინგლისის ისტორიაში პირველი ქარტია, სადაც ის თავის ქვეშევრდომებს სიტყვას აძლევდა, რომ განახორციელებდა „სამართლიან მმართველობას“.

კვლავ დაძაბული რჩება მეფესა და კენტენბერიის არქიეპისკოპოს შორის ურთიერთობა. ინგლისის ეკლესიის პრიმასი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნა სასულიერო წოდებას საერო ხელისუფლებისთვის გადაეცა.

საინტერესოა ჰენრიხ I-ის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმა. სასამართლოს და ფინანსების ორგანიზებამ მნიშვნელოვანწილად განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტი. ჰენრიხ I-ის გარდაცვალების შემდეგ ინგლისში.

დაიწყო ტახტისათვის ბრძოლა მის ქალიშვილ მატილდასა და მის დისშვილს სტეფანე ბლუასელს შორის. ამ დაპირისპირებამ 19 წელს გასტანა – 1135-1153 წლებში. მემატიანის თქმით, ეს იყო „ცხრამეტი გრძელი ზამთარი, როდესაც ღმერთსა და ანგელოსებს ეძინათ“.

V თავი

ინგლისი XII-XIII საუკუნეებში

1. ინგლისის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ ეპოქის ინგლისის სოციალ-ეკონომიკური ყოფის შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის „საშინელი სამსჯავროს წიგნი", რომელიც შედგენილი იქნა უილიამ დამპყრობელის მმართველობის დასასრულს 1086 წელს.

მეფეს სურდა მიეღო ამომწურავი ინფორმაცია ინგლისის მოსახლეობის და მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ამ მიზნით უილიამ დამპყრობელმა, ევროპის ისტორიაში პირველად გადაწყვიტა ჩაეტარებინა აღწერა.

რა კავშირია ამ აღწერასა და საშინელ სამსჯავროს შორის? რატომ დაარქვეს მას „საშინელი სამსჯავროს" წიგნი? საქმე ისაა, რომ როგორც განკითხვის დღეს არ დაიმალება უწვრილმანესი შეცოდებანიც კი, ისე მეფის მოხელეებს არ გამორჩენიათ არც ერთი უმნიშვნელო დეტალი და ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად აღწერეს. ამიტომ თანამედროვეებმა მას „საშინელი სამსჯავროს" წიგნი უწოდეს. როგორც განკითხვის დღეს ვერაფერს დაუმალავდი მოძღვარს, ისე ვერაფერს ვერ გამოაპარებდი მეფის მოხელეებს.

„საშინელი სამსჯავროს" წიგნის მიხედვით ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. ინგლისის მოსახლეობის რაოდენობა 2 მილიონს არ უნდა აღემატებოდეს. იგი შედგებოდა რამდენიმე წოდებრივი ფენისაგან. მოსახლეობის 95% ცხოვრობდა სოფელში. თავისუფალი მიწათმოქმედი იყო 12%, მონები 9%, მცირემინიანი გლეხები 21%, ყმა გლეხები-ვილანები 38%. ქალაქის მაცხოვრებელი იყო მხოლოდ 5%. დანარჩენი არის დიდგვაროვნები და სამღვდელოება.

ფეოდალიზაციის პროცესის დაგვირგვინების ლოგიკური შედეგია მამულის ანუ როგორც მას ინგლისში უწოდებენ მანორის წარმოშობა. „საშინელი სამსჯავროს წიგნიდან" ჩანს მანორის სტრუქტურა სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული იყო, რაც ამ კუთხეების ისტორიული განვითარების სპეციფიკურობით აიხსნებოდა. მანორი ფეოდალური სისტემის ეკონომიკური ფუნდამენტია და დაფუძნებულია ყმა გლეხის – ვილანის შრომაზე, რომელიც ზის მემამულის მიწაზე, სადაც გაბატონებულია ნატურალური მეურნეობა. მანორის ცენტრია სოფელი, რომლის მთავარი ღერძია მებატონის ნაკვეთი. მის ირგვლივ კი ცხოვრობენ გლეხები. კვლავ ძალაში რჩება მიწის დამუშავების ორმინდვრიანი ან სამმინდვრიანი სისტემა.

ინგლისის სოფლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გლეხურ თემს. მეზობელი სოფლის გლეხები ერთიანდებოდნენ თემში. საოჯახო მიწის ნაკვეთი მეთემეთა საკუთრებად რჩებოდა და გლეხი მას განაგებდა საკუთარი სურვილისამებრ. თემის წევრები მსჯელობდნენ თუ როგორ გაენაწილებინათ ბეგარა და ღალა. რა მარცვლეული კულტურები დაეთესათ მომავალში. როგორ გაენაწილებინათ თემის ქონება. თემის ქონებას შეადგენდა ტყე, საძოვრები, სათიბები, სათევზაო. ყველაფერი ეს საერთო იყო. სოფლის თითოეულ წევრს თანაბრად ეკუთვნოდა. ყველას ჰქონდა უფლება ტორფნარიდან ამოეღო ტორფი, რომელსაც საწვავად ხმარობდნენ. გაერეკათ საქონელი სათემო საძოვარზე. ტყეში მოეჭრა იმდენი შეშა, რამდენიც უნდოდა.

თემი დახმარებას უწევდა ღარიბებს, ქვრივ-ობლებს. იცავდა თავისი წევრების ინტერესებს. თემი ირჩევდა მამასახლისს. აშენებდა ეკლესიას. ინახავდა მღვდელს. იცავდა საერთო წესრიგს თავის ტერიტორიაზე. სოფლის დღესასწაულებიც უმეტესად თემის ხარჯზე ტარდებოდა. ქორწილებსა და დაკრძალვაში თემის ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას. თემი სჯიდა თავის წევრებს ჩადენილი დანაშაულის გამო. ყველაზე უფრო მძიმე სასჯელი იყო გლეხის თემიდან მოკვეთა. ასეთ შემთხვევაში გლეხი ყველა უფლებებს კარგავდა.

XI საუკუნის მიწურულს ინგლისში შეიმჩნევა საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება. ამ პერიოდისათვის ინგლისში არსე-

ბობდა 80-მდე ქალაქი, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 5% ცხოვრობდა. ისინი დიდი ხნის განმავლობაში კიდევ ინარჩუნებდნენ თავიანთ ნახევრადაგრარულ იერსახეს. მათ საქმიანობაში დიდი ადგილი ეჭირა არა მხოლოდ ხელოსნობას, არამედ მინათმოქმედებას და მესაქონლეობას. ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება მეტად მყიფე იყო. ქალაქს სოფლისაგან განასხვავებდა მისი ზომა და გამაგრებული პუნქტების არსებობა.

დიდი ქალაქები იყო ლონდონი, იორკი, იფსვიჩი, რომლის მცხოვრებლებიც უპირატესად ხელოსნობას და ვაჭრობას მისდევდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლონდონის სწრაფი აღზევება, რომელიც სულ მოკლე ხანში მთელი ჩრდილოეთ ევროპის სავაჭრო ცენტრად მოგვევლინა. ლონდონს მჭიდრო კავშირები ჰქონდა ბალტიისპირეთთან. უილიამ დამპყრობელის მიერ დამყარებულმა სტაბილურობამ ხელი შეუწყო ვაჭრობის გამოცოცხლებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ინგლისი გაერთიანებული იყო ნორმანდიასთან და მენთან, სადაც აღებ-მიცემობა საკმაოდ განვითარებული იყო.

გარდა ამისა ქალაქს ჰქონდა დიდი კულტურული დატვირთვა. ქალაქი კულტურის გავრცელების მსხვილი ცენტრი იყო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინგლისის ქალაქების დიდი ნაწილი აღმოცენდა არა მსხვილი მაგნატების ტერიტორიაზე, არამედ მეფის სამფლობელოებში. ის კი საკმაოდ ძლიერი სენიორი იყო და ქალაქები ვერ ბედავდნენ მის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას. უმთავრესად ქალაქები ყიდულობდნენ მეფისგან ქარტიას. განსაკუთრებით ფართო პრივილეგიები მოიპოვა ლონდონმა.

2. ჰენრი II პლანტაგენეტი. 1153 წელს ლონდონის მოსახლეობის ძალისხმევით მოქიშპე მხარეები მატილდა და სტეფანე ბლუასელი შეთანხმდნენ. ამ ხელშეკრულების თანახმად ინგლისის მეფე ხდებოდა სტეფანე ბლუასელი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტზე ავიდოდა მატილდას ვაჟი ჰენრი II (1154-1189).

ჰენრი II-ის მამა ჟოფრუა პლანტაგენეტი საფრანგეთის ერთ-ერთ საგრაფოს ანჟუს ედგა სათავეში. მას ქუდზე მიმაგრებული

ჰქონდა კურდღლის ცოცხის რტო. ამ მცენარეს ლათინურად ჰქვია პლანტა გენისტა. ამიტომ მას პლანტაგენეტი უწოდეს. ეს სახელი გავრცელდა მის მემკვიდრეებზე. მას შემდეგ რაც ჭაბუკმა მეფემ იქორწინა ალეონორა აქვიტანელზე, მის ხელში აღმოჩნდა აქვიტანია. საფრანგეთის ტერიტორიაზე მათი სამფლობელოები საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება..ნორმანდია, ანჟუ, ბრეტანი, აქვიტანია. ინგლისის მეფის სახით ფრანგ კაპეტინგებს ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდათ საფრანგეთში. აქედან მოყოლებული ინგლისის მეფეები დიდ დროს ანდომებდნენ საფრანგეთის ნინააღმდეგ ბრძოლას.

ჰენრი II-ის დროს დაიწყო ინგლისელთა აგრესია უელსში, შოტლანდიასა და ირლანდიაში.

ჰენრიმ შესძლო ქვეყნის შიგნით წესრიგის უზრუნველყოფა და მინასთან გაასწორა მისი ნებართვის გარეშე აგებული ბარონების ციხედარბაზები. ამ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლების ძლიერი დასაყრდენი იყვნენ რაინდები და მოქალაქეები.

აღსანიშნავია, ჰენრი II-ს მიერ გატარებული რეფორმები, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად უზრუნველყვეს ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლება. ჰენრი II-მ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას და გარკვეულწილად მოახერხა ინგლისის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

უპირველეს ყოვლისა საგულისხმოა ჰენრი II-ს მიერ განხორციელებული სამხედრო რეფორმა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისის თავადაზნაურთა ყოველწლიური 40 დღიანი სამსახური შეცვალა ფულადი გადასახადით. ასე გაჩნდა მეფის ხელში ფული. მას შეეძლო დაექირავებინა ჯარი. ამიერიდან მეფე აღარ იყო დამოკიდებული ქვეშევრდომთა გუნება-განწყობილებაზე.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰენრი II-ს მიერ გატარებულ სასამართლო რეფორმას. მან შეძლო ამ სფეროში წესრიგის დამყარება, რაც იმით გამოიხატა, რომ შესამჩნევლად შეიზღუდა ბარონთა სასამართლოები და გაფართოვდა სამეფო სასამართლოების უფლება-მოსილება. ფართოდ გავრცელდა „საერო სამართალი“,

რომლის მთავარი ამოსავალი წერტილი იყო სასამართლო პრეცედენტი და საღი გონება. სანდო მოწმეების მოწვევამ, რომელთა რაოდენობა 12 იყო, სათავე დაუდო 12 ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობას სასამართლო პროცესში.

შემოღებული იქნა აპელაციის უფლება. ეს ნიშნავდა იმას, რომ შეგეძლო განაჩენის უფრო მაღალ ინსტანციაში გასაჩივრება.

ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად კიდევ უფრო მყარი შეიქმნა მეფის პირადი წარმომადგენელის შერიფების პოზიციები თითოეულ საგრაფოში.

ჰენრი II-მ გადაწყვიტა თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა საეკლესიო სასამართლო. განეხორციელებინა საეკლესიო სასამართლოს რეფორმა. 1164 წელს ჰენრი II-მ მიიღო „კლარენდონის კონსტიტუცია", რომლის მიხედვითაც შესამჩნევად შეიკვეცა საეკლესიო სასამართლოს ფუნქციები. ამიერიდან სამეფო საბჭოს უნდა განესაზღვრა, რომელი სასამართლო საქმის წარმოება შეადგენდა საეკლესიო სასამართლოს კომპეტენციას და რომელი არ შედიოდა მის უფლება-მოვალეობაში.

„კლარენდონის კონსტიტუციას", ბუნებრივია, მოჰყვა ეკლესიის მესვეურთა უარყოფითი რეაქცია. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ინგლისის ეკლესიის პრიმასი კენტენბერიის არქიეპისკოპოსი თომას ბეკეტი. იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო შეეკვეცათ ფრთები საეკლესიო სასამართლოს უფლებებისათვის. დაპირისპირებამ მეფესა და ბეკეტს შორის მწვავე ხასიათი მიიღო. თომას ბეკეტის ბრალი ღალატში დასდეს. ის ინგლისიდან გაიქცა.

1170 წელს მეფემ ნება დართო ბეკეტს სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ ის სულაც არ აპირებდა უსიტყვოდ დამორჩილებოდა მეფეს. გაბოროტებულმა მეფემ ერთხელ წინდაუხედავად წამოიძახა „ნეტავი ვინმე გამანთავისუფლებდეს ამ ოპოზიციონერი მღვდელისაგანო". ცოტა ხნის შემდეგ თომას ბეკეტი მოკლეს. დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. რომის პაპი ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა ინგლისის მეფეს. ჰენრი II-მ უკან დაიხია. იგი იძულებული იყო თომას ბეკეტის საფლავზე მუხლი მოეყარა და პატიება ეთხოვა.

თავისი მმართველობის დასასრულს მეფეს გაურთულდა ურთიერთობა შვილებთან, რაშიც საფრანგეთის დიპლომატიის ხელი ერია.

ჰენრი II-ს გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი რიჩარდ I ლომგული (1189-1199). მის მეფობას ლაიტმოტივად გასდევს ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობა და ქიშპი საფრანგეთის მეფესთან. „ის ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიას უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე ინგლისის ისტორიას".

3. ჯონ უმიწაწყლო. „თავისუფლების დიდი ქარტია". რიჩარდ ლომგულის გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტი დაიკავა მისმა ძმამ ჯონ უმიწაწყლომ (1199-1216). როგორც თანამედროვეები აღნიშნავდნენ ჯონ უმიწაწყლოს დიდი ნიჭი აღმოაჩნდა ძლიერი და გავლენიანი მტრების შეძენის საქმეში. ეს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მის არაპოპულარობას. ამით კარგად ისარგებლა საფრანგეთის მეფემ. ინგლისმა დაკარგა ფრანგული სამფლობელოები. ჯონ უმიწაწყლოს ცდა უკან დაებრუნებინა ეს ტერიტორიები კრახით გასრულდა. 1214 წელს ორ დიდ ბრძოლაში ჯონ უმიწაწყლო დამარცხდა და ხელმოცარული დარჩა.

1205 წელს უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა ჯონ უმიწაწყლოს და რომის პაპს ინოკენტი III-ს შორის. ჯონ უმიწაწყლომ ცივი უარი სტკიცა პაპს კენტენბერიის არქიეპისკოპოსად სტეფან ლეგტონის დანიშვნის თაობაზე. პაპმა ინტერდიქტი დაადო ინგლისს, ხოლო შემდეგ ეკლესიისგან განკვეთა ჯონ უმიწაწყლო. ჯონ უმიწაწყლო იძულებული იყო უკან დაეხია. ის შეურიგდა პაპს.

ამას ემატებოდა უკმაყოფილება მეფის ფისკალური, საგადასახადო პოლიტიკით. ოპოზიცია ჯონ უმიწაწყლოს წინააღმდეგ ძალებს იკრებს. მას ზურგი აქციეს ბარონებმა. 1215 წელს ხელმოწერილი იქნა „თავისუფლების დიდი ქარტია". უპირველეს ყოვლისა ის ხმას იმაღლებდა თავისუფალი ადამიანის თვითნებურად დაპატიმრების წინააღმდეგ. ითხოვდა ინგლისში ერთიანი ზომანონის დაწესებას, თავისუფალი საგარეო ვაჭრობის შემოღებას. ბარონების წარმომადგენლების მიერ მეფეზე კონტროლის დაწე-

სებას. ესაა ფეოდალურ სახელმწიფოში მიმდინარე ბოროტმოქმედებათა გამოსწორების სახელმძღვანელო. „ქარტია – ესაა ფეოდალური საჩივრების დაკმაყოფილება". (უინსტონ ჩერჩილი).

4. ინგლისი XIII საუკუნის მიწურულს. პარლამენტის წარმოშობა. ჯონ უმიწაწყლოს გარდაცვალების შემდეგ ინგლისის მეფე ხდება მისი ვაჟი ჰენრი III (1216-1272). მან გააგრძელა მამის პოლიტიკა. განსაკუთრებით აღიზიანებდათ ბარონებს დედოფლის ნათესავი ფრანგების აღზევება. ფრანგი ფავორიტებით გარშემორტყმული ჰენრი III არსებითად მათ დაკრულზე ცეკვავდა. უკმაყოფილებამ მოიცვა ინგლისის საზოგადოების ფართო სოციალური ფენები, რაც უპირატესად ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკით იყო გამოწვეული.

ამ უთანხმოების აპოგეად მოგვევლინა 1254 წელს ინგლისის მცდელობა ჩარეულიყო პაპსა და შტაუფენებს შორის დავაში და მოეპოვებინა სიცილიის მეფის გვირგვინი. ბარონებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ამ აქციის დაფინანსებაზე. სულ ცოტა ხანში ბარონები ოქსფორდში შეიკრიბნენ. მათი მოთხოვნით შემუშავებული იქნა „ოქსფორდის პროვიზიები". ინგლისის ორ ბანაკად გახლეჩა კიდევ უფრო ღრმავდება. ინგლისი სამოქალაქო ომის ზღურბლზე დგას. სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციას სათავეში სიმონ დე მონფორი ჩაუდგა.

1264 წელს სიმონ დე მონფორმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და მეფე ჰენრი III ტყვედ იგდო.

1265 წელს სიმონ დე მონფორმა ინგლისის ისტორიაში პირველად მოიწვია „დიდი პარლამენტი". მასში შევიდნენ ბარონები, სასულიერო წოდება და მოქალაქეები. ყოველი საგრაფოდან ორი რაინდი და ორი მოქალაქე ინგლისის ყველაზე დიდი ქალაქებიდან. პარლამენტში მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი იყო გლეხების და ქალაქის ხელოსნების, პლებსის გარდა.

1265 წელს ივშემთან ბრძოლაში უფლისწულმა ედვარდმა სძლია ბარონებს. სიმონ დე მონფორი ბრძოლაში დაიღუპა. ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება ძნელია. ეს ვერ შესძლო ინგლისის ახალმა მმართველმა ედვარდ I-მა (1272-1307). მან 1295

წელს აღადგინა პარლამენტი ზუსტად იმავე სახით, როგორიც სიმონ დე მონფორმა შექმნა.

1347 წლისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა პარლამენტის ორპალატიანი სისტემა. მემკვიდრეობითი ლორდთა პალატა, რომელსაც მეფე პირადად იწვევდა და თემთა პალატა, რომელიც არჩევითი იყო. იგი შედგებოდა რაინდთა და მოქალაქეთა წარმომადგენლებისაგან.

პარლამენტის შექმნით ინგლისი გახდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, სადაც მეფის ხელისუფლება შეზღუდულია პარლამენტის მიერ.

VI თავი

ასწლიანი ომი

1. ინგლისის სოციალ-ეკონომიკური განვითარება XIV-XV საუკუნეებში. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობაში მომხდარი ცვლილებები, რაც ძირითადად ორმინდვრიანი სისტემიდან სამმინდვრიანზე გადასვლით იყო განპირობებული. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა XIII საუკუნეში და მომდევნო XIV საუკუნეში შეუქცევად ხასიათს იღებს.

სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე სიახლეების ლოგიკური შედეგი იყო სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატების წარმოშობა. თანამედროვე ისტორიკოსისათვის ეს თხზულებები წარმოადგენს საინტერესო წყაროს იმ ეპოქის ინგლისის სოციალ-ეკონომიკური ყოფის შესახებ.

მეორე ფაქტორი, რომელმაც თავისი კვალი დატოვა ინგლისის სოფლის მეურნეობაში იყო ყამირი მიწების გატეხვა. XIII საუკუნეში ინგლისის შიდაკოლონიზაცია პიკს აღწევს. ახალი მიწების ათვისება ძირითადად ხდება ჭაობების ამოშრობის, ტყეების გაჩეხვის და ზღვისგან მიწის ნაკვეთების გამოგლეჯის გზით.

ცალკეულ შემთხვევებში ლორდები თემიდან გამოყოფდნენ თავის ნაკვეთს და შემოღობავდნენ მას და აქა იქ თუ შემოიღებდნენ ოთხმინდვრიან სისტემას.

სოფლის მეურნეობის პროგრესს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების შეღწევა სოფელში. სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ბაზრების მნიშვნელობა. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბაზრობა კემბრიჯის მახლობლად. პროდუქციის ნაწილი იქმნება ბაზრობისათვის.

ეს ხელს უწყობდა გლეხის შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. მანორალურ მეურნეობას ნელ-ნელა წყალი უდგება.

სერიოზულ წინსვლას აქვს ადგილი მეცხოველეობაში, პირველ რიგში კი მეცხვარეობაში. ამან მძლავრი სტიმული მისცა მატყლის წარმოებას. ინგლისურ მატყლზე დიდი მოთხოვნილება იყო ევროპაში.

ინგლისური მაუდის წარმოების ცენტრი იყო იორკშირი და განსაკუთრებით კი ქალაქი იორკი. შალის დამზადება მაღალ დონეზე იდგა ლონდონში, ოქსფორდში, ლინკოლში. მაუდის ექსპორტი პირველ ნაბიჯებს დგამდა და ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული.

ორი ტენდენციის დაპირისპირება – მაგნატების პოლიტიკური გავლენის გაძლიერება და წვრილი ფეოდალების როლის ზრდა – სახელმწიფოს მართვისა და პოლიტიკის სისტემაში XIV საუკუნეში სრულიად ახალ სტადიაში შედის და სულ სხვა პირობებში მიმდინარეობს, ვიდრე ეს XIII საუკუნეში იყო. საინტერესოა, რომ ეს ვითარება გარკვეულწილად მაგნატებისთვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ყველაფერი ეს ხდებოდა სამეფო ხელისუფლების აშკარა კეთილგანწყობის პირობებში, რომელიც პოლიტიკურ კონფლიქტებში ხშირად ეყრდნობოდა ბარონებს. ასე იკვეთება ალიანსი ცენტრალურ ხელისუფლებასა და მსხვილ მაგნატებს შორის. მათ ახლა შეეძლოთ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის, გაცილებით უფრო უკეთესად გამოეყენებინათ სახელმწიფო აპარატი, ვიდრე წინა XIII საუკუნეში. მაგნატების პოლიტიკური პრესტიჟის განმტკიცების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა კონტინენტზე ხანგრძლივი ომი.

მკვეთრად გაიზარდა ინგლისის ქალაქების რიცხვი. XIV საუკუნეში ის 160-მდე აღწევს. ქალაქების ასეთი სწრაფი განვითარება შემთხვევითი არ იყო და მას დიდ სტიმულს აძლევდა მეფეების მიერ მინიჭებული თავისუფლების ქარტია.

ქალაქს ჰქონდა გალავანი. ერთი სპეციალობის ადამიანები ერთ უბანში ცხოვრობდნენ. მჭიდრო დასახლება და ანტისანიტარია ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას წარმოშობდა. დიდი ხიფათის მოტანა შეეძლო ხანძარს, რომელიც ხის სახლებს

ელვის სისწრაფით ეკიდებოდა. საქალაქო ცხოვრების განვითარებას თან მოჰყვა საშინაო ვაჭრობის აღმავლობა, საერთო ბაზრის შექმნა.

ქალაქებისათვის მძიმე შედეგები ჰქონდა შავ ჭირს, რომელიც ევროპაში მძვინვარებდა 1348-1349 წლებში. მან მუსრი გაავლო მჭიდროდ დასახლებულ ქალაქის მოსახლეობას.

2. ინგლისი ასწლიანი ომის წინ. XIII საუკუნის მიწურულს ინგლისის მეფეებმა შესძლეს უელსში საბოლოოდ ფეხისმოკიდება. 1301 წელს მეფემ უფლისწული უელსის პრინცად გამოაცხადა. ამიერიდან ინგლისის ტახტის მემკვიდრე უელსის პრინცად იწოდებოდა. ამავე დროს ინგლისის მეფე შეეცადა ხელში ჩაეგდო შოტლანდია. ამისათვის ხელსაყრელი მომენტი შეარჩია. შოტლანდიის მეფის გარდაცვალების შემდეგ ატყდა ბრძოლა ტახტისათვის. ინგლისის ჯარი შოტლანდიის ტერიტორიაზე შეიჭრა. ინგლისელთა მხარდაჭერით შოტლანდიის ტახტზე ავიდა ჯონ ბოლიოლი. თითქოს ინციდენტი ამონურული იყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შოტლანდიაში იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა უილიამ უოლესი. ინგლისელებმა ამბოხი ჩაახშვეს. უოლესი ხელთ იგდეს და დასაჯეს. შოტლანდიელებისათვის ის ეროვნული გმირი გახდა.

ინგლისელებთან ხანგრძლივ ომში იწრთობოდა შოტლანდიელთა ეროვნული თვითშეგნება. 1306 წელს შოტლანდიის მეფე გახდა რობერ ბრიუსი. 1314 წელს სამშობლოს დაცვის სურვილით გულანთებულმა შოტლანდიელებმა დაამარცხეს ინგლისელები. მეფე ედუარდ II ძლივს გადაურჩა სამარცხვინო ტყვეობას. 1328 წელს ინგლისმა აღიარა რობერ ბრიუსის უფლებები შოტლანდიის ტახტზე.

ინგლისსა და საფრანგეთს შორის მწვავე კონფლიქტი შემთხვევითი არ ყოფილა და იგი გვევლინება იმ დაპირისპირების ლოგიკურ დაგვირგვინებად, აპოგეად, რომელსაც ადგილი ჰქონდა XII-XIII საუკუნეებში ინგლისელ პლანტაგენეტებსა და ფრანგ კაპეტინგებს შორის. დინასტიურმა უთანხმოებამ ეროვნული ხასიათი მიიღო.

ასწლიანი ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთის სამფლობელოები, კონკრეტულად კი კი გიენი ანუ აქვიტანია. ამ რეგიონის სეპარატისტული განწყობილება გარკვეულწილად იმით იყო მოტივირებული, რომ ეკონომიკური კონტაქტები ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქებთან, პირველ რიგში კი პარიზთან, ჯერ კიდევ სუსტი იყო. ამ ტერიტორიის შემოერთების გარეშე საფრანგეთის გაერთიანება დასრულებული ვერ იქნებოდა.

ამავე დროს ამ რეგიონს დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნდა ინგლისისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთში ინგლისის დინასტიურ და ტერიტორიულ პრეტენზიებს, არავითარი სერიოზული საფუძველი არ ექნებოდა.

ამას ემატებოდა ისიც, რომ ინგლისის მეფეს დედის მხრიდან პრეტენზიები გააჩნდა საფრანგეთის ტახტზე. იგი საფრანგეთის მეფის ფილიპე ლამაზის შვილიშვილი იყო.

ინგლისის და საფრანგეთს შორის წინააღმდეგობის კიდევ ერთი კვანძია ფლანდრია, რომელიც არის ინგლისური მატყლის მთავარი შემსყიდველი. საფრანგეთმა მოინდომა შესცილებოდა ამ გემრიელ ლუკმას და ფლანდრიას დაემუქრა.

3. ასწლიანი ომის დასაწყისი. ასწლიანი ომი ფაქტიურად დაიწყო 1337 წლის ნოემბერში, თუმცა ინგლისის მეფემ საფრანგეთს ომი გამოუცხადა 1338 წელს. თავიდან ინიციატივა ინგლისელთა ხელში აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ინგლისის ფლოტის გამარჯვება საზღვაო ბრძოლაში სლეისთან 1340 წელს. ამ ბრძოლაში ფრანგებმა დიდი დანაკლისი განიცადეს. თანამედროვეები ხუმრობდნენ „თევზებმა იმდენი ფრანგი შეჭამეს, რომ ფრანგულად დაიწყეს ლაპარაკი". ზღვაზე ინგლისელები გაბატონდნენ. საფრანგეთის ჩრდილოეთი სანაპირო პრაქტიკულად დაუცველი რჩებოდა.

1346 წელს კრესისთან გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა. მშვილდის მსროლელთა რაზმის და მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი რაინდების შეთანხმებულმა მოქმედებამ გამარჯვება ინგლისელებს მოუტანა. მათ ისარგებლეს ამით და ალყა შემოარტყეს ქალაქ კალეს, რომელიც 1347 წელს დაიკავეს. კალეს

ინგლისელებისათვის დიდი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნდა. იგი ინგლისის საზღვაო ფლოტის ბაზად იქცა.

ინგლისის მიერ მოპოვებული წარმატებების გაგრძელება იყო ბრწყინვალე გამარჯვება პუატიეს ბრძოლაში 1356 წელს. საფრანგეთის არმია განადგურებული იქნა, ხოლო მეფე ჟან კეთილი და მრავალი სენიორი ინგლისელებმა ტყვედ იგდეს.

სამხედრო წარუმატებლობამ გამოიწვია საფრანგეთის მოსახლეობის უკმაყოფილება. ქვეყანა კვლავ პოლიტიკურმა ქაოსმა მოიცვა.

ასწლიანი ომის დასაწყისში ინგლისის მიერ მოპოვებული სამხედრო წარმატებები სავსებით მართლზომიერი ჩანდა და მას საფუძვლად ედო ინგლისის არმიის უკეთესი ორგანიზაცია. ეს იყო იმ რეორგანიზაციის ლოგიკური შედეგი, რომელიც განხორციელდა ინგლისის ჯარში ასწლიანი ომის წინ. ინგლისის ქვეითი და ცხენოსანი ჯარის შეთანხმებულ მოქმედებას ფრანგებმა არსებითად ვერაფერი დაუპირისპირეს და მწარე მარცხი იწვნიეს.

1360 წელს ხელმოწერილი იქნა ბრეტინის ზავი. ინგლისმა დაიბრუნა საფრანგეთში სამფლობელოების დიდი ნაწილი, რომელიც შემომტკიცებული იქნა XII-XIII საუკუნეებში ფრანგი კაპეტინგების მიერ.

საფრანგეთის მეფემ შარლ V-მ მაქსიმალურად გამოიყენა შესვენება და საგულდაგულოდ მოემზადა მომავალი საბრძოლო ბატალიებისათვის. მან მოახდინა საგადასახადო სისტემის რეფორმა, არმიის რეორგანიზაცია. ჩამოაყალიბა ფლოტი. ასწლიანი ომის განახლებას საფრანგეთი მზადყოფნაში ხვდებოდა.

1369 წელს საფრანგეთმა განაახლა საომარი მოქმედება. ამჯერად ინიციატივა ფრანგების მხარეზე იყო. ისინი ერიდებოდნენ დიდ ბრძოლებს და სწრაფი, მოულოდნელი თავდასხმებით ათავისუფლებდნენ საფრანგეთის ტერიტორიას. 80-იან წლებში სამხედრო ოპერაციები შეწყდა. ინგლისელებმა მხოლოდ კალე და ბორდო ბაიონის ვიწრო სანაპირო ზოლი შეინარჩუნა. ამის შემდეგ სამხედრო ოპერაციები 1415 წლამდე აღარ განახლებულა. მეტოქეები საშინაო საქმეებს აგვარებდნენ.

4. ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲡᲜᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ინგლისის ხელისუფლებას ყოველთვის სურდა პაპის გავლენისაგან ინგლისის ეკლესიის განთავისუფლება. მეფეს უნდოდა დაპატრონებოდა ეკლესიის სამფლობელოებს. ამას დაემატა ისიც, რომ პაპი, რომელიც ავინიონში, ფაქტობრივად საფრანგეთის ტყვეობაში იმყოფებოდა, საფრანგეთს ემხრობოდა. დღის წესრიგში დგება ეკლესიის რეფორმის საკითხი.

რეფორმაციული ფრთის თვალსაჩინო წარმომადგენელი და აღიარებული ლიდერი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ უიკლიფი. მან ხმა აღიმაღლა პაპის პრეტენზიების წინააღმდეგ. იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ პაპს არავითარი უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა ინგლისისაგან რაიმე სახის გადასახადი. ეკლესიის ხელში აღმოჩნდა საკმაოდ დიდი ქონება. მეფეს შეუძლია ეკლესიას ჩამოართვას მისი მდიდარი სამფლობელოები.

პაპის რეაქციამ არ დააყოვნა. მან უიკლიფის გასამართლება მოითხოვა. ამან უიკლიფის სახელი კიდევ უფრო პოპულარულად აქცია. საერთო მხარდაჭერით გამხნევებული უიკლიფი ახლა უფრო შორს მიდის და კათოლიკური ეკლესიის საერთო დოგმებს იღებს მიზანში. სარწმუნოების ერთადერთ წყაროდ მან გამოაცხადა საღვთო წერილი. ჯონ უიკლიფი იან ჰუსის და მარტინ ლუთერის წინამორბედად გვევლინება.

ომმა განაპირობა გადასახადების გაზრდა. განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ახლადდაწესებული სულადობრივი გადასახადი, რომელსაც მეფის მოხელეები თვითნებურად, წელიწადში რამდენიმეჯერ კრეფდნენ. 1381 წელს სამხრეთ ინგლისში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში უოტ ტაილერი ედგა. მეფემ მოახერხა აჯანყების ჩახშობა, მაგრამ მთავრობა სერიოზულად დააფიქრა და დაანახა, რომ გადასახადების გაზრდა საშიში იყო.

5. ᲐᲡᲜᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. XIV საუკუნის დასასრულს ინგლისში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის შედეგად სამეფო ტახტზე ავიდა პლანტაგენეტთა დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელი. ლანკასტერების დინასტია. რომლის პირველი მეფე იყო ჰენრი IV (1399-1413). ბუნებრივია, რომ მას აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისათვის არ ეცალა.

ახალმა მეფემ ჰენრი V-მ (1413-1422) განაახლა ასწლიანი ომი. ინგლისმა მეტად კარგი მომენტი შეარჩია, როდესაც ფსიქიურად შეშლილი მეფე შარლ VI-ის დროს საფრანგეთი სრულმა პოლიტიკურმა ქაოსმა მოიცვა. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი დაჯგუფება, ისინი ერთნაირად ანიავებდნენ საფრანგეთის ავლა-დიდებას.

1415 წელს ინგლისელთა არმია კვლავ შეიჭრა საფრანგეთის ტერიტორიაზე და იმავე წლის შემოდგომაზე აზენკურთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ფრანგები. ინგლისელების წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის ქიშპობამ. ჩრდილოეთ საფრანგეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ ინგლისელების ხელში აღმოჩნდა. მათ დაიკავეს პარიზი. 1420 წელს დადებული დაზავება პრაქტიკულად საფრანგეთის დამოუკიდებლობის დაკარგვის ტოლფასი იყო. ამ დაზავების თანახმად, შარლ VI მემკვიდრეებს საფრანგეთის ტახტის დაკავების უფლება არ ჰქონდათ. ეს უფლება ინგლისის მეფის შთამომავლებმა მოიპოვეს.

ინგლისელები შეეცადნენ მთელი საფრანგეთის ხელში ჩაგდებას. 1428 წელს მათ ალყა შემოარტყეს ქალაქ ორლეანს, რომელიც წარმოადგენდა სამხრეთ საფრანგეთის გასაღებს. ამ მძიმე წუთებში საფრანგეთს მხსნელად მოევლინა ჟანა დარკი. მისი ძალისხმევის შედეგად განთავისუფლებული იქნა ორლეანი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ შარლ VI რეიმსში მეფედ აკურთხეს. საფრანგეთისათვის სამარცხვინო ტრუას დაზავება ფაქტობრივად გაუქმდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1430 წელს ბურგუნდებმა ჟანა ტყვედ იგდეს და ინგლისელებს მიყიდეს. ინგლისელებმა ჟანას ჯადოქრობა დასწამეს და 1431 წელს რუანში კოცონზე დაწვეს. მაგრამ ამან ვერ უშველა ინგლისელებს. მათი საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა. მათ ზედიზედ დაკარგეს საფრანგეთში დაკავებული ტერიტორიები და მხოლოდ ქალაქი კალე შეინარჩუნეს. 1453 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის საომარი ოპერაციები შეწყდა. ასწლიანი ომი დასრულდა.

VII თავი

ინგლისი XV საუკუნის მიწურულს

1. **ასწლიანი ომის შედეგები.** ასწლიანმა ომმა, შავი ჭირის ეპიდემიამ, XIV საუკუნის შუა ხანებში, თავისი კვალი დაამჩნიეს ინგლისის ეკონომიკის წინსვლას და გამოიწვია შიმშილიანობა, მოსახლეობის რიცხვის კლება, ფინანსური კრიზისი, სენიორის შემოსავლის შემცირება. ამავე დროს არც ის პროგრესული ტენდენციები გამქრალა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდის ინგლისის ეკონომიკაში, და რომელმაც შემდგომში დიდად შეუწყო ხელი თავისუფალი მეწარმეობის ჩასახვას და განვითარებას.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ, კომუტაციაზე გადასვლამ, გამოიწვია სენიორალურ-დომენალური სისტემის კრიზისი. ყმა გლეხის შრომა სულ უფრო არარენტაბელური ხდება. იწყება გლეხთა განთავისუფლების პროცესი. XIV საუკუნის დასაწყისში ინგლისელი გლეხი პირადად თავისუფალი იყო.

XV საუკუნის დასაწყისში ინგლისელი გლეხობა რამდენიმე სოციალურ ჯგუფად იყო დაყოფილი. კოპიჰოლდერები, რომელთა ძირითად ბირთვს, ყოფილი ვილანები შეადგენდნენ. ესენი იყვნენ მიწის მემკვიდრეობითი მჭერელები, კოპიოს საფუძველზე, რომელშიც დაფიქსირებული იყო მანორის მფლობელ ლორდთან დადებული შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იყო გლეხის უფლება-ვალდებულებები და რენტის რაოდენობა.

ფრიჰოლდერები ანუ თავისუფალი მიწისმჭერელები. ფაქტობრივად ისინი იყვნენ მიწის მესაკუთრეები.

ლიზიჰოლდერები – არენდატორები, რომლებიც არენდით იღებდნენ მიწის ნაკვეთს, სხვადასხვა ვადით და ლორდს უხდიდნენ თანხას.

თავისი სოციალური სტატუსით ინგლისის გლეხობა ორ კატეგორიად იყოფა: იომენები, რომელთა რიგებშიც უმთავრესად შედიოდნენ მდიდარი და საშუალო გლეხობა; ისინი ამა თუ იმ ფორმით, ფაქტიურად მიწის მფლობელები იყვნენ და კოტერები, ძირითადად მცირე მიწიანი და უმიწო გლეხები, რომლებსაც დაქირავებული შრომით გაჰქონდათ თავი.

XV საუკუნეში ინგლისის სოფელში ფართოდ იკიდებს ფეხს დაქირავებული შრომა. ისახება თავისუფალი მეწარმეობა.

თემი და მისი წესები დარჩა, მაგრამ სათემო მიწების დიდ ნაწილს ლორდები ფლობდნენ.

XIV-XV საუკუნის განმავლობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ინგლისის თავადაზნაურობის ორ ბანაკად გაყოფა. ერთ მხარეს რჩება ძველი თავადაზნაურობა, რომელიც განაგრძობდა მეურნეობის ძველი მეთოდებით მართვას და ახალი თავადაზნაურობა, რომელმაც თავისი მეურნეობა ახალ ყაიდაზე მოაწყო და ფართოდ იყენებდა დაქირავებულ შრომას. მათი მეურნეობა ძირითადად თავისუფალ მეწარმეობაზე იყო ორიენტირებული. ასე წარმოიშვა ჯენტრი, რომელმაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ინგლისის შემდგომ პოლიტიკურ ყოფაში. ჯენტრის აღზევებას დიდად შეუწყო ხელი სახნავი მიწების შემოღობვებმა.

საინტერესო ფერისცვალება განიცადა XIV-XV საუკუნეებში ინგლისის ქალაქებმა. ეს იმით გამოიხატა, რომ ხდება ხელოსნური სტრუქტურის ევოლუცია თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისაკენ.

ხელოსნობის დაყოფას ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით, რომელიც XIV-XV საუკუნეებიდან შეუქცევად ხასიათს იღებს, უზარმაზარი მოგება მოჰქონდა მდიდარი სახელოსნო ცეხებისათვის. სახე იცვალა აგრეთვე საკუთრივ ცეხების სტრუქტურამ და თავისუფალმა ხელოსნობამ. ქარგლები აღმოჩნდნენ ოსტატის სრულ დაქვემდებარებაში. მათ იმდენად მცირე გასამრჯელოს აძლევდნენ, რომ არავითარი საშუალება არ გააჩნდათ მოეგროვებინათ მცირე თანხა, რათა შეეძინათ საკუთარი სახელოსნო. ასე თანდათანობით იკვეთება მომავალი დაქირავებული მუშები.

„XV საუკუნეში უკვე არსებობდა ეროვნული გრძნობა, რომელიც მიიჩნევდა ვაჭრობას ქვეყნის სიძლიერის საფუძვლად, ხოლო საზღვაო უპირატესობას, ყოველ შემთხვევაში გარემომცველ წყლებში, კუნძულის მცხოვრებ ხალხთა ბუნებრივ ხვედრად".

მიუხედავად ასწლიან ომში წარუმატებლობისა ომმა ინგლისელებში ეროვნული გრძნობა გააღვივა. ამ დროს ფაქტობრივად დასრულდა ინგლისის ერთიან ქვეყნად გადაქცევა. ოცნება დუალისტურ ინგლის-საფრანგეთის მონარქიაზე წარსულს ჩაბარდა.

2. ალისფერი და თეთრი ვარდების ომი. მომავალი სამოქალაქო ომის კონტურები ჯერ კიდევ 20-იან წლებში იკვეთება, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სასახლის პარტია, ეპისკოპოს ბოფორისა და გრაფ სუფოლკის თავკაცობით და გრაფი გლოსტერი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ოპოზიციას სათავეში ჩაუდგა იორკის ჰერცოგი რიჩარდი. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ლანკასტერები და იორკები.

სამოქალაქო ომის გაჩაღება მნიშვნელოვნად დააჩქარა რამდენიმე ფაქტორმა: 1453 წელს დასრულდა ასწლიანი ომი და იმავე 1453 წელს მეფე ჰენრი VI ჭკუაზე შეცდა. დაპირისპირება ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის ზენიტს აღწევს. და რაც მთავარია ჰენრი VI და დედოფალ მარგარიტას შეეძინათ ვაჟი.

ალისფერი და თეთრი ვარდების ომმა ინგლისის შუა საუკუნეების ისტორიის დასკვნით აკორდად გაიჟღერა.

ისტორიკოსები ალისფერი და თეთრი ვარდების ომს ოთხ პერიოდად ყოფენ: 1. 1455-1456 წლები, 2. 1459-1461 წლები, 3. 1461-1464 წლები და 4. 1469-1472 წლები.

საშინელება, რომელსაც უკავშირებენ ალისფერი და თეთრი ვარდების ომს, გადაჭარბებულია. ამ ომში გაწყდა არა მთელი არისტოკრატია, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ ქრონისტები, არამედ რამდენიმე გვარი. ომი 32 წლის მანძილზე სულ 12-13 კვირა გრძელდებოდა და იყო მხოლოდ ერთი დიდი ბრძოლა.

ეს ომი ისტორიაში შევიდა ალისფერი და თეთრი ვარდების ომის სახელით. იორკთა გერბში იყო თეთრი ვარდი, ხოლო ლაკასტერების გერბში კი ალისფერი ვარდი.

საგულისხმოა, რომ იორკების სოციალური დასაყრდენი გაცილებით უფრო ფართო იყო. მათ მხარს უჭერდა არა მარტო აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ინგლისი, არამედ დედაქალაქი ლონდონი.

ლანკასტერების მხარეზე იყო უფრო ჩამორჩენილი ჩრდილოეთისა და დასავლეთის რეგიონები.

1455 წელს სენტ-ოლბანსთან ბრძოლა სამოქალაქო ომის დაწყების ნიშნად გაისმა. სამხედრო ოპერაციები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. გამარჯვების სასწორი ხან ერთ, ხან კი მეორე მხარეს იხრებოდა.

1461 წელს ტოუტონთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ინიციატივა იორკების ხელში გადავიდა. ინგლისის ტახტზე მათი კაცი ედუარდ IV (1461-1483) დაჯდა. იორკების წარმატებების მთავარი სულისჩამდგმელი იყო ახალგაზრდა გრაფი უორიკი.

მეფესა და უორიკს შორის განხეთქილებამ განაპირობა სამოქალაქო ომის განახლება. უორიკი მხარს უჭერდა საფრანგეთთან კავშირს და მისი განმტკიცების მიზნით სურდა ინგლისის მეფის და მიეთხოვებინა საფრანგეთის მეფისათვის. ედუარდ IV-მ კი თავის და მიათხოვა ბურგუნდიის ჰერცოგს. ჰოლანდიასთან დადებულმა ხელშეკრულებამ კი გაახარა ლონდონის სიტი, მაგრამ უორიკის გეგმებში არ შედიოდა და ბოლოს რაც მთავარია ედუარდ IV-მ უორიკისაგან მალულად იქორწინა ელისაბედ ვუდვილზე. ამას მოჰყვა ვუდვილების გვარის დაწინაურება, ხოლო უორიკმა მეორე რიგში გადაინაცვლა.

ერთი პერიოდი უორიკმა ისიც კი მოახერხა, რომ ჰენრი VI გამოაცხადა ინგლისის მეფედ, მაგრამ 1471 წელს ედუარდმა შეძლო რევანშის აღება, ხოლო უორიკი ბრძოლაში დაიღუპა. ცოტა ხნის შემდეგ მეფე ედვარდი ლონდონში შევიდა. ტაუერში გარდაიცვალა ჰენრი VI.

საშინაო პოლიტიკაში ედუარდ IV-მ კურსი აიღო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. სამეფო ხაზინა შეივსო

„მოღალატეთა“ ქონების კონფისკაციის ხარჯზე. ასე გაჩნდა მეფის ხელში ფული. ამან საშუალება მისცა მას პარლამენტისგან დამოუკიდებლად ეგრძნო თავი. ის სულ უფრო იშვიათად იწვევდა პარლამენტს.

საგარეო პოლიტიკაში ედუარდ IV თავდაპირველად ბურგუნდიის ჰერცოგთან კავშირის მომხრედ გამოდიოდა. მან გააფორმა ხელშეკრულება ბურგუნდიის ჰერცოგთან შარლ მამაცთან და გაემართა კიდეც მის დასახმარებლად. ამ ალიანსის მტრული ისრები მიმართული იყო საფრანგეთის მეფის ლუი XI-ს წინააღმდეგ. ამიტომ, ბუნებრივია, იგი შეეცადა არ დაეშვა მათი შეერთება და როგორმე ჩაეშალა ეს კავშირი. ამისათვის ლუი XI-მ ნაცად ხერხს მიმართა. მან ედუარდ IV-ს ამ კავშირზე ხელის აღების მიზნით 15 ათასი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა და დამატებით დაპირდა, რომ დაუნიშნავდა 10 ათას გირვანქა სტერლინგს წლიურ პენსიად. ლუი XI-მ საწადელს მიაღწია და ინგლისის მეფემ ბურგუნდიის ჰერცოგთან კავშირზე ხელი აიღო.

1483 წელს მეფე ედვარდ IV უეცრად გარდაიცვალა.

3. რიჩარდ III. ედვარდ IV-ს გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტზე ავიდა მისი უმცროსი ძმა რიჩარდ III (1483-1485). რიჩარდ III დაიბადა 1452 წელს. ის ერთგული იყო მეფე ედვარდის და მას ის არ მიუტოვებია მისთვის ყველაზე მძიმე წუთებში. მეფის გვერდით იბრძოდა ყოველთვის. შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ მეფე ედვარდმა სწორედ რიჩარდს მიანდო ჩრდილოეთ ინგლისისათვის თვალყურის დევნება, რომელიც ლანკასტერების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. რიჩარდმა ამ რთულ მისიას კარგად გაართვა თავი. გამომაჟღავნა ორგანიზატორული, ადმინისტრაციული და სამხედრო ღირსებები. სულ მალე მან ეს მხარე გაწმინდა ლანკასტერებისაგან და მეფის კონტროლს დაუქვემდებარა. მეფეს ეჭვი არ ეპარებოდა რიჩარდის ერთგულებაში და უყოყმანოდ დანიშნა იგი ლორდ-პროტექტორად და მცირენლოვანი უფლისწულების რეგენტად. ფაქტობრივად რიჩარდი სახელმწიფოში მეორე კაცი შეიქმნა.

რიჩარდის აღზევება, ცხადია, არ მოეწონათ დედოფლის მომხრეებს. მათ შორის დაპირისპირება პირველობისათვის ბრძოლა

იყო. ვინც დამარცხდებოდა მას ფიზიკურად მოსპობდნენ. ამ კრიტიკულ სიტუაციაში რიჩარდმა გადაწყვიტა არ დალოდებოდა მოვლენათა განვითარებას და ემოქმედა. თავად დაედგა სამეფო გვირგვინი.

რიჩარდის ზეობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა და წყაროებში მეტად მკრთალი კვალი დატოვა არა როგორც ტირანმა, არამედ როგორც „ღირსეულმა მონარქმა". იგი ყოველნაირად ცდილობდა შეემსუბუქებინა შემოღობვების შედეგები საშუალო ფენისთვის. რიჩარდი, როგორც მმართველი, უფრო ლოიალური იყო და გულთან მიჰქონდა ხალხის ინტერესები. იქნებ აქ ძევს მისი პოლიტიკური იზოლიაციის გასაღები?

თიუდორები რიჩარდს გამეფების პირველი დღიდანვე უპირისპირდებოდნენ და ბოლოს მაინც მიაღწიეს საწადელს. 1485 წლის აგვისტოში ბოსვორტთან ბრძოლაში რიჩარდ III დამარცხდა. ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ლორდ სტენლის ღალატმა. რიჩარდი ბრძოლაში დაიღუპა.

„რიჩარდი 1483 წელს, რომ მომკვდარიყო არაფერი მოხდებოდა და ინგლისის ისტორიაში ჩვეულებრივ შევიდოდა როგორც რიჩარდ გლოსტერი". რიჩარდ III უარყოფითი იმიჯის შექმნით თიუდორებს სურდათ გაემართლებინათ ინგლისის ტახტიდან მისი ჩამოგდება და ხელისუფლების უზურპაცია. საგულისხმოა, რომ ჰენრი VII-ს მიერ მოწვეულმა პირველმა პარლამენტმა, მეფის უშუალო ბრძანებით მიიღო აქტი, რომელიც რიჩარდს უამრავ დანაშაულში დებდა ბრალს. „ასეთი იყო მეფის ნებაო". დასძენდა ცნობილი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი.

თიუდორებმა რიჩარდს მომაკვდინებელი ბრალდებები წაუყენეს: 1. რიჩარდი იყო ფიზიკურად მახინჯი, სახიჩარი. მახინჯ სხეულში, მახინჯი სულია. 2. რიჩარდი იყო მონსტრი, ტირანი, დესპოტი. 3. რიჩარდმა დახოცა პატარა უფლისწულები.

ჩვენამდე მოღწეული პორტრეტები და თანამედროვეები, რომლებსაც უნახავთ რიჩარდი, არავითარ მინიშნებას მის ფიზიკურ ნაკლზე არ იძლევიან. რიჩარდი იყო ვაჟკაცური იერის, საშუალო ტანის, შავგვრემანი მამაკაცი.

მართალია, რიჩარდი არ ყოფილა ანგელოზი, მაგრამ განა მისი წინამორბედები და შემდეგ გამეფებული თიუდორები ნაკლები მონსტრები, დასპოტები და ტირანები იყვნენ?

რა თქმა უნდა, რიჩარდის წინააღმდეგ ყველაზე მძიმე ბრალდება პატარა უფლისწულების მკვლელობაა. ყველანი ვინც ამ შემზარავ ამბავს გადმოგვცემენ უმთავრესად ეყრდნობიან ზეპირ ინფორმაციას, ხმებს, ჭორებს, რომელსაც ძირითადად რიჩარდის მოწინააღმდეგეები ავრცელებდნენ. თიუდორებს სურდათ, რომ ბავშვების მკვლელობა რიჩარდს დაბრალებოდა. თანამედროვე მეცნიერებას არ მოეპოვება ისეთი სარწმუნო მასალები, რომელიც ნათელს მოჰფენს ამ საკითხს. ეს არცაა გასაკვირი. ახალი დინასტია შეეცადა კვალი სამუდამოდ წაშლილიყო. სამაგიეროდ, ეს არის საინტერესო თემა იმ ეპოქის მოვლენების დრამატიზირებისათვის.

შექსპირს სურდა დაეწერა პიესა უარყოფით მონარქზე. ასეთი პიროვნება კი შექსპირისდროინდელი ინგლისის მმართველი წრეების თვალში შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ რიჩარდ III. ამ ამოცანას შექსპირმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. თვითოეულმა ინტელიგენტმა ძალიან კარგად იცის შექსპირის პიესა და რიჩარდ III-სადმი უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ისტორიული რიჩარდი აკშარად განსხვავდებოდა სცენიურისაგან.

VIII თავი

შუა საუკუნეების ინგლისური კულტურა

1. ადრეული შუა საუკუნეების ინგლისური კულტურა. ქრისტიანობის გავრცელებამ ახალი მძლავრი ბიძგი მისცა ინგლისური კულტურის განვითარებას და თვისობრივად, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა.

ქრისტიანობა კონტინენტურ ევროპულ კულტურასთან აკავშირებდა ინგლისს. ადრეულ შუა საუკუნეებში ეკლესია-მონასტრები სალიტერატურო და საგანმანათლებლო მოღვაწეობის მნიშვნელოვან ცენტრებად გვევლინებოდნენ. აქ მომავალ ღვთისმსახურებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ამ ტიპის სასწავლებლებში დიდი ყურადღება ექცეოდა ლამაზად წერის ოსტატობას. მაშინ კულტურული კავშირები ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული და ყოველ გადამწერს გააჩნდა ადგილობრივი განმასხვავებელი თავისებურება წერის დროს და ნაწერის გაფორმებისას.

ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, ბიბლიის გადაწერა, საეკლესიო წიგნების შექმნა, მათი მინიატიურების დახატვა ადრეულ შუა საუკუნეებში საკმაოდ ფართოდ იყო ფეხმოკიდებული.

ადრეულ შუა საუკუნეებში გავრცელებულია აგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომლის ყურადღების ცენტრში დგას წმინდანთა ცხოვრება. პრაქტიკულად ეს იყო ბიოგრაფიული ხასიათის თხზულებები. ამგვარი ლიტერატურული ძეგლები საინტერესო წყაროა და მასში გაბნეულია ცნობები ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე.

მონასტერში ხდებოდა ისტორიული ფაქტების ჩაწერა, ფიქსირება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჯეროუს მონასტერი, ნორთუმბრიაში. აქ მოღვაწეობდა ყველაზე უფრო ცნობილი ინგლისელი სწავლული და ღვთისმეტყველი ბედა პატივდებული

(673-735). მას დიდი პოპულარობა მოუხვეჭა ისტორიული ხასიათის ნაშრომმა „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია“, რომელიც თანამედროვე ისტორიკოსისათვის წარმოადგენს ამ ეპოქის ინგლისის ისტორიის საინტერესო პირველწყაროს. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა ინგლისში ისტორიული აზრის განვითარების საქმეში. ინგლისური ისტორიოგრაფიის სათავეებთან ბედა პატივდებულის კოლორიტული ფიგურა დგას.

საინტერესო ისტორიული და ლიტერატურული ძეგლია „თქმულება ბეოულფზე“. აქ მოთხრობილია ანგლო-საქსების ყოფაზე, მათ სულისკვეთებაზე, წეს-ჩვეულებებზე.

დანიელთა შემოსევებმა მკვეთრად დაწია დაბლა კულტურის დონე. საჭირო იყო რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარება. აი ამ რთული მისიის განხორციელება მოუხდა უესექსის მეფე ალფრედს, რომელიც შუა საუკუნეების ინგლისის ისტორიაში, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფიგურა იყო.

განათლებაზე ზრუნვას მეფე ალფრედის საქმიანობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა. იგი ამ საქმეში თვითონ იყო მაგალითის მიმცემი. ლათინური ენა მან გვიან შეისწავლა და მაშინვე დაიწყო ფიქრი იმის თაობაზე, რომ ანგლო-საქსურად ეთარგმნა მნიშვნელოვანი ლათინური ნაწარმოებები.

ალფრედმა აღადგინა დანიელთა მიერ იავარქმნილი ეკლესია-მონასტრები და იქ სკოლები შექმნა. აქ დიდი ყურადღება ეთმობოდა ლათინური ენის შესწავლას. ამ მიზნით მეზობელი რეგიონებიდან მოწვეული იქნენ საუკეთესო მასწავლებლები. დაარსდა სკოლა ახალგაზრდა ანგლო-საქს დიდგვაროვნებისათვის. ალფრედის მეფობის ხანაში ინტენსიურად მიმდინარეობს ლათინურიდან ანგლო-საქსურზე თარგმნა. საგულისხმოა, რომ ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა თვითონ მეფე ალფრედი. აღსანიშნავია, რომ ანგლო-საქსურ ენაზე გამოვიდა ბედა პატივდებულის ნაწარმოები „ანგლების საეკლესიო ისტორია“. ესპანელი ღვთისმეტყველის „მსოფლიო ისტორია“, რომაელი ფილოსოფოსის ბოეციუსის თხზულება და, ალბათ, რაც მთავარია ალფრედის მითითებით და ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა „ანგლო-საქსურ ქრონიკაზე“. შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ მეფე ალფრედს „კულტურის გამავრცელებელი“ უწოდეს.

2. ინგლისური ენის უნიფიკაცია. ნორმანდიელთა დაპყრობა მნიშვნელოვანი ზღვარია ინგლისური კულტურის განვითარებაში. ინგლისური ეროვნული კულტურის წინსვლის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ინგლისური ენის უნიფიკაციის პროცესი.

ნორმანდიელი დამპყრობლები ინგლისის ტერიტორიაზე ნერგავდნენ ფრანგულ ენას. ის იქცა ოფიციალურ ენად. ფრანგულად მეტყველებდნენ დიდგვაროვნები. ამ ენაზე წარმოებდა სამართალი და მიმდინარეობდა სწავლა სკოლაში. ფრანგული ენის ცოდნა დადებით ტონად აღიქმებოდა და ხაზს უსვამდა ადამიანის განსწავლულობას, კულტურას.

ამავე დროს არსებობდა ლათინური ენა, რომელზეც ძირითადად მეტყველებდნენ ეკლესიის მსახურები. წვრილი ფეოდალები და მოქალაქეები უპირატესობას ანიჭებდნენ ანგლო-საქსურ ენას, რომელიც მრავალი დიალექტისგან შედგებოდა.

XIV საუკუნის შუა ხანებიდან იკვეთება წერილობითი სალიტერატურო ენის ფორმირების პროცესი. მას საფუძვლად დაედო ანგლო-საქსურის, ე. ი. ძირითადად გერნამულის, ლონდონური დიალექტი, რომელიც განიცდიდა ფრანგული და ლათინური ენის გავლენას.

აღსანიშნავია, რომ 1362 წელს ინგლისის პარლამენტის სხდომაზე პირველად გაისმა ინგლისური ლაპარაკი. სულ მალე პარლამენტმა დაადგინა, რომ სასამართლოში საქმის წარმოება ყოფილიყო ინგლისურ ენაზე. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

სალიტერატურო ინგლისური ენის ჩამოყალიბების საქმეში კატალიზატორის როლი შეასრულა ჯონ უიკლიფის მიერ ბიბლიის და სხვა რელიგიური ნაწარმოებების ინგლისურ ენაზე თარგმნამ.

3. უნივერსიტეტები. ქალაქების წარმოშობამ დიდად შეუწყო ხელი ინგლისში პირველი უნივერსიტეტების დაარსებას. XII საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა ოქსფორდის, ხოლო XIII საუკუნის დასაწყისში კი კემბრიჯის უნივერსიტეტები, სადაც წამყვან როლს ასრულებდა საღვთისმეტყველო ფაკულტეტი.

უნივერსიტეტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ერთობას, გაერთიანებას. უნივერსიტეტი აერთიანებდა სტუდენტებს და პროფესორებს, რათა დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა და პრივილეგიები ქალაქისაგან.

ცნობილი მეცნიერების ლექციებზე სტუდენტები ევროპის მრავალი კუთხიდან ჩამოდიოდნენ. ერთი წარმოშობის სტუდენტები ერთ სათვისტომოში ერთიანდებოდნენ.

სწავლა მიმდინარეობდა ფაკულტეტების მიხედვით. თითოეულ ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა დეკანი, ხოლო მთელს უნივერსიტეტს არჩევითი რექტორი ან ხელისუფლების მიერ დანიშნული კანცლერი.

უნივერსიტეტში სტუდენტები ისმენდნენ და იწერდნენ პროფესორების ლექციებს. სიტყვა „ლექცია" ნიშნავს კითხვას. ეწყობოდა დისპუტები – მეცნიერული კამათი. ეს იყო შეჯიბრი ცოდნაში.

გარკვეული სასწავლო კურსის გავლის და გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნივერსიტეტის სტუდენტს ანიჭებდნენ ბაკალავრის და მაგისტრის, ხოლო განათლების წარმატებით დასრულების შემდეგ, დოქტორის უმაღლეს სამეცნიერო ხარისხს.

ინგლისური ფილოსოფიური აზროვნების სათავეებთან დგას იოან სკოტ ერუგენა. იგი ნეოპლატონიზმის (ასე უწოდებდნენ ბერძენი ფილოსოფოსი პლატონის მიმდევრებს) მიმდევარია.

ინგლისური კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა როჯერ ბეკონის შემოქმედება. ის XIII საუკუნეში მოღვაწეობდა ინგლისურ სინამდვილეში ბეკონი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გაბედა დაპირისპირებოდა გაბატონებულ ქრისტიანულ-სქოლასტიკურ მსოფლმხედველობას. მან მეცნიერება ცდას დაუკავშირა. აღსანიშნავია, რომ მან პირველმა ევროპაში შეადგინა დენთის დამზადების რეცეპტი. მას ჰქონდა სხვა სერიოზული მიხვედრები და ჩანაფიქრები. როჯერ ბეკონის სახით საქმე გვაქვს აღორძინების ეპოქის ტიტანების წინამორბედთან.

სქოლასტიკის დაძლევის საქმეში თავისი წონიანი სიტყვა თქვეს დუნს სკოტმა და ოკამმა. ისინი სქოლასტიკას ნომინალიზმის პოზიციებიდან უტევდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ თეოლოგია არ უნდა ჩაერიოს ფილოსოფიაში – ცოდნის საუფლოში.

4. შუა საუკუნეების ინგლისური არქიტექტურა. სახვითი ხელოვნება. მუსიკა. ანგლო-საქსური ეპოქის არქიტექტურაში შეიმჩნევა რომანული გავლენა. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა საკათედრო ტაძარი კენტენბერში, რომელიც წმინდა ავგუსტინეს ინიციატივით აიგო. ქრისტიანული ტაძრების მშენებლობის დროს მოხდა ორი სტილის შეჯახება. კელტური (ირლანდიური) და რომანული ტრადიცია. VII საუკუნიდან თანდათან მკვიდრდება რომანული სტილი. VII-X საუკუნეებში ინგლისში მრავლად აშენდა კოშკისებრი ეკლესიები.

ანგლო-საქსები სამშენებლო მასალად ქვას იშვიათად იყენებდნენ და ამიტომ იმ ეპოქის ხუროთმოძღვრების ნიმუშები ნაკლებად შემოგვრჩა. მათი უმრავლესობა ნორმანების პერიოდშია აგებული. ჯერ კიდევ უილიამ დამპყრობელის მმართველობაში დაიწყეს ლონდონის ტაუერის აგება, რომელიც იყო დრო, როდესაც სამეფო სასახლეა, შემდეგ ციხედ გადააკეთეს და ბოლოს დღეს იქ მუზეუმია გახსნილი.

XII საუკუნეში რომანული სტილი ადგილს უთმობს გოთიკას. გოთიკური ტიპის ტაძრისთვის დამახასიათებელია სამი ან ხუთნავიანი ბაზილიკა, მაღალი და ვრცელი ინტერიერი. ფასადზე აღმართული ორი კოშკი. გოთიკური არქიტექტურის კარგი ნიმუშია უესტმინისტერის სააბატო. ინგლისური გოთიკისათვის ნიშანდობლივი ხელწერაა დაბალი, წაგრძელებული მასიური და სადა ფორმები, რომელიც შემდეგ უხვი დეკორით იტვირთება.

ქრისტიანობის გავრცელებამ ბიძგი მისცა ფერწერის, სახელდობრ კი მინიატიურის განვითარებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა კელტურმა (ირლანდიურმა) ქრისტიანობამ. მათ მოიმარჯვეს ძველი კელტური ჭედურობის ტრადიცია. ძალიან გაითქვა სახელი ნორთუმბრიის სკოლამ. მათ შექმნეს კელტური მინიატიურის საუკეთესო ნიმუშები. სინატიფით გამოირჩევა გოთიკური მინიატიურა, მოხატულობა, ქანდაკება.

ქრისტიანობის გავლენამ ღრმა კვალი დაატყო მუსიკის განვითარების პირველ ნაბიჯებს. წმინდა ავგუსტინემ შემოიტანა საეკლესიო გალობა, რომელიც ერთ ხმაში სრულდებოდა.

XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვიდრდება გვიანდელი გოთიკის სტილი. საეკლესიო ნაგებობების გვერდით ჩნდება საერო, რომელსაც ამშვენებს მდიდრული კვეთილი მორთულობები.

შუა საუკუნეების დასასრულს და ახალი დროის დასაწყისში კულტურის, მეცნიერების, განათლების განვითარებას ახალი სული შთაბერა წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ. ხელნაწერთან შედარებით ნაბეჭდი წიგნი უფრო იაფი იყო. გაადვილდა წერა-კითხვის შესწავლა და განათლება. გაიაფდა სახელმძღვანელოები.

კარი III

ინგლისის ახალი ისტორია

I თავი

ინგლისი ახალი დროის გარიჟრაჟზე. ეკონომიკური სიახლეები

1. ინგლისის სოციალური ყოფის ევოლუცია. ადრეული შუა საუკუნეების ინგლისის აგრარულ ყოფას თავისებური კვალი დაამჩნია იმ გარემოებამ, რომ აქ გვიანრომაული ურთიერთობის გავლენა შედარებით სუსტი იყო. ინგლისში უმთავრესად გერმანული ელემენტი ჭარბობდა. მნიშვნელოვანწილად ამით იყო განპირობებული ინგლისში ფეოდალიზმის განვითარების ნელი ტემპი.

ინგლისის სოციალური ყოფის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ სენიორალური იერარქია და ლენური სისტემა ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა.

წმინდა ნივთიერი, მატერიალური, მდგომარეობა კი არ ედო საფუძვლად სენიორსა და ვასალს შორის ურთიერთობას გარდამავალ ხანაში და შუა საუკუნეების დასაწყისში, არამედ პირადი კავშირები, უშუალო დაქვემდებარება კომენდაცია, რასაც მოჰყვებოდა მიწათმოქმედებითი ურთიერთობები. „მიწა კვებავს ადამიანს, მაგრამ არ ამდიდრებს მას". საზოგადოებრივი ურთიერთობები უპირატესად პირად ხასიათს ატარებდა. ინგლისში ასეთი იყო ბოკლენდი. მეფე დიდგვაროვნებს და ეკლესიას ურიგებდა იმ შემოსავალს, რომელსაც ის გლეხისგან იღებდა.

ფეოდალიზაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ფაქტორს. ამ შემთხვევაში ეს იყო ნორმანდიელთა დაპყრობა. ინგლისში ფეოდალიზაციის პროცესი დასრულდა. წარმოიშვა ფეოდალური მამული, რასაც ინგლისში მანორს უწოდებენ.

ინგლისურ ფეოდალიზმს ახასიათებდა ერთი თავისებურება, რომელიც გამოარჩევდა მას ევროპული ფეოდალიზმისაგან. საქმე ისაა, რომ ინგლისში არ მოქმედებდა პრინციპი „ჩემი ვასალის ვასალი, ჩემი ვასალი არ არის". ინგლისში ყველა მეფის ვასალი იყო. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნებოდა, რომ ინგლისში არ არსებობდა მკაცრი წოდებრივი გამიჯვნა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ინგლისის მეფე, ნორმანდიის ჰერცოგი, საფრანგეთის მეფის ვასალი იყო და კარგად იცოდა ფეოდალური დაქსაქსულობის ფასი. მან შეუზღუდა თავის ვასალებს განკერძოების სურვილი.

იყო კიდევ ერთი ფრიად საინტერესო განსხვავება. ინგლისის ეკონომიკურ ყოფაში წვრილ ფეოდალურ მამულს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. ეს გარკვეულწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ჰენრი II-ის (1154-1189) სამხედრო რეფორმის შედეგად, როდესაც მეფე ქირაობდა ჯარს, მკვეთრად შეიზღუდა ნვრილი ფეოდალების სამხედრო მოქმედების არეალი. თუ კონტინენტზე რაინდების მთავარ საქმიანობას შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა სამხედრო სამსახური, ინგლისში არსებითად სულ სხვა სურათია. ინგლისის რაინდობა დაინტერესებას ამჟღავნებს სამეურნეო საქმიანობისადმი და აქტიურად ერთვება ვაჭრობაში.

მეურნეობის წარმართვის მეთოდებში დიდი განსხვავება იყო წვრილ ფეოდალებს და მსხვილ მაგნატებს შორის. თავდაპირველად ეს იმით გამოიხატებოდა, რომ წვრილ მამულში ფეოდალური გადასახადები ძალზე უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ, ხოლო სასაქონლო-ფულად ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ კიდევ უფრო დაკარგეს თავისი უწინდელი მნიშვნელობა. მთავარი მომენტი ის იყო, რომ მსხვილი მამულისაგან განსხვავებით აქ თანდათანობით იკიდებს ფეხს დაქირავებული შრომა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყალიბდება ის სოციალური წრე, საიდანაც შემდგომში, ახალი დროის ზღურბლზე, ჩამოყალიბდა ჯენტრი, ახალი თავადაზნაურობა.

2. ინგლისის სოციალ-ეკონომიკური განვითარება. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ახალი ფურცელი გადაშალა ინგლისის ისტორიაში. სწორედ ამ აღმოჩენებს უნდა უმადლოდეს ინგლისი თავისი შესანიშნავი გეოგრაფიულ-ეკონომიკური მდგომარეობის შექმნას. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად მოხდა სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის გადანაცვლება ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიის ოკეანისკენ. თუ ადრე, შუა საუკუნეებში, ინგლისი სავაჭრო გზები პერიფერიად რჩებოდა, ამიერიდან ის ამ გზების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ამას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დასაწყისში ინგლისი ნაკლებ აქტიურობას იჩენდა, მაგრამ შემდგომში მკვეთრად შეიცვალა სურათი, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ წერტილი დაესვა შინაამლილობას და ქვეყნის შიგნით თანდათან, ნელ-ნელა, სტაბილურობა მყარდება.

ინგლისში მოღვაწე იტალიელმა ზღვაოსნებმა მამა-შვილმა ჯოვანი და სებასტიან კაბოტებმა მოაწყვეს ექსპედიცია ჩრდილოეთ ამერიკაში და მიადგნენ ნიუფაუდლენდს. მეორე ინგლისელმა ზღვაოსანმა რიჩარდ ჩენსლერმა იმოგზაურა ჩრდილო-აღმოსავლეთით და ღუზა ჩაუშვა რუსეთის ტერიტორიაზე. ამით მან არსებითად რუსეთში მიმავალი საზღვაო გზა აღმოაჩინა.

XVI საუკუნეში ინგლისი კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების სტადიაში შედის. ინგლისის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში ძალუმად დაბერა ახალმა სიომ, რაც უმთავრესად იმით გამოიხატებოდა, რომ ფეოდალურ ურთიერთობებს წყალი შეუდგა. ყმა გლეხი და ძველი ყაიდის ფეოდალი-მემამულე ინგლისის სოციალურ ყოფაში სულ უფრო უკანა პლანზე გადადის.

თანამედროვეები XVI საუკუნის ინგლისის საზოგადოებას ოთხ სოციალურ ჯგუფად ყოფდნენ: 1. ჯენტლმენები, 2. მოქალაქეები, 3. იომენები, 4. ხელოსნები და მუშები.

უმაღლეს კატეგორიას წარმოადგენდნენ ჯენტლმენები, რომლებიც მოდიოდნენ მეფის შემდეგ. მათ შემადგენლობაში შედიოდნენ ლორდები, რაინდები, მათი საჭურველმტვირთავები, ესკვაიერები.

მოქალაქეთა ძირითად ფენას შეადგენდნენ ვაჭრები. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ინგლისისათვის ნიშანდობლივი ერთი თავისებურება, რომელიც კარგად შენიშნეს ჯერ კიდევ თანამედროვეებმა. საქმე ისაა, რომ ინგლისში ზღვარი ვაჭარსა და ჯენტლმენს შორის მეტად მყიფე იყო და ხშირად იყო შემთხვევა, რომ ვაჭარი ხდებოდა ჯენტლმენი ან პირიქით ჯენტლმენი ხდებოდა ვაჭარი. ამაში სათაკილო არაფერი იყო. ინგლისის თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა თავისი მეურნეობა ახლებურ ყაიდაზე გარდაქმნა. აღარ ახდევინებდა გლეხს ბეგარას და ღალას და სოფლის მეურნეობაში დაქირავებულ შრომას იყენებდა. წარჩინებულთა ამ ჯგუფს ახალ თავადაზნაურობას უწოდებდნენ.

XVI საუკუნეში ინგლისში ბურჟუაზია წარმოიშვა. ეს იყო ინგლისის საზოგადოების ყველაზე წელმაგარი, ეკონომიკურად ღონიერი ნაწილი. ის თავის რიგებში აერთიანებდა: მეწარმეებს – მანუფაქტურის და სახელოსნოების მფლობელებს, ვაჭრებს, ხომალდების პატრონებს, რომლებიც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ.

იომენები შეადგენდნენ ფერმერების ძირითად ბირთვს. ისინი იჯარით იღებდნენ ჯენტლმენისაგან ფერმას. შრომობდნენ, უვლიდნენ ცხვარს, გადიოდნენ ბაზრობაზე, ყავდათ მსახურები, რომლებიც ფიზიკურად შრომობდნენ ფერმაში. თავისი მუხლჩაუხრელი შრომით ისინი აგროვებდნენ კაპიტალს. აძლევდნენ თავიანთ შვილებს განათლებას, უტოვებდნენ ფულს. გამდიდრებული ფერმერი შემდგომში შეიძლება ჯენტლმენიც გამხდარიყო.

მეოთხე ფენის მთავარ მასას შეადგენდნენ მუშები, რომლებიც შრომობდნენ სოფლის მეურნეობაში. უმთავრესად ესენი იყვნენ კოპიჰოლდერები, რომლებიც პირობით ფლობდნენ მიწას, ხელშეკრულების საფუძველზე. თანამედროვეები ამ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ აგრეთვე ხელოსნებს და მანუფაქტურის მუშებს. ამ სოციალურ ფენაში შედიოდნენ აგრეთვე გაბოგანოებული, გაღატაკებული გლეხები. როგორც თანამედროვეები ამბობდნენ „ახალგაზრდობაში მსახური, სიჭარმაგეში ბოგანო: სამსახური – მემკვიდრეობა არაა“.

XVI საუკუნის და XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის ისტორიის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ძველი ურთიერთობების ტრანსფორმაცია სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობდა პარალელურად ანალოგიური პროცესებისა ინგლისის საქალაქო წარმოებისა. ხშირად სოფელში ეს ხორციელდებოდა უფრო ინტენსიურად, ვიდრე ქალაქში.

XVI საუკუნეში მაუდის წარმოების გაფართოვებასთან დაკავშირებით იზრდება მატყლის ფასი. ამიერიდან ცხვრის მოშენება განსაკუთრებით სარფიან საქმედ იქცა. ერთი თანამედროვე შენიშნავდა „ცხვრის ჩლიქი მიწას ოქროთ აქცევს". ამ მიზნით ლორდებმა ხელი მიჰყვეს სათემო საძოვრების უზურპაციას. დაიწყო გლეხთა ექსპროპრიაცია, მიწიდან მათი აყრა და მისი საძოვრებად გადაქცევა. დიდი ჰუმანისტის თომას მორის თქმით „ცხვარმა შეჭამა ადამიანი". გაბოგანოებული, ულუკმაპუროდ დარჩენილი გლეხობა მანუფაქტურის მუშებად და მემამულის მოჯამაგირედ მოგვევლინენ. ეს იყო რთული პროცესი, რომელსაც გააჩნდა თავისი პლიუსები და მინუსები.

თავისუფალი მეწარმეობის განვითარების ეპიცენტრია ქალაქი. სწორედ აქ ყალიბდება ადამიანთა ის ფენა, ვაჭრები, მევახშეები, ხელოსნები, რომელთა ხელში იყო ფული, კაპიტალი, რომელსაც ისინი წარმოებაში აბანდებდნენ. თანდათანობით შუა საუკუნეების ხელოსნურ საამქროს ანაცვლებს მანუფაქტურა. იგი ემყარება შრომის შინაგან დანაწილებას. მანუფაქტურას სათავეში უდგას მეწარმე. ის ფლობს საწარმოო სახსრებს და თავად გვევლინება წარმოების პროცესის ორგანიზატორად. მანუფაქტურაში შრომობენ დაქირავებული მუშები. მეწარმე კი მათი თავკაცია.

მანუფაქტურა ორი სახისაა. ცენტრალიზებული და გაფანტული. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო გავრცელებული იყო. ცენტრალიზებულ მანუფაქტურაში მეწარმე თვითონ იძენს საწარმოს, ნედლეულს, მასალას, დანადგარებს. გაფანტულ მანუფაქტურაში კი ნებადართულია მასალის სახლში გატანება და მეწარმე იღებს მზა პროდუქციას ან ნახევარფაბრიკატს.

თიუდორთა მისწრაფება რომ დაერეგულირებინა ეკონომიკა გადაიზარდა კრიზისში და შემდგომში ინგლისის რევოლუციის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

II თავი

პირველი თიუდორეგის მმართველობა

1. **ჰენრი VII.** ბოსვორტის ბრძოლის შემდეგ ინგლისის ტახტზე ავიდა ჰენრი VII თიუდორი (1485-1509). დაიწყო ახალი დინასტიის თიუდორების მმართველობა. ახალმა მონარქმა კურსი აიღო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისკენ. ეს პოლიტიკა შეესატყვისებოდა ინგლისის საზოგადოების მოთხოვნებს. ეს ადვილი გასაგებიცაა. ინგლისი დაიღალა შინააშლილობით, ცალკეულ კლანებს შორის ქიშპობით. ყველას სურდა სტაბილურობა.

ახალი მონარქის უპირველესი ამოცანა იყო მტკიცედ დაეკავებინა ადგილი სამეფო ტახტზე და განეხორციელებინა ქვეყნის ცენტრალიზაცია. გაჭიანურებული სამოქალაქო ომის შემდეგ ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ფეოდალური ოპოზიცია, ვარდების ომის შემდეგ, მართალია, საგრძნობლად დასუსტდა, მაგრამ მისი ძლიერება ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გატეხილი. ჰენრი VII-მ მთელი XV საუკუნის მიწურული მათ წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ფეოდალური დაჯგუფებების შერიგების მიზნით ჰენრი VII-მ ცოლად შეირთო იორკების შთამომავალი ელისაბედი. ამით მან თავის გერბში გააერთიანა ალისფერი და თეთრი ვარდები.

ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგეები მაინც არ იტეხენ იხტიბარს და კვლავ განაგრძობენ მეფის წინააღმდეგ ბრძოლას. მათ XV საუკუნის მიწურულს მოაწყვეს ორი დიდი ამბოხი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლებიც ჰენრი VII-მ სასტიკად ჩაახშო. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. XVI საუკუნის დასაწყისში ჰენრი VII ინგლისის ტახტზე გაცილებით უფრო მტკიცედ იგრძნო თავი.

ქვეყნის ცენტრალიზაციის განმტკიცების მიზნით, მიიღეს კანონი სახელმწიფო მოღალატეების შესახებ. ამ კანონზე დაყრდნობით გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს 8 ათასი კაცი. ხოლო მათ ქონებას კონფისკაცია გაუკეთეს. ეს იყო სამეფო ხაზინის შევსების ერთ-ერთი წყარო. არის ამის სხვა საშუალებებიც. უპირველეს ყოვლისა ეს გახლავთ, ის ჯარიმები, რომელსაც სხვადასხვა საბაბით ახდევინებდნენ დიდგვაროვნებს. მეფე ხშირად იღებდა სუბსიდიებს პარლამენტისგან სამხედრო ოპერაციების წარმოების მიზნით, თუმცა რეალურად ინგლისი არავის არ ეომებოდა. ეს იყო სამეფო ხაზინის შევსების კიდევ ერთი ხერხი.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა ჰენრი VII-ის ორი გადაწყვეტილება. მან შექმნა საგანგებო სასამართლო ორგანო „ვარსკვლავებიანი პალატა“, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა ამბოხებულთა და მოღალატეთა საქმეების განხილვა. მეორე კანონით ჰენრი VII-მ აკრძალა შეიარაღებული ამალის ყოლა. ორივე ეს კანონი ყოველგვარ ნიადაგს აცლიდა შინააშლილობას, ცალკეულ დაჯგუფებებს შორის ქიშპობას, შუღლს.

საგარეო პოლიტიკაში ჰენრი VII მოქმედებდა მეტად ფრთხილად,წინდახედულად. დიდ კონფლიქტებში მონაწილეობას თავს არიდებდა და ნეიტრალიტეტს ამჯობინებდა.

2. ჰენრი VIII. ჰენრი VII-ს გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ჰენრი VIII (1509-1547).

მისი მეფობა პირობით ორ პერიოდად შეიძლება გაიყოს. რომის ეკლესიასთან კონტაქტის გაწყვეტამდე და რომის ეკლესიასთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ. მან გააგრძელა მამის პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. ინგლისში ეს პროცესი მეტად თავისებურად, სპეციფიკურ, პირობებში მიმდინარეობდა. ინგლისში პარლამენტი განაგრძნობდა ფუნქციონირებას, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ უფლებამოსილებანი მკვეთარდ შეეკვეცა, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ თიუდორები პარლამენტს იშვიათად იწვევდნენ. ეს კი იმით აიხსნებოდა, რომ მათ მეტნაკლებად მოაგვარეს ყველაზე უფრო მტკივნეული ფისკალური საკითხი.

„მეფე შეადგენდა პარლამენტის შემადგენელ ნაწილს და აქ ახორციელებდა თავის აბსოლუტურ ძალაუფლებას".

თავდაპირველად ჰენრი VIII-ის მარჯვენა ხელი იყო კარდინალი უოლსლი. ჰენრი VIII-ს საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო ესპანეთთან კავშირზე. მისი განმტკიცების მიზნით ჰენრი VIII-მ ცოლად შეირთო ესპანეთის ინფანტა კატარინა არაგონელი. ამ დაახლოების მტრული ისრები მიმართული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ, მაგრამ 1525 წელს პავიასთან ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა სასტიკი მარცხი იწვნიეს და მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ესპანეთი ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო შეიქმნა, და ახლა ჰენრი VIII სულ უფრო მეტად იხრება საფრანგეთთან დაახლოებისაკენ. ეს შესაძლებელი იქნებოდა ესპანეთთან კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში, რასაც მოყვებოდა ურთიერთობის გამწვავება რომის პაპთან, რომელიც დამოკიდებული იყო ჰაბსგურგებზე. ესპანეთთან უთანხმოების დროს ჰენრი VIII-ს სურვილმა გაყროდა პირველ ცოლს კატარინა აგონელს პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა.

რომის პაპმა, ცხადია, უარი თქვა ჰენრი VIII-ს განქორწინებაზე. კარდინალი უოლსლი ყოყმანობდა. განრისხებულმა ჰენრი VIII უოლსლი ჯერ ჩამოაშორა საქმის წარმოებას, ხოლო შემდეგ კი დააპატიმრა. ახლა მეფეს ხელფეხი გახსნილი ჰქონდა და როგორც სურდა ისე შეეძლო ემოქმედა.

3. რეფორმაცია. ინგლისში რეფორმაცია ორი ფაქტორით იყო განპირობებული: ჰენრი VIII-მ გადაწყვიტა პირველ ცოლთან კატარინა არაგონელთან განქორწინება და მეორე, ძირითადი იყო წმინდა ფისკალური მოტივი. ჰენრი VIII უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა ომებსა და სასახლეების მშენებლობაზე. მას ჭირდებოდა ფული. მეფეს დიდი ხანია თვალი ეჭირა კათოლიკური ეკლესიის სიმდიდრეზე. ახლა მას ხელსაყრელი შანსი გამოუჩნდა ხელში ჩაეგდო ეკლესიის ქონება.

თვითონ ჰენრი VIII მხურვალე კათოლიკე იყო და გერმანიაში რეფორმაციის დაწყებას უარყოფითად შეხვდა. ცნობილია, რომ მან სასტიკად დაგმო მარტინ ლუთერის გამოსვლა და ამის გამო რომის პაპის ქებაც კი დაიმსახურა. პაპისგან მიიღო საპა-

ტიო წოდება „სარწმუნოების მცველი“. შემდგომში მისი პოზიცია მკვეთრად შეიცვალა. ჰენრი VIII დაუპირისპირდა რომის პაპს.

1534 წელს მიიღეს „აქტი სუპერმატიის შესახებ“, რომლის თანახმადაც ყოველგვარი ურთიერთობა რომის პაპთან შეწყდა. ამიერიდან ინგლისის ეკლესიის მეთაური შეიქმნა ინგლისის მეფე. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა მას აღარ ესაჭიროებოდა განქორწინებაზე რომის პაპის ნებართვა. ჰენრი VIII გაეყარა კატარინა არაგონელს და ცოლად შეირთო ენ (ანა) ბოლეინი. მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ამ ქორწინების შედეგად მას ეყოლებოდა ტახტის მემკვიდრე ვაჟი. მეფის იმედები არ გამართლდა. მათ ქალიშვილი შეეძინათ. სულ მალე ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა გაუარესდა. ენ ბოლეინს ქმრის ღალატში დასდეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს. ეს ქორწინება კი კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული.

მთავარი კი ის იყო, რომ მეფის ხელში გადავიდა ეკლესიის უზარმაზარი სამფლობელოები და აურაცხელი ქონება. 30-იან წლების მეორე ნახევარში ინგლისში მიმდინარეობდა საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია. სამონასტრო სიმდიდრე მეფის ხელში მოექცა. საეკლესიო მიწები მეფემ დაურიგა ან მიჰყიდა თავის ერთგულ ქვეშევრდომებს. ეს იყო კარგად გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯი. ამის შედეგად გაიზარდა მეფის მომხრეთა რაოდენობა და შემცირდა რომის პაპის მიმდევართა რიგები. ასე ჩაეყარა საძირკველი ინგლისში ანგლიკანურ ეკლესიას.

ინგლისში, გერმანიისგან განსხვავებით, რეფორმაცია ზემოდან განხორციელდა. გაცილებით უფრო დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა რეფორმაცია შოტლანდიაში. აქ ახალი იდეების მქადაგებლად მოგვევლინა ჟან კალვინის მიმდევარი ჯონ ნოქსი. მას ხშირად „შოტლანდიელ კალვინსაც“ კი უწოდებენ. შოტლანდიაში შეიქმნა კალვინისტური ტიპის ეკლესია. საეკლესიო თემი დამოუკიდებელი იყო, ხოლო უმაღლეს ორგანოს განასახიერებდა მამასახლისების, პრესბიტების, კრება. ინგლისში კალვინის მიმდევრები პურიტანების სახელით იყვნენ ცნობილნი.

ერთ ხანს კანცლერის პოსტი ეკავა სახელმოხვეჭილ ჰუმანისტს თომას მორს, მაგრამ თაფლობის თვემ მეფესა და დიდ ჰუმანისტს შორის დიდხანს არ გასტანა. ის მალე დაითხოვეს

თანამდებობიდან, ხოლო შედმეგ კი სამშობლოს ღალატში დასდეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს.

შემდეგ იწყება თომას კრომველის აღზევება. მას უდიდესი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე. იგი მომხრე იყო გერმანელ პროტესტანტებთან კავშირის. ამ კონტაქტების განმტკიცების მიზნით მან ურჩია მეფეს ექორწინა ანა კლეველზე, მაგრამ ეს ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა და სხვა ფაქტორებთან ერთად დააჩქარა თომას კრომველის დაცემა. ის სიკვდილით იქნა დასჯილი.

თავისი მმართველობის დასასრულს ჰენრი VIII-მ სცადა ანგლიკანური ღვთისმსახურების გავრცელება ირლანდიაში, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ირლანდიელებმა არ მიიღეს ახალი რელიგია. მოხდა პირიქით, ისინი თავგამოდებული კათოლიკეები გახდნენ. ანალოგიური შედეგით დასრულდა ანგლიკანიზმის გავრცელების მცდელობა შოტლანდიაში. მათ უარი თქვეს ანგლიკანიზმზე.

ყურადღებას იპყრობს მეფის პირადი ცხოვრება. მას ექვსი ცოლი ყავდა. ჰენრი VIII-ს პირველი ცოლი იყო ესპანეთის ინფანტა კატარინა არაგონელი, მასთან სკანდალური განქორწინების შემდეგ მეფემ ცოლად შეირთო ენ (ანა) ბოლეინი. მესამედ მეფემ იქორწინა ჯეინ სეიმურზე. მეოთხე ცოლი იყო პროტესტანტი ანა კლეველი. მასთან ხანმოკლე ცხოვრების შემდეგ მეფემ მეხუთედ შეირთო ცოლი. ამჯერად მისი რჩეული აღმოჩნდა კეტერინ ჰოვარდი და ბოლოს მეექვსე ცოლი იყო კეტრინ პარი. თვითოეულ მათგანს განსხვავებული ბედი ერგოთ. კატარინა არაგონელს და ანა კლეველს მეფე გაშორდა. ენ (ანა) ბოლეინს და კეტრინ ჰოვარდს ტრაგიკული ბედი ხვდათ წილად; მათ ქმრის ღალატში დასდეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს. ჯეინ სეიმური მშობიარობას გადაყვა და მხოლოდ კეტრინ პარი გადარჩა უვნებლად. მასთან გაშორება მეფემ ვერ მოასწრო, რადგან გარდაიცვალა.

პირველი ცოლისაგან მას ყავდა ქალიშვილი მერი. მეორე ცოლისგან ისევ ქალიშვილი ელისაბედი. მესამე ცოლისაგან ეყოლა ძე ედვარდი.

1547 წელს ჰენრი VIII გარდაიცვალა.

4. კონტრრეფორმაცია. ჰენრი VIII-ს გარდაცვალების შემდეგ მეფობდნენ მისი შვილები: ჯერ ედვარდ VI (1547-1553), შემდეგ მერი (1553-1558). მათი მმარველობის მნიშვნელობა ინგლისის ისტორიისათვის ერთნაირი არ ყოფილა.

ედუარდ VI ხანმოკლე მმართველობის დროს ბურჟუაზიის და ახალი თავადაზნაურობის პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდა. რეფორმაციის კურსი ურყევია.

პრინციპული ხასიათის ცვლილებები ხდება მისი დის მერის მმართველობის ხანაში, რომელმაც სერიოზული გართულებების შემდეგ ბოლოს და ბოლოს მაინც დაიკავა ინგლისის ტახტი. მერიმ სცადა კათოლიციზმის აღდგენა. ინგლისში დაიწყო კონტრრეფორმაცია. სხვა კონფესიის, რწმენის, მიმდევრების მიმართ ატარებდნენ რეპრესიებს. ასეთი პოლიტიკა ბურჟუაზიის და ახალი თავადაზნაურობის უკმაყოფილებას იწვევდა. ისინი ყველაზე მეტად მერის ანტიეროვნულმა პოლიტიკამ გააწბილა. მერი ცოლად გაყვა ესპანეთის მეფის შვილს ფილიპე II-ს, რომელიც ინგლისის დაუძინებელი მტერი იყო. საყოველთაო რისხვას მერი გადაურჩა მხოლოდ იმიტომ, რომ 1558 წელს გარდაიცვალა.

III თავი

ელისაბედი

1. გზა სამეფო ტახტისაკენ. ინგლისელ, ისტორიკოსებს უყვართ საუბარი „ტიუდორთა ოქროს ხანაზე", რომლის კულმინაციას, პიკს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა ელისაბედის მმართველობა. „ელისაბედი ყველა ინგლისელის სათაყვანებელი კერპი იყო".

ელისაბედი დაიბადა 1533 წლის 7 ოქტომბერს. ის იყო ჰენრი VIII-ს და ენ (ანა) ბოლეინის ქალიშვილი. ეს ქალიშვილი თავისი მტკიცე ხასიათით არც ერთ მამაკაცს ტოლს არ დაუდებდა და ინგლისის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი გამოვიდოდა.

ელისაბედის ბავშვობა ფათერაკებით აღსავსე აღმოჩნდა. ტახტისაკენ მიმავალი გზა მხოლოდ ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. დავიწყოთ, იმით, რომ ენ (ანა) ბოლეინის სიკვდილით დასჯის შემდეგ ეს ქორწინება უკანონოდ სცნეს. კათოლიკეების თვალსაზრისით ეს ქორწინება მანამდეც უკანონო იყო. საქმე ისაა, რომ პაპმა ნება არ დართო მეფეს გაშორებოდა პირველ ცოლს. გამოდის, რომ ელისაბედის პრეტენზიები სამეფო ტახტზე საეჭვო ხდებოდა.

დედის სიკვდილით დასჯამ მძიმე დარტყმა მიაყენა პატარა გოგონას. სასახლის კარზე საზეიმო ცერემონიალების დროს ელისაბედი უკანა პლანზე იყო და მხოლოდ მესამე იდგა თავისი ნახევარი ძმის და ნახევარი დის შემდეგ. მართალია ედვარდ VI-ს გამეფების შემდეგ მან მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ ეს სულაც არ იძლეოდა უსაფრთხოების გარანტიას.

ტახტზე მერი თიუდორის ასვლის შემდეგ, როდესაც ინგლისში კონტრრეფორმაცია დაიწყო, ელისაბედის სიცოცხლეს

სერიოზული საფრთხე დაემუქრა. შეიძლებოდა მას ფიზიკურადაც გასნორებოდნენ. ამიტომ საჭირო იყო დიდი სიფრთხილე და წინდახედულება, რათა გადაგერჩინა თავი. მან მოახერხა იმდენი, რომ არ გაეღიზიანებია მერი და ამავე დროს არც თავისი მომხრეები, განსაკუთრებით კი პროტესტანტები, გაეწბილებინა. ელისაბედს ბეწვის ხიდზე უნდა გაევლო და მან ეს შესძლო კიდეც. თვითგადარჩენის ინსტიქტმა მასში პოლიტიკური ბრძოლის ოსტატი გააღვიძა.

ამ მძიმე წლებს ელისაბედისათვის ამაოდ არ ჩაუვლია. იგი კარგად დაეუფლა ჩახლართულ პოლიტიკურ ინტრიგებში გარკვევის უნარს. გამოამჟღავნა მოქნილი, ელასტიური, პოლიტიკის განხორციელების ნიჭი. შეეძლო პოლიტიკური ბრძოლის ვიწრო ბილიკზე ბალანსირება. შემდგომში ყველაფერი ეს ძალიან გამოადგა. 1558 წელს, მერი თიუდორის გარდაცვალების შემდეგ, ინგლისის ტახტი ელისაბედს ხვდა წილად.

2. ელისაბედის საშინაო პოლიტიკა. ელისაბედმა შეძლო თავის გარშემო შემოეკრიბა ნიჭიერი ადამიანების დიდი ჯგუფი. ამან ძალიან შეუწყო ხელი ელისაბედის წარმატებებს, როგორც ქვეყნის შიგნით, კათოლიკური ოპოზიციის, ისე გარეშე მტრების, ესპანეთის, წინააღმდეგ ბრძოლაში.

უპირველეს ყოვლისა ის შეეცადა გადაეჭრა გამწვავებული რელიგიური საკითხი. მან ამისათვის კომპრომისული გზა აირჩია. ის სათავეში ჩაუდგა ანგლიკანურ ეკლესიას, რომელიც წარმაოდგენდა კათოლიციზმის და პროტესტანტიზმის ერთგვარ ნაზავს.

60-იან წლებში ასპარეზზე გამოჩნდნენ პურიტანები. მართალია, თავდაპირველად მათი მოთხოვნები ძალზე მოკრძალებული იყო, მაგრამ ელისაბედის მმართველობის დასასრულს ისინი უკვე დიდ ძალას წარმოადგენდნენ. ელისაბედმა კარგად აუღო ალღო ამ რთულ სიტუაციას და წარმატებით ახერხებდა ლავირებას ანგლიკანურ ეკლესიას და პურიტანებს შორის, ისე რომ არცერთი მხარე არ გაეწბილებინა.

ელისაბედმა განაგრძო თავისი წინამორბედების მიერ დაწყებული ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების კურსი და მას დასრულებული სახე მისცა.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კონტინენტის სახელმწიფოებისგან განსხვავებით ინგლისის პოლიტიკურ სისტემაში თავის წონას ინარჩუნებდა პარლამენტი. საფრანგეთისგან განსხვავებით, ინგლისში მეფის უფლებამოსილებანი განუსაზღრელი არ ყოფილა. მეფეს არ გააჩნდა დამოუკიდებელი საკანონმდებლო ხელისუფლება და სასამართლო ფუნქცია. ამ სფეროში მეფე და პარლამენტი ერთობლივად მოქმედებდნენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინგლისის მეფეს საგადასახადო პოლიტიკის წარმართვა არ შეეძლო პარლამენტის გარეშე. მეფე მატერიალურად პარლამენტზე იყო დამოკიდებული.

თიუდორები და განსაკუთრებით კი ელისაბედი პარლამენტთან ურთიერთობაში დაბალანსებულ პოლიტიკას ატარებდნენ და არ უგულვებელყოფდა მის ინტერესებს, მეფე და პარლამენტი თანხმობით მოქმედებდნენ. თიუდორთა მონარქია არ ატარებდა ფეოდალურ ხასიათს. ის წარმატებით ახერხებდა მანევრირებას სამეფო ხელისუფლებასა და მეწარმეების ინტერესებს შორის. ინგლისის მეფეს არ ყავდა მოხელეების უზარმაზარი აპარატი. ადგილობრივი მმართველობის კონტროლი თიუდორებმა ახალ თავადაზნაურობას გადაულოცეს. დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისს არ ყავდა რეგულარული არმია, რასაც დიდად უწყობდა ხელს მისი კუნძულოვანი მდგომარეობა. სამაგიეროდ ინგლისს ყავდა ძლიერი ფლოტი. ფაქტობრივად, ელისაბედმა დაასრულა რევოლუციამდელი ინგლისის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობის შექმნა.

რეფორმაციამ ახალი სული შთაბერა საიდუმლო სამსახურის, დაზვერვის, განვითარებას. ელისაბედი, რომელიც გარშემორტყმული იყო უამრავი მტრებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, ბუნებრივია, ცდილობდა შეექმნა კარგად ორგანიზებული სადაზვერო ქსელი. ელისაბედის ძალისხმევის შედეგად ახალ სიმაღლეზე ავიდა ინგლისის საიდუმლო სამსახური, დაზვერვა, რომელიც იმდროინდელ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ელისაბედის წარმატებები, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ინგლისის დაზვერვა, საიდუმლო სამსახური – ინტელლიჯენს

სერვილსი სამი საუკუნის მანძილზე, პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სანიმუშო და საუკეთესო იყო.

დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა მძლავრი ბიძგი მისცა ინგლისის ვაჭრობის განვითარებას. კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესში ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ვაჭრობის აღმავლობას დიდად შეუწყვეს ხელი ელისაბედის გმირმა მეზღვაურებმა, რომლებსაც ხშირად მოიხსენიებენ „ელისაბედის პირატების" სახელით. „მეზღვაურ-ვაჭარს ინგლისში წინ მიუძღოდა მეზღვაური გმირი." შემთხვევით არაა, რომ ეს „მეკობრეები" ეროვნულ გმირებად არიან გამოცხადებული. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ზღვებზე და ოკეანეებზე ინგლისის ფლოტის ბატონობას.

ელისაბედი ეკონომიკის სფეროში მერკანტელიზმის პოლიტიკის წინამორბედია. ის აწესებდა დიდ გადასახადებს იმპორტზე და ეროვნული ეკონომიკის წახალისებას ცდილობდა. ელისაბედმა გააუქმა „მონოპოლიები" ზოგიერთ საქონლის წარმოებაზე და გასაღებაზე. ამან გზა გაუხსნა თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას, გაჩაღდა კონკურენცია. ამავე დროს თიუდორები ცდილობდნენ შემოღობვების შეჩერებას, მხარს უჭერდნენ საამქროებს. სახელმწიფოს მისწრაფება დაებალანსებინა ეკონომიკა კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

3. ელისაბედი და მერი სტიუარტი. რომის პაპი ჯიუტად არ ცნობდა ინგლისის ტახტზე ელისაბედის უფლებებს. ის უკანონოდ მიიჩნევდა ჰენრი VIII-ს და ენ (ანა) ბოლეინის ქორწინებას. რომის პაპს აქტიურად უჭერდა მხარს ესპანეთის მეფე ფილიპე II. ესპანეთი კათოლიციზმის ბასტიონი იყო. ელისაბედის წინააღმდეგ სერიოზული ოპოზიცია არსებობდა თვით ინგლისში. მის ძირითად ბირთვს კათოლიკეები ქმნიან. მათ არ მიიღეს ანგლიკანური ეკლესია, უნდოდათ ტახტიდან ელისაბედის ჩამოგდება და ინგლისის მეფის გვირგვინს ელისაბედის ახლო ნათესავს, მერი სტიუარატს სთავაზობდნენ. ორი დედოფლის დაპირისპირება რეფორმაციასა და კონტრრეფორმაციას შორის ბრძოლის ერთ-ერთი საინტერესო ფრაგმენტია.

შოტლანდიის დედოფლის რომანტიკული სახე, მისი ტრაგიკული ბედი ხშირად ქცეულა შთაგონების წყარო ფიქრთა მპყრობელებისათვის შილერიდან ცვაიგამდე. მათ ხიბლავდათ კონფლიქტი მომხიბლავ მერისა და გონიერ, ანგარიშიან, ელისაბედს შორის.

მერი სტიუარტის სახით ელისაბედს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. მერი იყო ჰენრი VIII-ს დის მარგარიტას, რომელიც ცოლად გაჰყვა შოტლანდიის მეფეს ჯეიმზ IV-ს, შვილიშვილი.

შოტლანდიელმა პროტესტანტებმა მერი სტიურატის სამშობლოში დაბრუნება თავშეკავებულად აღიქვეს. მათ ეშინოდათ, რომ მერი შოტლანდიაში კონტრრეფორმაციის განხორციელებას დაიწყებდა და შეეცდებოდა კათოლიციზმის აღდგენას. მწვავე დაპირისპირებას უფრო მეტად აღვიებდა ელისაბედის დაზვერვა. ისინი პირდაპირ ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ. შოტლანდიელ დიდებულებთან ბრძოლაში მერი სტიუარტი დამარცხდა და იძულებული აღმოჩნდა თავშესაფარი მეზობელ ინგლისში ეძია. ამიერიდან ორი დედოფლის დაპირისპირება აპოგეას, ზენიტს, აღწევს.

განსაკუთრებით გააქტიურდნენ ელისაბედის მოწინააღმდეგეები ესპანეთის ფლოტის ინგლისში შემოჭრის წინ. ისინი ოცნებოდნენ ინგლისის ტახტიდან ელისაბედის ჩამოგდებას და მერი სტიუარტის გამეფებას. ელისაბედი ფხიზლობდა.

ჯერ კიდევ ერთი თანამედროვე აღნიშნავდა: „საბუთები, რომლებიც შეიცავდა დარნეილის მკვლელობაზე თანხმობას დაწვეს, ხოლო საბუთებით, რომელიც ეხებოდა მერი სტიუარტის როლს კარგად შემოინახეს". „დღემდე მერი სტიუარტის ბრალმდებლები და მომხრეები მკაფიოდ გამოირჩევიან რელიგიური ნიშნით. პირველნი პროტესტანტულ ბანაკს მიეკუთვნებიან, ხოლო მეორენი კი პირიქით კათოლიკური რწმენის მიმდევარნი არიან".

მერის ბრალად დასდეს ელისაბედის წინააღმფეგ შეთქმულებაში მონაწილეობა და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. 1587 წლის 8 თებერვალს ფოტერინგენის ციხეში მერი სტიუარტს თავი მოკვეთეს.

4. ომი ესპანეთის წინააღმდეგ. „უძლეველი არმადის“ განადგურება. ესპანეთისათვის მერი სტიუარტისადმი მხარდაჭერა ინგლისში შეჭრის გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი იყო.

80-იანი წლების შუა ხანებიდან ინგლისს-ესპანეთის წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამწვავდა, რაც უმთავრესად ორი გარემოებით იყო გამოწვეული. ელისაბედმა 1585 წელს აქტიური, დახმარება აღმოუჩინა, საკუთარი ჯარი გააგზავნა, ნიდერლანდში, რომელიც იბრძოდა ესპანეთის მონარქის ფილიპე II-ს წინააღმეგ. ესპანეთის მეფის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ინგლისელი ზღვაოსნების, „ელისაბედის პირატების“ საქმიანობა. ისინი თავს ესხმოდნენ ესპანეთის ნაპირებს და მის კოლონიებს ახალ სამყაროში. ძარცვავდნენ ოქრო-ვერცხლით დატვირთულ ესპანეთის გალეონებს. ესპანეთის მეფემ გადაწყვიტა წერტილი დაესვა ამ ვითარებისათვის. ესპანეთმა დაიწყო აქტიური სამზადისი ინგლისში შეჭრისათვის.

ეს იყო მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლა. ინგლისს დიდი ხანია თვალი ეჭირა ესპანეთის უზარმაზარ კოლონიებზე ამერიკის კონტინენტზე და მათ ხელში ჩაგდებას ოცნებობდა. ესპანეთი თავის სამფლობელოების უბრძოლველად დათმობას სულაც არ აპირებდა. ინგლისის დამარცხების გარეშე ესპანეთი მსოფლიო ჰეგემონიას ვერ დაამყარებდა.

ფილიპე II დიდ იმედს ამყარებდა „მეხუთე კოლონაზე“, რომელიც ინგლისის შიგნით არსებობდა კათოლიციზმის მიმდევრების სახით. იგი იმედოვნებდა, რომ ისინი მოაწყობდნენ ამბოხებას ელისაბედის წინააღმდეგ ინგლისის ტახტზე მერი სტიუარტის დასმის მიზნით. ამ იმედებს ასრულება არ ეწერათ. ელისაბედის ანტიესპანური პოლიტიკა სავსებით შეესატყვისებოდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს. ისინი სწორედ ესპანეთს მიიჩნევდნენ თავიანთ მთავარ, კონკურენტად გასაღების ბაზრებისათვის, კოლონიებისათვის, ბრძოლაში. ელისაბედის პოპულარობის გასაღებიც აქ უნდა ვეძიოთ.

ესპანელებმა საკმაოდ სოლიდურ ძალებს მოუყარეს თავი. მათი ფლოტი შედგებოდა 134 ხომალდისაგან, 8 ათასზე მეტი

მეზღვაურისგან და 21 ათასზე მეტი ჯარისკაცისგან. ამავე დროს მათ კიდევ უნდა შეერთებოდა 17 ათასი ჯარისკაცი ესპანეთის ჯარებიდან, რომლებიც ნიდერლანდში იბრძოდნენ. მათ შორის იმყოფებოდა 300 ღვთისმსახური, რომლებიც ინგლისში შეჭრის შემდეგ დაიწყებდნენ ინგლისელების მონათვლას კათოლიკურ რწმენაზე. ესპანელებმა ამ უზარმაზარ ფლოტს მედიდურად „უძლეველი არმადა" უწოდეს. ფლოტილიის გასვლის წინ უეცრად გარდაიცვალა ესპანელთა მთავარსარდალი ნიჭიერი ზღვაოსანი დე ლა კრუსი და მისი ადგილი დაიკავა უნიათმა მედინა-სიდონიამ. ვარაუდობენ, რომ დე ლა კრუსის დაღუპვაში, შესაძლოა, ინგლისის საიდუმლო სამსახურის ხელი ერია.

ესპანეთის შეჭრის საშიშროებამ ინგლისში დიდი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია. ეს განწყობილება კარგად გამოხატა თვით ელისაბედმა „მე ერთი სუსტი, უმწეო ქალი ვარ, მაგრამ თუ საჭირო იქნება იარაღით ხელში მე თვითონ გაუძღვები ჩემს ხალხს".

1588 წელს ინგლისის ფლოტმა ლა-მანშის სრუტეში, კალეს მახლობლად, დაამარცხა ესპანეთის ფლოტი. „უძლეველი არმადის" განადგურების ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ინგლის-ესპანეთის მეტოქეობაში თავისებურ შემობრუნების პუნქტს წარმოადგენდა. ესპანეთი თანდათან, ნელ-ნელა, დაბლა დაეშვა, ხოლო ინგლისი კი პირიქით აღმავლობის გზას დაადგა. თუ ესპანეთი თავისი კოლონიურ ნადავლზე დამოკიდებული ეკონომიკით თიხის ფეხებზე შემდგარ კოლოსს წარმოადგენდა, ინგლისის აღმავლობა მისი შინაგანი განვითარების ლოგიკური შედეგი იყო. ამიტომ ამ უკანასკნელის ძლიერება გაცილებით უფრო მტკიცე და მყარი გამოდგა, ვიდრე პირველის.

რა თქმა უნდა, „უძლეველი არმადის" დამარცხება არ ნიშნავდა ესპანეთთან ომის დასრულებას. 90-იან წლებში ეს დაპირისპირება უკვე სხვა ფორმით გრძელდება. თავდაპირველად ინგლისმა სცადა ფეხის მოკიდება პორტუგალიაში, მართალია, ინგლისმა ვერ მოახერხა პორტუგალიაში შეღწევა, მაგრამ ინგლისის მანევრულმა, მობილურმა, ფლოტმა სასტიკად დაარბია

ესპანეთის სანაპირო. ამავე დროს, ინგლისმა დიდი მატერიალური დახმარება აღმოუჩინა ფრანგ პროტესტანტებს. ამით ინგლისმა ხელი შეუშალა ესპანეთის გეგმებს საფრანგეთში.

XVI საუკუნის მიწურულში არნახულ აღმავლობას განიცდიდა ზღვაოსნობა, რასაც მძლავრი ბიძგი მისცა „უძლეველი არმადის" განადგურებამ. ზღვებსა და ოკეანეებზე ინგლისს კონკურენციას ვერავინ უწევდა. ისინი ლაღად სერავდნენ უკიდეგანო სივრცეებს. ელისაბედის ძალისხმევის შედეგად დამყარდა ინგლისის საზღვაო ჰეგემონია და ამაში დიდი წვლილი შეიტანეს ელისაბედის გმირმა მეზღვაურებმა „ელისაბედის პირატებმა", რომელთა დაწინაურების საქმეში „ლომის წილი" თავად ელისაბედს მიუძღვის.

1603 წლის 24 მარტს ელისაბედი გარდაიცვალა. ინგლისში თიუდორთა მმართველობა დასრულდა.

IV თავი

სტიუარტთა მმართველობა

1. **პურიტანიზმი.** ახალი დროის გარიჟრაჟზე სერიოზული ცვლილებები ხდება არა მარტო ინგლისის სოციალურ ყოფაში, არამედ თვისობრივი ხასიათის გარდაქმნებს აქვს ადგილი იდეურ სფეროში, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ადამიანთა მენტალიტეტი, იდეოლოგია, შეგნება.

XVI საუკუნეში ევროპაში ვრცელდება ახალი იდეები რეფორმაცია. განსაკუთრებით ფართო რეზონანსი ჰქონდა ჟან კალვინის მოძღვრებას – კალვინიზმს. მას თავისი მიმდევრები ყავდა მთელს ევროპაში და მათ შორის კუნძულებზე. აქ კალვინის მომხრეებს პურიტანებს უწოდებენ. მაინც რა იყო კალვინის მოძღვრების ესოდენ პოპულარობის მიზეზი?

საქმე ისაა, რომ კალვინიზმი ყველაზე უფრო კარგად გამოხატავდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების მეწარმეების ინტერესებს. კალვინიზმის მომხრე, პირველ ყოვლისა უნდა ყოფილიყო შრომისმოყვარე, გამრჯე, საზრიანი, მომჭირნე ადამიანი, კალვინის მოძღვრების თანახმად, თუ ადამიანს ბედი გაუღიმებს და მისი შრომა სიმდიდრის დაგროვებით დაგვირგვინდება, ის მაშინ ღმერთის რჩეული ყოფილა. თუ ადამიანმა დიდი ჯაფა დახარჯა და სიმდიდრე მაინც ვერ დააგროვა მაშინ ის ღმერთს მისჯილთა კატეგორიისთვის მიუკუთვნებია. კალვინიზმი პასუხობდა მოქალაქეების მოწინავე ნაწილის, პირველ რიგში კი, საშუალო ფენის, სურვილს, დიდი შრომით და ფულის ყაირათიანი ხარჯვით გაემრავლებინა თავისი სიმდიდრე. ამ ახალი იდეოლოგიის მრწამსი ძალიან კარგად გამოხატა იაკობ ფუგერმა „სანამ ცოცხალი ვარ უნდა ვიშოვო". კალვინიზმი სიმდიდრეს იმიტომ კი არ მიელტვის, რომ შემდეგ უაზროდ ხარჯოს. მისი მისწრაფებაა

მოგება, კაპიტალის დაბანდება და მისი ბრუნვაში მოყვანა. კალვინისტის ღვთაება მოგებაა. ის სულ იმის ფიქრშია, რომ ბევრი გაყიდოს და ცოტა იყიდოს, მომხვეჭელობა და გამდიდრება აი რა იყო კალვინიზმის მთავარი ამოსავალი ნერტილი. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ სწორედ კალვინიზმი მოგვევლინა „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესის" იდეოლოგიად. კალვინიზმის არაჩვეულებრივი პოპულარობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზიც, სწორედ, მის წმინდა პრაგმატიზმშია.

პურიტანი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წმინდას, სუფთას. თავდაპირველად ისინი მეტად მოკრძალებულ მიზანს ისახავდნენ. მათ სურდათ ანგლიკანური ეკლესიის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა. მისი გათავისუფლება კათოლიკური დოგმებისაგან და მისი პროტესტანტულ ეკლესიასთან შესატყვისობაში მოყვანა.

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე პურიტანული მოძრაობა მრისხანე ძალად იქცა. მათი რიგები რიცხობრივად კიდევ უფრო გაიზარდა, ხოლო განწყობილება რადიკალური გახდა. პურიტანიზმი განსაკუთრებით პოპულარული ხდება ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის წრეში.

ინგლისელი პურიტანების თვალსაჩინო ფიგურა იყო ცნობილი სწავლული და თეორიტიკოსი კარტრაიტი. მისი შეხედულებით უნდა შეიქმნას ისეთი საეკლესიო ორგანიზაცია, სადაც წამყვანი როლი დაეკისრებათ უხუცესებს (პრესბიტერებს), რომლებიც იქნებოდნენ არჩეულნი თემის ყველაზე უფრო მდიდარი წევრებისაგან. აქედან იღებს სათავეს მათი სახელწოდებაც – პრესბიტერები.

პურიტანიზმის შიგნით არსებობდა მეორე უფრო რადიკალური ფრთა, რომელსაც სათავეში ედგა ბრაუნი. ის გამოდიოდა ანგლიკანურ ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის მომხრედ და ითხოვდა სრულ დამოუკიდებლობას მორწმუნეთა თემებისათვის. მათ „დამოუკიდებლები" ანუ „ინდენპენდენტები" უწოდეს.

რეფორმაციის იდეების გავრცელების შედეგად ინგლისელი ხალხის შეგნებაში მოხდა უზარმაზარი თვისებრივი ცვლილება, რომელმაც სულ მალე თავისი კვალი დაამჩნია ინგლისის ისტო-

რიას. პურიტანებმა ნიადაგი მოამზადეს ინგლისის საზოგადოების ფართო ფენების განახლებისათვის.

2. **ჯეიმზ I-ს ზეობა.** ინგლისის დედოფალი ელისაბედი გათხოვილი არ ყოფილა. ამიტომ მისი გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტზე ავიდა სიკვდილით დასჯილი მერი სტიუარტის ვაჟი, შოტლანდიის მეფე ჯეიმზ VI, რომელიც ინგლისის ისტორიაში შევიდა ჯეიმზ I-ს სახელით. მისი ზეობის ხანაა 1603-1625 წლები.

ინგლისის პოლიტიკურ ყოფას XVII საუკუნის დასაწყისში ახასიათებდა მოჩვენებითი კეთილდღეობა, ტრადიციულობა, საოცარი გარეგანი სიმშვიდე, მაგრამ ამ გარეგნული კეთილდღეობის უკან რეალური ცხოვრება, აღსავსე თვისებრივი ცვლილებებით, რომელიც საზოგადოებრივი ცვლილებების საძირკველს ეხებოდა.

ჯეიმზ I-მა მკვეთრად შეცვალა ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რაც სტიუარტებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ელისაბედი ატარებდა გონივრულ, დაბალანსებულ პოლიტიკას და შესძლო ქვეყნის შიგნით სტაბილურობა დაემყარებინა, ხოლო საგარეო პოლიტიკაში სძლია ინგლისის მთავარ მეტოქეს კოლონიებისათვის ბრძოლაში. ასეთი საგარეო პოლიტიკა სავსებით შეესატყვისებოდა ინგლისის ეროვნულ ინტერესებს. ელისაბედს ბურჟუაზიის და ახალი თავადაზნაურობის მხარდაჭერა ყოველთვის ჰქონდა.

ქვეშევრდომებთან დაპირისპირება ჯეიმზ I-ს გამეფების პირველი დღიდანვე იწყება. პირველი სტიუარტების პირადმა თვისებებმა თავისი როლი შეასრულა პოლიტიკური კრიზისის დაჩქარების საქმეში. ახალ მონარქს ეჭვი არ ეპარებოდა მეფის ხელისუფლების ღვთაებრიობაში და მიაჩნდა, რომ მისი ძალაუფლება შეუზღუდველია. აქედან გამომდინარე მეფის ფუნქციებში პარლამენტის ჩარევას უკანონოდ აღიქვამდა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ „მორჩილი" პარლამენტი ერთბაშად „ურჩად" იქცა. ეს სერიოზული სიმპტომი იყო. ჯეიმზ I აბსოლუტისტური დოქტრინის ცენტრალური პუქნტი იყო პარლამენტის ფუნქციის სრული იგნორირება, უგულვებელყოფა. მას პარლამენტის დანიშნულება ასე ესმოდა „მე თქვენ მჭირდებით

საიმედო რჩევისათვის და რეკომენდაციისათვის" – ამბობდა ჯეიმზ I. „თქვენ (ე.ი. პარლამენტი) არ უნდა ჩაერიოთ მართვის ძირითად საკითხებში – ეს ჩემი სფეროა". ჯეიმზ I-მა კურსი აიღო პარლამენტის უფლებების მაქსიმალურად შეკვეცაზე. მას სურდა პარლამენტი გადაექცია ჩველუბრივ სათათბირო, საკონსულტაციო, ორგანოდ რომელიც მეფის უსიტყვო მორჩილი იქნებოდა.

ჯეიმზ I-ს მმართველობაში ფერისცვალება განიცადა ელისაბედის რელიგიურმა პოლიტიკამ. მისი კომპრომისული კურსი წარსულს ჩაბარდა. მეფე ვერ ეგუებოდა რელიგიის სფეროში მისი პრეროგატივის შეზღუდვას. პურიტანებთან უმწვავესი დაპირისპირებაც, სწორედ, ამით იყო გამოწვეული.

მკვეთრი ევოლუცია მოხდა ინგლისის საგარეო პოლიტიკაში. თუ თიუდორები, და პირველ რიგში ელისაბედი, ახორციელებდნენ ანტიესპანურ პოლიტიკას, რაც სავსებით პასუხობდა ინგლისის ეროვნულ ინტერესებს და განაპირობებდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის თანადგომას, სტიუარტებმა პირიქით კურსი ესპანეთთან კავშირზე აიღეს. მათ ჯერ იყო და ზავი დადეს ესპანეთთან, სოლო შემდეგ მასთან დაახლოებას შეეცადნენ. ასეთმა ნაბიჯმა ინგლისის საზოგადოების მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა. ისინი მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლებას პოლომდე მიეყვანა ინგლისის მთავარი მტრის და კათოლიციზმის ბასტიონის ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ესპანეთთან დაახლობამ ინგლისს გაუფუჭა ურთიერთობები პროტესტანტულ ევროპასთან.

ოცდაათწლიანი ომის დაწყებამ ჯეიმზ I-ს ახალი ᲘᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ გაუჩინა. საზოგადოებამ მეფისგან აქტიური მოქმედება მოითხოვა. პარლამენტი მეფეს ამ შემთხვევაში სრულ მხარდაჭერას პირდებოდა. ჯეიმზ I კი ყოყმანობდა და ესპანეთთან მოლაპარაკება ეიმედებოდა. „ხალხის ინსტიქტი მეფის დიპლომატიაზე უფრო გონიერი აღმოჩნდა". მეფე მხოლოდ მას შემდეგ მოეგო გონს როდესაც ესპანური ქორწინება ჩაიშალა და ახლა გეზი საფრანგეთთან დაახლოებაზე აიღო.

ამიტომაც ისტორიკოსებმა ჯეიმზ I-ს მმართველობას „ინგლისის რევოლუციის პროლოგი" უწოდეს.

3. ჩარლზ I-ის მმართველობა. 1625 წლის 27 მარტს გარდაიცვალა ჯეიმზ I და ინგლისის ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ჩარლზ I (1625-1649). მან გააგრძელა მისი წინამორბედის მიერ დაწყებული საქმე და თავგამოდებით იცავდა სამეფო პრეროგატივის შეზღუდვის ყოველგვარ მცდელობას. „მეფე კანონზე მაღლა დგას, რადგან თვითონ არის კანონის წყარო" – ამბობდა ჩარლზ I. აი ამ პრინციპით აპირებდა იგი ინგლისის მართვას. მისი მმართველობის დროს დაპირისპირება მეფესა და პარლამენტს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. მან „ვერასოდეს ვერ გაიგო ვერც ხასიათი იმ ადამიანებისა, რომელთა წინააღმდეგაც მას ბრძოლა უხდებოდა, ვერც უმთავრესი მისწრაფებანი იმ ხალხისა, რომელსაც იგი მართავდა." ეს არც იყო გასაკვირი. „თავისი თეორიით დაბრმავებული, იგი ცუდად ერკვეოდა მის ირგვლივ არსებულ სინამდვილეში".

ჩარლზ I-ს მეფობის დასაწყისი პირობით ორ პერიოდად შეიძლება გავყოთ 1. პარლამენტთან კონფლიქტის ხანა – 1625-1629 წლები. 2. უპარლამენტო მმართველობა – 1629-1640 წლები.

ჩარლზ I-მა ქვეყნის მართვის სადავეები გადაულოცა თავის ფავორიტს ჰერცოგ ბეკინჰემს, რომელიც სულაც არ იყო ისეთი რომანტიკული შარავანდედით მოსილი გმირი, როგორც ეს ალ. დიუმამ დაგვიხატა თავის რომანში „სამი მუშკეტერი". მათ გადაწყვიტეს საფრანგეთთან დაახლოება და იმედოვნებდნენ, რომ საფრანგეთი დაეხმარებოდა ფრიდრიხ პფალცელს, რომელიც ინგლისის მეფის სიძე იყო. ამ კავშირის განმტკიცების მიზნით ჩარლზ I-მა ცოლად შეირთო საფრანგეთის მეფის და ანრიეტა-მარი. ინგლისი ხელმოცარული დარჩა. საფრანგეთს არავითარი სურვილი არ აღმოაჩნდა ებრძოლა ფრიდრიხ პფალცელის ინტერესებისათვის. ინგლისმა მიიღო კათოლიკე დედოფალი, რასაც მოჰყვა პურიტანების გულისწყრომა „ახალმა დედოფალმა საქორწინო კაბის ნაკეცებით ინგლისში პაპიზმი შემოიტანა".

საფრანგეთზე განაწყენებულმა ბეკინჰემმა სცადა რევანშის აღება, მაგრამ მისი განზრახვა დახმარებოდა ფრანგების მიერ ალყაშემორტყმულ ლაროშელს მარცხით დასრულდა. ერთი თანამედროვე ამბობდა. „მას შემდეგ რაც ინგლისს ინგლისი ჰქვია, მას არასოდეს არ განუცდია მსგავსი შერცხვენა".

მეფესა და პარლმენტს შორის უთანხმოების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ფინანსები იყო. „პარლამენტის ძალა მეფის უფულობაშია", გულხელდაკრეფილი არც პარლამენტი იჯდა. იგი სათანადო ღონისძიებებს მიმართავს. 1628 წელს პარლამენტმა მიიღო „პეტიცია უფლებათა შესახებ". იგი ოთხი მუხლისაგან შედგებოდა: 1. მეფეს არა აქვს უფლება აკრიფოს გადასახადები პარლამენტის სანქციის (ნებართვის) გარეშე. 2. არ შეიძლება პიროვნების დაპატიმრება განაჩენის ან სასამართლოს გარეშე. 3. სახელმწიფოში უნდა აიკრძალოს მშვიდობიან დროს მოქალაქეთა დაპატიმრება და რეპრესიები, საგანგებო სამხედრო წესების შესაბამისად. 4. აიკრძალოს მოქალაქეთა სახლებში ჯარის ჩაყენება, ჯარის შენახვა მოსახლეობის ხარჯზე. „პეტიცია უფლებათა შესახებ" მიმართული იყო სამეფო ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ და იცავდა პიროვნების უფლებას.

ეტყობა, მეფეს მობეზრდა პარლამენტთან გაუთავებელი კინკლაობა და გადაწყვიტა უპარლამენტოდ ემართა. მას აგულიანებდა რიშელიეს მაგალითი, მაგრამ ასლი ორიგინალზე უარესი გამოდგა.

თავდაპირველად უპარლამენტო მმართველობა ცუდს არაფერს უქადდა სტიუარტებს. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები: ოპოზიციის ერთი ნაწილი დროებით დააშინა რეპრესიებმა. მეორე ნაწილი იძულებული გახდა გადასულიყო მეფის მხარეზე. ასე მოიქცა ოპოზიციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გრაფი სტრაფორდი, რომელმაც ბეკინჰემი შეცვალა. ამას დაემატა ისიც, რომ პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოსცილდა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ედუარდ კოკი. გარდაიცვალა ჯონ ელიოტი.

უპარლამენტო მმართველობის წარმატების კიდევ ერთი მიზეზი საგარეო პოლიტიკის სფეროში უნდა ვეძიოთ. ინგლისი ჯერ ესპანეთს, ხოლო შემდეგ კი საფრანგეთს დაუზავდა. ოცდაათწიან ომში ჩაბმული ევროპა ინგლისელი ვაჭრებისათვის გასაღების სარფიანი ბაზარი აღმოჩნდა. სტაბილურობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო და დიდხანს არ გასტანა. ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის ძალმომრეობამ კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა პოლიტიკური კრიზისის გაღრმავე-

ბა. მეფის საგადასახადო პოლიტიკისათვის ნიშანდობლივი იყო ქვეშევრდომთა ინტერესების სრული იგნორირება, თავისუფალი კონკურენციის მოთხოვნათა უგულვებელყოფა, მოქალაქეთა უფლებების ფეხქვეშ გათელვა. ცხადია, ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ჩარლზ I-სათვის ეშაფოტისაკენ მიმავალი გზა გადასახადებზე უარით დაიწყო.

შოტლანდიის აჯანყება მეფესა და პარლამენტს შორის ხანგრძლივი დაპირისპირების დასკვნით აკორდად მოგვევლინა. ხელისუფლებამ განიზრახა შოტლანდიაში პრესბიტერიანული ლიტურღიის ნაცვლად შემოეღო ანგლიკანური ლოცვანი. ამან შოტლანლდიელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. შოტლანდიელთა არმია ინგლისში შეიჭრა. ჩარლზ I მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას არც ფული ჰქონდა და არც ჯარი ყავდა და რაც მთავარია მას მხარს არ უჭერდა ხალხი. მეფეს ურჩევენ მოიწვიოს პარლამენტი. უპარლამენტო მმართველობა დასრულდა.

1640 წლის 13 აპრილს ჩარლზ I-მა მოიწვია პარლამენტი, რომლის სხდომებმა სულ სამ კვირას გასტანა. პარლამენტმა ცივი უარი სტკიცა მეფეს სესხის მიცემაზე და 5 მაისს მეფემ პარლამენტი დაითხოვა. იგი ისტორიაში „ხანმოკლე პარლამენტის" სახელით შევიდა.

მოსახდენი მოხდა. შოტლანდიელებმა სძლიეს მეფეს. პარლამენტის მომხრეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როგორც ერთი თანამედროვე აღნიშნავდა „რაც უფრო ცუდად იქნება მეფის საქმე შოტლანდიაში, მით უფრო კარგად წავა პარლამენტის საქმე ინგლისში".

„როცა სახელმწიფოს საფუძვლები იცვლება, მმართველები კი ამის შესაბამისად სახელწიფო შენობის შეცვლას არ ცდილობენ, ხალხი უბედური ხდება".

V თავი

XVII საუკუნის ინგლისის რევოლუცია

1. ინგლისის რევოლუციის კონსტიტუციური ეტაპი. შოტლანდიასთან ომში ჩარლზ I-მა სასტიკი მარცხი იწვნია. ხელისუფლება კვლავ კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მეფე იძულებულია პარლამენტი მოიწვიოს.

1640 წლის 13 ნოემბერს მოწვეულ იქნა ახალი პარლამენტი, რომელმაც 13 წელი იარსება და ისტორიაში შევიდა "ხანგრძლივი პარლამენტის" სახელით.

ახლადმოწვეული პარლამენტის ძალისხმევის შედეგად დააპატიმრეს გრაფი სტრაფორდი და არქიეპისკოპოსი ლოდი. მან თავისი „მკაცრი და მოუფიქრებელი საქმიანობით ინგლისის რელიგიური აზრი მთავრობის საწინააღმდეგოდ განაწყო".

პარლამენტმა სცადა ზღვარი დაედო ხელისუფლების ფინანსური და საგადასახადო ძალმომრეობისათვის. მან მიიღო რეზოლუცია, რომელიც მკვეთრად ზღუდავდა მეფის ფინანსურ საქმიანობას. პარლამენტი ლამობს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა.

1641 წელს მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება „სამწლიანი აქტი", რომელმაც წერტილი დაუსვა პარლამენტის მოწვევის საკითხში მეფის თვითნებობას, რასაც პარლამენტთან უთანხმოების შემთხვევაში წარმატებით იყენებდნენ პირველი სტიუარტები. ამიერიდან მეფეს არ შეეძლო პარლამენტის ხანგრძლივად დათხოვნა. პარლამენტი უნდა მოწვეულიყო სამ წელიწადში ერთხელ, მიუხედავად იმისა სურდა თუ არა მეფეს. „ეს რევოლუციის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტატუსი (კანონი) იყო". მეფის ხელისუფლებაზე პარლამენტის კონტროლი ძლიერდება.

მეფემ ვერ შეძლო თავისი ფავორიტის გადარჩენა. 1640 წლის მაისში გრაფი სტრაფორდი სიკვდილით დასაჯეს. მას წინასწარმეტყველურად დასცდა „ნუთუ მეფე ვერ ხვდება, რომ ამით თავის სიკვდილის განაჩენს მოაწერა ხელი“.

1641 წლის მაისში პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც მიზნად ისახავდა ინგლისის რელიგიურ მოწყობას. პურიტანები ანგლიკანურ ეკლესიას განიხილავდნენ, როგორც ხელისუფლების ერთგულ დამქაშს. ახალი კანონი, პირველ რიგში, ითვალისწინებდა ეპისკოპატის გაუქმებას. „რევოლუციის აზვირთებამ შეაშინა ზედაფენები და ტახტისადმი კომპრომისულად განაწყო, ხოლო ქვედა ფენებს სურდათ შემდგომი რეფორმები და მზად არიან გადამწყვეტი გამოსვლისათვის“.

მეფეს სასტიკად ეკრძალებოდა გადასახადების, სუბსიდიების და ბაჟების აკრეფა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

პარლამენტმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, გააუქმა „ვარსკვლავებიანი პალატა“ და „უმაღლესი საბჭო“. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სასამართლო ხელისუფლებაზე კონტროლი პარლამენტის ხელში ექცევა.

1641 წლის შემოდგომაზე იფეთქა აჯანყებამ ირლანდიაში. ეს იყო საუკუნეების მანძილზე ინგლისის მიერ ირლანდიის მიწაწყლის მიტაცების უსასტიკესი პოლიტიკის ლოგიკური შედეგი. მეფე იმედოვნებდა ამბოხებული ირლანდიელების პარლამენტის წინააღმდეგ გამოყენებას. რევოლუციურმა პარლამენტმა ირლანდიელების მიმართ მკვეთრად გამოკვეთილი მტრული პოზიცია დაიკავა. ეს ადვილი გასაგებია. პარლამენტის წევრებს ირლანდიაში უზარმაზარი სამფლობელოები ჰქონდათ და, ცხადია, ფიქრადაც არ მოსდიოდათ მათი დათმობა.

1641 წლის მიწურულს პარლამენტმა მიიღო კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება „დიდი რემონსტრაცია“ ანუ „დიდი პროტესტი“. მასში ხაზგასმულია ის კანონდარღვევები, რომელიც ჩაიდინა მეფემ და ის სიკეთე, რომელიც გააკეთა პარლამენტმა. დასახული იყო ის ამოცანები, რომელიც პარლამენტს უნდა გაეკეთებინა. „დიდი რემონსტრაცია“ იყო პარლამენტის ახალი პროგრამა, რევოლუციური მანიფესტი.

1642 წლის დასაწყისში მეფესა და პარლამენტს შორის დაპირისპირება გადამწყვეტ ფაზაში შედის. მეფემ ჩაიფიქრა საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრება, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ოპოზიციონერებმა თავი ლონდონის სიტის შეაფარეს. სიტიმ უარი უთხრა მეფეს მათ გადაცემაზე. ამის შემდეგ მეფე ტოვებს ლონდონს და ჩრდილოეთისკენ მიდის. პარლამენტმა გადაწყვიტა ჯარის მობილიზაცია.

1642 წლის 22 აგვისტოს ნოტინჰემში მეფემ აღმართა შტანდარტი, რაც სამოქალაქო ომის დაწყებას ნიშნავდა. ორივე მხარე მეფე და პარლამენტი ერთმანეთს დებდა ბრალს სამოქალაქო ომის გაჩაღებაში.

2. პირველი სამოქალაქო ომი. სამოქალაქო ომმა შუაზე გახლიჩა ინგლისი. ერთი ნაწილი იბრძოდა მეფის მხარეზე, ხოლო მეორე ნაწილი კი პირიქით პარლამენტის მომხრე იყო. ჩრდილოეთის და დასავლეთის რეგიონი მეფეს უჭერდა მხარს, ხოლო სამხრეთი და აღმოსავლეთი კი პარლამენტს თანაუგრძნობდა. საგულისხმოა, რომ პარლამენტის მხარეზე აღმოჩნდა ინგლისის ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული რაიონები და რაც მთავარია დიდი ნავსადგურები და ფლოტი.

მეფის ბანაკის ძირითად ბირთვს შეადგენდა ძველი თავადაზნაურობა. პარლამენტის მოკავშირე იყვნენ ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა, ანუ როგორც მას თანამედროვეები უწოდებდნენ „მოკავშირე კლასები". მათ გვერდში იდგა გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა.

პოლიტიკური ნიშნით დაყოფას ემთხვეოდა რელიგიური ნიშნით დაყოფა. ანგლიკანური ეკლესია და ირლანდიელი კათოლიკეები მეფის მხარეზე იდგნენ. პურიტანები კი პარლამენტს უჭერდნენ მხარს.

მეფის მომხრეებს „კავალერებს" ეძახდნენ, ხოლო პარლამენტის მხარეზე მებრძოლებს „მრგვალთავიანებს". მათ მოკლედ ჰქონდათ შეკრეჭილი თმა.

სამოქალაქო ომის დასაწყისში მეფეს პრაქტიკულად არ ყავდა ჯარი, რამაც პარლამენტს სწრაფი გამარჯვების ილუზია შეუქმნა. როგორც ერთი თანამედროვე აღნიშნავდა „ყველა დარ-

წმუნებული ვიყავით, რომ პირველივე შეტაკება გადაწყვეტდა ყველაფერს". „მეფე ორიოდე კვირის შემდეგ იძულებული გახდება პატიება ითხოვოს". საკმაოდ რეალისტურად აფასებდნენ სიტუაციას მეფის ბანაკში. „თქვენო უდიდებულესობავ – ეუბნებოდნენ ისინი მონარქს, – მათ შეუძლიათ ერთ მშვენიერ დღეს შიშველი ხელებით ჩაგიგდონ ხელში".

სამოქალაქო ომის დასაწყისში წარმატება მეფის შეიარაღებული ძალების მხარეზე აღმოჩნდა, რაც უმთავრესად ორი ფაქტორით აიხსნებოდა: წმინდა სამხედრო და პოლიტიკური. მეფის შეიარაღებული ძალების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა ძველი არისტოკრატია, რომლისთვისაც სამხედრო საქმე პროფესია იყო. მეფის არმია შედარებით უფრო მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ გაცილებით უფრო კარგად იყო აღჭურვილი, ორგანიზებული და დისციპლინირებული.

პარლამენტის პრესბიტერიანული ნაწილის უნიათობას უმთავრესად პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. „მათ არ აწყობდათ მეფის სრული გამარჯვება, ისევე როგორც არ აწყობდათ პარლამენტის სრული გამარჯვება".

პრესბიტერიანებმა დახმარებისათვის შოტლანდიელებს მიმართეს. ეს იყო სამხედრო, პოლიტიკური და რელიგიური კავშირი. პრესბიტერიანები ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერას ისახავდნენ მიზნად. შოტლანდიის არმიის დახმარებით იმედოვნებდნენ ისინი მეფის ძლევას და ოპოზიციურად განწყობილი ინდენპენდენტების მოთოკვას.

და მაინც, მიუხედავად ამ კრიტიკული სიტუაციისა პარლამენტის არმიამ შეძლო მოეპოვებინა ერთი ბრწყინვალე გამარჯვება. ეს მოხდა 1644 წელს მარსტონ-მურესთან. ამ ბრძოლის გმირად მოგვევლინა 45 წლის გენერალ-ლეიტენანტი ოლივერ კრომველი.

1644 წლის მიწურულს ნათელი გახდა, რომ არმიის რეორგანიზაციის გარეშე მეფის წინააღმდეგ ბრძოლის ბოლომდე მიყვანა ძალზე გაძნელდებოდა. ვინ იკისრებდა ამ რთულ მისიას? აი სწორედ ამ დაძაბულ ვითარებაში გამოვიდა წინა პლანზე ოლივერ კრომველი.

3. ოლივერ კრომველი. 1599 წლის 25 აპრილს რობერტ კრომველს და ელისაბედ სტიუარტს შეეძინათ ვაჟი. მას სახელად ოლივერი დაარქვეს. კრომველი იყო ჯენტრის ტიპიური წარმომადგენელი, მემამულე სკვაიერი. მისი ბავშვობის და ყრმობის წლების შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია შემოგვრჩა. არსებობს ვერსია თითქოს ერთხელ ბიძასთან სტუმრობის დროს პატარა ოლივერი შეხვდა მომავალ მონარქს ჩარლზ I-ს. ბავშვები ნაკინკლავდნენ და კრომველმა ცხვირი გაუტეხა უელსის პრინცს.

1616 წელს კრომველი მიდის სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ იგი სწავლას გულს ვერ უდებს. მან შეიყვარა ორი საქმე: ფიზიკური შრომა და კომერცია. მცირე ხნის შემდეგ კრომველს გარდაეცვალა ჯერ მამა, მერე კი ბიძა. კრომველი იძულებულია დაბრუნდეს სახლში და სათავეში ჩაუდგეს მრავალრიცხოვან ოჯახს. 1619 წელს კრომველი მიდის ლონდონში იურისპრუდენციის შესასწავლად, რომლის ცოდნის გარეშე მემამულე სკვაიერი ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა. დედაქალაქში მან გაიცნო ლონდონელი ვაჭრის ქალიშვილი ელისაბედი ბუტჩერი. ისინი დაახლოვდნენ და მალე შეუღლდნენ. ქორწინება ბედნიერი აღმოჩნდა და მათ მრავალი შვილი ეყოლათ.

20-იან წლების დასაწყისში კრომველის ცხოვრება არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი მემამულე სკვაიერის საქმიანობისაგან. პოლიტიკურ ასპარეზზე კრომველი გამოჩნდა 1628 წელს, როდესაც ის აირჩიეს პარლამენტის დეპუტატად მშობლიური მხარიდან. თავდაპირველად კრომველს მეტად მოკრძალებულად ეჭირა თავი და იგი უმთავრესად სწავლობდა საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებისგან. 30-იან წლებში პურიტანების დევნა-შევიწროება კრომველსაც შეეხო. არსებობს ვერსია, რომ იგი ერთხანს ჩრდილოეთ ამერიკაში წასვლასაც კი აპირებდა, მაგრამ 40-იან წლებში დაწყებულმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა მისი ცხოვრება.

სამოქალაქო ომის დროს კრომველი სწრაფად დაწინაურდა. მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა. მან შეძლო თანდათან შემოეკრიბა თანამზრახველთა დიდი რაზმი, რომელიც შემდგომში პარლამენტის არმიის ძირითად ბირთვად

იქცა. კრომველის უშუალო ინიციატივით პარლამენტმა მიიღო მთელი რიგი კანონები, რომელიც ზღვარს უდებდა სამეფო ხელისუფლების თვითნებობას. კრომველი მეფის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების მომხრედ გამოდიოდა. აქედან იღებს სათავეს კრომველის დაპირისპირება პრესბიტერიანებთან, რომლებსაც ამ საკითხში მეტად ორჭოფული პოზიცია ეკავათ.

ერთხელ როდესაც სერ დიგბიმ მის გვერდით მჯდომ ჯონ ჰემპდენს ჰკითხა ვინ არის ეს გლეხიო? ასეთი პასუხი მოისმინა: „თუ საქმე მეფესთან შეტაკებაზე მიდგა, ეს გლეხი ინგლისში პირველ კაცად მოგვევლინება". შემდგომში ეს მართლაც ასე მოხდა.

4. პირველი სამოქალაქო ომის დასასრული. არმიის რეორგანიზაციის, გარდაქმნის, მთავარ ინიციატორად, სწორედ, ოლივერ კრომველი მოგვევლინა. 1644 წელს კრომველის წინადადებით მიღებული იქნა „აქტი თვითგადადგომის შესახებ". ამიერიდან პარლამენტის არც ერთ წევრს უფლება არ ჰქონდა დაეკავებინა ხელმძღვანელი პოსტი არმიაში. ასე ჩამოაშორა კრომველმა პრესბიტერიანები არმიის ხელმძღვანელობას. ერთადერთი გამონაკლისი დაშვებული იქნა თავად კრომველის მიმართ. არმიის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა პარლამენტის მუდმივი ჯარი, რომელსაც თანამედროვეებმა „ახალი მოდელი" უწოდეს. მის ძირითად ბირთვს კი შეადგენდნენ კრომველის „რკინისგვერდებიანები". ასე უწოდა მარსტონ-მურესთან ბრძოლის შემდეგ კრომველის კავალერიას პრინცმა რუპერტმა.

კრომველის მიერ გატარებულმა სამხედრო რეფორმამ სულ მალე სათანადო ნაყოფი გამოიღო. 1645 წელს ნეზბისთან გადამწყვეტ ბრძოლაში პარლამენტის არმიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ სამოქალაქო ომის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. ინგლისის ტერიტორიის დიდ ნაწილს პარლამენტის არმია აკონტროლებდა.

მეფემ თავს შოტლანდიაში გაქცევით უშველა. შოტლანდიელებს არ სურდათ ინგლისის პარლამენტთან ურთიერთობის დაძაბვა და დაიწყეს მასთან მოლაპარაკება. მათ 4 ათას გირვანქა სტერლინგად გადასცეს მეფე პარლამენტს. ჩარლზ I ამბობდა

„მიყიდეს და გამყიდესო“. პირველი სამოქალაქო ომი ინგლისში დასრულდა.

როგორც კი პარლამენტმა ოდნავ სული მოითქვა, უმალ მიაპყრო ყურადღება რევოლუციის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს – აგრარულ პრობლემას. 1646 წლის კანონით პარლამენტმა გააუქმა „სარაინდო მინათმფლობელობა“. პარლამენტმა მეფის მომხრე ძველი ყაიდის თავადაზნაურობას ადგილ-მამულები ჩამოართვა. ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა რევოლუციამდე მათ სარგებლობაში და სამოქალაქო ომის დროს შეძენილი მიწების მესაკუთრე გახდა.

5. კონფლიქტი პარლამენტსა და არმიას შორის. მეორე სამოქალაქო ომი. მეფის სიკვდილით დასჯა. ერთმა როალისტმა თანამედროვემ შორსმჭვრეტელურად შენიშნა. „ამჯერად თქვენ გაიმარჯვეთ და შეგიძლიათ გასართობად თეატრში წაბრძანდეთ, თუკი ერთმანეთს არ დაერევით“. გამარჯვებულთა ბანაკში თავი იჩინა უთანხმოებამ.

1647 წლის დასაწყისში პარლამენტის წინაშე ორი სერიოზული პრობლემა იდგა: მეფესთან დამოკიდებულება და „ახალი მოდელის“ არმიის ბედი. ამ ორ საკითხზე სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა.

პრესბიტერიანები მეფის მიმართ ერთგულქვეშევრდომულ დამოკიდებულებას იჩენდნენ და უდიდეს დათმობებზე მიდიოდნენ მის მიმართ.

მეფესთან მოლაპარაკებას ანარმოებდნენ ინდეპენდენტებიც. არც ერთს არ სურდა გაეშვა ხელიდან მეფესთან მოლაპარაკების პრიორიტეტი. ეს ინდეპენდენტთა სერიოზული ნარუმატებლობა იქნებოდა.

არმიის რიგითი შემადგენლობა, პირველ რიგში კი, ლეველერები რადიკალურად იყვნენ განწყობილი და სამეფო ხელისუფლებასთან კომპრომისზე წასვლას არ აპირებდნენ.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ წამოიჭრა არმიის საკითხი. რა ბედი ეწევა ახალი მოდელის არმიას? პრესბიტერიანები არმიის დათხოვნის მომხრეები იყვნენ. ლეველერები პირიქით, ეწინააღმდეგებოდნენ ამას.

ინდეპენდენტები, კრომველის თავკაცობით, რთული არჩევანის წინაშე დადგნენ.

კრომველს არც არმიაში ავტორიტეტის დაკარგავა არ სურდა და რევოლუციის მსვლელობაშიც რაიმე თვისობრივ ნახტომს გამორიცხავდა. რა ტაქტიკას აირჩევდა იგი?

პრესბიტერიანების დაახლოებამ მეფესთან წერტილი დაუსვა კრომველის ორჭოფობას. მან კურსი არმიის რიგით შემადგენლობასთან კავშირზე აიღო. ამიერიდან კრომველმა მიზნად დაისახა არმია ინდეპენდენტების კონტროლისათვის დაემორჩილებინა და თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინა. უნდა ითქვას, რომ კრომველმა ამ რთულ მისიას ძალიან კარგად გაართვა თავი.

თავდაპირველად არმიამ მეფე თავის ბანაკში გადმოიყვანა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დედაქალაქიც კი დაიკავა. საზოგადოების ფართო წრეების მხარდაჭერის შედეგად ინდეპენდენტებმა გზა გადაუჭრეს პრესბიტერიანებს.

ინდენპენდენტების და ლეველერების დაპირისპირება ინგლისის რევოლუციის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია. მან თავის კულმინაციას მიაღწია 1647 წლის შემოდგომაზე. ინდენპენდენტები კონსტიტუციური მონარქიის, ხოლო ლეველერები უფრო მმართველობის რესპუბლიკურ ფორმის მომხრეები იყვნენ. ამ საკითხებზე მწვავე დისკუსია გაიმართა საერთო არმიულ კონფერენციაზე პეტნიში. კრომველმა მოახერხა არმიაში წესრიგის დამყარება. მან შეძლო არმია ინდენპენდენტების კონტროლისათვის დაემორჩილებინა.

ჩარლზ I მოწინააღმდეგეების შორის უთანხმოების ეიმედებოდა. „ჩემი ხელისუფლების გარეშე მშვიდობა და წესრიგი ვერ აღდგებაო" – აცხადებდა იმედმოცემული ჩარლზ I. მან ერთ-ერთ საუბარში პირდაპირ აღნიშნა „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ვაიძულებ პრესბიტერებს და ინდენპენდენტებს ერთმანეთის განადგურების იმედით მე შემომიერთდნენ. ამის შემდეგ მე კვლავ მეფე ვიქნები".

მან კარგად ისარგებლა პარლამენტის რიგებში არსებული წინააღმდეგობით და არმიის განლაგებიდან გაიქცა. ინგლისი

კვლავ სამოქალაქო ომის ზღურბლზე აღმოჩნდა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1648 წელს და კრომველის არმიამ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ჩარლზ I დაპატიმრებული იქნა.

პრესბიტერიანები ენერგიას არ იშურებენ მეფის გადასარჩენად. საზოგადოება უკმაყოფილო იყო. 1649 წლის მინურულს პოლკოვნიკ პრაიდმა არმიის ხელმძღვანელობის მითითებით განმინდა პარლამენტი პრესბიტერიანი წევრებისაგან და ის ინდეპენდენტების კონტროლს დაუქვემდებარა.

სასწრაფოდ შეიქმნა უმაღლესი სასამართლო, რომელსაც სათავეში ედგა ბრედშოუ. მწვავე დებატების შემდეგ პარლამენტმა მეფეს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

1649 წლის იანვარში განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. ჩარლზ I სიკვდილით დასაჯეს. დღეს ლონდონში ერთ მოედანზე დგას ჩარლზ I-ის და ოლივერ კრომველის ძეგლი. ის ძველ და ახალ ინგლისს შორის კონსესუსს, თანხმობას განასახიერებს.

VI თავი

ინტერრეგნუმი ანუ უმეფობის ხანა

1. რესპუბლიკის დამყარება ინგლისში. 1649 წლის მარტში გაუქმებული იქნა სამეფო ხელისუფლება და ლორდთა პალატა. მაისში ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკა პროტექტორატმა შეცვალა. ამ პერიოდს ინტერრეგნუმს – მეფობათა შორის პერიოდს უწოდებენ. მან თერთმეტი წელი გასტანა.

ერთი ინგლისელი ისტორიკოსის თქმით, „ინგლისის რესპუბლიკა მხოლოდ ფორმით იყო დემოკრატიული, ხოლო თავისი შინაარსით იყო ნახევრად რელიგიური, ნახევრად სამხედრო ოლიგარქია“.

უპირველეს ყოვლისა, ინდენპენდენტებმა გადაწყვიტეს, რომ დაეცვათ რევოლუციის მონაპოვარი როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ძალების ხელყოფისაგან. მათ უსასტიკეს რეპრესიებს მიმართეს. მეფის მომხრე დელიქვენტების წინააღმდეგ. მათი დიდი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს, ხოლო მეორე ნაწილი სასამართლოს გადასცეს და პატიმრობა მიუსაჯეს.

1649 წლის მაისში ინდეპენდენტებმა სასტიკად ჩაახშვეს ლეველერების გამოსვლა, რომელიც ძალზე სუსტად იყო ორგანიზებული.

ინდენპენდენტებმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს რელიგიის სფეროში. ამ კანონების თანახმად, ყოველგვარი გადახვევა ინდენპენდენტების მიერ დადგენილი რელიგიური ნორმებიდან მკრეხელობად აღიქმებოდა. ეს პოლიტიკა გრძელდება პროტექტორატის დროსაც. მხოლოდ ის პურიტანული მიმდინარეობები იყო ნებადართული, რომელიც არსებულ რეჟიმს არ ეწინააღმდეგებოდა, ინდეპენდენტებმა დაამყარეს თავიანთი რელიგიის – პურიტანიზმის მონოპოლია.

პურიტანიზმით ეგზალტირებული ინდენპენდენტები მოითხოვდნენ სადა ცხოვრებას, მომჭირნეობას და ამდენად ხელოვნებას მნიშვნელოვანწილად ზედმეტ ფუფუნებად მიიჩნევდნენ. ასე მაგალითად, მათ აკრძალეს თეატრი, რომელსაც უილიამ შექსპირმა საყოველთაო აღიარება მოუტანა. ჩალის ფასად იქნა გაყიდული ჩარლზ I-ს მდიდარი კოლექცია, რომელიც ევროპის მონარქების ხელში აღმოჩნდა.

2. ირლანდიის დაპყრობა. პირველი ნაბიჯი ირლანდიის დაპყრობის გზაზე ინგლისმა ჯერ კიდევ XII საუკუნეში ჰენრი II პლანტაგენეტის დროს გადადგა. XIII-XIV საუკუნეებში ინგლისი ცდილობს პოზიციები განიმტკიცოს ირლანდიაში. თიუდორების დროს ინგლისის ექსპანსიამ ირლანდიაში ინტენსიური ხასიათი მიიღო. 1541 წელს ინგლისის მეფემ ჰენრი VIII-მ თავი ირლანდიის მეფედ გამოაცხადა. ინგლისელები სარგებლობდნენ ცალკეულ კლანებს შორის არსებული დაპირისპირებით, შუღლით. XVI საუკუნის მიწურულს ირლანდიაში იფეთქა აჯანყებამ. ის რამდენიმე წელს გრძელდებოდა. 1603 წელს ინგლისელებმა სასტიკად ჩაახშვეს აჯანყება.

1641 წლის შემოდგომაზე ირლანდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სამოქალაქო ომის დროს ინგლისს ირლანდიისთვის არ ეცალა, მაგრამ როგორც კი სამოქალაქო ომი დასრულდა პარლამენტმა უმალ მიაპყრო ყურადღება ირლანდიას და გადაწყვიტა სტატუს-კვოს აღდგენა.

1649 წლის აგვისტოში ინგლისის ფლოტმა კურსი ირლანდისკენ აიღო. კარგი იქნებოდა თუ ირლანდიაში გაგზავნილი არმია თავის „ენერგიას და ენთუზიაზმს დაპყრობით ლაშქრობაში დახარჯავდა". „ჯარისკაცებს, უპირველეს ყოვლისა, ეგოისტური მიზნები ამოძრავებდათ. პირადი გამორჩენა, ძარცვა-გლეჯა, პირადი გამდიდრება".

პარლამენტმა ირლანდიის არმიის მთავარსარდლის პოსტზე ოლივერ კრომველი დანიშნა. ამ შემთხვევაში პარლამენტს მეტად შორსმიმავალი ზრახვები ამოძრავებდა. მათ უნდოდათ თავიდან აეცილებინათ ინგლისში კრომველის სამხედრო დიქტატურის დამყარება, მაგრამ მოხდა ისე, რომ ირლანდიაში მოპოვებულ-

მა გამარჯვებამ ხელი შეუწყო კრომველის დიქტატურის დამყარებას. „ირლანდიის დაპყრობით კრომველს სურდა დაეპყრო ინგლისი“.

კრომველს ძირითადად ციხესიმაგრეში გამაგრებული გარნიზონების წინააღმდეგ მოუწია ბრძოლა. კრომველის ექსპედიცია იყო „ამომწყვეტი ომი“. „გადამწვარი მიწისთვის“. „ირლანდიაში გამომჟღავნდა კრომველის ერთი აქამდე დაფარული თვისება – სისასტიკე“.

ინგლისის არმიის წარმატება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა არა მარტო კრომველის სამხედრო ნიჭმა, არამედ მისმა დიპლომატიურმა უნარმა. ის შესანიშნავად იყენებდა ცალკეულ კლანებს შორის არსებულ უთანხმოებას.

1652 წლის აგვისტოში მიიღეს ირლანდიის მოწყობის აქტი. იგი სასტიკ, დრაკონულ, ხასიათს ატარებდა. ფაქტობრივად ეს იყო ირლანდია ირლანდიელების გარეშე. ირლანდიის დაპყრობის შედეგად ყველაზე დიდი მოგება მოკავშირე კლასებმა ნახეს. ჯარისკაცები ჩალის ფასად ყიდდნენ მიწებს, რომელსაც იძენდნენ ოფიცრები. ასე ჩაეყარა საფუძველი ირლანდიაში ლენდლორდიზმს.

3. კრომველის ექსპედიცია შოტლანდიაში. შოტლანდიელი ჟამთააღმწერელი გულისტკივილით დასძენდა „ინგლისში უილიამ დამპყრობელიდან დაწყებული, არ ყოფილა არც ერთი მეფე, რომელიც არ ისწრაფოდა შოტლანდიის დამორჩილებას“.

XVII საუკუნის შუა ხანებში შოტლანდია როიალისტური აჯანყების კერად იქცა. პარლამენტს ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეეძლო. კრომველმა თავისი არმია შოტლანდიისაკენ დაძრა. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა მხოლოდ როიალისტური ამბოხის ჩახშობას, არამედ ინგლისის პარლამენტს გაცილებით უფრო სერიოზული ჩანაფიქრი გააჩნდა. პარლამენტი როიალისტური აჯანყების ჩახშობასთან ერთად მიზნად ისახავდა შოტლანდიის ეროვნული სუვერენიტეტის ლიკვიდაციას.

შოტლანდიელები თავს არიდებდნენ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას და პარტიზანული ბრძოლის მეთოდი აირჩიეს. ამ ტაქტიკამ გარკვეულწილად გაამართლა კიდეც თავი. კრომველ-

მა გადაწყვიტა სანაპიროსკენ დაეხია. შოტლანდიელთა სარდალს ლესლის შეეშინდა, რომ მტერი ხელიდან გაუსხლტებოდა და ბარში ჩამოვიდა. 1650 წლის სექტემბერში გადამწყვეტ ბრძოლაში კრომველმა გაიმარჯვა. კრომველმა შოტლანდიელების წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხა ერთი წლის შემდეგ 1651 წლის სექტემბერში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების წყალობით.

1652 წლის თებერვალში პარლამენტმა მიიღო შოტლანდიის მოწყობის აქტი. მიწები უმთავრესად აღმოჩნდა საშუალო ფენის ვაჭარ-მრეწველების ხელში. მთაგორიანი შოტლანდია ინგლისელებს შედარებით ნაკლებად იზიდავდათ, ვიდრე ირლანდიის ნოყიერი მიწები.

პარლამენტმა სასტიკად ჩაახშო როიალისტური ამბოხი ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისურ ახალშენებში.

რესპუბლიკა უკანასკნელ დღეებს ითვლის. კრომველს დიდი ხანია ჩაფიქრებული ჰქონდა ინგლისის პოლიტიკური წყობის შეცვლა. დადგა მოქმედების დრო. 1653 წლის აპრილში კრომველმა დაითხოვა ხანგრძლივი პარლამენტი. კრომველი იმედოვნებდა, რომ ახალი პარლამენტი უფრო მორჩილი იქნებოდა, მაგრამ ახალი პარლამენტი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი ერგულქვეშევრდომული, როგორც ამას კრომველი და მისი მხარდამჭერნი გეგმავდნენ. 1653 წლის მიწურულს პარლამენტმა შეიტანა თვითგადადგომის აქტი. მთელი ძალაუფლება გადაეცა ერთ პიროვნებას – ოლივერ კრომველს. ინგლისის რესპუბლიკამ არსებობა დაასრულა.

4. პროტექტორატი. საგარეო პოლიტიკა. „რევოლუციონერები უფრო აქტიურად იბრძოდნენ, ვიდრე მათი წინამორბედი მეფეები, სწორედ, ისინი (ე. ი. რევოლუციონერები – მ. კ.) გვევლინებიან ბრიტანეთის იმპერიის შემომქმედებად". ელისაბედის შემდეგ, სწორედ, კრომველმა გააკეთა ყველაზე მეტი ინგლისის საერთაშორისო პრესტიჟის და ავტორიტეტის განმტკიცებისა და კოლონიური იმპერიის ჩამოყალიბებისათვის.

საინტერესოა, როგორი იყო ოლივერ კრომველის საგარეო პოლიტიკური ჩანაფიქრი, გეგმა. რისი განხორციელება ეწადა მას? კრომველს სურდა მსოფლიოს გაერთიანება პროტეს-

ტანტების ანუ მათ სათავეში მდგარი ინგლისის მეთაურობით. „ამრიგად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს მსოფლიოს პროტესტანტების სასარგებლოდ გადანაწილების ოცნებასთან“.

XVII საუკუნის შუა ხანებში ინგლისის მთავარი მეტოქე ჰოლანდიაა, რომელიც იმ დროისათვის თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა და „მსოფლიო მეეტლის“ როლში მოგვევლინა. ესპანეთის დაქვეითების შემდეგ, სწორედ, ჰოლანდია იქცა ინგლისის მთავარ კონკურენტად ზღვებზე ბატონობის და კოლონიებისთვის ბრძოლაში.

1651 წლის ოქტომბერში მიიღეს „სანავიგაციო აქტი“, რომელმაც ფაქტობრივად საძირკველი ჩაუყარა ინგლისის საგარეო პოლიტიკურ ძლიერებას და დიდი ხნით უზრუნველყო ზღვებზე ინგლისის ბატონობა. ეს კანონი ჰოლანდიის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება გამოდგა. საქმე ისაა, რომ ჰოლანდია თვითონ პროდუქციას უმნიშვნელო რაოდენობით აწარმოებდა. მაგრამ თავისი გემებით გადაჰქონდა მსოფლიო ყველა სხვა ქვეყნების საქონელი. საზღვაო-სატრანზიტო ვაჭრობას უზარმაზარი მოგება მოჰქონდა ჰოლანდიისათვის. ამიერიდან კოლონიებიდან და ევროპიდან პროდუქციის შეტანა შეიძლებოდა მხოლოდ ინგლისური, ანდაც იმ ქვეყნის გემით, სადაც ეს პროდუქცია იყო დამზადებული.

მართალია, „სანავიგაციო აქტში“ ჰოლანდია არსად არაა ნახსენები, მაგრამ არავისათვის დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენდა, თუ ვის წინააღმდეგ იყო ის მიმართული. ჰოლანდიაში ყველაფერს კარგად მიხვდნენ. „ორდონანსი წარმოადგენს ვაჭრობისა და მეგობრობის აშკარა დარღვევას და ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობისათვის შეუთავსებელია“.

დაიწყო ინგლის-ჰოლანდიის ომი. 1653 წლის თებერვალში ინგლისის ფლოტმა დაამარცხა მოწინააღმდეგე და 1654 წელს ჰოლანდიამ დაზავება ითხოვა. ჰოლანდიაში რეალისტურად შეაფასეს ვითარება. „მე ვალდებული ვარ განგიცხადოთ, რომ ამიერიდან ჩვენ და ზღვა ინგლისელების ხელში ვართ“. ჰოლანდიამ აღიარა ინგლისის პრიორიტეტი საზღვაო და სავაჭრო ასპარეზზე. ეს კრომველის პოლიტიკის დიდი მიღწევა იყო.

ინგლისმა წარმატებას მიაღწია პორტუგალიის წინააღმდეგ ომში, რომელიც მიმდინარეობდა 1650/1654 წლებში. საზავო ხელშეკრულების თანახმად ინგლისის ხელში გადავიდა პორტუგალიასთან და მის კოლონიებთან ვაჭრობის მონოპოლია და რაც მთავარია ინგლისმა ძლიერ შეავიწროვა ამ რეგიონში თავისი უშუალო მოწინააღმდეგეები – ჰოლანდია და ესპანეთი.

დიდი ხნის მანიძლზე ინგლისს გართულებული ურთიერთობა ჰქონდა დანიასთან, მაგრამ ჰოლანდიის დამარცხების შემდეგ დანია იძულებული იყო ბედს შერიგებოდა. დანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ ინგლისის ფლოტი ბალტიის ზღვაში გამოჩნდა.

კრომველი აღმოჩნდა რთული არჩევანის წინაშე. ვის წინააღმდეგ გაეგრძელებინა ბრძოლა საფრანგეთის თუ ესპანეთის?

საფრანგეთი აღმავლობის გზაზე იდგა და მასთან დაპირისპირება არცთუ მიზანშეწონილი ჩანდა, ხოლო ესპანეთი, რომელსაც კრომველი ინგლისის „უდიდეს, ბუნებრივ მტერს" უწოდებდა, უკვე დასუსტებული იყო და მისი კოლონიების გაძარცვა და მიტაცება ძნელი არ იქნებოდა, ხოლო ამ დაპირისპირების დროს საფრანგეთი ინგლისის მოკავშირედ გამოვიდოდა. ომის მსვლელობაში გამოიკვეთა ინგლისის და მისი მოკავშირეების უპირატესობა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ინგლისის ფლოტის წარმატება ტენერიფესთან საზღვაო ბრძოლაში 1657 წელს, რასაც ხშირად „უძლეველი არმადის" განადგურებას ადარებენ.

1655 წელს ინგლისმა დაიკავა იამაიკა.

5. პროტექტორატის საშინაო პოლიტიკა. ინგლისის რესპუბლიკა ეფემერული აღმოჩნდა. მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არ შეესატყვისებოდა ინგლისში დამყარებულ პირად დიქტატურას. იურიდიულ სტატუსს და რეალობას შორის აშკარა შეუსაბამობა იყო. კრომველმა მოსპო რესპუბლიკა და დაამყარა პირადი დიქტატურა, პროტექტორატი.

1654 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია „მმართველობის იარაღი". კონსტიტუციის თანახმად, მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო ერთი პიროვნების, ლორდ პროტექტორის ხელში.

სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადდა ოლივერ კრომველი. მისი ოფიციალური ტიტულია ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის ლორდ-პროტექტორი. აღმასრულებელთან ერთად ის ფლობდა საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელსაც ანსახიერებდა ერთპალატიან პარლამენტში, რომელიც გვევლინება მოკავშირე კლასების ზედა ფენების რუპორად.

1655 წელს ინგლისი დაყოფილი იქნა 11 სამხედრო ოლქად, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალ-გუბერნატორები. ლორდ-პროტექტორმა მათ უზარმაზარი უფლებები მიანიჭა. პირველ რიგში მათ უნდა უზრუნველეყოთ ინგლისის ხალხის ზნეობრივი სრულყოფა, რომელიც ჩაფიქრებული ჰქონდა კრომველს. კრომველის ღრმა რწმენით, „ზნე-ჩვეულებების რეფორმაზე" ბევრადაა დამოკიდებული ინგლისის მომავალი კეთილდღეობა.

სასტიკად იკრძალებოდა სახალხო დღესასწაულები, ზეიმები. თითქმის სიკვდილით დასჯა იქნა შემოღებული ლოთობის, მრუშობის, მეძავეობის, ცოლ-ქმრული ღალატის გამო. საქმე კურიოზებამდე მიდიოდა. ერთგან თითქოს მთლიანად გაწყვიტეს განვრთნილი მამლები. ბრისტოლში ჯარიმას ადებდნენ ყველა მოქალაქეს, რომელიც გაბედავდა კვირა დღეს სასეირნოდ გამოსვლას. ერთ ქალაქში დაუხურავთ ყველა სამიკიტნო, ტრაქტირი, ტავერნა. ყოველივე ეს, ცხადია, ხალხის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ 1657 წელს კრომველს მეფის გვირგვინიც კი შესთავაზეს. მცირე ყოყმანის შემდეგ კრომველმა უარი თქვა ამ შეთავაზებაზე.

1658 წლის 3 სექტემბერს ოლივერ კრომველი გარდაიცვალა.

ლორდ-პროტექტორის პოსტი დაიკავა ოლივერ კრომველის ვაჟმა რიჩარდმა. ის არ იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე და სულ მალე გადადგა. ინგლისში შეიქმნა მეორე რესპუბლიკა, მაგრამ არც ის აღმოჩნდა ხანგრძლივი. 1660 წლის მარტში შოტლანდიაში განლაგებული ინგლისის არმიის გენერალმა ჯორჯ მონკმა დაითხოვა პარლამენტი და დანიშნა ახალი არჩევნები. ახალმა პარლამენტმა შესთავაზა ჩარლზ სტიუარტს დაეკავებინა ინგლისის ტახტი. ჩარლზ II ზარზეიმით დაბრუნდა ლონდონში. ინგლისში აღსდგა მონარქია. ინტერრეგნუმი დასრულდა.

VII თავი

სტიუარტთა რესტავრაცია ინგლისში

1. ჩარლზ II-ს მმართველობა. ჩარლზ II იყო სიკვდილით დასჯილი ჩარლზ I-ის ვაჟი. ბრედის დეკლარაციის თანახმად ის ვალდებულებას კისრულობდა, რომ რევოლუციის მონაწილეების და პურიტანების დევნას არ დაიწყებდა. ხელს არ ახლებდა რევოლუციის სოციალურ მონაპოვარს. სცნობდა მიწის ახალ მესაკუთრეთა უფლებებს და ძველ მფლობელებს მიწას არ დაუბრუნებდა.

ინგლისში ჩამოსულმა სტიუარტებმა დანაპირები მალე დაივიწყეს და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს უსასტიკესი რეპრესიები დაატეხეს თავს. კრომველის და სხვა რევოლუციონერების გვამები საფლავიდან ამოიღეს გაასამართლეს და შემდეგ ჩამოახრჩვეს. მართალია, დაბრმავებული ჯონ მილტონი დაინდეს, მაგრამ მისი ნაწერები დაწვეს.

სტიუარტებმა არც სინდისის თავისუფლების შესახებ მიცემული სიტყვა აასრულეს და მიიღეს კანონები პურიტანების წინააღმდეგ. რელიგიური აღტკინება, რომელმაც თავი იჩინა რევოლუციის დასაწყისში თანდათან დაცხრა. ამიტომ „რელიგიური თავისუფლების აღკვეცას ინგლისის საზოგადოება დადებითად შეხვდა". ეს არცაა გასაკვირი. ანგლიკანიზმი არ მოითხოვდა მოსახლეობისაგან ფანატიკურ რწმენას, რაც სურდათ პურიტანებს და რის გამოც ხალხმა ფაქტიურად ზურგი აქცია პურიტანიზმს. ჩარლზ II-მ სცადა ინგლისში კათოლიციზმის რესტავრაცია. ამ მიზანს ისახავდა „რჯულშეწყნარების დეკლარაცია". ჩარლზ II-ს უნდოდა შეესრულებინა ლუი XIV-სათვის მიცემული სიტყვა: აღედგინა ინგლისში კათოლიციზმი და ჩაბმულიყო ჰოლანდიის წინააღმდეგ ომში.

რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არც ოპოზიცია მჯდარა. მათ მიიღეს აქტი „ფიცის დადების შესახებ“. იგი ყველა ოფიციალური პირისგან მოითხოვდა ფიცის მიცემას ანგლიკანური წეს-ჩვეულების მიხედვით და კათოლიკური დოგმების დაგმობას. ამ კანონის ისრები, ცხადია, მიმართული იყო კათოლიკე მინისტრების წინააღმდეგ.

XVII საუკუნის 70-იან წლებში საძირკველი ჩაეყარა ინგლისის ორ მთავარ პოლიტიკურ პარტიას. ეს არის ვიგების ანუ ლიბერალების და ტორების ანუ კონსერვატორების პარტია. ლიბერალები პარლამენტის გაძლიერებას უჭერდნენ მხარს. ისინი ცდილობდნენ გატარებული ყოფილიყო რეფორმები, რომლის მთავარი ამოსავალი არის პიროვნების და საზოგადოების თავისუფლება. კონსერვატორები კი მეფის ხელისუფლების გაძლიერებას ლამობდნენ. ფაქტობრივად ისინი იცავდნენ არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ რეჟიმს. მათთვის მისაღები იყო მხოლოდ ზედაპირული, ნაწილობრივი, რეფორმები. ორივე პოლიტიკური პარტია ერთ საკითხში სრული სოლიდარული იყო. არც ერთს არ სურდა რევოლუციამდელი წესწყობილების აღდგენა.

1679 წელს მიღებულ იქნა „ჰაბეას კორპუს აქტი“. ეს კანონი ცდილობს ზღვარი დაუდოს აღმასრულებელი ხელისუფლების ძალმომრეობას და იცავს პიროვნების უფლებას. იგი კრძალავდა პიროვნების თვითნებურად დაპატიმრებას. სასამართლოს ჰქონდა სრული უფლება მოქალაქის დაპატიმრების კანონიერება გამოერკვია. ამას დიდი მნიშვნელობა გააჩნდა. ფაქტობრივად ინგლისში სცნეს პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება. ეს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იყო.

საგარეო პოლიტიკაში ჩარლზ II საფრანგეთთან კავშირის მომხრე იყო. ინგლის-საფრანგეთის დაახლოება არაპოპულარულია და მან ბურჟუაზიის და ახალი თავადაზნაურობის აღშფოთება გამოიწვია, ვინაიდან, სწორედ, საფრანგეთი იყო ინგლისის მთავარი მოწინააღმდეგე კოლონიებისათვის ბრძოლაში. საფრანგეთისაგან აღებულ სუბსიდიებს კონკრეტული მიზანი გააჩნდა. მეფის შეუზღუდველი ძალაუფლების და კათოლიციზმის აღდ-

გენა. ინგლისი მონაწილეობას მიიღებდა ჰოლანდიის წინააღმდეგ ომში. „სტიუარტები კვლავ აღსდგნენ ქვეყნის სახელმწიფო წყობილების და რელიგიის წინააღმდეგ“.

80-იანი წლების დასაწყისში ჩარლზ II-მ მოახერხა პოზიციების განმტკიცება, რასაც დიდად შეუწყო ხელი საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ისაგან მიღებულმა ახალმა მოზრდილმა თანხამ. ადგილი აქვს ლიბერალების მასობრივ განთავისუფლებას სახელმწიფო თანამდებობებიდან და სასამართლო დაწესებულებებიდან. ხელისუფლებამ ოპოზიციას სასტიკი რეპრესიები დაატეხა თავს. ბევრი მათგანი ტოვებს ინგლისს. მათ შორის იყო ცნობილი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი. ფრიად ნიშანდობლივია, რომ ემიგრანტების ძირითად თავშესაფარად ჰოლანდია იქცა. ჰოლანდიის შტატჰალტერის ვილჰელ ორანელის გარშემო თავს იყრიან ოპოზიციურად განწყობილი ვიგები.

1685 წელს გარდაიცვალა ჩარლზ II. მას შვილი არ ყოლია და ინგლისის ტახტზე ავიდა მისი ძმა ჯეიმზ II (1685-1688).

2. ჯეიმზ II-ს მმართველობა. 1688 წლის „უსისხლო რევოლუცია“. ახალმა მეფემ გააგრძელა თავისი წინამორბედის კურსი და მას კიდევ უფრო კონსერვატული ხასიათი მისცა. „მამაჩემი დათმობებმა დაღუპა და ახლა ის შვილსაც დაღუპავსო“. ასეთი იყო ინგლისის ახალი მონარქის პოლიტიკური კრედო. ასეთი – პოლიტიკურ კურსის განხორციელებას დიდად უწყობდა ხელს საფრანგეთიდან მიღებული უხვი სუბსიდიები. მეფე კათოლიციზმის აღდგენასთან ერთად ცდილობდა აბსოლუტური მონარქიის დაბრუნებასაც. სურდა ძველი სამეურნეო ინსტიტუტებისაკენ შემობრუნება. ჯეიმზ II-ს ჯიუტად უნდოდა კათოლიციზმი გამოეცხადებინა სახელმწიფო რელიგიად. 1687 წლის აპრილში გამოქვეყნდა კიდევ ერთი „აქტი რჯულშემწყნარებლობის შესახებ“. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. პურიტანები ძალიან კარგად მივხდნენ, რომ დეკლარაცია წარმოადგენდა „სხვა არაფერს, თუ არა იეზუიტების მიერ ეშმაკურად გააზრებულ დემაგოგიას“. მიუხედავად ამისა, ჯეიმზ II სულაც არ აპირებდა უკან დახევას და ცოტა ხნის შემდეგ მიიღო „რჯულთშემწყნარებლობის აქტი“-ს ახალი, კიდევ უფრო მკაცრი ვარიანტი. ანგლიკანური

ეკლესია მეფის ხელისუფლებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა და მეფისადმი მორჩილებას ქადაგებდა. ახლა სურათი ძირფესვიანად შეიცვალა და ისინი მრევლს კათოლიციზმის და მონარქიის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალით ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ანგლიკანურ ეკლესიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა.

ჯეიმზ II-მ საგარეო პოლიტიკაში კვლავ გააგრძელა საფრანგეთზე ორიენტაცია. ჯეიმზ II „ლუი XIV-ს ვასალი იყო". აქედან იღებს სათავეს სამეფო ხელისუფლებას, ბურჟუაზიასა და ახალ თავადაზნაურობას შორის დაძაბული ურთიერთობა. სტიუარტების წინააღმდეგ ოპოზიცია სულ უფრო მეტ ძალებს იკრებს. საქმე ისაა, რომ მათმა მოქმედებამ სერიოზულად ჩააფიქრა არა მარტო ოპოზიციურად განწყობილი ლიბერალები, არამედ კონსერვატორებიც, რომელთა დიდი ნაწილი თავდაპირველად სტიუარტთა მონარქიას თანადგომას უცხადებდნენ.

55 წლის ჯეიმზ II და მის კათოლიკე მეუღლეს შეეძინათ ტახტის მემკვიდრე ვაჟი, რომელიც უმალ გამოაცხადეს უელსის პრინცად. ყოველივე ამან საბოლოოდ გადაუწურა იმედი ოპოზიციას. შემდეგი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. კონტრზომებმა დიდხანს არ დააყოვნეს. 1688 წლის ივნისში ორივე პარტიამ სთხოვა ჰოლანდიის შტატჰალტერს ვილჰელმ ორანელს დაეკავებინა ინგლისის ტახტი. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ვილჰელმ ორანელი იყო ინგლისის მეფის ჯეიმზ II სიძე. მას ცოლად ყავდა ჯეიმზ II და მერი, ვილჰელ ორანელს შეეძლო დაეკავებინა ინგლისის ტახტი. ვილჰელმ ორანელის მიერ ინგლისში ექსპედიცია ასე იქნა არგუმენტირებული. ინგლისში პროტესტანტული რელიგიის, საკუთრების, თავისუფლების და პარლამენტის მფარველობა.

1688 წლის ნოემბერში ვილჰელმ ორანელი ინგლისის ნაპირს მიადგა. ჯეიმზ II-მ სასწრაფოდ გახიზნა ცოლ-შვილი და მალე თითონაც დატოვა ლონდონი, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა დაბრუნებულიყო. ის მეთევზეებმა იცნეს და დააკავეს, მაგრამ მაინც მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა და საფრანგეთს შეაფარა თავი. ინგლისის ტახტი ვაკანტური შეიქმნა. 1689 წლის დასაწყისში ვილჰელმ ორანელი გამოცხადებული იქნა ინგლისის მეფედ.

ასე მოხდა ინგლისში სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ისტორიაში „უსისხლო“ ანუ „სახელოვანი რევოლუციის“ სახელით შევიდა, რომლის შედეგადაც ერთი არაპოპულარული დინასტია შეცვალა მეორე, უფრო იმედისმომცემმა დინასტიამ.

რატომ ითმენდა ინგლისი სტიუარტების უტიფრობას 28 წლის განმავლობაში, როდესაც მათი დამხობისათვის საკმარისი აღმოჩნდა ერთი დღე? ამ კითხვას ასეთი პასუხი შეიძლება გაეცეს. „ძალიან დიდი იყო როიალისტური განწყობილება, ხოლო უფრო ძლიერი კი შიში ახალი რევოლუციის წინაშე“.

გაცილებით უფრო პროგრესული ელფერი დაკრავს სტიუარტთა ეკონომიკურ პოლიტიკას და კულტურულ საქმიანობას. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს 1663 წლის აქტი, რომელიც ნებადართულად აცხადებდა ინგლისიდან ფულის და ძვირფასი ლითონების გატანას. ყველაფერი ეს კარგად გამოხატავდა ვაჭარ-მრეწველთა ინტერესებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ მერკანტელისტურ პოლიტიკას. ეს საინტერესოა, რადგან სტიუარტებმა ვერ შეძლეს რევოლუციამდელი არსებული ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა.

რესტავრაციის პერიოდში ინგლისის კულტურულ ცხოვრებას თანდათან გამოცოცხლება დაეტყო. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. რევოლუციის და პურიტანების ფანატიზმის გამო კულტურული ცხოვრება არსებითად ჩაკვდა. მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა ჩარლზ II ინიციატივით ინგლისის მეცნიერებათა აკადემიის დაარსება, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ 1645 წელს დაარსებული ლონდონის სამეფო საზოგადოების ბაზაზე. ინგლისის კულტურულ ცხოვრებაში ყურადსაღები ფაქტორი იყო 1676 წელს გრინვიჩის ობსერვატორიის დაარსება.

VIII თავი

ინგლისი 1688-1789 წლებში

1. ინგლისი უილიამ ორანელის და ენის (ანას) მმართველობის ხანაში. 1688 წლის „უსისხლო რევოლუციის" შედეგად ინგლისის ტახტი დაიკავა სტიუარტების სიძემ უილიამ ორანელმა (1688-1702). ის იყო იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა. ფრანგული განმანათლებლობის პატრიარქი ვოლტერი აღნიშნავდა. „ინგლისელთა ნამდვილი თავისუფლება სწორედ ამ პერიოდიდან (ე. ი. უილიამ ორანელის ტახტზე ასვლიდან – მ. კ.) იწყება". ფაქტობრივად უილიამ ორანელმა ჩამოაყალიბა ის პოლიტიკური სისტემა და სამართლებრივი ინსტიტუტები, რომლებიც დღესაც არსებობენ. ინგლისში მკაფიოდ იკვეთება სამართლებრივი სახელმწიფოს კონტურები.

ინგლისის პარლამენტმა სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც არჩევანი უილიამ ორანელზე შეაჩერა. სტიუარტებისგან განსხვავებით მას არ აწუხებდა პირადი ამბიციები და დიდად არ ცდილობდა სამეფო პრეროგატივის დაცვას. პრაქტიკულად უილიამ ორანელისათვის ინგლისის პარლამენტის მოთხოვნებში უჩვეულო არაფერი ყოფილა. მისთვის ყველაფერი ეს ნაცნობი იყო, როდესაც მას ჰოლანდიის შტატჰალტერის პოსტი ეკავა.

1689 წელს მიღებული იქნა ინგლისის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონი „ბილი უფლებათა შესახებ", რომელიც ინგლისის კონსტიტუციური უფლებების მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ კანონის მიხედვით, ინგლისის მეფეს პარლამენტთან შეთანხმებით უნდა ემოქმედა. მეფე ხელს იღებდა გადასახადების აკრეფაზე. ამიერიდან ეს პარლამენტის კომპეტენციაში შედიოდა. პარილამენტი უნდა მოეწვიათ სამ წელიწადში ერთხელ და მისი

უფლებამოსილება სამი წლით განისაზღვრა. ამჟამად ეს უფლებამოსილება ხუთი წლის ვადითაა განსაზღვრული.

ინგლისური დემოკრატიის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცენზურის გაუქმებას. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე.

1701 წელს მიღებული იქნა „აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ". ის ეხებოდა საკმაოდ მწვავე და აქტუალურ თემას. კანონი აგვარებდა ამ რთულ პრობლემას. ამ კანონის ძალით უშვილო უილიამ ორანელის შემდეგ ინგლისის ტახტზე მისი ცოლისდა ჯეიმზ II-ს უმცროსი ქალიშვილი ენი (ანა) უნდა ასულიყო. ენიც უშვილო იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტზე ავიდოდა სტიუარტთა შორეული ნათესავი, გერმანელი ჰანოვერის დინასტიის წარმომადგენელი. ეს დინასტია იყო ინგლისის მეფის ჩარლზ I დის მერის და მისი ქმრის ფრიდრიხ პფალცელის შთამომავალი.

ამიერიდან გადაწყდა, რომ ყველა დოკუმენტს, კანონს, ცირკულარს, ხელს უნდა აწერდეს არა მარტო მეფე, არამედ პრემიერ-მინისტრიც. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა პრემიერ-მინისტრი პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე.

ირლანდიის კათოლიკური მოსახლეობა მხარს უჭერდა სტიუარტებს და ვერაფრით ვერ ურიგდებოდა ახალ ხელისუფლებას. მეფემ გადაწყვიტა ირლანდიის დამორჩილება. ინგლისის ჯარმა სასტიკად დაამარცხა ირლანდიელები. ამის შემდეგ ირლანდიის ჩაგვრა გაძლიერდა.

1702 წელს გარდაიცვალა უილიამ ორანელი და ტახტზე ავიდა ენი (1702-1714). მის საშინაო პოლიტიკაში ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება. შოტლანდიის დაპყრობა და ორპარტიული სისტემის საბოლოოდ ჩამოყალიბება.

1707 წელს გამოცხადდა უნია (შეერთება) ინგლისსა და შოტლანდიას შორის. შოტლანდიამ დაკარგა დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნიშანი. ედინბურგის პარლამენტმა არსებობა შეწყვიტა. ის ინგლისის პარლამენტს შეუერთეს. ასე წარმოიშვა გაერთიანებული სამეფო. ოფიციალურად მას „დიდი ბრიტანეთი"

ეწოდება. ის აერთიანებდა ინგლისს, შოტლანდიას, უელსს, ირლანდიას.

ენის მმართველობაში დამკვიდრდა ტრადიცია მთავრობა იმ პარტიას უნდა ჩამოეყალიბებინა, რომელიც მოიპოვებდა უმრავლესობას თემთა პალატაში. ხელისუფლების სათავეში ერთმანეთს ცვლიდნენ ვიგები და ტორები. ასე აღმოცენდა ცნობილი პრინციპი „მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს". მომდევნო ჰანოვერელთა დინასტიის მმართველობის ჟამს ეს პრინციპი კიდევ უფრო გამყარდა, განმტკიცდა.

2. ჰანოვერის დინასტიის პირველი წარმომადგენლები. 1714 წელს გარდაიცვალა ენი. ინგლისის ტახტზე ავიდა სტიუარტთა შორეული ნათესავი გერმანელი ჰანოვერის კურუფიურსტი. მან დასაბამი მისცა ინგლისის ისტორიაში ახალ ჰანოვერის დინასტიას. მისი პირველი წარმომადგენლები იყვნენ: ჯორჯ I (1714-1727), ჯორჯ II (1727-1760) და ჯორჯ IIII (1760-1820).

ჯორჯ I-მა არ იცოდა ინგლისური. მან მიზანშეწონილად ცნო არ დასწრებოდა მინისტრთა კაბინეტის სხდომებს. ამით შეიქმნა პრეცენდენტი, რომელიც დღესაც ძალაშია. მის მემკვიდრეს ჯორჯ II-ს ესმოდა რას ეუბნებოდნენ, მაგრამ ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა და მხოლოდ ჯორჯ III-ისათვის გახდა ინგლისური მშობლიური ენა. ისინი ინგლისის საშინაო საქმეების მიმართ სრულიად გულგრილები იყვნენ, რაც სავსებით აძლევდა ხელს პარლამენტს. მათი მოღვაწეობის ხანაში ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავრობის მნიშვნელობა უფრო მეტ წონას იძენს.

პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებს არჩევნების დროს გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის ლიდერი, რომელიც ადგენს კაბინეტს. არჩევნებში დამარცხებული პარტია ადგილს იკავებს ოპოზიციაში. კანონისა და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას. ინგლისში პარლამენტის ტირანია გამორიცხული იყო. პარლამენტი თვითონ უშუალოდ არ მართავს, მაგრამ მართვის უფლებას ანიჭებს სხვას. ამ შემთხვევაში კაბინეტს. პარლამენტი ახორციელებს მთავრობის კონტროლს. ინგლისში რეალურ ძალაუფლებას ფლობს პარლამენტი, ხოლო სახელსა და დიდებას კი სამეფო კარი. ამიტომ ინგლისში ტო-

ტალიტარული რეჟიმის დამყარება პრაქტიკულად გამორიცხულია. ერთი თანამედროვე ინგლისელი მწერლის თქმით „სანამ ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებული იქნება ინგლისში – ჰიტლერის და სტალინის გამოჩენა გამორიცხულია“.

თავდაპირველად ხელისუფლების სათავეში იყო ლიბერალების პარტია. კონსერვატორების ავტორიტეტის დაცემას დიდად შეუწყო ხელი სტიუარტებისადმი განწულმა დახმარებამ.

ლიბერალების აღიარებული ლიდერი იყო რობერტ უოლპოლი, რომელიც ოცი წელი მმართავდა ინგლისს.

ინგლისის მეფემ ჯორჯ III-მ უპირატესობა კონსერვატორებს მიანიჭა. ლიბერალების ერა გასრულდა. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ომმა დამოუკიდებლობისათვის ნერტილი დაუსვა კონსერვატორების მმართველობას. ხელისუფლების სათავეში დაბრუნდნენ ლიბერალები. პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა უილიამ პიტმა (უმცროსმა).

ახალი პრემიერ-მინისტრი ფიქრობდა, რომ ყველაზე უფრო სასარგებლოა სრული ეკონომიკური თავისუფლება. ასეთმა მიდგომამ სულ მალე გამოიღო სათანადო ნაყოფი – ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა. პიტმა სცადა გაეტარებინა საარჩევნო რეფორმა, მაგრამ უილიამ პიტის ყველაზე უფრო დიდ წარმატებას წარმოადგენდა 1786 წელს საფრანგეთთან გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულება, რომელმაც ინგლისს დიდი მოგება მოუტანა.

3. ინგლისის საგარეო პოლიტიკა. კოლონიური იმპერიის ჩამოყალიბება. უილიამ ორანელმა უარი თქვა სტიუარტთა ფრანგულ ორიენტაციაზე და ინგლისის საგარეო პოლიტიკური კურსი მკვეთრად შეცვალა. ის დაუყოვნებლივ მიემხრო ანტიფრანგულ კოალიციას. ეს სავსებით შეესატყვისებოდა ინგლისის ეროვნულ ინტერესებს. აქედან მოყოლებული იწყება ინგლის-საფრანგეთის ხანგრძლივი დაპირისპირება, რომელსაც ისტორიკოსები ხშირად „მეორე ასწლიან ომსაც“ კი უწოდებენ.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს „ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომი“ (1701-1713). ინგლისი ცდილობს საერთაშორისო სარბიელზე წონასწორობის დაცვას. ეს იმით გამოიხატება, რომ არ სურს დაუშვას არც საფრანგეთის უზომო გაძლიერება

და არც ჰაბსბურგთა უზარმაზარი იმპერიის აღდგენის პერსპექტივა.

ამ ომში ინგლისის არმიამ ჰერცოგი მალბოროს, ჯონ ჩერჩილის, რომელიც უინსტონ ჩერჩილის შორეული წინაპარი იყო, მეთაურობით, რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. 1704 წელს ინგლისმა დაიკავა გიბრალტარის სრუტე, რომელსაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი ეკავა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში.

1713 წელს უტრეხტის ზავით ინგლისმა გარდა ჰიბრალტარის სრუტისა, მიიღო კანადაში საფრანგეთის სამფლობელოებთან მოსაზღვრე ნიუფაუდლენი. ინგლისის ხელში გადავიდა სამხრეთ ამერიკის ესპანურ კოლონიებში მონებით ვაჭრობის მონოპოლია. „ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის" შედეგად. საფუძველი ჩაეყარა ინგლისის კოლონიური იმპერიის ჩამოყალიბებას.

ჰანოვერელთა დინასტიის მმართველობის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ორ დიდ ომს: ომი ავსტრიის მემკვიდრეობისათვის (1740-1748) და შვიდწლიანი ომი (1756-1763).

ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომის დროს სტიუარტთა დინასტიის მცდელობა დაებრუნებინა ინგლისის ტახტი საბოლოოდ დასამარდა. 1748 წლის ზავის მიხედვით, საფრანგეთი ხელს იღებდა ინგლისის ტახტზე სტიუარტთა პრეტენზიების მხარდაჭერაზე და ცნობდა ახალ დინასტიას. ეს ინგლისის პოლიტიკის სერიოზული წარმატება იყო. ინგლისმა მოახერხა საფრანგეთისათვის ჩამოეშორებინა მისი მოკავშირე პრუსია და საფრანგეთი იზოლაციაში დაეტოვებინა.

განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ინგლისისათვის შვიდწლიანი ომი. ინგლისსა და საფრანგეთს შორის უშეღავათო ბრძოლა მიმდინარეობდა არა მარტო ევროპაში, არამედ კოლონიებში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისელთა მიერ 1759 წელს საზღვაო ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას. საფრანგეთი ფლოტის გარეშე დარჩა. ამან ინგლისელებს ხელფეხი გაუხსნა კოლონიებში მოქმედებისათვის. ყველაზე თვალსაჩინო იყო მათი წინსვლა კანადაში და ინდოეთში.

ჯერ იყო და ინგლისელებმა დაიკავეს ფორტი დიუკენი, შემდეგ კვებეკი და მონრეალი. მათ საბოლოოდ ამოუკვეთეს ფეხი კანადაში ფრანგებს.

ინგლისი დიდი ხანია ოცნებობდა ინდოეთის ხელში ჩაგდებას. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში შეიქმნა ოსტ-ინდოეთის კომპანია. ცოტა ხნის შემდეგ ინგლისელებმა ხელთ იგდეს ბომბეი, სენტ-ჯორჯი და კალკუტა. ისინი იქცნენ ინდოეთში ინგლისელების მთავარ საყრდენ პუნქტებად. აქ მათ უპირისპირდებოდნენ ფრანგები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი გამაგრებული პუნქტები პონდიშირში და მადრასში.

შვიდწლიანი ომი ინდოეთში ინგლის-საფრანეთის ხანგრძლივი დაპირისპირების კულმინაცია, აპოგეაა. გადამწყვეტი აღმოჩნდა ბრძოლა პლესისთან 1757 წელს. ინგლისელთა მცირერიცხოვანმა არმიამ რობერტ კლაივის თავკაცობით დაამარცხა საფრანგეთის და მისი მოკავშირე ბენგალიის სირაჯის მრავალრიცხოვანი არმია. ინდოეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ინგლისელების ხელში აღმოჩნდა.

1763 წელს ხელმოწერილმა პარიზის ზავმა ინგლისის წარმატება დააფიქსირა. ინგლისმა მიიღო კანადა, ტერიტორიები მდინარე მისისიპის აღმოსავლეთით. მან გამოაძევა საფრანგეთი ინდოეთიდან. თანდათან ინგლისი ყალიბდება დიდ კოლონიურ სახელმწიფოდ.

ინგლისის კოლონიური სამფლობელოების ერთ ნაწილში მეტროპოლიის უშუალო მმართველობა არსებობდა. ადგილობრივი მოსახლეობა ემორჩილებოდა ინგლისის მიერ წარმოგზავნილ მოხელეებს, რომლებიც ინგლისის ინტერესებიდან გამომდინარე, ტრადიციულად არაფრად აგდებდნენ იქაური მაცხოვრებლების ინტერესებს და უსაშველოდ ზრდიდნენ გადასახადს.

კოლონიების მეორე ნაწილში ფართოდ მოიკიდა ფეხი არაპირდაპირმა მმართველობამ. აქ, როგორც წესი, ძალაუფლებას ფლობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად ინგლისელი მოხელეების მითითებით მოქმედებდნენ და ინგლისის ქვეშევრდომებად აღიარებდნენ თავს.

ინგლისის კოლონიურ პოლიტიკას დიდ წარმატებებთან ერთად ჰქონდა სერიოზული ჩავარდნა. უპირველეს ყოვლისა, ასეთი

იყო ინგლისის პოლიტიკა ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების მიმართ.

XVII საუკუნეში ინგლისელთა მიერ ატლანტიის ოკეანის ჩრდილოამერიკული სანაპიროს ათვისება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. სულ მალე ატლანტის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ საძირკველი ჩაეყარა 13 ინგლისურ კოლონიას.

შვიდწლიანი ომის შედეგად ფრანგები განდევნეს ამერიკიდან. ამის შემდეგ დაპირისპირება მეტროპოლიასა და კოლონიას შორის უკიდურესად გამწვავდა. ინგლისის დიპლომატიამ ვერ გამოიჩინა სათანადო ელასტიურობა, რათა თავიდან აეცილებინა კონფლიქტის ესკალაცია. მეტროპოლია აშკარად ხელს უშლიდა კოლონიის ეკონომიკურ განვითარებას. ინგლისმა კოლონიებში გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც თომას ჯეფერსონის თქმით „წარმოადგენდა საპარლამენტო უზურპაციის ჯაჭვს". ამან ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, რაც სულ მალე შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. ამბოხებულმა კოლონიებმა 1776 წლის 4 ივლისს მიიღეს „დამოუკიდებლობის დეკლარაცია". შტატები გაერთიანდნენ და შექმნეს ახალი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები, მოკლედ აშშ.

შტატებთან ომში ინგლისი დამარცხდა და 1783 წელს ხელმოწერილი პარიზის ზავის თანახმად სცნო ახალი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები.

შემდგომში ინგლისი ცდილობს ევროპელებით დასახლებულ თავის კოლონიებში გაატაროს კომპრომისების პოლიტიკა და თავის ყოფილ კოლონიებს მოგვიანებით დომინიონის სტატუსს ანიჭებს.

1812 წელს აშშ ისარგებლა ევროპაში არსებული ვითარებით და გადაწყვიტა ინგლისისათვის კანადის წართმევა. დაიწყო ომი აშშ და ინგლისს შორის, რომელსაც ისტორიკოსები უწოდებენ „დამოუკიდებლობისათვის მეორე ომს". 1814 წელს ხელი მოაწერეს ზავს. ზავის მიხედვით შენარჩუნებული იქნა სტატუსკვო. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

IX თავი

ინდუსტრიული საზოგადოების შექმნა ინგლისში

1. სამრეწველო გადატრიალების წანამძღვრები. კონსტიტუციური მონარქიის დამყარებამ ინგლისში დიდად შეუწყო ხელი თავისუფალი მეწარმეობის შემდგომ აღმავლობას. XVII საუკუნის მიწურულს და XVIII საუკუნის ინგლისის ისტორიაში ყურადღებას იპყრობს ქვეყნის ეკონომიკური წარმატებები, რომელიც ეყრდნობოდა სამეცნიერო ტექნიკურ მიღწევებს.

ინგლისის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობა დიდად სცილდება ამ ქვეყნის ფარგლებს. ინგლისის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები ატარებენ გლობალურ ხასიათს. მათ გზა გაუკვლიეს, ახალ საფეხურზე აიყვანეს, ევროპული და შემდეგ მსოფლიო ცივილიზაცია. ეს შეეხებოდა როგორც აგრარულ სექტორს და სოფლის მეურნეობას, ისე მრეწველობასა და ტრანსპორტს.

სამრეწველო გადატრიალების მიზეზები, უწინარესად, აგრარულ გადატრიალებაში და ე. წ. „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების“ პროცესში უნდა ვეძიოთ, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობეს ინგლისის ეკონომიკური წარმატებები XVII საუკუნის დასასრულს და XVIII საუკუნეში. ყველაფერი ეს კი საბოლოო ჯამში კარგ ფონს ქმნიდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

სოფლის მეურნეობაში აგრარული გადატრიალების სამართლებრივ-იურიდიულ საფუძველს წარმოადგენდა პირველი სამოქალაქო ომის დროს პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონმდებლობა. ინგლისში ფაქტობრივად მიწის მესაკუთრე

გახდა ახალი თავადაზნაურობა და ვაჭარ-მეწარმეები. დაქირავებულმა შრომამ საყოველთაო, ფართო ხასიათი მიიღო.

აღნიშნული პერიოდის ინგლისისათვის ტიპიურად იყო ქცეული მსხვილი მიწის მესაკუთრეები, რომლებიც უშუალოდ თვითონ წარმართავდნენ თავიანთ მეურნეობას ან კიდევ იჯარით აძლევდნენ მიწას ფერმერებს მსხვილი ნაკვეთების სახით. პრაქტიკულად ეს იყო სასაქონლო მეურნეობა, რომელსაც დაქირავებული შრომის გზით გაჰქონდათ პროდუქცია ბაზარზე. ასე წარმოიშვა კონკურენცია. ამ ბრძოლაში ის გაიმარჯვებდა, ვინც უფრო ხარისხიან და იაფფასიან პროდუქციას დაამზადებდა.

სოფლის მეურნეობის პროგრესს, მოსავლიანობის გაზრდას, მძლავრი სტიმული მისცა, ექსპორტის გაფართოვებამ, მიწათმოქმედების ახალი, უფრო გაუმჯობესებული მეთოდების შემოღებამ, დიდი ინვესტიციების დაბანდებამ ინგლისის სოფლის მეურნეობაში.

გლეხისთვის სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული მეთოდებით წარმართვა მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მნიშვნელოვანწილად ამით იყო გამოწვეული, რომ წვრილმა გლეხურმა მეურნეობამ ვერ გაუძლო მსხვილ ფერმერულ მეურნეობასთან კონკურენციას. ეს იყო რთული, მტკივნეული, პროცესი.

ინგლისის ეკონომიკაში აგრარულ და სამრეწველო სექტორებს შორის უმჭიდროესი კავშირი არსებობდა. ორივე ეს სექტორი დიდ ზემოქმედებას ახდენდა ურთიერთზე. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ქვეყნის პროგრესულ განვითარებას, ეკონომიკურ აღმავლობას. აგრარულ სფეროში მიმდინარე სიახლეები თავის გამოძახილს პოულობდა ქალაქში და იწვევდა მის შემდგომ წინსვლას. ინგლისის სოფელი ამარაგებდა დიდი რაოდენობის იაფი მუშახელით ქალაქს. ინგლისის სოფელი ქალაქს უქმნიდა ბაზარს. სოფელი ყიდულობდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და აგროტექნიკას. სოფელი თავაზობდა ქალაქს იაფ და ხარისხიან სოფლის მეურნეობის პროდუქტს.

1688 წლის „სახელოვანმა რევოლუციამ“ ახალი მძლავრი ბიძგი მისცა ინგლისის ვაჭრობის შემდგომ აღმავლობას. ინგლისი

ამ დროს ანხორციელებდა მერკანტელურ ეკონომიკურ პოლიტიკას. აქედან გამომდინარე უცხოურ საქონელზე მათ დააწესეს საკმაოდ მაღალი ბაჟები, ხოლო ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტს ყოველმხრივ ახალისებდნენ. საგულისხმოა, რომ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მთელ რიგ გატანილ პროდუქციაზე ბაჟები გაუქმებული იქნა. ეს არ ყოფილა შემთხვევითი და მიზნად ისახავდა ეროვნული ვაჭრობის განვითარების სტიმულირებას. მაგრამ მარტო ამის გაკეთება საკმარისი არ იყო. მთავრობა გარკვეულ რისკზე მიდიოდა და ზარალს ნახულობდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს იყო შორსმჭვრეტელური ნაბიჯი. ამის გარკვეულ კომპენსაციად გვევლინება საგადასახადო პოლიტიკა. პირველ რიგში, ეს იყო წარმოების გაფართოების გზით გადასახადების გაზრდა.

იმავე პერიოდში დაარსდა მთელი რიგი სააქციო კომპანიები და საზოგადოებები. XVIII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა სამხრეთის ზღვების კომპანია, რომლის ამოცანას წარმოადგენდა ესპანეთის კოლონიებთან ვაჭრობა. ამ ხანებში კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს ფრთები და მომძლავრდნენ შედარებით ადრე დაარსებული კომპანიები.

კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც ადგილი აქვს ამ ეპოქის ინგლისის ყოფაში, იმაში მდგომარეობდა, რომ თანდათან იდგამს ფეხს სახელმწიფო კრედიტის სისტემა. 1694 წელს დაარსდა ლონდონის ბანკი.

2. **მანუფაქტურული წარმოება.** სამრეწველო გადატრიალების კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს წარმოების სწრაფი განვითარება.

XVII-XVIII საუკუნის მიჯნაზე ინგლისი ჯერ კიდევ აგრარულ სახელმწიფოს წარმოადგენს, თუმცა აქ მრეწველობის ხვედრი წონა სულ უფრო მატულობს და უკვე საუკუნის მიწურულს ის წამყვან ადგილს იკავებს.

თავდაპირველად, ჯერ კიდევ თიუდორების დროს, არსებობდა გაფანტული მანუფაქტურები, ხოლო XVIII საუკუნის მიწურულს მკვეთრად იცვლება სურათი, რაც იმით გამოიხატება, რომ ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს ცენტრალიზებული მანუფაქტურა. აღნიშნულ მეტამორფოზს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სახეზეა

სერიოზული ფერისცვალება. სწორედ ცენტრალიზებული მანუფაქტურა გვევლინება სამრეწველო გადატრიალების, მანქანურ წარმოებაზე გადასვლის, მთავარ წანამძღვრად.

XVIII საუკუნის ინგლისის მრწეველობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის არტურ იუნგი. მას მოუნახულებია ჩრდილოეთ ინგლისი. ამ რეგიონში მდებარეობდა ინგლისის მრეწველობის რამდენიმე მნიშვნელოვანი კერა: უმთავრესად აქ განვითარებული იყო რკინის, ლითონის დამუშავება, მაუდის და ბამბეულის წარმოება. იუნგზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ზოგიერთი მანუფაქტურის სიდიდემ და პროდუქციის ხარისხმა. მართალია, ბამბა საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ, მაგრამ მისგან ისეთ ხარისხიან პროდუქციას ამზადებდნენ, რომ მასზე დიდი მოთხოვნილება იყო, არა მარტო საშინაო, არამედ საერთაშორისო ბაზარზე.

სამრეწველო გადატრიალებას მეტად ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა მრეწველობის განთავისუფლებამ რეგლამენტაციისაგან. ამან მწვანე გზა მისცა კონკურენციას. ეს კი ინგლისის ეკონომიკის აღმავლობის საიმედო გარანტია იყო.

სამრეწველო გადატრიალება წარმოუდგენელი იქნებოდა ტექნოლოგიური სიახლეების გარეშე. არაერთი ტექნიკური სიახლე მრეწველობაში სწორედ ინგლისში დაინერგა. ხდება მნიშვნელოვანი ტექნიკური აღმოჩენები და გამოგონებები.

სამრეწველო გადატრიალება, ტრადიციული საზოგადოებიდან ინდუსტრიულ-საზოგადოებაზე გადასულის, მოდერნიზაციის პროცესში, დასკვნით აკორდად გვევლინება. ამიერიდან, ყველა გზას თავისუფალი მეწარმოებისაკენ მივყავართ.

3. სამრეწველო გადატრიალება. XVII საუკუნის ორივე რევოლუციის შემდეგ ლიკვიდირებული იქნა ყველა ის დაბრკოლებები, რომელიც ინგლისის პროგრესული განვითარების გზაზე არსებობდა. 1688 წლის „სახელოვანმა რევოლუციამ" კატალიზატორის როლი შეასრულა, კიდევ უფრო დააჩქარა ინგლისში სამრეწველო გადატრიალების წანამძღვრების ჩამოყალიბება. ამიტომ სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ სამრეწველო გადატრიალების სამშობლოდ ინგლისი მოგვევლინა. სამრეწველო გადატრიალების აკვანი ინგლისში დაირწა.

სამრეწველო გადატრიალების დასაწყისად ასახელებენ XVIII საუკუნის 60-იან წლებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ცალკეულ სიახლეებს ადგილი ჰქონდა უფრო ადრეც. ტექნიკურმა ნოვაციებმა უწინარესად თავი იჩინეს საფეიქრო წარმოებაში. უკვე 1738 წელს კეიმ გამოიგონა მოძრავი მაქო, რომელმაც გააადვილა ქსოვის პროცესი.

მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა ძაფის დართვა. საქსოვი დაზგის გაუმჯობესებამ ნართზე მოთხოვნა გაზარდა. 1765 წელს ჯეიმზ ჰარგრივსმა შექმნა ახალი სართავი დაზგა, რომელსაც თავისი ქალიშვილის ჯეინის სახელი დაარქვა. ახალი დაზგა ერთოდროულად რთავდა 16 ნევრს და 16 მრთველი შეცვალა.

1769 წელს არკრაიტმა შექმნა ახალი მანქანა, რომელმაც კიდევ უფრო გააუმჯობესა რთვის ხარისხი. ცოტა ხნის შემდეგ გამომგონებელმა კრომპტონმა შექმნა ახალი მულმანქანა, რომელიც წარმოადგენდა ჰარგრივსისა და არკრაიტის მანქანების შერწყმას. ახალი დაზგის საშუალებით წვრილი და უფრო გამძლე ძაფი მიიღებოდა.

1785 წელს პასტორმა, მღვდელმა, ედმუნდ კართრაიტმა გამოიგონა ახალი დაზგა, რომელმაც მკვეთრად აამაღლა ქსოვის მწარმოებლურობა და ხარისხი. საბოლოოდ იქნა დაძლეული რთვისგან ქსოვის ჩამორჩენა.

მექანიკოსმა ჯეიმზ უატმა გამოიგონა ორთქლის ძრავა. არსებობს ცნობა, რომ XVIII საუკუნის მიწურულს ინგლისის ქარხნებმა გამოუშვეს 180-მდე ორთქლის ძრავა.

სამრეწველო გადატრიალების მახასიათებელი ნიშანია ის, რომ წარმოების ერთი დარგის წინსვლას აუცილებლად მოყვება წარმოების სხვა სფეროების გარდაქმნის საჭიროება.

ტექნოლოგიური ცვლილებები ხდება სხვა დარგებში. ბამბეულის წარმოება, შალის მრეწველობა. 1785 წელს ე. ჰანბის მიერ ქვანახშირის კოქსის საშუალებით მაღალხარისხიანი თუჯის მიღების ტექნოლოგიის გამოგონებამ მძლავრი სტიმული მისცა მეტალურგიის განვითარებას. ფაბრიკა-ქარხნების აღმოცენება ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი იყო.

ერთ ადგილზე არც სოფლის მეურნეობა იდგა. სამრეწველო გადატრიალებამ თავისი კვალი დაამჩნია აგრარულ სექტორსაც. სამრეწველო გადატრიალებას თან მოყვა, დემოგრაფიული ცვლილებები, ქალაქის მოსახლეობის მკვეთრი მატება. შესაბამისად იზრდება მოთხოვნილება სურსათზე, პროდუქტზე. სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს ეკონომიკურ და აგროტექნიკურ ნოვაციებს. ბაზრის არსებობამ მძლავრი სტიმული მისცა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას. ამის ლოგიკური შედეგია თესლბრუნვის გაუმჯობესება. ხელი მიყვეს პირუტყვისათვის საკვები კულტურის მოყვანას. შემოღობვებმა გამოიწვია გლეხობის რიცხვის მკვეთრი კლება. წვრილი გლეხური მეურნეობა გაჩანაგდა.

სამრეწველო გადატრიალება, ტექნოლოგიური პროგრესი შემდგომ წლებშიც გრძელდება და საბოლოოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში სრულდება.

ახალი ურთიერთობების დამყარების კლასიკური ვარიანტი განხორციელდა ინგლისში. თავისუფალი მეწარმეობის, კაპიტალიზმის, განვითარების ინგლისური მოდელი იყო ყველაზე სწრაფი, ყველაზე სრული და ამავე დროს ყველაზე უფრო სასტიკიც. პროგრესი ყოველთვის სამართლიანი გზით როდი ხორციელდებოდა. გლეხური მეურნეობა გაჩანაგდა, მუშები ამტვრევდნენ დაზგებს. გავრცელებული იყო ბავშვების და ქალების შრომა.

სამრეწველო გადატრიალებამ ინგლისი აიყვანა ახალ უფრო პროგესულ საფეხურზე. დაიწყო კაპიტალიზმის განვითარების ახალი სამრეწველო ეტაპი. ინგლისში ჩამოყალიბდა ინდუსტრიული საზოგადოება, რომლის შედეგადაც XIX საუკუნეში ინგლისი „მსოფლიო სახელოსნოდ“ მოგვევლინა. ინგლისის ხანგრძლივ მსოფლიო ჰეგემონიას მყარი საფუძველი გააჩნდა. მას ზურგს უმაგრებდა ეკონომიკის სფეროში მსოფლიო ჰეგემონია.

X თავი

ინგლისი 1789-1815 წლებში

1. ინგლისის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი. ამ ეპოქის ინგლისის ისტორიის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო პოლიტიკა დომინირებდა საშინაოზე. ეს ადვილი გასაგებიცაა. XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები სათავეს იღებს, არა მისი შინაგანი განვითარებიდან, არამედ უკავშირდება გარეშე ფაქტორს – საფრანგეთის დიდი რევოლუციას და ნაპოლეონის ეპოქას.

XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დასაწყისში ინგლის-საფრანგეთის ხანგრძლივი დაპირისპირება თავის კულმინაციას, პიკს, აღწევს და მის თავისებურ რეზიუმედ გვევლინება.

ეს უმწვავესი შეჯახება პირობით ორ პერიოდად შეიძლება გაიყოს: 1. ინგლისის ბრძოლა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინააღმდეგ, როდესაც სუბიექტია ინგლისი, რომელიც ცდილობს მოახრჩოს რევოლუცია, ხოლო საფრანგეთი ობიექტია, რომელსაც სურს თავი დაიცვას ინგლისისაგან. 2. არსებითად იცვლება ვითარება ხელისუფლების სათავეში ნაპოლეონის მოსვლის შემდეგ. საფრანგეთი შეტევაზე გადადის. ახლა საფრანგეთი სუბიექტია, ხოლო ინგლისი ობიექტი ხდება. იგი თავს იცავს. ინგლისს ბეწვის ხიდზე მოუხდა გავლა რათა სახელმწიფოებრიობა შეენარჩუნებინა.

შემთხვევითი როდია, რომ საფრანგეთის რევოლუციის ყველაზე მოსისხლე მტრად მოგვევლინა, არა ევროპის აბსოლუტისტური სახელმწიფოები, არამედ დემოკრატიული ინგლისი. აქამდე ინგლისი ყოველთვის ამარცხებდა საფრანგეთს, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ინგლისმა მეორე ასწლიანი ომის დროს (1688-

1815) უკვე გაიარა რევოლუცია და სამრეწველო გადატრიალება. მოდერნიზაციის პროცესი დაასრულა. აქ ჩამოყალიბდა ინდუსტრიული საზოგადოება. ხოლო საფრანგეთი კი ახლა იწყებდა მოდერნიზაციას. მას გასავლელი ჰქონდა რევოლუციაც და სამრეწველო გადატრიალებაც. ინგლისმა იგრძნო, რომ კარგავს ამ უპირატესობას. ასე გახდა ინგლისი საფრანგეთის დიდი რევოლუციის ყველაზე უფრო დაუძინებელი მტერი.

1793 წლის დასაწყისში ინგლისმა ომი გამოუცხადა საფრანგეთს. ეს ომი თითქმის შეუსვენებლად მიმდინარეობდა ოცი წლის განმავლობაში. ხანმოკლე შესვენება იყო მხოლოდ ამიენის ზავის შემდეგ, მაგრამ სულ მალე ომი ისევ განახლდა.

ინგლისი შეუერთდა პირველ კოალიციას, რომელიც რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ შეიქმნა. მათ დაიკავეს კორსიკა. ხელთ იგდეს ტულონი, საიდანაც ისინი 1793 წლის მიწურულს ახალგაზრდა ოფიცერის ნაპოლეონ ბონაპარტეს ძალისხმევის შედეგად გამოაძევეს. სიანტერესოა, რომ ნაპოლეონის პირველი და ბოლო დიდი ბრძოლა მოხდა ინგლისელებთან. ტულონთან და ვატერლოსთან ინგლისის საექსპედიციო კორპუსის წინააღმდეგ.

ინგლისის მმართველ წრეებს საკმაოდ კონკრეტული მიზნები გააჩნდათ. როგორმე დაესუსტებინათ საფრანგეთი. ცდილობდნენ საფრანგეთში დიდხანს გაგრძელებულიყო არასტაბილურობა, პოლიტიკური ქაოსი. ინგლისელები ეხმარებოდნენ მეამბოხეეს ვანდეაში. აფინანსებდნენ შუანებს. აწყობდნენ შეთქმულებებს, დივერსიებს, ტერაქტებს. ერთი სიტყვით, ინგლისი იყო მთავარი სულისჩამდგმელი ყველა იმ ღონისძიებისა, რომელიც რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ხორციელდებოდა. ინგლისელთა გულმოდგინე მცდელობის შედეგად საფრანგეთი სამოქალაქო ომის და ინტერვენციის ცეცხლში აღმოჩნდა გახვეული.

საფრანგეთმა ძლივს დააღწია თავი ამ განსაცდელს ჯერ პრუსიას დაუზავდა, შემდეგ ავსტრიას. პირველი ანტიფრანგული კოალიცია დაიშალა. მხოლოდ ინგლისი განაგრძობდა ომს. მაშინ საფრანგეთმა გადაწყვიტა გენერალ ბონაპარტეს ხელმძღვანელობით ინგლისისათვის დარტყმა მიეყენებინა ეგვიპტეში. ამ რეგიონში ფრანგების გამოჩენას სათანადო რეზონანსი

არ მოჰყოლია. აღმოსავლეთის ჩამორჩენილი ხალხებისათვის ფრანგების პოლიტიკური და სოციალური მოწოდებები დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მათი განზრახვა, დარტყმა მიეყენებინათ ინგლისისათვის ყველაზე მტკივნეულ ადგილზე, ინდოეთში, ჩაიფუშა. საფრანგეთმა დაიკავა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კუნძული მალტა. ინგლისის ფლოტმა ადმირალ ნელსონის მეთაურობით აბუკირთან ბრძოლაში გაანადგურა საფრანგეთის ფლოტი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერიდან ხმელთაშუა ზღვას ნელსონის ფლოტი აკონტროლებდა.

ინგლისის დიპლომატიის ძალისხმევით ჩამოყალიბდა მეორე ანტიფრანგული კოალიცია. მოკავშირეებმა შეძლეს იტალიიდან ფრანგების განდევნა. ნაპოლეონმა რაღაც სასწაულით მოახერხა გასხლტომოდა ხელიდან ინგლისის ფლოტს და სამშობლოში დაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ ნაპოლეონი სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო გადატრიალებას და ხელისუფლების სათავეში მოექცა. ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირება ახალ ფაზაში შედის.

2. ინგლისი ნაპოლეონის ომების ეპოქაში. ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის არსებული წინააღმდეგობები შეურიგებელი ხასიათის იყო. მას ინგლისი მიაჩნდა საფრანგეთის მთავარ მტრად. საფრანგეთის ახალ მბრძანებელს ინგლისის განადგურება ჰქონდა განზრახული. ინგლისის სუვერენიტეტს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ინგლისში კარგად ესმოდათ თუ რაოდენ სერიოზულად იდგა საკითხი.

ინგლისმა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა მეთოდები და ხერხები მოსინჯა. კვლავ ძალაში რჩება სამხედრო დაპირისპირება. ნაპოლეონმა დაამარცხა ავსტრია და აიძულა იგი ხელი მოეწერა ზავისათვის. ეს ნაპოლეონის დიდი წარმატება იყო. მან აღადგინა იტალიაში სტატუს-კვო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მეორე ანტიფრანგული კოალიცია პრაქტიკულად დაიშალა. მის რიგებს მხოლოდ ინგლისი შემორჩა.

ნაპოლეონმა ისარგებლა რუსეთ-ინგლისს შორის არსებული წინააღმდეგობით და შეძლო კოალიციისათვის რუსეთის ჩამოშორება. რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება ნაპოლეონის დიპლომატიის დიდი მიღწევა იყო. ამან ინგლისი უაღრესად შეაშფოთა.

სავსებით რეალური იყო რუსეთ-საფრანგეთის ძალების ერთობლივი ექსპედიცია ინდოეთში, რაც ინგლისისათვის ზურგში მახვილის ჩაცემის ტოლფასი იქნებოდა. ინგლისში მიხვდნენ, რომ მეტი დაყოვნება არ შეიძლებოდა. მათ მეტად მზაკვრულ, მაგრამ ნაცად ხერხს მიმართეს. გადაწყვიტეს ნაპოლეონის თავიდან მოშორება, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ნაპოლეონი რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს და უვნებელი გადარჩა. სამაგიეროდ ინგლისის დიპლომატიამ შეძლო რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის გზიდან ჩამოშორება. ნაპოლეონი კარგად მიხვდა ყველაფერს. ნაპოლეონი ამბობდა „მათ (ე. ი. ინგლისელებმა – მ. კ.) ამაცდინეს სენტ-ნიკეზის ქუჩაზე, მაგრამ მომარტყეს სანკტ-პეტერბურგში".

1802 წლის მარტში ხელმონერილი იქნა ზავი. ეგვიპტე დაუბრუნდა თურქეთს. საფრანგეთმა შეინარჩუნა კონტროლი ჰოლანდიასა და ბელგიაზე. ნაპოლეონის თქმით „ბელგია ინგლისის გულში მიბჯენილი პისტოლეტი იყო".

ინგლისსა და საფრანგეთს შორის მშვიდობიანი პაუზა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. 1803 წლის მაისში ომი კვლავ განახლდა. ინგლისმა კიდევ ერთხელ სცადა საფრანგეთის მბრძანებელი გზიდან ჩამოეშორებინა, მაგრამ ამჯერადაც ამაოდ დაშვრა. როიალისტური შეთქმულება ჟორჟ კადუდალის მეთაურობის, რომელსაც უხვად აფინანსებდა ინგლისი, საფრანგეთის მთავრობამ აღმოაჩინა და მისი მონაწილეები დახვრიტა.

ნაპოლეონის დროინდელი საფრანგეთის დაპრისპირება ინგლისთან გადამწყვეტ ფაზაში შედის. ნაპოლეონმა განიზრახა დესანტის გადასხმა ინგლისში. მან ლამანშის სანაპიროზე თავი მოუყარა უზარმაზარ ძალებს „მე მინდა სამი ნისლიანი დღე და მე ვიქნები ლონდონის, პარლამენტის და სიტის ბატონ-პატრონი". ინგლისის წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა.

ინგლისის მთავრობის თავკაცი უილიამ პიტი გულხელდაკრეფილი არ იჯდა და გულმოდგინედ შეუდგა ახალი ანტიფრანგული კოალიციის შექმნას. ინგლისის დიპლომატიის და მისი მეთაურის ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია. ნაპოლეონის წინაამღდეგ ჩამოყალიბდა მესამე ანტიფრანგული კოალიცია, რომელსაც ინგლისი

აფინანსებდა. რკინის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის თქმით „ინგლისი ყოველთვის პოულობდა ისეთ ბრიყვს, რომელიც თავისი გვერდებით დაიცავდა მის ინტერესებს".

ნაპოლეონმა სასტიკად დაამარცხა მოკავშირეები, მაგრამ ექვსამდე 1805 წლის 21 ოქტომბერს ინგლისის ფლოტმა, ადმირალ ნელსონის მეთაურობით, ტრაფალგართან ბრძოლაში გაანადგურა საფრანგეთის ფლოტი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ინგლისს შეეძლო ცოტა შვებით ამოესუნთქა, მაგრამ ტრაფალგართან ბრძოლაში დაიღუპა ადმირალი ნელსონი, რომელსაც ხშირად „ზღვების ნაპოლეონს" ეძახდნენ. ეს ინგლისისათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო.

როდესაც მომაკვდავ პრემიერ-მინისტრ პიტს მოახსენეს აუსტერლიცთან ბრძოლაში ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვება, მან მწარედ ამოიოხრა, შეხედა კედელზე ჩამოკიდებულ რუკას და წარმოთქვა: „ჩამოხსენით ეს რუკა, იგი ინგლისს ათი ნელი აღარ დაჭირდება".

ტრაფალგართან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ნაპოლეონი იძულებული იყო შეეცვალა ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა. საფრანგეთის ფლოტის განადგურების შემდეგ ინგლისში დესანტის გადასხმა წარმოუდგენელი იყო. უნდა მოეძებნათ ახალი გზები.

ნაპოლეონმა სასტიკად დაამარცხა მეოთხე ანტიფრანგული კოალიცია. 1806 წლის 21 ნოემბერს ბერლინში ნაპოლეონმა ხელი მოაწერა კონტინენტურ ბლოკადას: მან რომი გამოუცხადა ინგლისის ეკონომიკას. ამიერიდან საფრანგეთს და მის მოკავშირეებს არ ჰქონდათ ინგლისთან ვაჭრობის უფლება. ამის საპასუხოდ ინგლისმა განახორციელა საფრანგეთის და მისი მოკავშირეების ნავსადგურების ბლოკადა. ეს ღონისძიებები არ იძლეოდა სასურველ შედეგს, რადგან ორივე მხარე იძულებული იყო დაერღვია კონტინენტური ბლოკადა.

ინგლისი აქტიურად ეხმარებოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლ ესპანელ პატრიოტებს. ესპანეთში მოქმედებდა ინგლისელთა 20 ათასიანი საექსპედიციო კორპუსი გენერალ ველინგტონის მეთაურობით.

1807-1811 წლებში საფრანგეთი ყველანაირად ცდილობს ამოუკვეთოს ფეხი ინგლისს ევროპიდან. მაგრამ ამის პრაქტიკულად განხორციელება არ იყო ადვილი საქმე. საფრანგეთის მრეწველობა კონტინენტური ევროპის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. ევროპაში ინგლისური პროდუქცია მაინც შემოდიოდა.

1812 წელს რუსეთში ნაპოლეონის წარუმატებლობის შემდეგ ევროპაში ფართოდ გაშალა ფრთები ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. კვლავ ყალიბდება ანტიფრანგული კოალიცია, რომლის რიგებშიც გაერთიანდნენ ინგლისი, რუსეთი, ავსტრია, პრუსია. ნაპოლეონი დამარცხდა და უკან დაიხია. მოკავშირეთა ჯარები პარიზში შევიდნენ. ნაპოლეონი გადადგა.

ნაპოლეონის გაქცევამ ელბადან და პარიზში დაბრუნებამ სერიოზულად შეაშფოთა მოკავშირეები და ისინი ხელებდაკაპიწებული შეუდგნენ ახალი ანტიფრანგული კოალიციის შექმნას. 1815 წელს ბელგიაში ვატერლოსთან ბრძოლაში ინგლისელთა და პრუსიელთა ჯარებმა სძლიეს ფრანგებს. სერ უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: „თავისი ბრძოლებიდან ინგლისი ყოველთვის იგებს ერთადერთს – გადამწყვეტს“.

ვენის კონგრესის თანახმად, ინგლისმა დაიბრუნა მალტა და ნიდერლანდის ყოფილი კოლონიები: სამხრეთ აფრიკის ტერიტორია და ინდოეთის მახლობლად მდებარე დიდი კუნძული ცეილონი. ინგლისის ყველაზე დიდი წარმატებას, რა თქმა უნდა, მისი მთავარი კონკურენტის საფრანგეთის დასუსტება წარმოადგენდა. ვენის კონგრესის შემდეგ ინგლისმა მოახერხა ევროპაში მისთვის ხელსაყრელი ძალთა წონასწორობის დამყარება.

ინგლისის გამარჯვება საფრანგეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში განპირობებული იყო ინგლისის კუნძულოვანი მდგომარეობით, ფლოტის სიძლიერით, სწრაფი ეკონომიკური განვითარებით.

XI თავი

ინგლისი „მსოფლიო სახელოსნო“

1. ეკონომიკური წარმატებები. XVIII საუკუნის 60-იან წლებში ინგლისში დაწყებული სამრეწველო გადატრიალების, ე. ი. ინდუსტრიალიზაციის შედეგად, ინგლისი, 1815 წლის შემდეგ, მსოფლიო ბაზრის ბატონ-პატრონი შეიქმნა და მოწინავე ქვეყნებს შორის პირველი ადგილი მტკიცედ დაიკავა.

ტექნოლოგიური სიახლეები შეეხო ინგლისის სიამაყეს სამხედრო ფლოტს. XIX საუკუნის შუა ხანებში ინგლისის ფლოტი ორთქლის ძრავაზე გადადის და ავიწროვებს იალქნიან ფლოტს. ამან ზღვებზე ინგლისის ისედაც უდავო მონოპოლია კიდევ უფრო გაამყარა. ცხადია, იალქნიან ფლოტს არ შესწევდა უნარი კონკურენცია გაეწია ორთქლის ძრავაზე გადასული ინგლისის ფლოტისთვის. ტექნიკური სიახლეების შედეგად ინგლისის ფლოტის მხარეზე აღმოჩნდა უდიდესი უპირატესობა.

ნაპოლეონზე გამარჯვებამ კიდევ უფრო გაამყარა ინგლისის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება. ინგლისი „ზღვების მფლობელი“ შეიქმნა. ის აკონტროლებდა მსოფლიო საზღვაო კომუნიკაციებს. ინგლისის სამხედრო ფლოტს დედამიწის ზურგზე ბადალი არ მოეპოვებოდა. ინგლისის სავაჭრო ფლოტი არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა სახელმწიფოთა პროდუქციის გადაზიდვასაც ახორციელებდა.

1815 წლის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა ინგლისის როგორც მსოფლიო საფინანსო ცენტრის მდგომარეობა. ლონდონის ბანკს ბანკთა ბანკს უწოდებდნენ.

ინგლისის ზღვებზე ბატონობის, კოლონიური ძლიერების, ფინანსური პირველობის გასაღები ინგლისის ეკონომიკის სწრაფ პროგრესში ძევს.

ინგლისის ეკონომიკური წარმატებები, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ ინტენსიურად მიმდინარეობდა

სამრეწველო გადატრიალების პროცესი და იგი სულ უფრო მეტად ვრცელდება ახალ დარგებში.

ყურადღებას იპყრობს მსუბუქი მრეწველობის წარმატებები, სადაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მექანიზაციის პროცესი. არსებობს მონაცემები, რომ უკვე 1824 წლისთვის მხოლოდ მანჩესტერში არსებობდა 24 ათასი ახალი ტიპის საფეიქრო დაზგა. მანქანების წარმოება სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს. შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები.

თვალშისაცემია ქვანახშირის წარმოების და მეტალურგიის აღმავლობა. 1800 წელს ინგლისი მოიპოვებდა 10 მილიონ ტონა ქვანახშირს, ხოლო 1830 წლისათვის მისმა მოპოვებამ 16 მილიონს გადააჭარბა. 1820 წელს ინგლისი ადნობდა 374 ათას ტონა ფოლადს, ხოლო 1825 წელს 590 ათას ტონას, 1830 წელს კი 678 ათასს.

ჯორჯ სტეფენსონის მიერ ლოკომოტივის შექმნამ სათავე დაუდო სარკინიგზო მშენებლობებს. უკვე 1829 წელს გაყვანილი იქნა სარკინიგზო ხაზი მანჩესტერსა და ლივერპულს შორის.

30-იან წლებში ინგლისი მოიცვა ნამდვილმა სარკინიგზო ბუმმა. ერთი თანამედროვე შენიშნავდა „პრესა მხარს უჭერს ამ მანიას, მთავრობა აკანონებს მას. ხალხი ფულს იხდის მასში. რკინიგზა იქცა ერთდროულად მოდად და სისულელედ". 1848 წელს ინგლისში უკვე არსებობდა 6400 კილომეტრი რკინიგზის ხაზი. სარკინიგზო ქსელმა დიდად შეუწყო ხელი ინგლისის ეკონომიკის განვითარებას.

მრეწველობის აღმავლობას მოჰყვა თვისობრივი ცვლილებები სოფლის მეურნეობაში. შემოღობვების შედეგად მთელი მიწები აღმოჩნდა ლენდლორდების ხელში. წვრილი გლეხური მეურნეობა გაქრა. ინგლისი გახდა მსხვილი მიწათმფლობელობის ქვეყანა.

ინგლისის ინდუსტრიალიზაციამ მძლავრი სტიმული მისცა ინგლისის საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებას. ინგლისში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი ხდებოდა ამერიკის კონტინენტზე, ევროპის სახელმწიფობში და მათ კოლონიებში.

XIX საუკუნის შუა ხანებში ინგლისში სამრეწველო გადატრიალება ფაქტობრივად დასრულდა. ინგლისის მრეწველობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობა, მისი ტექნიკური უპირატესობა გა-

ნაპირობებდა იმას, რომ 1815 წლის შემდეგ ინგლისი „მსოფლიო სახელოსნოდ“ იქცა.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ინგლისის ეკონომიკა სულ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა და არ იყო შეფერხებები, კრიზისი. ინგლისის მრეწველობისთვის მეტად მძიმე აღმოჩნდა 1825 წელი, 1857 წელი და 1866-1867 წლები, როდესაც ეკონომიკაში თავი იჩინეს სერიოზულმა სირთულეებმა, სტაგნაციამ, რაც გამოწვეული იყო ჭარბწარმოებით. ფაბრიკა-ქარხნებში უხვად იყო პროდუქცია, მაგრამ მისი გასაღება გაძნელდა. შეფერხდა აღებ-მიცემობა. დაიხურა საწარმოები. მუშათა მდგომარეობის გაუარესება ამის ლოგიკური შედეგი იყო.

2. მუშათა საკითხი ინგლისში. ჩარტისტული მოძრაობა. ინგლისის სამრეწველო განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია მუშათა კლასის წარმოშობა. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის მათი რაოდენობა 4 მილიონს აღწევს. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1,5 მილიონი მოჯამაგირე, ფაქტობრივად დაქირავებული მუშა, სოფლის მეურნეობაშია დაკავებული.

მიუხედავად შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა, ტექნოლოგიური პროგრესისა, დამზადებული პროდუქციის იაფი ფასისა, მუშათა ყოფა მაინც დუხჭირი იყო. თავად განსაჯეთ, მათხოვრული ხელფასით მას პირველი მოხმარების საგნების შეძენაც კი უჭირდა.

მუშათა უკმაყოფილების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა იყო მანქანების დამსხვრევა. ისინი გულუბრყვილოდ მიიჩნევდნენ, რომ მათ მძიმე ყოფაში დამნაშავე იყო მანქანები და ამტვრევდნენ მანქანებს. პირველი, ვინც ჩაიდინა ეს, იყო ლეგენდარული მუშა ნედ ლუდი და ამიტომ მის მიმდევრებს ლუდიტებს უწოდებდნენ. მათ წინააღმდეგ სასტიკი კანონები შემოიღეს.

ინგლისში დიდი ხანია რაც არსებობდა ღარიბთა თავშესაფარები ე. წ. სამუშაო სახლები. თავდაპირველად სამუშაო სახლები ადგილობრივი ეკლესიის სამწყსოს გამგებლობაში იყო. სამრეწველო გადატრიალების პერიოდში მოხდა სამუშაო სახლების სისტემის ცენტრალიზაცია. ამიერიდან სამუშაო სახლებში, სადაც ცხოვრებისა და შრომის ჯოჯოხეთური პირობები იყო, ძალ-

დატანებით ათავსებდნენ ყველას, ვინც საზოგადოების დახმარებას საჭიროებდა. სამუშაო სახლებში მოხვედრის შიში აიძულებდა ღარიბებს დათანხმებულიყვნენ ნებისმიერ პირობებს. ასე ჩნდება იაფი მუშა ხელი. მუშები სამუშაო სახლებს უწოდებდნენ „ბასტილიას მუშებისათვის".

ინგლისური დემოკრატიის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინგლისი იყო პირველი ქვეყანა, სადაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა, საფაბრიკო კანონმდებლობა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ამან გარკვეული ზღვარი დაუდო მუშათა სასტიკ ექსპლუატაციას. ასე მაგალითად, იკრძალებოდა ფაბრიკა-ქარხნებში 9 წლამდე ბავშვების შრომის გამოყენება. იმისათვის, რომ ცხოვრებაში გაეტარებინათ ეს კანონები, შემოღებული იქნა საფაბრიკო ინსპექტორის (ზედამხედველის) თანამდებობა.

თუმცა მასობრივად ჰქონდა ადგილი ამ კანონების დარღვევას. ეს იწვევდა მუშების უკმაყოფილებას. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ჩარტისტული მოძრაობა.

1836 წელს ლონდონში შეიქმნა მუშათა გაერთიანება. მათ მიიღეს ექვსი პუნქტისაგან შემდგარი სახალხო ქარტია. აქედან წარმოდგა მათი სახელწოდება ჩარტისტები. თავდაპირველად ისინი აყენებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებს. მუშები იმედოვნებდნენ, თუ მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა, ისინი მოიპოვებდნენ უმრავლესობას პარლამენტში და მერე დაიწყებდნენ უფრო ფართომასშტაბიანი რეფორმების გატარებას. ამ პირველ პეტიციას მოჰყვა კიდევ ორი. სადაც ისინი უკვე ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებსაც სვამდნენ. ჩარტისტულმა მოძრაობამ ფართო გაქანება მიიღო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ისინი XIX საუკუნის 30-40-იან წლებში.

ჩარტისტებმა პეტიცია სამჯერ წარუდგინეს პარლამენტს, რომელმაც მათი მოთხოვნები სამივეჯერ არ დააკმაყოფილა.

სამრეწველო საწარმოების რიცხვის მკვეთრი ზრდა და სამუშაო პირობების ცოტათი გაუმჯობესება სოციალურ კონფლიქტებს უკარგავს თავის უწინდელ სიმწვავეს. ამას დაუმატეთ XIX საუკუნის შუა ხანებში დაწყებული ეკონომიკური აღმავლობა და ნათელი შეიქმნა ის ობიექტური სიტუაცია, რომელმაც დააცხრო ჩარტისტების რადიკალური განწყობილება.

XIX საუკუნის 60-იან წლებში სამრეწველო გადატრიალების მიერ გამოწვეული ტექნიკური სიახლეების შედეგად გაჩნდა კვალიფიცირებულ მუშებზე მოთხოვნა. მათი შრომის მაღალი ნაყოფიერება ხელფასის გაზრდის საშუალებას იძლეოდა. ახლა იაფფასიანი პროდუქცია კვალიფიცირებული მუშისათვის ხელმისაწვდომი შეიქმნა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კვალიფიკაციის ამაღლების შემთხვევაში, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პერსპექტივა საკმაოდ რეალური იყო.

აღსანიშნავია, რომ შემდგომში, დროთა განმავლობაში, ჩარტისტების მოთხოვნების დიდი ნაწილი დაკმაყოფილებული იქნა. ჯერ კიდევ 1847 წელს გააფართოვეს მუშათა კანონები. მკაცრად განისაზღვრა სამუშაო დღის ხანგრძლივობა. ამიერიდან ის 10 საათს შეადგენდა.

3. სოციალისტური მოძღვრებები. ინგლისის ეკონომიკურ წარმატებებსა და მუშათა მძიმე სოციალურ ყოფას შორის არსებული შეუსაბამობა ფრიად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა სოციალისტური იდეების განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ახალგაზრდა ფაბრიკანტის რობერტ ოუენის (1771-1858) საქმიანობა. ოუენი აკრიტიკებდა არსებულ ვითარებას და გავრცელებულ ეკონომიკურ შეხედულებებს. ოუენი შეეცადა მოეძებნა გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან და რამდენადმე მაინც გაეუმჯობესებინა მუშების დუხჭირი ყოფა. მისი ღრმა რწმენით, თუ მუშები ნაკლებ დროს იმუშავებდნენ, გაუმჯობესდებოდა მათი კვება და საცხოვრებელი პირობები, მათი შრომის ნაყოფიერებაც შესაბამისად გაიზრდებოდა. მან მართლაც მოახერხა გაეუმჯობესებინა ცხოვრების და შრომის პირობები ნიუ-ლანკაშირის საფეიქრო წარმოების მუშებისათვის.

მაგრამ ახალ სამყაროში ამერიკის შეერთებულ შტატებში ოუენის მიერ დაარსებულმა კომუნამ „ახალი ჰარმონია" მალე შეწყვიტა არსებობა. ცხოვრებაში მისი იდეალების განხორციელება არარეალური აღმოჩნდა და ეს ძიებანი უმთავრესად უტოპიურ ხასიათს ატარებდა. სოციალურმა თემებმა თავისუფალი მეწარმეობის საზოგადოებასთან კონკურენციას ვერ გაუძლეს.

40-იანი წლებიდან მოყოლებული ფრიად დიდ აქტუალობას იძენს მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის შეერთების იდეა. ამ

საკითხის წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში სოციალისტების ავტორიტეტი და მათი მიმდევრების რაოდენობა რადიკალურად გაიზრდებოდა.

ამ პრობლემის ირგვლივ ძალიან ბევრი ითქვა, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი რეზონანსი წილად ხვდა გერმანელი სწავლულების კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის იდეებს. მათ სოციალური ჰარმონიის ნიმუშად კომუნიზმი ესახებოდათ, რომელიც, მათი აზრით, საზოგადოების ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს, მაგრამ მათ დამაჯერებლად ვერ ცხადყვეს ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდა სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ფუნქციონირებას. მათ მსედველობიდან გამორჩათ, რომ ამ პრინციპზე აგებულ სახელმწიფოში უეჭველად გაჩნდებოდა ქვეყნის შემდგომი აღმავლობის დამაბრკოლებელი ბიუროკრატიული აპარატი.

1848 წლიდან კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ინგლისში ცხოვრობდნენ. კ. მარქსი ლონდონში დასახლდა, ხოლო ენგელსი მანჩესტერში მეწარმეობას ეწეოდა და ხშირად მატერიალურად ეხმარებოდა მეგობარს. ინგლისში შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობა მეტად მწვავე იყო. ამიტომ მოსალოდნელი გახლდათ, რომ ინგლისში მარქსის მოძღვრებას ფართო რეზონანსი ექნებოდა. სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. რატომ? ეს ძირითადად ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას:

პირველი. XIX საუკუნის შუა ხანებში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა, სამრეწველო საწარმოების რიცხვი გაიზარდა, სამუშაო პირობები ცოტათი გაუმჯობესდა. ყველაფერმა ამან ნიადაგი გამოაცალა მარქსის დებულებას თითქოს რამდენადაც გამდიდრდება მსხვილი მესაკუთრეთა კლასი, იმდენად გაღატაკდება მუშათა კლასი. მუშათა მოძრაობა უპირატესად მაინც წავიდა არსებული პოლიტიკური სისტემის პირობებში, რეფორმების, საპარლამენტო ბრძოლის გზით.

მეორე. ინგლისში მარქსიზმისადმი გულგრილი დამოკიდებულება იმით იყო გამოწვეული, რომ აქ არსებობდა საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის დიალოგისათვის და ამიტომ მარქსიზმის ცნობილმა ლოზუნგმა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ინგლისში არ იმუშავა. ინგლისის მუშათა კლასმა ზურგი აქცია მარქსიზმს.

XII თავი

ინგლისური დემოკრატიის გაფართოვება. ინგლისის საგარეო და კოლონიური პოლიტიკა

1. საპარლამენტო რეფორმები. დემოკრატიის ნარმატებები ინგლისში. 20-იანი წლების რეფორმებმა ნაწილობრივ დახვეწა ინგლისის მმართველობის სტრუქტურა, მაგრამ ძველი საარჩევნო სისტემა უცვლელი დარჩა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უფლებას პრაქტიკულად მოკლებული იყვნენ მჭიდროდ დასახლებული სამრეწველო რაიონების მენარმეები. სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული ის ცვლილებები, რომელიც მოხდა მოსახლეობის განსახლებაში. მთელი რიგი ადგილები გაუკაცრიელდა და წარმოიშვა ახალი ქალაქები. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ისინი მოკლებული იყვნენ იმის უფლებას, რომ პარლამენტში თავიანთი წარმომადგენელი ყოლოდათ. ამავე დროს მსხვილი მიწათმფლობელების ხელში იყო მოსახლეობისაგან დაცლილი ადგილები ე. წ. „დამპალი დაბები", რომლებიც ინარჩუნებდნენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. არჩევნების დღეს სანაპირო ზოლის მფლობელი ლორდი სამ ამომრჩეველთან ერთად, ნავით მიდიოდა დამპალ „დაბაში" და „არჩევნებს" ატარებდა. საგულისხმოა, რომ თემთა პალატის 513 დეპუტატიდან 254 საპარლამენტო ადგილი ეკუთვნოდათ „დამპალ დაბებს". ამიტომ, ბუნებრივია, რომ პარლამენტში უმრავლესობა გააჩნდათ მსხვილ მიწათმფლობელებს, ხოლო მზარდი ქალაქის ბურჟუაზია მოკლებული იყო საარჩევნო უფლებას. ერთი სიტყვით, ინგლისში არსებული საარჩევნო სისტემა მოძველდა და ინგლისის პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებების ფონზე ანაქრონიზმად გამოიყურებოდა.

30-იანი წლების დასაწყისში დღის წესრიგში დადგა საპარლამენტო რეფორმების გატარების საკითხი. ეს ადვილი გასაგებიცაა. საარჩევნო სისტემაში არსებული შეუსაბამობა აუცილებლად უნდა გასწორებულიყო.

ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენს 1832 წლის რეფორმა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „დამპალი დაბების" უმეტესობა ლიკვიდირებულ იქნა. ამის ხარჯზე გაფართოვდა მსხვილი სამრეწველო ცენტრების უფლებამოსილებანი. ახლა მათ უფრო მეტი დეპუტატების წარდგენა შეეძლოთ. შემცირდა ქონებრივი ცენზი. ამას მოყვა ამომრჩეველთა რიცხვის გაზრდა. მან 440 ათასიდან 660 ათასს მიაღწია.

1832 წლის რეფორმა წარმოადგენდა სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ პარლამენტის სოციალური შემადგენლობა კიდევ უფრო გაფართოვდა. მიწათმფლობელი კლასის გვერდით პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელზე გაძლიერდა სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზია.

მიუხედავად გატარებული საარჩევნო რეფორმისა ამომრჩეველთა რაოდენობა მაინც მეტად მცირე იყო. 14 მილიონი მოსახლეობიდან ამომრჩეველთა მხოლოდ 660 ათასი. (აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ბავშვები და მათ, ცხადია, საამომრჩევლო ხმა არ ეკუთვნოდათ; არჩევნებში მონაწილეობის უფლება არც ქალებს ქონდათ). უპირატესად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლა ამით არ გასრულებულა და მომდევნო წლებშიც გაგრძელდა.

1867 წელს ინგლისში გატარდა მეორე საპარლამენტო რეფორმა. ამჯერად ამომრჩეველთა რიგებს შეემატა ყველა მამაკაცი, რომელსაც გააჩნდა საკუთარი სახლი ან შეეძლო ცალკე ბინის ქირაობა. ასე აღმოჩნდა ჩართული ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში წვრილი ბურჟუაზია და კვალიფიცირებული მუშები. პარლამენტის სოციალური შემადგენლობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი შეიქმნა. ამიერიდან 22 მილიონიან მოსახლეობაში ამომრჩეველთა რაოდენობამ 2 მილიონს მიაღწია.

2. ინგლისის საგარეო პოლიტიკა. კოლონიური დაპყრობები. 1815 წელს ევროპაში რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავიდან აცილების და არსებული პოლიტიკური რეჟიმის შენარჩუნების მიზნით შეიქმნა „საღვთო კავშირი". მისი მთავარი სულისჩამდგმელი და აღიარებული თავკაცი იყო რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I. ინგლისი არ გამხდარა „საღვთო კავშირის" წევრი, მაგრამ აშკარად თანაუგრძნობდა მის რეაქციულ პოლიტიკას. ამით ინგლისმა მორალური მხარდაჭერა აღმოუჩინა „საღვთო კავშირს". ამ რეაქციული პოლიტიკის ინიციატორი იყო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კესტლერი. სხვათა შორის, ლორდ კესტლერმა ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა. ამაზე სახელგანთქმულმა ინგლისელმა პოეტმა ჯორჯ ბაირონმა ლექსი დაწერა და ირონიულად შენიშნა: კესტლერის ერთადერთი დამსახურება დიდი ბრიტანეთის წინაშე ის არის, რომ მან თვითმკვლელობით ინგლისი კესტლერისაგან იხსნა.

კესტლერის გარდაცვალების შემდეგ ინგლისის საგარეო პოლიტიკამ გარკვეული ფერიცვალება განიცადა, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო ინგლისის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კანინგის სახელთან. ეს სახეცვლილება იმით გამოიხატებოდა, რომ ინგლისი აშკარად დაუპირისპირდა „საღვთო კავშირის" პოლიტიკას. ინგლისმა სცნო ლათინური ამერიკის ესპანური კოლონიების დამოუკიდებლობა. ეს იყო კარგად მოფიქრებული პოლიტიკური სვლა. ინგლისმა დაამყარა მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტები განთავისუფლებულ სახელმწიფოებთან. ინგლისმა მხარი არ დაუჭირა „საღვთო კავშირის" ძალისხმევას, რომელიც მოითხოვდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცეცხლითა და მახვილით ჩახშობას.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი რომელზეც ინგლისს „საღვთო კავშირისაგან" განსხვავებული პოზიცია ეკავა იყო საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ინგლისი ლამობდა ბერძნების გულის მოგებას და იმედოვნებდა, რომ მომავალში საბერძნეთი შეიქმნებოდა ხმელთაშუა ზღვაზე ინგლისის მთავარი დასაყრდენი.

1832 წლის რეფორმის შემდეგ აშკარად გამოცოცხლდა ინგლისის კოლონიური პოლიტიკა. 1839 წელს პირველი „ოპიუმის ომის"შემდეგ ინგლისმა ფეხი მოიკიდა ჩინეთში. 1849 წელს ინგლისმა ხელთ იგდო დიდი ტერიტორიები ინდოეთში – პენჯაბში. ინგლისი ცდილობს თავისი პოზიციები განიმტკიცოს სამხრეთ ჩინეთში ჰონკონგში.

1841 წელს ინგლისმა მოახდინა ახალი ზელანდიის ოკუპაცია, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ კი იერიში მიიტანა სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე და შეეცადა ამ რეგიონში თავისი პოზიციების განმტკიცებას.

კოლონიური ხელისუფლება თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებისათვის ზრუნავდა. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი XIX საუკუნის შუა ხანებიდან ინდოეთში რკინიგზების და არხების მშენებლობის ბუმი. საფუძველი ჩაეყარა ინგლისის ინდოეთთან დამაკავშირებელ სატელეგრაფო ხაზს. იგი სხვადასხვა ქვეყნებზე და მათ შორის საქართველოზეც გადიოდა.

XIX საუკუნის შუა ხანებში კოლონიზატორებმა იფიქრეს, რომ ინდოეთის დაპყრობა მოთავებული საქმეაო და გადაწყვიტეს უარი ეთქვათ მათ სამსახურში მყოფი კარგად განვრთნილი და შეიარაღებულ ინდოელ ჯარისკაცებზე – სიფაიებზე. მათი ნაწილი საერთოდ დაითხოვეს, ხოლო მეორე ნაწილს ხელფასი და ულუფა შეუმცირეს.

ამას მოჰყვა სიფაიებს შორის დიდი უკმაყოფილება და 1857 წელს დელის მახლობლად იფეთქა სიფაიების აჯანყებამ. იგი სწრაფად გაცდა ლოკალურ ჩარჩოებს და ინგლისელთა წინააღმდეგ ფართო ანტიკოლონიურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში გადაიზარდა.

თავდაპირველად ინიციატივა ამბოხებული სიფაიების მხარეზე იყო. ისინი წინ მიიწევენ და იკავებენ ინდოეთის ჩრდილო და ცენტრალურ რაიონებს. აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა დელი და სხვა დიდი ქალაქები.

ინგლისი იძულებული შეიქნა მოეხდინა ძალების მაქსიმალური მობილიზაცია. ინდოეთში შეიყვანა დამატებითი სამხედრო კონტინგენტი და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო მეამბოხეები-

სათვის ანგარიში გაესწორებინა. სიფაების აჯანყება ინგლისმა სისხლში ჩაახშო. აჯანყებულებს ისინი სასტიკად გაუსწორდნენ და მკაცრად დასაჯეს. ტყვეებს ზარბაზნის ლულის ყელზე მიაკრავდნენ და გასროლის შემდეგ ნაფლეთებად აქცევდნენ, საგანგებოდ შეკრებილი ხალხის ნინაშე.

სიფაების აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ დააფიქრა ინგლისელი კოლონიზატორები და აიძულა ისინი გარკვეულ დათმობებზე ნასულიყვნენ. პირველ რიგში, ადგილობრივ მთავრებს მიწის საკუთრების ხელშეუხებლობა აღუთქვეს. მოსახლეობის უკმაყოფილების დაცხრობის მიზნით, მემამულეებს გადასახადების გაზრდა აუკრძალეს.

1858 წელს არსებობა დაასრულა ოსტ-ინდოეთის კომპანიამ და „დიდი მოგოლთა" იმპერიამ. ამიერიდან ინდოეთი ინგლისის სამეფო კოლონიად გამოცხადდა. სახელმწიფო მმართველობისა და სწავლების ენა ინდოეთში ინგლისური გახდა.

50-იანი წლების დასაწყისში თავი წამოყო აღმოსავლეთის საკითხმა. მისი პიკი, კულმინაცია, იყო ყირიმის ომი (1853-1856).

რუსეთს სურდა თურქეთის დანაწილება, ბოსფორის და დარდანელის სრუტეების დაკავება. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოზიციების განმტკიცება. ამან შესამჩნევად დაძაბა რუსეთ-თურქეთის ურთიერობები. დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. თურქეთს გვერდში ამოუდგნენ ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც არ დაუშვებდნენ რუსეთის მიერ სრუტეების დაკავებას. ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიაში მდებარე სარდინის სამეფომ ომი გამოუცხადეს რუსეთს. სხვათა შორის, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოხდა ომი რუსეთსა და ინგლისს შორის. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ აქ სრულდება რუსეთ-ინგლისის ხანგრძლივი მეტოქეობა ვენის კონგრესის შემდეგ. თავისთავად ეს დაპირისპირება საინტერესო იყო. ინგლისი ეკონომიკურად ყველაზე უფრო ძლიერ ქვეყანად იქცა, რუსეთი კი – ყველაზე მრავალრიცხოვანი არმიის მქონე სახელმწიფოდ. უპირატესობა ვინ უნდა აიღოს, ეკონომიკურად

ძლიერმა ინგლისმა თუ სამხედრო სახელმწიფო რუსეთმა. ამ მეტოქეობის ბედი წინასწარ განსაზღვრული იყო.

ინგლისის ფლოტმა დაამარცხა რუსეთის ფლოტი. მოკავშირეებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა, დაიკავეს სევასტოპოლი. 1856 წელს ხელმოწერილი ზავის თანახმად, შავი ზღვა გამოცხადდა ნეიტრალურად. ინგლისმა არ დაუშვა რუსეთის ფლოტის მიერ სრუტეების დაკავება.

ინგლისის ამ წარმატების მთავარი ინიციატორი იყო ლორდი პალმერსტონი, რომელსაც ზედიზედ 10 წლის მანძილზე ეკავა ინგლისის პრემიერ-მინისტრის პოსტი. ინგლისელ ისტორიკოსებს ძალიან უყვართ საუბარი „პალმერსტონის ერაზე".

საინტერესოა ინგლისის დაპირისპირება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. საქმე ისაა, რომ ამჟამად ინგლისს წინ აღუდგა, არა ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფო რუსეთის სახით, არამედ უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთი ნაწილი. ამიტომ შედეგებიც სრულიად განსხვავებული იყო.

ინგლისმა ისარგებლა სამოქალაქო ომით ამერიკის შეერთებულ შტატებში და კიდევ ერთხელ სცადა მისი შევიწროება. ამ ბრძოლაში ინგლისი მხარს უჭერდა სამხრეთს იმ იმედით, რომ ჩაძირავდა ჩრდილოეთს, მაგრამ ინგლისს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სამხრეთელები დამარცხდნენ. ამერიკის შეერთებული შტატები ომიდან კიდევ უფრო ძლიერი გამოვიდა. იგი დიდ მეტოქეობას უწევდა ინგლისს სამხრეთ ამერიკაში და შორეულ აღმოსავლეთში.

ამ რეგიონში ინგლისს კიდევ ერთი ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა იაპონიის სახით. ის რაც გაუვიდა ინგლისს ჩინეთში, არ გამოუვიდა იაპონიასთან. ეს არცაა გასაკვირი. „მეიძის რევოლუციის" შემდეგ იაპონია ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა.

XIII თავი

ინგლისი 1870-1914 წლებში

1. ინგლისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ინგლისის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტეხილი მოჩანს. აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმას, რომ XIX საუკუნის მიწურულს ინგლისს ამერიკის შეერთებული შტატების და გერმანიის სახით სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდნენ.

ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ იქნება თვალი გადავავლოთ სტატისტიკურ ცნობებს (ინგლისის წილი პროცენტებში მსოფლიო წარმოებაში).

	1870	1880	1890	1900
ქვანახშირის მოპოვება	51,5	43,2	35,8	29,7
ფოლადის გამოდნობა	50	42,4	28,7	22,1
ნედლეულის მოხმარება	49,2	42,3	35,9	28,5

ინგლისის ეკონომიკური განვითარების ასეთი სურათი იკვეთება. XIX საუკუნის მიწურულს ინგლისის ეკონომიკა კვლავინდებურად აღმავალი ხაზით ვითარდება, მაგრამ მსოფლიო წარმოების ზრდის ტემპებთან შედარებით, ინგლისის ხვედრითი წონა მსოფლიო წარმოების პროცესში მკვეთრად კლებულობს. ინგლისის სამრეწველო ჰეგემონიას წყალი შეუდგა. ახალმა ინდუსტრიულმა სახელმწიფოებმა განვითარების ტემპების მხრივ გაუსწრეს ინგლისს. სწორედ ამაში მდგომარეობდა ინგლისის ეკონომიკური განვითარების ძირითადი თავისებურება ორი საუკუნის გზაგასაყარზე.

ინგლისის მრეწველობაში დიდი ხნის განმავლობაში დაბანდებული აღმოჩნდა უზარმაზარი კაპიტალი. ტექნიკური პროგრესი ხორციელდებოდა მეტად სწრაფად. ძველ დანადგარებს და ფაბრიკა-ქარხნებს ყავლი გაუვიდათ. მათი განახლება არ იყო ადვილი საქმე და დაკავშირებულია დიდ თანხებთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს გამოიწვევდა ადრე დაბანდებული კაპიტალის დაკარგვას. ეს კი ინგლისელ მეწარმეებს არ აწყობდათ. რაც შეეხება ინგლისის უშუალო კონკურენტებს, ამერიკის შეერთებულ შტატებს და გერმანიას აქ სულ სხვა ვითარება იყო. საქმე ისაა, რომ ეს სახელმწიფოები მიეკუთვნებოდნენ ახალი ინდუსტრიული ქვეყნების კატეგორიას და აქ საწარმოები უახლესი ტექნიკის მიღწევების საფუძველზე შენდებოდა.

გაზრდილი კონკურენცია შეეხო ინგლისის სოფლის მეურნეობასაც. აქ ინგლისი აწყდება იმავე ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის მხრივ მწვავე მეტოქეობას. საზღვაო გადმოზიდვების გაიაფების შედეგად ისინი სერიოზული კონკურენციას უწევდნენ ინგლისურ მარცვლეულს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა წარმოების ახალი დარგები – ქიმიური წარმოება, ელექტროტექნიკის წარმოება. ეს დარგები ინგლისში სწრაფად ვითარდება, მაგრამ უფრო მეტი სისწრაფით მიდის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში და გერმანიაში.

2. ინგლისის საშინაო პოლიტიკა 1870-1914 წლებში. 1837 წელს ინგლისის ტახტზე ავიდა ჯორჯ III-ს შვილის ედვარდის ქალიშვილი ვიქტორია (1837-1901). იგი ცოლად გაყვა საქს-კობურგისა და გოთას მთავარს ალბერტს. საძირკველი ჩაეყარა ჰანოვერთა დინასტიის გვერდით შტოს საქს-კობურგების ანუ უინძორების დინასტიას, რომელიც დღესაც მართავს ინგლისს: ედვარდ VII (1901-1910), ჯორჯ V (1910-1936), ჯორჯ VI (1936-1952) და 1952 წლიდან ელისაბედ II.

ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში უჩვეულო არაფერი ხდება. ხელისუფლების სათავეში ერთმანეთს ცვლიან ლიბერალები და კონსერვატორები. პირველს სათავეში ედგა უილიამ გლადსტონი, ხოლო მეორეს ბენჯამენ დიზრაელი.

ლიბერალების საქმიანობაში მთავარი ყურადღება ექცეოდა რეფორმების გატარებას, საშინაო პოლიტიკას. კონსერვატორებმა აქცენტი გადაიტანეს საგარეო პოლიტიკაზე და კოლონიურ დაპყრობებზე. მათი ლიდერი დიზრაელი ამბობდა „ინგლისი დაიღალა რეფორმებით", ახლა მას „ესაჭიროება შესვენება". კონსერვატორები ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ „ინგლისის კოლონიებში, რომელიც გაფანტული იყო საათის ყველა სარტყელში, მზე არასოდეს ჩადისო". ამაზე ოპონენტები მიუგებდნენ „ინგლისში არის მრავალი ჯურღმული, სადაც მზე არასოდეს ამოდისო".

ლიბერალების მმართველობის დროს გატარდა ფართო რეფორმები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მოწესრიგდა უმაღლესი სასამართლო სისტემა. ბოლო სასამართლო ინსტანცია ლორდთა პალატაა.

განათლების სფერო ჩამოშორდა ეკლესიის კომპეტენციას და შეიქმნა სახალხო განათლების სისტემა. განხორციელდა აგრეთვე ადმინისტრაციული აპარატის რეფორმა. ის, უწინარესად, სახელმწიფო მოხელეების საერთო განათლების დონის ამაღლებაზე იყო გათვლილი.

გლადასტონის მთავრობამ მიიღო კანონი, რომელმაც ძალიან შეზღუდა მუშათა გაფიცვების შესაძლებლობა. ამან გამოინვია მუშების უკმაყოფილება. 1874 წელს გლადსტონი იძულებული შეიქმნა გადამდგარიყო.

ახალმა კონსერვატულმა კაბინეტმა, რომელსაც სათავეში ედგა ბენჯამენ დიზრაელი, გამოასწორა წინამორბედების შეცდომა და ეს კანონი გააუქმა.

1880 წელს ლიბერალები კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. ლიბერალების საქმიანობაში ყურადღებას იპყრობს 1884 წლის საპარლამენტო რეფორმა და ირლანდიის ჰომრულის საკითხი.

ეს იყო მესამე საპარლამენტო რეფორმა ინგლისის ისტორიაში. ამიერიდან შემუშავებული იქნა ერთიანი საარჩევნო სისტემა როგორც ქალაქში, ისე სოფელში. სოფლის მოსახლეობის ხარჯზე გაიზარდა ამომრჩეველთა რაოდენობა. ხმის მიცემის უფლება მოიპოვეს სოფლის კვალიფიცირებულმა მუშებმა.

1888 წელს განხორციელებული იქნა ადგილობრივი მმართველობის რეფორმა. მიიღეს კანონი ბავშვთა უფასო დაწყებითი განათლების შესახებ. ეს კანონი მიზნად ისახავდა მრეწველობის კვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფას.

1895 წლის საპარლამენტო არჩევნებმა წარმატება კონსერვატორებს მოუტანა. ისინი მთელი ათი წელი იმყოფებოდნენ ხელისუფლების სათავეში. ეს იყო ინგლისის ისტორიაში „კონსერვატორების ერა".

1905 წელს დასრულდა კონსერვატორების ბატონობა. ახალ საპარლამენტო არჩევნებში წარმატებას ლიბერალებმა მიაღწიეს და ათი წლის განმავლობაში ეპყრათ ხელში მმართველობის სადავეები. ხშირად ამ ათ წელს „ლიბერალების ხანასაც" უწოდებენ.

1906 წელს შეიქმნა ახალი, ლეიბორისტების, პარტია. სულ ცოტა ხანში მან ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა და სერიოზული კონკურენცია გაუწია ძირძველ ლიბერალების პარტიას.

აღსანიშნავია, პირველი მსოფლიო ომის წინ გატარებული სოციალური ღონისძიებები. 1909 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც განსაზღვრავდა მინიმალური ხელფასის ოდენობას. დაუნიშნეს პენსია 70 წელს მიტანებულ მუშებს. სოციალურ პრობლემებზე ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 4-5 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ ღონისძიებების მთავარი ინიციატორია დევიდ ლოიდ ჯორჯი.

3. ირლანდიის საკითხი. XVII საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, როდესაც ოლივერ კრომველმა მოაწყო ექსპედიცია ირლანდიაში, ირლანდიის პრობლემა ინგლისისათვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხად იქცა. ირლანდიაში საუკეთესო მიწები ინგლისელ მემამულეთა ხელში აღმოჩნდა, ხოლო ირლანდიელი გლეხი უმიწოდ დარჩა და იძულებული იყო მოჯამაგირეობით და იჯარით ერჩინა თავი. ასე გადაეხლართა ერთმანეთს სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობები. ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ირლანდიელი გლეხების ბრძოლა ინგლისელი მემამულეების წინააღმდეგ.

1870 წელს ჩარლზ პარნელის ინიციატივით, ირლანდიელებმა ნამოაყენეს „ჰომრულის“ მოთხოვნა, რაც ნიშნავდა ავტონომიის მინიჭებას დიდი ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში. ამ საკითხის გარშემო ინგლისის პარლამენტში აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა. ლიბერალები გლადსტონის მეთაურობით, გარკვეულ დათმობებზე მიდიოდნენ ირლანდიის საკითხში, რასაც ვერ ვიტყვი მათ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე კონსერვატორებზე. მნიშვნელოვანნილად ამით აიხსნებოდა უილიამ გლადსტონისადმი ქართველ მოღვაწეთა, პირველ რიგში კი ილია ჭავჭავაძის და იაკობ გოგებაშვილის, სიმპათიები. ქართული პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა და დეტალურად აშუქებდა ირლანდიელი ხალხის ბრძოლას. მოწინავე ქართული საზოგადოება ამ ბრძოლაში თანაუგრძნობდა ირლანდიელებს. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ეზოპეს ენით, ქართველი მკითხველისათვის მიეინიშნებინათ რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ.

საგულისხმოა, რომ ირლანდიის ჰომრულის საკითხმა გამოიწვია მწვავე დაპირისპირება არა მარტო ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის, არამედ მას მოჰყვა დიდი კამათი თვით ლიბერალური პარტიის შიგნით. გლადსტონს სერიოზული ოპონენტები გამოუჩდნენ ლიბერალურ პარტიაში. ესენი იყვნენ ლიბერალ-იუნიონისტთა ჯგუფის სახით, რომელსაც სათავეში ედგა ჯოზეფ ჩემბერლენი. ისინი ემხრობოდნენ ირლანდიასთან უნიის შენარჩუნებას. ამიტომ ამ ჯგუფმა დატოვა ლიბერალური პარტია და მცირე დროის შემდეგ კონსერვატიულ პარტიას შეერწყა. ირლანდიის საკითხი კი კიდევ დიდხანს იწვევდა ცხარე კამათს და მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოხერხდა მისი ნაწილობრივ გადაწყვეტა.

4. ინგლისის საგარეო პოლიტიკა და კოლონიური დაპყრობები. კონსერვატორული პარტიის პრესტიჟის ამაღლება იმით იყო ნაკარნახევი, რომ ისინი მომხრე იყვნენ აქტიური საგარეო და კოლონიური პოლიტიკის წარმოების.

1875 წელს ინგლისმა, დიზრაელის მოხერხებულობის წყალობით, ხელთ იგდო სუეცის არხის აქციები. ინგლისის ხელში

აღმოჩნდა მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული პუნქტი. ინგლისი დაეუფლა ეგვიპტის წინააღმდეგ შეტევის საუკეთესო პლაცდარმს.

1876 წელს დიზრაელის ინიციატივით პარლამენტმა მიიღო კანონი ინგლისის დედოფლის ვიქტორიასათვის „ინდოეთის იმპერატორის" ტიტულის მინიჭების თაობაზე. ვალში არც ვიქტორია დარჩა და კონსერვატორების ლიდერს გაქრისტიანებულ ებრაელს დიზრაელს ლორდი ბიკონსფილდის ტიტული უბოძა.

1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთმა წარმატებას მიაღწია და სან-სტეფანოს ზავის შედეგად გააფართოვა თავისი სამფლობელოები ამიერკავკასიაში. ეს არ აწყობდათ დიდ სახელმწიფოებს. მათ შორის, ცხადია, ინგლისს. ამ უკანასკნელმა მოახდინა ძალის დემონსტრირება, შეიყვანა თავისი ფლოტი სრუტეებში და აიძულა რუსეთი დათანხმებულიყო სან-სტეფანოს ზავის გადასინჯვაზე. ბერლინის ტრაქტატის მიხედვით, ინგლისმა აისრულა საწადელი. გზა გადაუჭრა რუსეთს სრუტეებისკენ. ფრთა შეუკვეცა ამიერკავკასიაში რუსეთის წარმატებებს. მართალია რუსეთმა აჭარა შეინარჩუნა, მაგრამ დაკარგა ლაზეთი.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ინგლისი ერთ-ერთი უდიდესი კოლონიური სახელმწიფო იყო. ბრიტანეთის კოლონიებში 250 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. XX საუკუნის დასაწყისში ინგლისის კოლონიური სამფლობელოები კიდევ უფრო ფართოვდება.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ინგლისი აკონტროლებდა ინდოეთისაკენ მიმავალ უმოკლეს გზას. მთავარი პუნქტები იყო: გიბრალტარის სრუტე, მალტა, კვიპროსი და სუეცის არხი.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ინგლისმა დაიკავა ბირმა და ავღანეთი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამან კიდევ უფრო გაამტკიცა ინგლისის ბატონობა ინდოეთზე.

მომდევნო 80-იან წლებში ინგლისი კიდევ უფრო აფართოვებს თავის კოლონიურ სამფლობელოებს. ეუფლება ეგვიპტეს, სუდანს და წინ მიიწევს აფრიკის ტერიტორიაზე.

მათ შემდგომ წინსვლას აფრიკის კონტინენტზე წინ აღუდგა საფრანგეთი. ინგლისელები სოფელ ფაშოდასთან ფრანგების

რაზმმა შეაჩერეს. ჰაერში ომის სურნელი დატრიალდა, მაგრამ თოფი არ გავარდნილა. საფრანგეთმა გერმანიასთან გართულებული მდგომარეობის გამო არ სცნო საჭიროდ საქმის გამწვავება.

ინგლის-ბურების ომი (1899-1902) ინგლისის მიერ აფრიკის ტერიტორიის დაპყრობის დასკვნითი აკორდია. ინგლისის დაინტერესება ბურების რესპუბლიკით ორი გარემოებით იყო გამოწვეული. ჯერ იყო და აქ აღმოჩენილი იქნა ალმასები, ხოლო შემდეგ კი ოქროს საბადოები. ერთმა თანამედროვემ აღნიშნა „ეს ოქრო შეიქმნება იმის მიზეზი, რომ ჩვენი ქვეყანა სისხლით გაიჟღინთება".

ინგლისელებმა ხელთ იგდეს ბურების რესპუბლიკის ირგვლივ ზანგებით დასახლებული ტერიტორიები და ალყაში მოაქციეს ბურების რესპუბლიკები. დაიწყო ომი. ბურები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს და ინგლისელებმა დაიპყრეს ბურების რესპუბლიკა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელების წინააღმდეგ ბურების ბრძოლაში მონაწილეობდა ქართველი ნიკო ბაგრატიონი „ნიკო ბურად" წოდებული.

კოლონიების მოსახლეობის სასტიკი ესქპლუატაციის გამო მთელ რიგ კოლონიებში საგანგებო ვითარება შეიქმნა. ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის ფიზიკურად განადგურდა. მათ ადგილს ძირითადად ინგლისიდან ჩამოხული ადამიანები იკავებდნენ. ასეთ კოლონიებს ინგლისელებმა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ავტონომია უბოძეს და დომინიონად იწოდებოდნენ. ამგვარ თვითმმართველი კოლონიების რიცხვს განეკუთვნებოდნენ კანადა, ახალი ზელანდია და ინგლისის კოლონიები ავსტრალიაში, რომლებიც 1901 წელს ქმნიან ავსტრალიის კავშირს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სერიოზული ცვლილებები ხდება საერთაშორისო სარბიელზე. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ეს უკანასკნელი აქტიურად ჩაება მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლაში. ინგლისი იძულებული იყო უარი ეთქვა „ბრწყინვალე იზოლაციის" პოლიტიკაზე და მოკავშირეების ძიებას შეუდგა. ამან გამოიწვია ძველი მეტოქეების ინგლის-საფრან-

გეთის დაახლოებას. 1904 წელს ხელმოწერილი იქნა ინგლისსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულება – „გულითადი შეთანხმება", ანტანტა. როგორც ერთი თანამედროვე შენიშნავდა „ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს ეხვევიან არა იმიტომ, რომ ერთმანეთი უყვართ, არამედ იმიტომ, რომ ორივეს ერთნაირად სძულს გერმანია".

გერმანიამ განიზრახა ინგლისის საზღვაო მონოპოლიის ხელყოფა. თავდაპირველად ინგლისი მშვიდად შეხვდა გერმანიის საზღვაო ფლოტის მშენებლობას, მაგრამ სულ მალე მიხვდა, რომ გერმანია სულაც არ ხუმრობდა. ინგლისში სერიოზულად დაფიქრდნენ და ხელები დაიკაპიწეს. 1905 წლის შემდეგ დაიწყო ზემძლავრი დრედნოუნტების მშენებლობა. ამიერიდან სხვა სახის საბრძოლო ხომალდები ფაქტობრივად გამოირიცხა ანგარიშიდან. ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობები სულ უფრო შეურიგებელ ხასიათს იღებს.

ლიბერალები ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე შეუდგნენ რუსეთთან დაახლოებისათვის გზების გამოძებნას. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა „მე ვისურვებდი მეხილა რუსეთი ევროპულ საბჭოში უწინდელ მდგომარეობაში და ვიმედოვნებთ ჩვენდამი უფრო კეთილგანწყობილი, ვიდრე ეს ადრე იყო". 1907 წელს ხელმოწერილი იქნა ინგლის-რუსეთის შეთანხმება. რუსეთი შეუერთდა ანტანტას. მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო. სამთა კავშირს დაუპირისპირდა ანტანტა. შემდგომ წლებში წინააღმდეგობა დიდ სახელმწიფოებს შორის გაღრმავდა და შეურიგებელ ხასიათს იღებს. ორივე მხარე – „სამთა კავშირი" და ანტანტა სწრაფად იარაღდება. კაცობრიობა გლობალური ომის საშიშროების ზღურბლზე დგას.

კარი IV

ინგლისის

უახლესი ისტორია

I თავი

ინგლისი 1914-1939 წლებში

1. ინგლისი პირველი მსოფლიო ომის დროს. ომის წინ 1914 წლის ზაფხულში, ინგლისის დიპლომატიამ კარგად მოახერხა შეენიღბა თავისი ზრახვები. შექმნა ილუზია თითქოს ინგლისი მომავალ დიდ ევროპულ შეიარაღებულ კონფლიქტში. ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა. „ჩვენ ყველა ზომებს მივიღებთ, რათა ნეიტრალური დავრჩეთ". აცხადებდნენ ინგლისის ოფიციალური წრეები.

1914 წლის 28 ივნისს საიდუმლო სერბიულმა ორგანიზაციამ ბოსნიის ქალაქ სარაევოში მოკლა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი. ეს ფაქტი იქცა პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბად. მიზეზი კი იყო მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, რომლის მთავარ ინიციატორად გერმანია მოგვევლინა.

1914 წლის 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს. 1 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. ინგლისს ორაზროვანი პოზიცია ეკავა. 3 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთს. გერმანიამ დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი და ბელგიის ტერიტორიაზე შეიჭრა. ინგლისისათვის ეს მეტად ხელსაყრელი საბაბი აღმოჩნდა. ერთი თანამედროვე შენიშნავდა „ბელგიაში შეჭრა აღმოჩნდა ღმერთის საჩუქარი ინგლისის მთავრობისათვის და პრესისათვის". ინგლისის მერყეობას ბოლო მოეღო. 4 აგვისტოს ინგლისმა ომი გამოუცხადა გერმანიას. „ჩვენ მანამდე არ ჩავაგებთ ხმალს ქარქაშში, ვიდრე ბელგიის უფლებები არ იქნება აღდგენილიო" – აცხადებდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი.

ინგლისის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანიას, როგორც კოლონიურ მეტოქეს და

საზღვაო სავაჭრო სახელმწიფოს, გააცამტვერებდნენ. ეს სულაც არ აღმოჩნდა ისეთი ადვილი საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ინგლისის სანუკვარი მიზნის მისაღწევად საკმაოდ დიდი ძალისხმევა და რამდენიმე წელი დასჭირდა.

ომის დაწყების შედეგად ინგლისის ეკონომიკას შეექმნა დიდი სირთულეები. საქმე ისაა, რომ ინგლისი დამოკიდებული იყო საიმპორტო ნედლეულსა და სურსათზე. გერმანიის წყალქვეშა ნავების მიერ ბრიტანეთის კუნძულების საზღვაო ბლოკადამ შეაფერხა, ინგლისის მრეწველობის ნედლეულით და მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით, მომარაგება. ინგლისის სიძნელეებით კარგად ისარგებლეს კონკურენტებმა, პირველ რიგში კი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ.

1914 წლის სამხედრო ოპერაციების ძირითადი შედეგი ის იყო, რომ გერმანიის სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრი „ელვისებურ ომზე" ჩაიშალა.

თავდაპირველად გერმანიამ დასავლეთის ფრონტზე საფრანგეთს შეუტია და გადაწყვიტა კოალიციისაგან მისი ჩამოშორება, მაგრამ მდინარე მარნასთან ბრძოლაში ფრანგებმა შეძლეს გერმანელების შეჩერება. ამას დიდად შეუწყო ხელი ორმა გარემოებამ: ინგლისელებმა დესანტი გადმოსხეს საფრანგეთში და აღმოსავლეთის ფრონტზე რუსეთის არმიამ წამოიწყო შეტევა და აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრა. დასავლეთის ფრონტზე სტაბილურობამ დაისადგურა.

1914 წლის შემოდგომაზე ანტანტის რიგებს შეუერთდა იაპონია, რომელმაც ხელში ჩაიგდო გერმანიის კოლონიები – წყნარი ოკეანის აუზსა და ჩინეთში.

ვის მიეხმარებოდა ოსმალეთი? ინგლისის ფლოტმა თავისუფლად გაატარა ორი დიდი გერმანული გემი, რომლებიც დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ოსმალეთის ფლოტს. ძალთა თანაფარდობა შავ ზღვაზე შეიცვალა. უპირატესობა ოსმალეთის მხარეზე გადავიდა. 1914 წლის შემოდგომაზე თურქეთმა ომი გამოუცხადა ანტანტას. ამ შემთხვევაში ინგლისი ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერას ცდილობდა. მას შეეძლო დაეწყო ოსმალეთის სამფლობელოების მიტაცების ხარჯზე თავისი ტერიტორიების გაფარ-

თოება და რუსეთი კიდევ უფრო მეტად ხდება დამოკიდებელი დასავლეთის მოკავშირეებზე.

1915 წელს გერმანიის სარდლობამ სიმძიმის ცენტრი აღმოსავლეთის ფრონტზე გადაიტანა და ახლა რუსეთი ამოიღო მიზანში. მართალია გერმანიის არმიამ წინ წაიწია, მაგრამ რუსეთის ჯარების განადგურება ვერ შეძლო.

ინგლისის და საფრანგეთის დიპლომატიის ძალისხმევით პირველ მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე აღმოჩნდა იტალია. მას შეპირდნენ ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე სამხრეთ სლავურ ქვეყნებს.

1915 წელს, დასავლეთის ფრონტზე, მდინარე იპრის მიდამოებში, გერმანელებმა განახორციელეს შეტევა, რომლის დროსაც პირველად გამოიყენეს ქიმიური ნივთიერება – იპრიტი. ამით გერმანელებმა დაარღვიეს ჰააგის კონვენცია, რომელიც კრძალავდა ქიმიური ნივთიერების გამოყენებას.

1916 წელს გერმანიამ მთავარი დარტყმა გადაწყვიტა განეხორციელებინა დასავლეთის ფრონტზე. სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა ვერდენთან. გერმანელებმა რაიმე არსებით ნარმატებას ვერ მიაღწიეს. 1916 წლის ზაფხულში მოკავშირეებმა მდინარე სომაზე წამოიწყეს კონტრშეტევა, რომლის დროსაც მათ პირველად გამოიყენეს ტანკები, თუმცა გერმანელთა თავდაცვის გარღვევა მაინც ვერ მოახერხეს. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ომი ასე მალე არ დამთავრდებოდა.

ომის გაჭიანურება გერმანიის წინააღმდეგ მუშაობდა. გერმანიის და მისი მოკავშირეების მატერიალური რესურსები უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე ანტანტის ქვეყნების. ამას კი ომის გაგრძელების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობაზე დიდი გავლენა მოახდინა ორმა გარემოებამ. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში, რომელმაც დააჩქარა ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმა. 1917 წლის 6 აპრილს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა გერმანიას. ანტანტის უპირატესობა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა.

1917 წლის ოქტომბრის პოლიტიკური გადატრიალების შედეგად ბოლშევიკებმა რუსეთი გამოიყვანეს ომიდან. საბჭოთა რუ-

სეთის მიერ 1918 წლის მარტში ხელმოწერილი იქნა ბრესტის კაპიტულანტური ზავი. სერ უინსტონ ჩერჩილის თქმით, „რუსული ხომალდი ჩაიძირა მაშინ, როდესაც გამოჩნდა ნავსადგური“.

გერმანელებმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლეს. პარიზს 70 კილომეტრზე მიუახლოვდნენ და შორსმსროლელი ქვემეხებიდან უშენდნენ საფრანგეთის დედაქალაქს, მაგრამ მეტის გაკეთება გერმანელებმა ვერ შეძლეს. 1918 წლის ივლისში ფრანგებმა მარშალ ფოშის მეთაურობით კონტრშეტევა წამოიწყეს და აიძულეს გერმანელები, დიდი ზარალით, უკან დაეხიათ.

1918 წლის შემოდგომაზე ომიდან გამოვიდნენ გერმანიის მოკავშირეები: ბულგარეთი, ოსმალეთი, ავსტრია-უნგრეთი. მარტო დარჩენილ გერმანიამ 1918 წლის 11 ნოემბერს კომპიენის ტყეში მარშალ ფოშის სალონ-ვაგონში ხელი მოაწერა კაპიტულაციას. პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა.

2. ინგლისი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (1918-1924 წლებში). 1919 წლის ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისის კოლონიური სამფლობელოების საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა. გერმანიის კოლონიების „ლომის წილი“, სწორედ, ინგლისის ხელში გადავიდა.

დიდი მოგება ნახა ინგლისმა ოსმალეთის იმპერიის დანაწილების შედეგად. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ინგლისის ხელში აღმოჩნდა მანდატი ტრანსიორდანიის, პალესტინის და ერაყის მართვაზე. სპარსეთის ყურეში მდებარე საემიროები ინგლისის პროტექტორატად იქცნენ. ინგლისმა მიაღწია სანადელს და განიმტკიცა თავისი პოზიციები მახლობელ და შუა აღმოსავლეთში. ეს ინგლისის პოლიტიკის დიდი წარმატება იყო. ის მომაკვდინებელი საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა, გერმანიის მხრივ, ინგლისის მრეწველობას, ვაჭრობას, ზღვაოსნობას და კოლონიურ სამფლობელოებს პირველ მსოფლიო ომში ინგლისის გამარჯვების შედეგად, მეტი აღარ არსებობდა. ეს იყო პირველი მსოფლიო ომის დადებითი შედეგები. მას თავისი მინუსებიც გააჩნდა. პირველი მსოფლიო ომის შედეგად ინგლისი გამოემშვიდობა მსოფლიოს ფინანსური ლიდერის როლს და პირველობა

ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაულოცა. ინგლისი აშშ-ს მოვალე სახელმწიფო გახდა.

საინტერესო ფერისცვალება განიცადა ინგლისის პარტიულმა სისტემამ. ლიბერალური პარტია თანდათანობით თმობს პოზიციებს, კარგავს თავის ამომრჩევლებს.

1919 წელს დაიწყო ირლანდიელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ინგლისი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1921 წლის ხელშეკრულების თანახმად ირლანდია ორ ნაწილად გაიყო. ჩრდილო-აღმოსავლეთ ირლანდია – ოლსტერი უშუალოდ შეუერთეს ინგლისს, ხოლო სამხრეთ ნაწილს მიენიჭა დამოუკიდებლობა.

პირველმა მსოფლიო ომმა დიდი ზარალი მიაყენა ინგლისის ეკონომიკას. ომის შემდეგ დაიწყო მისი აღდგენა. მრეწველობის წამყვან დარგებში, საავტომობილო, ელექტროტექნიკური, ქიმიურ. ეს პროცესი უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. შედარებით უფრო რთულად იყო საქმე მრეწველობის ისეთ ძირძველ დარგებში როგორიც იყო გემთამშენებლობა, ქვანახშირის მოპოვება. დიდი კაპიტალი იყო დაბანდებული საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი კოლონიებში.

ინგლისის მთავრობა რუსეთში სამოქალაქო ომის დროს მიემხრო ანტიბოლშევიკურ ძალებს, თუმცა ინგლისმა მალე შეწყვიტა სამხედრო ოპერაციები და საბჭოთა რუსეთის ეკონომიკური ბლოკადა.

ინგლისმა მხარი არ დაუჭირა ერთა ლიგაში საქართველოს მიღებას და არგუმენტად კაკვასიის სიშორე და ეკონომიკური ინტერესების არარსებობა გამოიყენა.

1923 წლის იანვარში საფრანგეთმა, ბელგიასთან ერთად, ჯარები შეიყვანა რურის ოლქში. საპასუხოდ გერმანიამ „პასიური ურჩობის" პოლიტიკა აირჩია. საფრანგეთის ასეთი აღზევება არ შედიოდა ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების გეგმებში. ამიტომ მათ მხარი არ დაუჭირეს თავისი ყოფილი მოკავშირის მოქმედებას.

1924 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

3. ინგლისი 1924-1939 წლებში. ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა. 1924 წელს ინგლისის ისტორიაში პირველად არჩევნებში გაიმარჯვა და ხელისუფლების სათავეში მოვიდა ლეიბორისტული პარტია. პარლამენტში კონსერვატორების და ლიბერალების ჰეგემონია დასრულდა. ლეიბორისტები ხელისუფლებაში ცოტა ხანს იყვნენ და შემდეგ ისევ კონსერვატორები დაბრუნდნენ. ისინი ინგლისს მმართავდნენ 1924-1929 წლებში.

1924 წელს ლონდონის კონფერენციამ და 1925 წელს ლოკარნოს კონფერენციამ ფრთები შეუკვეცა საფრანგეთის ჰეგემონისტურ მისწრაფებებს ევროპაში. ინგლისის და აშშ-ს მმართველმა წრეებმა მიაღწიეს საწადელს.

1925-1927 წლებში ინგლისმა სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად, შეიარაღებული ინტერვენცია მოაწყო ჩინეთში მიმდინარე რევოლუციის ჩასახშობად.

1927 წელს ინგლისმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

1925-1929 წლებში დასავლეთ ევროპის ინდუსტრიულ ქვეყნებში ადგილი აქვს სტაბილიზაციის სიმპტომებს. ეს იმით გამოიხატა, რომ სამრეწველო წარმოების მოცულობამ პირველად გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო სოფლის მეურნეობის წარმოებამ კი ომამდელ დონეს მიაღწია.

1930 წლიდან ინგლისს მძლავრი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაატყდა თავს. მან კრიტიკულ მომენტს მიაღწია 1932 წელს. ამის შემდეგ ინგლისი თანდათანობით გამოდის კრიზისიდან, რამაც მეტ-ნაკლები შეფერხებებით მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გასტანა.

30-იან წლების დასაწყისის ინგლისის საშინაო ცხოვრებაში ყურადღებას იპყრობს „უესტმინისტერის სტატუტი", რომელიც მიიღეს 1931 წლის 11 დეკემბერს. მისი ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ აღიარებდა დომინიონების თანასწორუფლებიანობას დიდ ბრიტანეთთან. შეეცვალა სახელი ბრიტანეთის კოლონიურ იმპერიას. ახლა მას „ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობა" ეწოდა.

ეკონომიკის სფეროში არსებული პრობლემების გამო ინგლისმა ხელი აიღო საგარეო ვაჭრობაში ტრადიციულ ლიბერალიზმის პოლიტიკაზე. წინათ ინგლისს არ ეშინოდა კონკურენციის და ამიტომ მისი ბაზარი ღია იყო ყველა ქვეყნის პროდუქციისათვის. ახლა ინგლისი დაადგა პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გზას. ამან საშუალება მისცა ინგლისს შეემცირებია იმპორტი და ცოტა ფული დაეზოგა.

4. ინგლისის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის წინ. ინგლისმა და ანტანტის ქვეყნებმა ვერ შეძლეს პირველი მსოფლიო ომის მომდევნო წლებში ბოლშევიკური რეჟიმის დამხობა რუსეთში. 30-იან წლების შუა ხანებიდან ინგლისი აღმოჩნდა სტალინური საბჭოთა კავშირის და ჰიტლერული გერმანიის აგრესიული მისწრაფებების პირისპირ.

ამ ორმა ფაქტორმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ინგლისისათვის. საქმე ისაა, რომ ინგლისი, ისევე როგორც საფრანგეთი, აღმოჩნდა ბოლშევიკური ან ნაცისტური აგრესიის პირისპირ. დაიწყო ყოყმანი თუ ვისთვის დაეჭირა მხარი ნაცისტური გერმანიისთვის თუ სტალინური საბჭოთა კავშირისათვის. საბოლოო არჩევანის გაკეთება ადვილი საქმე არ იყო.

ინგლისისთვის და საფრანგეთისთვის საუკეთესო ვარიანტი იყო, რომ საბჭოთა კავშირს და გერმანიას დაეწყოთ ომი ერთმანეთს შორის. ხანგრძლივი ომი არაქათს გამოაცლიდა ორივე მხარეს, საგრძნობლად დაასუსტებდა მათ, ხოლო შემდეგ ინგლისს და საფრანგეთს შეეძლოთ ეკარნახათ თავისი პირობები.

თავდაპირველად ინგლისის და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული აღმოჩნდა გერმანიასთან დაახლოებაზე. ასე ნარმოიშვა ნაცისტი აგრესორის დაშოშმინების პოლიტიკა, რომლის კულმინაცია იყო მიუნხენის შეთანხმება 1938 წლის შემოდგომაზე. ამის შემდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა სცადეს საერთო ენა გამოენახათ საბჭოთა კავშირთან. ეს დიპლომატიური თამაში დამთავრდა იმით, რომ 1939 წლის აგვისტოში გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა თავდაუსხმელობის პაქტი გააფორმეს. ნაცისტურ გერმნიას გზა გაეხსნა ევროპაში სამხედრო ოპერაციების დასაწყებად. მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების საქმეში სტალინს ჰიტლერზე ნაკლები წვლილი როდი მიუძღვის.

II თავი

ინგლისი მეორე მსოფლიო ომის დროს

1. „უცნაური ომი“. 1939 წლის 1 სექტემბერს ნაცისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. ინგლისმა და საფრანგეთმა მოსთხოვეს გერმანიას შეეწყვიტა აგრესია. მათი წინადადება უპასუხოდ დარჩა. 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

პოლონეთის დაკავების შემდეგ გერმანიამ ძირითადი ძალები დასავლეთის ფრონტზე გადაისროლა. მოკავშირეებს დიდი იმედი ჰქონდათ გერმანიასთან მთელი საზღვრის გასწვრივ აგებული თავდაცვის ნაგებობის „მაჟინოს ხაზის“, რომელიც აუღებლად მიაჩნდათ. ომმა პოზიციური ხასიათი მიიღო. რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მოკავშირეები ფაქტობრივად არავითარ საომარ ოპერაციებს არ აწარმოებდნენ გერმანიის წინააღმდეგ. ამიტომ ისტორიკოსები ომის ამ მონაკვეთს „უცნაურ ომს“ უწოდებენ.

30-იან წლების შუა ხანებიდან ინგლისში ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ კონსერვატორები. მათ 10 წელი ეპყრათ მმართველობის სადავეები. საქმე ისაა, რომ 1936 წელს არჩეული პარლამენტი, 1939 წელს დაწყებული ომის გამო მოქმედებდა ორმაგი ვადით, 1945 წლამდე.

ნაცისტი აგრესორის დაშოშმინების პოლიტიკამ, რომლის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი აღმოჩნდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემბერლენი, ფიასკო განიცადა. ინგლისი მეორე მსოფლიო ომში ჩაება. ამ პოლიტიკურ კურსს სერიოზული ოპონენტები გამოუჩდნენ თვით კონსერვატიული პარტიის შიგნით. ესენი იყვნენ სერ უინსტონ ჩერჩილი და ენტონი იდენი. ჩერჩილი ამბობდა „ნევილი სულელია. ჰგონია, რომ შეიძლება კაცი

ვეფხვზე ამხედრებული მგზავრობდეს". ინგლისის მმართველი კონსერვატული ელიტა თანდათან გონს მოდიოდა.

1940 წლის 9 აპრილს ნაცისტური გერმანია თავს დაესხა ნორვეგიას და დანიას. ამ ორი სკანდინავიური სახელმწიფოს დაკავებას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანიის ხელში აღმოჩნდა კარგი პლაცდარმი ინგლისზე ჩრდილოეთის მხრიდან შეტევის განხორციელებისათვის.

1940 წლის მაისში გერმანელები შეიჭრნენ ნიდერლანდში, ბელგიაში და შემდეგ საფრანგეთში. 10 მაისს ნევილ ჩემბერლენი გადადგა. ჩამოყალიბდა კოალიციური მთავრობა, რომელსაც სათავეში უინსტონ ჩერჩილი ჩაუდგა.

გერმანელებმა ალყა შემოარტყეს მოკავშირეებს. ისინი ძლივს გადაურჩნენ განადგურებას და რის ვაივაგლახით დიუნკერკის რაიონიდან ბრიტანეთში ევაკუირებული იქნა 338 ათასი ჯარისკაცი. მოკავშირეებმა დაკარგეს უზარმაზარი ტექნიკა, შეიარაღება.

ამის შემდეგ ნაცისტურმა გერმანიამ საფრანგეთზე მიიტანა იერიში და სულ რაღაც ორ კვირაში დაიკავა ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი. საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაება ფაშისტური იტალია. კომპიენის ტყეში მარშალ ფოშის სალონ-ვაგონში საფრანგეთმა ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს. ეს ინგლისისათვის დიდი დარტყმა იყო. კონტინენტზე მას ნაცისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დასაყრდენი აღარ გააჩნდა. მოკავშირეთა მარცხი იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი უპირატესად ორიენტირებული იყვნენ პოზიციურ ომზე, ხოლო გერმანია აწარმოებდა ფართო მანევრულ ომს.

ინგლისი მძიმე გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. ამ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ნაცისტების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის ლიდერობა უინსტონ ჩერჩილმა იტვირთა. ცოტა ხნის შემდეგ მას მხარში ამოუდგა აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლი დელანო რუზველტი.

ინგლისი კვლავ ყოფნა არყოფნის საკითხის წინაშე დადგა. რეალური იყო ბრიტანეთის კუნძულებზე გერმანელთა დესანტის გადმოსხმა. ნაცისტების ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავდა

ინგლისის ქალაქებს, მაგრამ ნაცისტებმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. ინგლისელთა წინააღმდეგობა ვერ გატეხეს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ინგლისი შიმშილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ინგლისს საკვები პროდუქტები და ნედლეული შემოჰქონდა ზღვით. გერმანიამ დაუნდობელი წყალქვეშა ომი გააჩაღა ინგლისის ფლოტის წინააღმდეგ.

აშშ-ს პრეზიდენტმა რუზველტმა წამოაყენა წინადადება, რომ მოკავშირე სახელმწიფოებისათვის იარაღი იჯარის მსგავსი რაღაც სახით მიეწოდებინათ. 1941 წლის მარტში მიიღეს კანონი ლენდ-ლიზის შესახებ.

ნაცისტების და მისი მოკავშირის იტალიის ცდა ხელში ჩაეგდოთ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი სუეცის არხი მარცხით დასრულდა.

სამაგიეროდ გერმანელებმა და იტალიელებმა მოახერხეს ინგლისის შევიწროვება ბალკანეთში და აიძულეს ის დაეტოვებინა ეს რეგიონი. ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსი ეგვიპტეში იქნა გადაყვანილი.

ინგლისისათვის დროის ეს მონაკვეთი ყველაზე უფრო მძიმე იყო და მან ამ ძნელ გამოცდას წარმატებით გაუძლო.

2. ინგლისი საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმიდან მეორე ფრონტის გახსნამდე. 1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერმა უცერემონიოდ დაარღვია თავდაუსხმელობის პაქტი და თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. შეიქმნა აღმოსავლეთის ფრონტი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ინგლისი აღარ იყო ნაცისტი აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო. ინგლისი და საბჭოთა კავშირი მოკავშირეები აღმოჩნდნენ.

ინგლისის და აშშ-ს ძალისხმევის შედეგად 1941 წლის აგვისტოში მიიღეს „ატლანტიკური ქარტია", რომელსაც ერთი თვის შემდეგ საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. მასში ჩამოყალიბებული იყო ომის მიზნები და მსოფლიო ომის შემდგომი მოწყობის საკითხი. ფაქტობრივად ეს იყო ანტიჰიტლერული ძალების პროგრამა, საბრძოლო მანიფესტი.

გერმანელები სწრაფად მოიწევდნენ წინ. სექტემბრის ბოლოს ისინი გავიდნენ მოსკოვ-ლენინგრად-როსტოვის ხაზზე, მაგრამ მათ სისხლისმღვრელი ბრძოლების მიუხედავად ვერ შეძლეს საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქის დაკავება, დეკემბრის პირველ რიცხვებში საბჭოთა ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. საბჭოთა ჯარისკაცების გმირული ბრძოლის შედეგად გერმანელთა „ელვისებური ომის" (ბლიცკრიგის) იდეა ჩაიშალა.

1931 წელს იაპონიამ დაიკავა მანჯურია და შემდეგ ჩინეთის ზღვისპირა რაიონები. 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონია მოულოდნელად დაესხა თავს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზას პერლ-ჰარბორს. აშშ და ინგლისმა ომი გამოუცხადეს იაპონიას.

1942 წლის 1 იანვარს 26 ქვეყანამ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების დეკლარაციას. ასე ჩაეყარა საფუძველი ანტიჰიტლერულ კოალიციას. ეს უზარმაზარი ძალა იყო. ანტიჰიტლერულ კოალიციას მეტად მდიდარი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნდა. ამ მხრივ საინტერესოა, რომ უკვე 1942 წლის ბოლოსათვის ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნები 3-ჯერ უფრო მეტ თვითმფრინავსა და 10-ჯერ მეტ ტანკს უშვებდნენ, ვიდრე ნაცისტური გერმანია და მისი მოკავშირე სახელმწიფოები.

1942 წლის მაისში გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე გადაწყვიტეს ცენტრი მოეწყვიტათ პერიფერიებისგან, გაჭრილიყვნენ ვოლგისკენ და გადაელახათ კავკასიონის ქედი. მათ ვერც ერთი ამოცანა ვერ შეასრულეს. აგვისტოს ბოლოს ნაცისტები სტალინგრადს მიუახლოვდნენ. დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლები ქალაქის მისადგომებთან. 1942 წლის 19 ნოემბერს საბჭოთა ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მტერი ალყაში მოიმწყვდიეს. გერმანელთა ცდა გაერღვიათ ალყა, ამაო აღმოჩნდა. გარემოცვა სულ უფრო ვიწროვდებოდა. 1943 წლის 2 თებერვალს ალყაში მოქცეულმა გერმანიის ჯარებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს.

ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტმა წყნარ ოკეანეში მიდუეის ატოლთან, ბრძოლაში სძლია იაპონელებს.

1942 წლის ივლისში ელ-ალამეინთან ბრძოლაში ინგლისელებმა შეაჩერეს გერმანელების წინსვლა.

1942 წლის 23 ოქტომბერს ინგლისის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე და აიძულეს ნაცისტები დაეხიათ უკან და დაეტოვებინათ ეგვიპტე. 1942 წლის ნოემბერში ინგლის-აშშ-ს კავშირმა დესანტი გადასხეს ალჟირსა და ტუნისში. ანტიჰიტლერული კოალიციის ძალებმა დაიკავეს ტრიპოლიტანია და გავიდნენ ლიბია-ტუნისის საზღვარზე. 1943 წლის მაისში გერმანიის ჯარებმა ხელი მოაწერეს კაპიტულაციას. ჩრდილოეთი აფრიკა გაწმენდილი იქნა ნაცისტებისგან. ეს ანტიჰიტლერული კოალიციის ჯარების დიდი წარმატება იყო.

ანტიჰიტლერული კოალიციის ხელში აღმოჩნდა საუკეთესო პლაცდარმი იტალიაში შეჭრისათვის. 1943 წლის ივლისში მათ გადასხეს დესანტი იტალიაში. აქ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. მუსოლინის რეჟიმი დაემხო. იტალიის ჯარებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს.

გერმანელები ოცნებობდნენ სტალინგრადთან დამარცხებისათვის რევანში აეღოთ. მათ გერმანიაში საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს. სამხედრო ოპერაციების წარმოებისათვის გერმანელებმა ყურადღება შეაჩერეს კურსკის რაიონზე. მათ შეტევა დაიწყეს 1943 წლის 5 ივლისს. კურსკის შვერილთან საბჭოთა ჯარებმა მოიგერიეს მტრის შემოტევა და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. კურსკის შვერილთან გერმანელთა ჯარები განადგურებული იქნა. დაწყებული კონტრშეტევა ფართომასშტაბიან შეტევაში გადაიზარდა. 1943 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ჯარებმა ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი გაწმინდეს ფაშისტი აგრესორებისაგან.

1943 წლის მიწურულს სახეზეა ფაშისტური ბლოკის დაშლის სიმპტომები. ფრანკისტულმა ესპანეთმა მკაფიოდ გამოკვეთა თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ დაიცავდა მკაცრ ნეიტრალიტეტს. ნაცისტური გერმანიის სხვა მოკავშირეებიც ცდილობენ მოსინჯონ ნიადაგი სეპარატისტული ზავის დასადებად. ნათელი შეიქმნა, რომ ფაშისტურმა ბლოკმა დაშლა დაიწყო.

მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია ატლანტიის ოკეანეში. აქ მდებარე სასიცოცხლო მნიშვნელობის კომუნიკაციებს ანტიჰიტლერული კოალიცია აკონტროლებდა და მზად იყო გერმანელთა წყალქვეშა ნავებისთვის საკადრისი პასუხი გაეცა. ნაცისტები

უნინდებურად ლაღად ვეღარ ბედავდნენ მოწინააღმდეგის სამხედრო ქარავნებზე იერიშის მიტანას.

1943 წლის მიწურულს თეირანის კონფერენციაზე მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ 1944 წლის მაისში გახსნიდნენ მეორე ფრონტს. საბჭოთა კავშირმა კი მათ სიტყვა მისცა, რომ ომს დაიწყებდა იაპონიის წინააღმდეგ.

3. მეორე ფრონტის გახსნა. მეორე მსოფლიო ომის დასასრული. 1944 წელს ანტიფაშისტური კოალიციის უპირატესობა, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატა, რაც ძირითადად ორ გარემოებასთან იყო დაკავშირებული: საბჭოთა არმიის წარმატებითი შეტევა აღმოსავლეთის ფრონტზე, რამაც დიდად შეუწყო ხელი ნაცისტთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში წინააღმდეგობის მოძრაობას და ანტიფაშისტური ძალების კონსოლიდაცია, რომლის ლოგიკური დაგვირგვინება გახლდათ 1944 წლის 6 ივნისს მეორე ფრონტის გახსნა.

1944 წლის 24 აგვისტოს მოკავშირეებმა გაათავისუფლეს პარიზი.

1944 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირმა მთლიანად გაათავისუფლა თავისი ტერიტორია და ცენტრალურ ევროპაში შევიდა. 1944 წლის მიწურულს ანტიჰიტლერული კოალიციის ძალები გერმანიის საზღვრებს მიადგნენ. ამ ექსტრემალურ ვითარებაში გერმანიის თავდაცვისუნარიანობა მკვეთრად ამაღლდა. ფრონტის სიგრძის და კომუნიკაციების შემოკლებამ გერმანიის სარდლობას ძალების კონცენტრაციის უფრო მეტი საშუალება მისცა.

1944 წლის დეკემბერში არდენებში ნაცისტებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი და შეტევაზე გადავიდნენ. ამერიკა-ინგლისის ჯარები მძიმე დღეში ჩავარდნენ. ნაცისტები იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ ინგლისის და აშშ-ს დაყოლიებას სეპარატისტული ზავის დადებაზე, მაგრამ მათი ვარაუდები არ გამართლდა. აღმოსავლეთის ფრონტზე დაწყებულმა შეტევამ მოკავშირეებს სულის მობრუნების საშუალება მისცა.

1945 წლის 4-11 თებერვალს ყირიმში, იალტაში შეიკრიბა დიდი სამეული – რუზველტი, ჩერჩილი და სტალინი. მათ გადაწყვიტეს,

რომ გერმანიისგან მოეთხოვათ მხოლოდ უსიტყვო კაპიტულაცია. გერმანია უნდა დაყოფილიყო საოკუპაციო ზონებად. მისგან უნდა ამოეღოთ რეპარაციები.

თებერვალში დაიწყო დიდი შეტევა დასავლეთის ფრონტზე. მათ გადალახეს მდინარე რაინი და რურის ტერიტორიაზე გამოჩდნენ. მათ ალყა შემოარტყეს გერმანელთა დიდ არმიას და აიძულეს ის იარაღი დაეყარა.

1945 წლის 16 აპრილს დაიწყო საბჭოთა ჯარების შეტევა ბერლინზე. ნაცისტური გერმანიის დედაქალაქი ალყაში იქნა მოქცეული. დაიწყო გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის აგონია. 30 აპრილს დაეცა ბერლინი. ჰიტლერმა თავი მოიკლა. 7 მაისს გერმანიის ჯარები დანებდნენ მოკავშირეებს დასავლეთის ფრონტზე. 8 მაისს ფელდმარშალმა კაიტელმა საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებულ ბერლინში ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას. ომი ევროპაში დასრულდა.

სერ უინსტონ ჩერჩილი მოსწრებულად შენიშნავდა „მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულმა გერმანელმა გენერლებმა რევანშის აღება მემუარების წერით სცადეს".

ეულად დარჩენილი იაპონიის კაპიტულაცია მნიშვნელოვნად დააჩქარა ორმა გარემოებამ. ჯერ იყო და 6 და 9 აგვიტოს ამერიკელებმა ატომური ბომბები ჩამოაგდეს იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკში, რასაც აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვა, ხოლო 9 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა დაიწყო ომი იაპონიის წინააღმდეგ. 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს.

III თავი

ინგლისი XX საუკუნის მეორე ნახევარში

1. ინგლისი 1945-1975 წლებში. ინგლისმა ომი დაამთავრა გამარჯვებული სახელმწიფოს რანგში. შედიოდა „დიდი სამეულის" შემადგენლობაში.

დიდმა ინგლისელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ უინსტონ ჩერჩილმა თავისი მემუარების ბოლო ტომი ასე დაასათაურა. „ტრიუმფი და ტრაგედია". ასეთი შეფასება კარგად შეესატყვისებოდა ომის შემდეგ ინგლისის და თვით უინსტონ ჩერჩილის მდგომარეობას.

მეორე მსოფლიო ომში ინგლისი გამარჯვებული გამოვიდა. მან დაამარცხა თავისი ყველაზე უბოროტესი მტერი ნაციზმი და ფაშიზმი. ინგლისი კვლავინდებურად გვევლინება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ, რომლის ადგილი „დიდ სამეულში" არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ არის კი ინგლისი ამ სამეულის ლიდერი? XX საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისი თანდათან კარგავს მსოფლიო პირველობას და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლიდერის ფუნქციას ამერიკის შეერთებულ შტატებს და საბჭოთა კავშირს გადაულოცავს.

1945 წლის ზაფხულში დაინიშნა ომის შემდეგი პირველი არჩევნები. მისი შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა. პროგნოზების საწინააღმდეგოდ გაიმარჯვეს არა კონსერვატორებმა და მათმა თავკაცმა უინსტონ ჩერჩილმა, არამედ – ლეიბორისტებმა. მთავრობას სათავეში ჩაუდგა კლემენტ ეტლი. სწორედ ამაში მდგომარეობდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უინსტონ ჩერჩილის პირადი „ტრიუმფი და ტრაგედია". მას სხვა არაფერი რჩებოდა თუ არა ის, რომ ოპოზიციის რიგებში გადაბარგებულიყო. საინტერესოა თვით ჩერჩილის რეაქცია ამ წარუმატებლობაზე „ბოლოს

და ბოლოს ეს სწორედ ის დემოკრატიაა, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით".

ლეიბორისტებს საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ წილად: საჰაერო დაბომბვების შედეგად დანგრეული ქალაქები, გართულებული ეკონომიკური მდგომარეობა, კოლოსალური საგარეო ვალი.

ახალი მთავრობის მიერ განხორციელებული სოციალური ღონისძიებებიდან ყურადღებას იპყრობს უფასო სამედიცინო მომსახურება. გაჩნდა ჯანდაცვის ეროვნული სამსახური, იქმნება სოციალური დაზღვევის ახალი სისტემა.

ინგლისის ეკონომიკის რეანიმაციას მძლავრი სტიმული მისცა აშშ-ს სახელმწიფო მდივანის ჯორჯ მარშალის გეგმამ, რომელიც ევროპის ქვეყნების ეკონომიკის სწრაფად აღდგენის პროგრამას წარმოადგენდა. ამ გეგმის თანახმად, ინგლისმა 1948-1952 წლებში მიიღო დიდი სესხი. ამან მოიტანა სასურველი შედეგი. 1954 წელს ინგლისში გაუქმდა სასურსათო ბარათები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავი იჩინა წინააღმდეგობამ გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის. ამას განაპირობებდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური მისწრაფებები. „აღმოსავლეთ ევროპას რკინის ფარდა ჩამოეფარა" – მოსწრებულად შენიშნა ჩერჩილმა. მან თავისი ცნობილ გამოსვლაში 1946 წელს ფულტონში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოუწოდა დემოკრატიულ საზოგადოებას შეეჩერებინა საბჭოთა კავშირის აგრესია. აქედან იღებს სათავეს „ცივი ომის" პოლიტიკა, რომელსაც იყენებდნენ ომის შემდგომ პირველ წლებში.

1949 წელს ინგლისი იყო ჩრდილოეთ ატლანტიკური პაქტის ნატოს ერთ-ერთი დამფუძნებელი.

1951 წლის არჩევნებში წარმატებას კონსერვატორებმა მიაღწიეს. ისინი ცამეტი წლის მანძილზე მართავდნენ ინგლისს. პრემიერ-მინისტრები არიან: უინსტონ ჩერჩილი (1951-1955), ენტონი იდენი (1955-1957) და სხვები.

50-იან წლების შუა ხანებიდან თვალშისაცემი ჩანს მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს აღმავლობა 60-იან წლებშიც გრძელდება. კონსერვატორებს შეეძლოთ

დაეტრაბახათ, რომ „თქვენ არასოდეს არ ცხოვრობდით ასე კარგად“.

1954 წელს ინგლისი იყო დასავლეთ ევროპის კავშირის შექმნის და პარიზის შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. 1954 წელს ინგლისი გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიის სამხედრო ბლოკის (სეატოს) სრულუფლებიანი წევრი. ინგლისმა მხარი დაუჭირა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) განეარიანებას ნატოში.

1956 წელს ინგლისის, საფრანგეთის და ისრაელის ჯარები შეიჭრნენ სინას ნახევარკუნძულზე. დაიწყო სუეცის კრიზისი, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ეგვიპტემ მოინდომა სუეცის არხის ნაციონალიზაცია. ამით საშიშროება დაემუქრა აქ დაბანდებულ ინგლისურ კაპიტალს. ინგლისს და მის მოკავშირეებს გაეროს გადაწყვეტილების საფუძველზე ცეცხლის შეწყვეტა მოთხოვეს. მათ მოუხდათ ეგვიპტეს დატოვება.

1960 წელს ბრიტანეთის მონდომების შედეგად ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია. ამავე დროს ინგლისი ძალიან ცდილობს დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე. შევიდეს „ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში“. ინგლისი ორჯერ ხელმოცარული დარჩა და მხოლოდ 1973 წელს აისრულა სანადელი. გახდა „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის“ ნამდვილი წევრი.

1964 წლის არჩევნებში გაიმარჯვეს ლეიბორისტებმა. ახალმა მთავრობამ შესძლო შეეტანა გარკვეული გაუმჯობესება სოციალური უზრუნველყოფის სფეროში.

1970 წლის არჩევნებმა წარმატება მოუტანა კონსერვატულ პარტიას. ინგლისი შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა სამხედრო დაძაბულობის შესუსტების საქმეში.

2. ინგლისის კოლონიური იმპერიის დაშლა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას თან მოჰყვა ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის დაშლა. ინგლისმა, საფრანგეთისგან განსხვავებით, რეალისტურად მიუდგა საკითხს და ხელი არ შეუშალა ყოფილ კოლონიებს დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ინგლისის კოლონიების დიდმა ნაწილმა სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადეს

თავი, მაგრამ ისინი რჩებიან „დამოუკიდებელ ერთა ბრიტანული თანამეგობრობის“ შემადგენლობაში.

ახალ ისტორიულ ვითარებაში 1931 წელს მიღებულ უესტმინისტერის სტატუსს ყავლი გაუვიდა. ყოფილი დომინიონები – თანამეგობრობის წევრები გახდნენ, ხოლო ბრიტანეთის იმპერია კი „თანამეგობრობად“ იქნა გამოცხადებული. ნიუფაუდლენდი კანადის შემადგენლობაში შევიდა.

1945 წელს ინდოეთში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ გრანდიოზული გამოსვლების ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება 1947 წლის ზაფხულში ინდოეთის დამოუკიდებლობის თაობაზე კანონის შემუშავება. ასე წარმოიშვა ორი ახალი დომინიონი: ინდუსთა ინდოეთის კავშირი და მუსულმანური პაკისტანი. 1950 წელს მას შემდეგ რაც შემუშავებული იქნა ინდოეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

50-იან-60-იან წლებში დეკოლონიზაციის პროცესმა ფართოდ გაშალა ფრთები. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ისე სწრაფად მრავლდებიან, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ.

კოლონიური ქვეყნების დიდ ნაწილს ეკონომიურად ჩამორჩენილი სახელმწიფოები შეადგენდნენ. ამიტომ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ისინი დარჩნენ „თანამეგობრობის“ შემადგენლობაში.

1961 წელს „თანამეგობრობის“ შემადგენლობა დატოვა სამხრეთ აფრიკის კავშირმა. მისი რასობრივი პოლიტიკა მიუღებელი იყო „თანამეგობრობის“ სხვა წევრებისათვის.

ოფიციალურად „თანამეგობრობას“ სათავეში უდგას ინგლისის მონარქი. 1952 წლიდან ინგლისის მონარქია ელისაბედ II. ტერმინი „ბრიტანეთის იმპერია“ აღარ არსებობს.

3. ინგლისი XX საუკუნის ბოლო მეოთხედში. 1974 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში კონსერვატორები ლეიბორისტებმა შეცვალეს. არჩევნებში წარუმატებლობას მოჰყვა კონსერვატიული პარტიის რეორგანიზაცია. 1975 წლის თებერვალში პარტიას სათავეში ჩაუდგა მარგარეტ ტეტჩერი.

ის იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისის პოლიტიკურ ისტორიაში ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა. ტეტჩერი დაიბადა 1926 წელ. დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. ერთხანს მუშაობდა სპეციალობით. ცოლად გაჰყვა ბიზნესმენ დენის ტეტჩერს. მისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო 1959 წელს, როდესაც ის აირჩიეს პარლამენტის წევრად. შემდგომში მას ეკავა სხვადასხვა საპასუხიმგებლო პოსტები. იყო პენსიების და სოციალური დაზღვევის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი. განათლების და მეცნიერების მინისტრი. მას შემდეგ რაც სათავეში ჩაუდგა კონსერვატიულ პარტიას ტეტჩერი ოპოზიციის ლიდერი შეიქმნა.

1979 წლის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვეს კონსერვატორებმა. მოხდა უპრეცედენტო ამბავი. პირველად ინგლისის ისტორიაში მთავრობის მეთაური შეიქნა ქალი 53 წლის მარგარეტ ტეტჩერი. იგი 11 წლის განმავლობაში ედგა სათავეში ინგლისის მთავრობას. მის მმართველობას ისტორიკოსები „ტეტჩერის ხანას“ უწოდებენ.

მარგარეტ ტეტჩერს ეკუთვნის ერთი საინტერესო მიღწევა. საქმე ისაა, რომ XX საუკუნის ინგლისის ისტორიაში პრემიერ-მინისტრის პოსტზე უწყვეტად ყველაზე უფრო დიდი ხნის მანძილზე სწორედ მარგარეტ ტეტჩერი იმყოფებოდა.

კონსერვატორების და მათი ლიდერის პოპულარობას საფუძვლად ედო ტეტჩერის ეკონომიკური პოლიტიკა. სახელმწიფო უპირატესად ორიენტირებულია კერძო მეწარმეობის წახალისებაზე, რომელშიც ის ხედავდა ეკონომიკური წინსვლის საუკეთესო გარანტიას. ეკონომიკის გამოცოცხლებას მტკიცე საფუძველს უქმნიდა დაბალანსებული, უდეფიციტო ბიუჯეტი. ამისათვის კი აუცილებელი იყო შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკა.

ასეთმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სულ მალე გამოიღო სასურველი ნაყოფი. მკვეთრად გაუმჯობესდა ეკონომიკური კონიუნქტურა, რასაც მოჰყვა ცხოვრების დონის ამაღლება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 80-იან წლებში ინგლისი ეკონომიკური ზრდის ტემპებით პირველია ევროპაში. აშკარად გადიდდა ქვეყნის გარეთ დაბანდებული კაპიტალის რაოდენობა.

ყურადღებას იპყრობს ტეტჩერის საგარეო პოლიტიკა. სულ ცოტა ხანში კონსერვატორების მთავრობას და მის ლიდერს სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუხდა. მხედველობაში გვაქვს კონფლიქტი არგენტინასთან 1982 წელს. არგენტინის ხელისუფლებამ მოინდომა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების ხელში ჩაგდება. ინგლისის საექსპედიციო კორპუსმა გაათავისუფლა კუნძულები. ომში გამარჯვებამ დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია და შესამჩნევად აამაღლა ტეტჩერის ავტორიტეტი. მას პრესამ „რკინის ლედი" უწოდა.

დღეს ბევრი იბრალებს საბჭოთა კავშირის დაშლას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ როლანდ რეიგანთან ერთად, მარგარეტ ტეტჩერს „ლომის წვლილი" მიუძღვის ბოროტების იმპერიის საბჭოთა კავშირის დაშლაში. ამან დიდად შეუწყო ხელი ტეტჩერის წარმატებებს 1983 წლის და 1987 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

1992 წელს საპარლამენტო არჩევნებში ზედიზედ მეოთხედ წარმატებას მიაღწიეს კონსერვატორებმა. „რკინის ლედი" მარგარეტ ტეტჩერი გადადგა. მხოლოდ XX საუკუნის მიწურულს, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, მოახერხა ლეიბორისტულმა პარტიამ დაუნინგ სტრიტ 10-ის დაბრუნება. (ეს არის ინგლისის პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია). ინგლისის პრემიერ-მინისტრი გახდა ლეიბორისტი ტონი ბლერი.

IV თავი

ინგლისის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

1. მოსახლეობა. დიდ ბრიტანეთში XX საუკუნის მიწურულს ცხოვრობდა 57,2 მილიონი ადამიანი. ინგლისში ცხოვრობს 47,6 მილიონი, შოტლანდიაში – 5,1 მილიონი, უელსში – 2,9 მილიონი, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიაში – 1,6 მილიონი.

დიდი ბრიტანეთი გამოირჩევა მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით. ყოველ კვადრატულ კილომეტრზე 241 კაცი ცხოვრობს.

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის ძირითად ბირთვს შეადგენენ ინგლისელები. შემდეგ მოდიან შოტლანდიელები, რომლებიც ცხოვრობენ შოტლანდიაში და ირლანდიელები, რომლებიც სახლობენ ჩრდილოეთ ირლანდიასა და ინგლისის სამრეწველო რეგიონებში. ჩრდილოეთ ირლანდიაში ცხოვრობენ მკვიდრ ირლანდიელებთან შერწყმული, ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში ინგლისიდან და შოტლანდიიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები. დიდ ბრიტანეთში ცხოვრობენ აგრეთვე ებრაელები, სხვა ქვეყნიდან გადმოსახლებულები (ინდოეთი, პაკისტანი და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები) და ევროპელი ემიგრანტები (ფრანგები, გერმანელები, იტალიელები).

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პროტესტანტული ეკლესიის ან სექტების წევრია. მორწმუნე ინგლისელები ძირითადად ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრებია. შოტლანდიელები განეკუთვნებიან პრესვიტერიანულ ეკლესიას. არიან კათოლიკური სარწმუნოების მიმდევრებიც, ძირითადად ირლანდიაში.

დიდი ბრიტანეთისათვის დამახასიათებელია ურბანიზაციის მაღალი დონე. მოსახლეობის დაახლოებით 80% ქალაქებშია თავ-

მოყრილი. დიდი ქალაქებია: ლონდონი, მანჩესტერი, ლივერპული, ბირმინჰემი, შეფილდი, გლაზგო, კარდიფი.

ინგლისში თითქმის არ არსებობს ტიპიური სოფელი. სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი განცალკევებულ ფერმებში ცხოვრობს.

2. მრეწველობა. თანამედროვე ინგლისი დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოა. მთლიანი ეროვნული შემოსავალის „ლომის წილი" მრეწველობასა და მომსახურების სფეროზე მოდის. სამრეწველო წარმოების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობით, კაპიტალის გატანით და ოქროს მარაგით ინგლისი ერთ-ერთი ლიდერთაგანია ცივილიზებულ სამყაროში.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამეურნეო აღმავლობას ახალი მძლავრი ბიძგი მისცა ეკონომიკურმა ინტეგრაციამ. 1995 წლიდან ეს არის ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რომელიც აერთიანებს 15 სახელმწიფოს.

მრეწველობას ინგლისის ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს. ქვანახშირის მოპოვებას ინგლისში თავისი ტრადიციები გააჩნია და ერთ-ერთი უძველესი საექსპორტო დარგია. ბოლო ხანებში ქვანახშირის მოპოვება შედარებით შემცირდა. ეს იმითაა განპირობებული, რომ მას დიდ კონკურენციას უწევს თხევადი საწვავი. ქვანახშირის მოპოვების საქმეში დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა, ხოლო ხელოვნური აირის წარმოების საქმეში ინგლისი პირველობას არავის უთმობს.

ქვანახშირის გარდა ინგლისის ენერგეტიკის მთავარი მასაზრდოებელია ბუნებრივი აირი, ატომური და ჰიდროენერგია. თუ მოხმარების ენერგობალანსში ქვანახშირის წილი სულ უფრო მეტად მცირდება, ნავთობის და ენერგიის სხვა წყაროების შესახებ ამას ვერ ვიტყვით. პირიქით, შეიმჩნევა მათზე მოთხოვნილების გაზრდა. ელექტროენერგიის დიდ ნაწილს იმუშავებს თესები. ჰესების როლი გაცილებით უმნიშვნელოა.

შავ მეტალურგიას ძირითადად ამარაგებს ადგილობრივი კოქსი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა ამ დარგის ძირეული გარდაქმნა. იგი აღიჭურვა ტექნიკის უახლესი მიღწევებით.

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა ამის ლოგიკური შედეგი იყო. ფოლადის გამოდნობის საქმეში მოწინავე რეგიონებია სამხრეთ უელსი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ინგლისი.

ფერადი მეტალურგია უპირატესად შემოზიდულ ნედლეულზეა ორიენტირებული. სწრაფი ტემპით ვითარდება ალუმინის წარმოება. მას გამოიმუშავებენ შოტლანდიის ჰიდროსადგურების სიახლოვეს. სპილენძის, ტყვიის, თუთიის გამომუშავება კი ხდება დიდ ნავსადგურებში.

დიდი ბრიტანეთის მრეწველობის ლიდერი, წამყვანი დარგია, მანქანათმშენებლობა. ამ სფეროში დასაქმებულია ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი. პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით მანქანათმშენებლობის წილი მეტად დიდია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ექსპორტში მისი პროდუქცია 50 პროცენტია. საავიაციო და ელექტრონიკული დარგები აშკარა აღმავლობას განიცდის. შეფერხებებით ვითარდება სარკინიგზო მოწყობილობების და ლოკომოტივების გამოშვება. ბოლო ხანებში გარკვეული პრობლემები გაჩნდა გემთამშენებლობასა და ავტომობილ-მშენებლობაში. ეს უმთავრესად იმითაა გამოწვეული, რომ მათი ტექნიკური აღჭურვილობა მოძველდა და ვეღარ უწევს ჯეროვან კონკურენციას აშშ-ს და სხვა ქვეყნების პროდუქციას.

თვითმფრინავების გამოშვების საქმეში დიდი ბრიტანეთი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩება. უდიდესი საავიაციო კომპანიები ქვეყნის ეკონომიკას აწვდიან სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავებს და მის ნაწილებს. ინგლისის საავიაციო მრეწველობის პროდუქციის დიდი ნაწილი საექსპორტოა.

ბოლო წლებში აშკარა აღმავლობას განიცდის ელექტროტექნიკური და ელექტრონიკული მრეწველობა. ეს თანამედროვე დარგებია. დიდი მოთხოვნილებაა ელექტროგენერატორების, ატომური ელექტროსადგურების მოწყობილობაზე, ელექტროტექნიკაზე.

დიდ წარმატებებს მიაღწია ქიმიურმა მრეწველობამ. მის ძირითად ნედლეულად ნავთობი და გაზი გვევლინება. ინგლისის ქიმიური მრეწველობა ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. ძალიან მაღალ დონეს მიაღწია სინთეზური ბოჭკოს, ფარმაცევტული

ნაწარმის, პლასტმასის, მინერალური სასუქის გამოშვებამ. ქიმიურ წარმოებაში შეინიშნება მონოპოლიზაციის მაღალი დონე.

ინგლისის მრეწველობის აღმავლობაში თავის წილი აქვს ჩარხმმშენებელობას. სასოფლო-სამეურნეო, საგზაო, სამშენებლო, საფეიქრო მანქანათმშენებლობა მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებდა, რომელიც უმთავრესად ექსპორტისათვის არის განკუთვნილი.

დიდი ბრიტანეთის კვების მრეწველობის ცენტრებია ლივერპული და გლაზგო. ქვეყნისათვის კარგი შემოსავალი მოაქვს ვისკის გამოხდას და ლუდის წარმოებას.

პრობლემებია საფეიქრო მრეწველობაში. მისი ხვედრითი წილი ინგლისის ეკონომიკაში მცირდება. პირველ რიგში ეს ეხება ბამბეულის წარმოებას.შალის წარმოების საქმეში ინგლისი მხოლოდ აშშ-ს და იაპონიას ჩამორჩება. საერთაშორისო ბაზარზე ინგლისურ შალზე მოთხოვნილება დიდია.

3. სოფლის მეურნეობა. მიწების დიდი ნაწილის მფლობელია მსხვილი მიწის მესაკუთრე ლენდლორდები. ისინი მიწას იჯარით აძლევენ ფერმერებს, რომელთა ძირითად ბირთვს შეადგენს წვრილი და საშუალო მეწარმეები. XX საუკუნის 60-იან-70-იანი წლებიდან შეიმჩნევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის პროცესი. ეს იმით გამოიხატება, რომ წვრილი ფერმერული მეურნეობის რიცხვი მცირდება და მსხვილი ფერმერების რაოდენობა სწრაფად მატულობს.

ინგლისის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მეცხოველეობა. სწორედ მეცხოველეობაზე მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 70%. დასავლეთის ტენიან რაიონებში განვითარებულია მსხვილფეხა რქოსანი სარძევე მეცხოველეობა. მთიან რაიონებში კი, სადაც არაა კარგი საძოვრები, ოდითგანვე გავრცელებული იყო მეცხვარეობა. ბრიტანეთში გამოიყვანეს სარძევე მსხვილფეხა პირუტყვის ახალი ჯიშები. მეღორეობის გავრცელების არეალია აღმოსავლეთ ინგლისი და ჩრდილოეთ ირლანდია. ამ რეგიონში ღორების მოშენებას დიდი ყურადღება ეთმობა. მათმა სულადობამ 8 მილიონს მიაღწია. გამოიყვანეს ღორის ახალი ჯიშები. ბოლო წლებისათვის ნიშანდობლივია მე-

ფრინველეობის აღმავლობა. შინაური ფრინველი 142 მილიონი ფრთაა.

დიდი ტენიანობის გამო ინგლისში უმეტესად მოჰყავთ საპურე ხორბალი, რომლის მოსავლიანობა საკმაოდ უხვია – ჰექტარზე 65 ცენტნერი. ქერს ძირითადად იყენებენ საქონლის საკვებად. შოტლანდიაში ქერისაგან ამზადებენ ალაოს, რომლისგანაც ხდიან ვისკს და ამზადებენ ლუდს. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში ფართოდა ნარმოდგენილი მემინდვრეობა. აქ, უპირატესად მოჰყავთ მარცვლეული კულტურები. შაქრის ჭარხალი უფრო აღმოსავლეთ ინგლისშია გავრცელებული. ბოსტნეულის და ხილის უხვ მოსავალს იძლევა აღმოსავლეთი, ცენტრალური და სამხრეთის რაიონები.

მართალია თევზჭერა ნელ-ნელა თმობს პოზიციებს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მას ინგლისის აღმოსავლეთის სანაპირო ნაწილისათვის უწინდებურად დიდი მნიშვნელობა გააჩნია და ამ რეგიონის მკვიდრთ საგრძნობ ნაწილს თევზჭერით გააქვს თავი.

4. ტრანსპორტი. დიდი ბრიტანეთის საერთო ტვირთბრუნვის „ლომის წილი“ საზღვაო ტრანსპორტზე მოდის. საზღვაო ფლოტის ტონაჟით დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში დღესაც ერთერთ პირველ ადგილზეა. საგარეო-სავაჭრო კავშირების მთავარი სულისჩამდგმელია ნავსადგურები. მათ შორის გამორჩეულია ლონდონი, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგურია. დიდი ნავსადგურების რიცხვს მიეკუთვნება: მანჩესტერი, ლივერპული, ნიუკასლი, გლაზგო და სხვა. მსხვილი სამგზავრო ნავსადგურებია საუთჰემპტონი და დუვრი.

ქვეყნის შიგნით გადაზიდვის და მგზავრობის მთავარი საშუალებაა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი. რკინიგზის ქსელის სიგრძე 18,9 ათასი კვადრატული კილომეტრია. რკინიგზას სერიოზულ კონკურენციას უწევს ტრანსპორტის სხვა სახეობები.

დიდი მნიშვნელობა აქვს საავტომობილო ტრანსპორტს. საავტომობილო გზის სიგრძე 352 ათასი კილომეტრია. მაღალხარისხოვანი, მოკირწყლული, მოასფალტებული და დაბეტონებული, ავტოსტრადები ფრიად ხელსაყრელ პირობებს ქმნის არა

მარტო ტვირთის გადაზიდვისათვის, არამედ მგზავრთა გადაყვანისათვის. ავტოტრანსპორტის საშუალებით ხორციელდება მიტოვებული სოფლების აღდგენა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაყვანილი იქნა თანამედროვე ტიპის, პირველხარისხოვანი, განიერი ცალმხრივი ავტოსტრადები. მართალია, ეს მეტად ძვირი ფუფუნებაა, მაგრამ ძალზე ეფექტური და გამძლეა.

შიდა წყლის გზებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს მანჩესტერის არხს.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით დიდი დატვირთვა აქვს საჰაერო ტრანსპორტს. ეს არის შორ მანძილებზე სწრაფი გადაადგილების საუკეთესო საშუალება. განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ მას საერთაშორისო მარშუტებზე. საჰაერო მიმოსვლის საერთაშორისო ცენტრია ლონდონი.

V თავი

ინგლისის კულტურა ახალ და უახლეს ეპოქაში

1. ინგლისის კულტურა XVI-XVIII საუკუნეებში. ინგლისის კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ორმა გარემოებამ: XV საუკუნის შუა ხანებში გერმანელი იოჰან გუტენბერგის მიერ წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, პირველ რიგში კი კოლუმბის მოგზაურობამ ამერიკისაკენ 1492 წელს და პორტუგალიელი ზღვაოსნის ვასკო და გამას მიერ 1498 წელს ინდოეთისაკენ მიმავალი მოკლე გზის აღმოჩენამ.

ახალი სამყაროს აღმოჩენამ თვალი აუხილა ადამიანებს და უჩვენა, რომ ბევრი რამ რაც მათ ირგვლივ ხდებოდა მათ არ იცოდნენ და საჭირო იყო ძიება, ცოდნის გაღრმავება. ამიერიდან მათ აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ საღვთო წერილი, ბიბლია. ეს უკვე აღარაა მათთვის ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია. დაიწყო ადამიანთა აზროვნების სეკულარიზაცია, განთავისუფლება რელიგიური მსოფლმხედველობისგან. ცხადია, ეს სიახლეები ეკლესიის უარყოფით რეაქციას იწვევდა. ახალი ეპოქის დასაწყისში ინგლისური კულტურის განვითარების მთავარი მახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი საერო ხასიათს იღებს.

წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ პირდაპირი რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ცოდნის, განათლების, გავრცელების საქმეში. შესაძლებელი გახდა ხალხთა მასებში ცოდნის შეტანა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნაბეჭდი წიგნი გაცილებით უფრო იაფი იყო, ვიდრე ხელნაწერი. გაადვილდა წერა-კითხვის შესწავლა, გაიაფდა სახელმძღვანელოები.

1474 წელს ბელგიის ქალაქ ბრიუგეში უილიამ კექსტონმა დაბეჭდა პირველი წიგნი ინგლისურ ენაზე, ხოლო მცირე ხნის შემდეგ მანვე ლონდონში გახსნა პირველი სტამბა. ამან ახალი სული შთაბერა ცოდნის, განათლებისაკენ, მისწრაფებას. ცოდნის შეძენა, განათლება, საყოველთაო მოთხოვნად იქცა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჰუმანისტების საქმიანობა ინგლისში. ინგლისურ აღორძინებას მეცნიერები ორ პერიოდად ყოფენ: 1. XV საუკუნის დასასრულიდან – XVI საუკუნის შუა ხანებამდე. 2. XVI საუკუნის შუა ხანებიდან XVII საუკუნის დასაწყისამდე.

ინგლისში ჰუმანისტური იდეების გავრცელების მთავარ ცენტრად უნივერსიტეტები, პირველ რიგში ოქსფორდი და კემბრიჯი, იქცა. ინგლისური ჰუმანიზმის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელია თომას მორი. მისი თხზულებებია „უტოპია" და „რიჩარდ III", რომლებიც XV საუკუნის მიწურულის ინგლისის ისტორიის საინტერესო წყაროა.

ინგლისურ კულტურაში ახალ ტენდენციებს მძლავრი სტიმული მისცა რეფორმაციამ. ინგლისური კულტურა სულ უფრო მეტად თავისუფლდება ეკლესიის მეურვეობის, გავლენისაგან და მკვეთრად გამოკვეთილ საერო ელფერს იძენს.

სერიოზული თვისობრივი ცვლილებები ხდება არქიტექტურის სფეროში. მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გვიან გოთიკას (ჰენრი VII-ს კაპელა, უინძორის სასახლე) ცვლის ახალი „თიუდორების" სტილი. აქ ძალუმად იგრძნობა იტალიური და ფრანგული აღორძინების გავლენა, მაგრამ ინგლისური არქიტექტურის ეროვნული საფუძვლები შენარჩუნებულია. აღორძინების ეპოქაში საძირკელი ჩაეყარა საცხოვრებელი სახლის ტიპებს, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ინგლისის არქიტექტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ინგლისის რევოლუცია, რომლის შემდეგაც ძალუმად იგრძნობა მიდრეკილება რაციონალურობის და კომფორტაბელურობისაკენ.

XVII-XVIII საუკუნეებში ინგლისურ არქიტექტურაში გაბატონებულ ადგილს იკავებს კლასიციზმი. შეიქმნა ქალაქის ანსამბლეა (გრინვიჩის ჰოსპიტალი), აშენდა წმინდა პავლეს ტაძარი.

დიდი ბრიტანეთი ფსევდოგოთიკისა და პეიზაჟური პარკის სამშობლოდაა მიჩნეული.

XVI-XVII საუკუნეების ინგლისის სახვით ხელოვნებაში დომინირებს პორტრეტი. დიდი ყურადღება ეთმობა მინიატიურას. XVIII საუკუნეში ყალიბდება პეიზაჟის და ჟანრული ფერნერის ეროვნული სკოლა.

ინგლისურ ეროვნული მუსიკალური თეატრის სათავეებთან დგას კომპოზიტორი პ. პერსელი. მისი შემოქმედების ზენიტია ოპერა „დიდონა და ენა". XVIII საუკუნის დასასრულს ინგლისში მოღვაწეობდნენ ცნობილი კომპოზიტორები ჰაიდნი და ბახი (დიდი იოჰან სებასტიან ბახის შვილი), მათ ინგლისური მუსიკის განვითარებაზე კეთილისმოყფელი გავლენა მოახდინეს. პიანისტთა სკოლის ფუძემდებელია კლემენტი. შეიქმნა სამეფო მუსიკალური საზოგადოება. ჩამოყალიბდა მუსიკალური გამომცემლობები. XVIII საუკუნის შუა ხანებში საფუძველი ჩაეყარა ინგლისურ მუსიკათმცოდნეობის ეროვნულ სკოლას.

2. ინგლისის კულტურა XIX-XX საუკუნეებში. სამრეწველო გადატრიალების, XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში, შედეგად აღმოცენებულმა ფაბრიკების ერთფეროვანმა შენობებმა, დოკებმა და ღარიბთა უბნებმა დიდად დაამახინჯეს ინგლისის ლანდშაფტი. ასეთი იერსახე მიიღო ცენტრალურმა ინგლისმა, სამხრეთ შოტლანდიამ და დასავლეთის სანაპიროზე მდებარე ნავსადგურებმა.

XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისის არქიტექტურაში ფეხს იკიდებს რაციონალური მეთოდები. კლასიციზმი ჩაანაცვლა ნეოკლასიკამ. ამის საუკეთესო ნიმუშია ბრიტანეთის მუზეუმი ლონდონში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სახვით ხელოვნებაში გაბატონებულ ადგილს იკავებს გრაფიკა და პეიზაჟი. აკვარელური პეიზაჟის ოსტატებია კოტმენი და კოქსი. XIX საუკუნეში სალონურ, აკადემიურ ხელოვნებას უპირისპირდება „პრორაფაელისტური ძმობა", რომელიც მიზნად ისახავდა დაუბრუნოს ხელოვნებას შუა საუკუნეებისა და ადრინდელი რენესანსისათვის ნიშანდობლივი გულწრფელობა და სოციალური მნიშვნელობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის სახვით ხელოვნებაში მკვიდრდება იმპრესიონიზმი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მ. უისტლერის ფერწერული ტილოები.

თვისობრივ ცვლილებებს აქვს ადგილი ქალაქთმშენებლობაში. მის ინიციატორებად მოგვევლინენ ჰოუარდი და ენუინი. მათ პირველად წარმოადგინეს ქალაქ-ბაღების პროექტი. წარმოიშვა მთელი რაიონების კომპლექსური დაგეგმარების იდეა.

XIX საუკუნის ინგლისში მუსიკალური ცხოვრება ჩქეფს. იმართება მუსიკალური ფესტივალები. XIX საუკუნის დასაწყისში გაიხსნა მუსიკის სამეფო აკადემია. 1883 წელს დაარსდა მუსიკალური სამეფო კოლეჯი. ყალიბდება სახელმწიფო საკონცერტო საზოგადოება, საგუნდო საზოგადოებები. საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ საკომპოზიტორო სკოლას. მისი მამამთავარია ე. ელგარი. ინგლისური კომპოზიტორების მოღვაწეობის მთავარი სარბიელი იყო ოპერა. მუსიკალური კომედიის სფეროში მოსინჯეს თავისი ძალები სალივენიმ და ჯოუნზმა.

XX საუკუნის დასაწყისის ინგლისურ არქიტექტურაში ფეხს იკიდებს „მოდერნის" სტილი და რაციონალიზმი. ცოტათი მოგვიანებით გავრცელდა ფუნქციონალიზმი. XX საუკუნის შუა ხანების ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია ლონდონის სამეფო საკონცერტო დარბაზი და კოვენტრის ეკლესია. XX საუკუნის ცნობილი ინგლისელი არქიტექტორები არიან: ლ. მეთიუ, ბ. სპენზი, ფ. გიბერდი და სხვები.

XX საუკუნის დასაწყისში ინგლისის ხელოვნებაში დიდ აღმავლობას განიცდის რეალისტური პორტრეტული და ჟანრული ფერწერისა და გრაფიკის სტილი. ამავე დროს ინგლისურ ხელოვნებაში წარმოიშობა მთელი რიგი ახალი მიმდინარეობები. ჩნდება ფუტურიზმი, ფოიზმი, კუბიზმი. სიურეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მოქანდაკე ჰ. მური, რომელმაც გამოძერწა მთელი რიგი მეტყველი, პლასტიკურად ძლიერი სახეები.

XX საუკუნის დასაწყისში ინგლისის მუსიკალური ცხოვრების მაჯისცემა კიდევ უფრო ძალუმად იგრძნობა. ამ ეპოქის კომპოზიტორების შემოქმედებაში დიდ მნიშვნელობას იძენს ტონალური მუსიკა. ამავე დროს ფართოდ შლის ფრთებს ავანგარდის-

ტული მუსიკა. დიდი პოპულარობით სარგებლობს კომპოზიტორ ბ. ბრიტენის მუსიკა. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღნიეს ინგლისელმა მუსიკათმცოდნეებმა. მათი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა სოლიდური ნაშრომი „მუსიკისა და მუსიკოსების ლექსიკონი". მუსიკალური კოლექტივებიდან ყურადღებას იპყრობს და მოწონებას იმსახურებს ლონდონის ფილარმონიული და სიმფონიური ორკესტრები. საოპერო ხელოვნების დიდი ცენტრია „კოვენტგარდენი", რომლის სცენაზე გამოსულან ქართველი მომღერლებიც. 60-იან წლებიდან დიდი პოპულარობა მოიხვეჭა „პოპმუსიკამ", რომელიც თავის აღმავლობას, მნიშვნელოვანწილად, ცნობილ ვოკალურ ანსამბლს „ბითლზს" უნდა უმადლოდეს.

ინგლისური კინოს მამამთავრად უ. პოლს მიიჩნევენ. 1896 წელს მან დააარსა ეროვნული კინოწარმოება. მაყურებლებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა კომედიები, ქრონიკები, დოკუმენტური ფილმები. ინგლისურ კინოწარმოებას მძაფრ კონკურენციას უწევდა ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის კინემატოგრაფია. პირველი ხმოვანი ინგლისური ფილმი დაიდგა 1929 წელს. ინგლისის კინოწარმოების რეორგანიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ლონდონ ფილმზის" ჩამოყალიბებამ. დაიწყო ინგლისური კინოს აღმავლობა. ყოველწლიურად ლონდონსა და ედინბურგში ტარდება კინოფესტივალები. ქართული საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი ინგლისური კინოს კორიფეები: ლ. ოლივიე, მ. რედგრეივი, ა. გინესი, რ. ჰერისი და სხვები.

მას შემდეგ რაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა დიდ ბრიტანეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კონტაქტები უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს.

ლიტერატურის სია

1. **კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი**, ახალი ისტორია, თბ., 2004;
2. **კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა**, შუა საუკუნეების ისტორია, თბ., 2004;
3. ახალი ისტორია, 1870-1918 წწ., ნაწილი I-II, თბ., 1973, 1975;
4. ახალი ისტორია, 1870-1918 წწ., ნ. ნამორაძის რედაქციით, თბ., 1990;
5. **გ. ბოლოთაშვილი, ნ. კიღურაძე, ე. მეძმარიაშვილი**, უახლესი ისტორია, თბ., 2004;
6. **რ. გაჩეჩილაძე**, ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა, თბ., 1994;
7. **ვ. თვალავაძე**, ახალი ისტორია, ნაწილი II, 1640-1815 წწ., თბ., 1999;
8. **ვ. თვალავაძე**, ახალი ისტორია, ნაკვეთი III, 1815-1870 წწ., თბ., 1998;
9. **მ. კალანდაძე**, გერმანიის ისტორია, კულტურა გეოგრაფია, თბ., 2002;
10. **მ. კალანდაძე**, საფრანგეთის ისტორია, კულტურა გეოგრაფია, თბ., 2004;
11. **გ. კიღურაძე**, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, ნაწილი I-II, თბ., 1979-1983;
12. **ი. მენთეშაშვილი**, ინგლისის ისტორია, ნაწილი I, თბ., 2002;
13. **გრ. ნათაძე**, ინგლისის მოკლე ისტორია, თბ., 1919;
14. **ნ. ნანიტაშვილი**, საზღვარგარეთის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაკვეთი I-II, თბ., 1987;
15. **ნ. ნანიტაშვილი**, აშშ, გფრ, საფრანგეთი, იტალია და ინგლისი XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე, თბ., 1995;
16. **გ. ტივაძე**, შუა საუკუნეების ისტორია, ტ. 1-2, თბ., 1967-1970.
17. უახლესი ისტორია, კ. ანთაძისა და გ. ბოლოთაშვილის რედაქციით თბ., 1988;
18. ქართული ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1977;
19. შუა საუკუნეების ისტორია, ა. უდალცოვის, ე. კოსმინსკისა და თ. ვაინშტაინის რედაქციით, ტ. 1-2, თბ., 1947-1949;
20. **გ. ჭანტურია**, მსოფლიო ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, თბ., 1998;
21. **Алисов Н., Хорев Б.**, Экономическая и социальная география, М., 2001;

22. Векобритания, М., 1972;
23. **Гладкий Ю., Лавров С.**, Экономическая и социальная география мира, (общий обзор), М., 2000;
24. История средних веков, состав. К. Деборьнин, 1912;
25. История средних веков, под общей ред. С. Д. Сказкина, Т. 1-2. М., 1977;
26. История средных веков, под общей ред. Н. Ф. Колесницкого, М., 1986;
27. **Кертман Л.**, География, история и культура Англии, М., 1979;
28. **Мортон А.**, История Англии, М., 1950.
29. Новая история, под ред. Б. Поршнева, С. Сказкина, В. Бирукевича, Т. 1, М., 1951;
30. Новая история, под ред. В. Бирукевича, С. Сказкина, Б. Поршнева, Т. 1, М., 1953;
31. Новая история (первый период), под ред. Е. Юровской, М. Полтавского, Н. Застенкера, М., 1972;
32. Новая история (первый период), под пед. Е. Юровской, М. Полтавского, Н. Застенкера, М., 1983;
33. Новая история, часть первая, под ред. А. Нарочницкого, М., 1972;
34. Новая история, часть I-II, под ред. Е. Тарле, М., 1939;
35. Новая история (второй период), под ред. Е. Юровской, М., 1984;
36. Новая история. 1871-1918, под ред. Н. Овчаренко, М., 1984;
37. Новейшая история стран Европы и Америки, часть 1 (1917-1939), М., 1975;
38. Новейшая история стран Европы и Америки, часть II (1939-1975), М., 1978;
39. Очерки истории Англии, под ред. Г. Левина, М., 1959;
40. **Семенов В.**, История средних веков, М., 1949;
41. **Татаринова К.**, Очерки истории Англии, (1640-1815 гг.), М., 1958;
42. **Штокмар В.**, История Англии в средние века, Л., 1973;
43. **Clark Peter**, Hope and Glory: Britainm 1900-1990, London:, Penguin, 1996;
44. **Davis John**, A History of Britain, 1885-1939. London 1999;
45. **Orde Anne**, The Eclipse of Great Britain: The United States and British Imperial Decline, 1845-1956. London, 1996;
46. **Pugh Martin**, Britain: A Concise History, 1789-1998. Basingstoke, 1999;
47. **Robhins Keith**, The Eclipse of Great Power: Modern Britain, 1870-1970. London, 1983.

სარჩევ

ავტორისაგან.....

კარი I. ინგლისის ძველი ისტორი

I თავი
ინგლისის ფიზიკური გეოგრაფია. ინგლისის წინარე ისტორია.....

II თავი
ინგლისის ეთნოგენეზისის სათავეებთან 1

III თავი
რომაული ბრიტანეთი 1

კარი II. ინგლისის შუა საუკუნეების ისტორი

I თავი
ანგლო-საქსების შეჭრა ინგლისში 2

II თავი
ვიკინგთა შემოსევები..... 2

III თავი
ინგლისი X-XI საუკუნეებში 3

IV თავი
ნორმანდიელების მიერ ინგლისის დაპყრობა 4

V თავი
ინგლისი XII-XIII საუკუნეებში 47

VI თავი
ასწლიანი ომი 55

VII თავი
ინგლისი XV საუკუნის მიწურულს..... 62

VIII თავი
შუა საუკუნეების ინგლისური კულტურა..... 69

კარი III. ინგლისის ახალი ისტორია

I თავი
ინგლისი ახალი დროის გარიჟრაჟზე. ეკონომიკური სიახლეები 77

ᲗᲐᲕᲘ
რველი თიუდორების მმართველობა 82

ᲗᲐᲕᲘ
ისაბედი 88
ᲗᲐᲕᲘ
იუარტთა მმართველობა 96
ᲗᲐᲕᲘ
II საუკუნის ინგლისის რევოლუცია 103
ᲗᲐᲕᲘ
ჰერრეგნუმი ანუ უმეფობის ხანა 112
ᲗᲐᲕᲘ
იუარტთა რესტავრაცია ინგლისში 119
ᲗᲐᲕᲘ
ᲚᲘᲡᲘ 1688-1789 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ 124
ᲗᲐᲕᲘ
დუსტრიული საზოგადოების შექმნა ინგლისში 131
ᲗᲐᲕᲘ
ᲚᲘᲡᲘ 1789-1815 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ 137
ᲗᲐᲕᲘ
ᲚᲘᲡᲘ „მსოფლიო სახელოსნო“ 143
ᲗᲐᲕᲘ
ᲚᲘᲡᲘᲡᲣᲠᲘ დემოკრატიის გაფართოვება. ინგლისის საგარეო და კოლონ-
იური პოლიტიკა 149
I ᲗᲐᲕᲘ
ᲚᲘᲡᲘ 1870-1914 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ 155

ᲬᲘᲜᲐᲡᲢᲚᲘᲡᲘ IV. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲗᲐᲕᲘ
ᲒᲚᲘᲡᲘ 1914-1939 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ 165
ᲗᲐᲕᲘ
ᲒᲚᲘᲡᲘ მეორე მსოფლიო ომის დროს 172
ᲗᲐᲕᲘ
ᲒᲚᲘᲡᲘ XX საუკუნის მეორე ნახევარში 179
ᲗᲐᲕᲘ
ᲒᲚᲘᲡᲘᲡ ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა 185
ᲗᲐᲕᲘ
ᲒᲚᲘᲡᲘᲡ კულტურა ახალ და უახლეს ეპოქაში 191

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ გაიდოშვილი
ბუბა კუდავა
დარეჯან მზარელუა
ვიოლა ტულუში

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ა. 25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.
artanuji@telenet.ge